

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართველური ენათმეცნიერება

ნატო შავრეშიანი

ეკონომიკური სკანთა მეტყველების სინთაქსური თავისებურებანი

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოც. პროფესორი მერაბ ჩუხუა

თბილისი

2013

შესავალი

სვანურ ენას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. სვანურში დაცული არქაიზმები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი და დიალექტური თავისებურებანი არაერთგზის გამხდარა ენათმეცნიერთა კვლევის ობიექტი. აღნიშნულ საკითხებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ცნობილმა ქართველმა თუ უცხოელმა ქართველოლოგებმა.

სვანური ენის ლექსიკური მასალები პირველად ფიქსირდება ი. გიულდენ-შტედტის (1787-1791 წწ.) და ი. კლაპროთის (1807-1808 წწ.) ნაშრომებში, ხოლო პირველი გრამატიკული მიმოხილვა წარმოადგინა გ. როზენმა ლაშხურ კილოზე დაყრდნობით.

ვ. თოფურიას დაკვირვებით უცხოელი ქართველოლოგები „სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უშგულურს, ნაკლებად – ლაშხურს, ბალსხემოურს, იშვიათად – ბალსქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური“ (13, 151).

მას შემდეგ რაც განისაზღვრა და გამოიყო სვანურის ოთხი ძირითადი კილო, ენათმეცნიერები სვანურში ცალკეული საკითხების განხილვისას ძირითადად ბალსხემოურ დიალექტს ეყრდნობიან: „უფრო უხვად წარმოდგენილია ბალსხემოური კილოს მასალები, რადგან, როგორც ცნობილია, ამ კილოში უფრო სრული სახითაა შემონახული სვანური ენისათვის დამახასიათებელი მრავალი მოვლენა“ (1, 107).

სვანურში ტრადიციულად ოთხ დიალექტს (ბალსხემოურ, ბალსქვემოურ, ლენტეხურ და ლაშხურ) გამოყოფენ.

სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალურია სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურული მეტყველების ადგილის განსაზღვრის საკითხი, თუმცა ეს პრობლემა დღემდე გადაჭრილი არ არის.

ჩოლურული მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს. მის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნიკო მარი უჭერდა მხარს. ალექსანდრე ონიანის აზრით, "ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი – ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა", უფრო მეტიც, იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩოლურულის სხვა რომელიმე დიალექტში

გაერთიანებას, ვინაიდან „... ის მსგავსად ბალსზემოურისა, ლაშხურისაგანაც განსხვავდება (უმლაუტიანი ხმოვნებით) და ლენტეხურისა და ბალსქვემოურისაგანაც (გრძელი ხმოვნებით)“ (29, 7)

ვ. თოფურიას, ცხუმარულის მსგავსად, ჩოლურული მეტყველებაც ნარევი დიალექტად მიაჩნია: „ნარევი დიალექტია უთუოდ ზემოსვანურში ცხუმარული და ქვემოსვანურში ჩოლურული მეტყველება... ჩოლურული ძირითადად ლაშხურს ეკედლება“ (13, 56).

ჩოლურულს აკაკი შანიძე ცალკე კილოდ არ თვლის და მას ორ ნაწილად ყოფს: „უნდა შევნიშნო, რომ ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად იყოფა: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში, მუწდი) – ლენტეხურია. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლურულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოებს, ხოლო ქვემო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებიც, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (44, 84).

აღნიშნულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა კომპაქტურად არის განლაგებული ცხენისწყლის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ლაშხეთსა და ლენტეხს შორის მდებარეობს და საკმაო მანძილითაა დაშორებული ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტზე მოსაუბრეთაგან.

ჩვენი აზრით, ჩოლურული მეტყველების მრავალფეროვანი მასალის მოპოვება-გამოქვეყნებისა და სპეციალური შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნება სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოოდ განსაზღვრა.

„უმწერლობო ქართველურ ენათა ფიქსირება, როგორც ეს მრავალგზის აღნიშნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა, ვინაიდან თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტენსიური კონტაქტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის, განსაკუთრებით კი უმწერლობო ენების, სწრაფი ტემპით ცვლას“ (34, 240).

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, წარმოდგენილია სვანურის ყველა დიალექტის მრავალფეროვანი უანრული მასალა როგორც სვანური ენის ქრესტომათიიდან, ისე სვანური პროზაული ტექსტების ოთხივე ტომიდან და სვანური პოეზიიდან, აგრეთვე, ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული სხვადასხვა დიალექტის მონაცემები, მათ შორის ჩოლურული და ლახამულური მეტყველების ნიმუშები. ზუსტი სადისერტაციო ქართული ეკვივალენტები ახლავს ყველა ჩამოთვლილ წყაროს.

სინტაქსური თვალსაზრისით ჩოლურული მეტყველება, სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, დღემდე სპეციალური კვლევის ობიექტი არ ყოფილა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არის პირველი მცდელობა, სხვა დიალექტების პარალელურად წარმოდგენილი იქნას ჩოლურული მეტყველების სინტაქსური საკითხები. ნაშრომში, აგრეთვე, გათვალისწინებულია სვანეთიდან ეკოლოგიური მიზეზების გამო ქვემო ქართლში მიგრირებულ სვანთა მეტყველების ნიმუშებიც.

როგორც ცნობილია, სინტაქსი საკითხთა ფართო წრეს აერთიანებს და ჩვენ ნაშრომში შევვხებით ძირითად საკითხებს: დისერტაციის მიზანია, სვანურის სინტაქსური საკითხების შესწავლის საფუძველზე წარმოვაჩინოთ, თუ რა თავისებურებები ახასიათებს და რა საერთო აქვს სვანურის სინტაქსს ქართულთან მიმართებაში.

სვანური სინტაქსის შესწავლის ისტორია

„აპოლონიოს დისკოლომ პირველმა მოხაზა სინტაქსის არე და ნათლად აღნიშნა ის საკითხები, რომელნიც სინტაქსს განეკუთვნებიან, მან თავიდანვე სიტყვათა შეთანხმებას მიაქცია ყურადღება, დასვა და გადაწყვიტა სინტაქსის ძირითადი საკითხი“ (52, 34).

XVII საუკუნიდან დაწყებული ქართული ენის ძვ. გრამატიკებში სინტაქსი, ანუ ლექსთთხზულება, როგორც გრამატიკის ცალკეული დარგი, უმეტესწილად გამიჯნულია მორფოლოგიისაგან.

სინტაქსის საგნის შესახებ ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი სინტაქსის საგნად სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებს მიიჩნევს, გარკვეულ ნაწილს სინტაქსის საგნად — წინადადება და წინადადების წევრები მიაჩნია, ხოლო მეცნიერთა ნაწილი სინტაქსში ერთად განიხილავს სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებსა და წინადადებას.

სინტაქსის სახელმძღვანელოებიც სწორედ ამ უკანასკნელი შეხედულების მიხედვითაა შედგენილი, სადაც შესიტყვებასთან ერთად განხილულია წინადადება და წინადადების წევრები.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ანტონ პირველმა თავის „ქართულ დრამატიკაში“, ფრანჟესკო-მარია მაჯოს მსგავსად, სინტაქსის საგნად მეტყველების ნაწილებს შორის დამოკიდებულება (შეთანხმება, მართვა) მიიჩნია. მისივე

განმარტებით სინტაქსი არის „განკარგუა წესიერ თანკმობითი ნაწილთა კვლოვნებითსა ყოვლადსა შინა“ (6, 213).

„გაიოზ რექტორი იძლევა სინტაქსის რამდენადმე განსხვავებულ განსაზღვრას: „სინტაქსი, ანუ აღნაქუსი არს ნაწილი ღრამატიკისა, რომელიცა ასწავებს თანკმობასა შეწყობასა შინა ნაწილთა სიტყუსათა“. თანკმობა გაიოზისათვის ფართო ცნებაა. იგი აღნიშნავს როგორც შეთანხმებას, ასევე საერთოდ — შეკავშირებას, შეხამებას. გაიოზმა, ანტონისაგან განსხვავებით ახალი ტერმინი შემოიღო (აღნაქუსი), მისი მიხედვით სინტაქსი არის სამგვარი: 1. მარტივი, 2. ხელოვნებითი ანუ რიტორული, 3. უხვსიტყვაობითი ანუ შევნიერსიტყვაობითი“ (17, 78).

ანტონ I -ისა და გაიოზ რექტორის სინტაქსისეულ გაგებას იზიარებენ დავით ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი და იოანე ქართველიშვილი.

XIX საუკუნის 30 — 40-იანი წლებიდან სინტაქსში, შესიტყვებათა სისტემაში უპირატესობა ენიჭება წინადადებას, როგორც აზრის (მსჯელობის) გამომხატველ შესიტყვებას, მაგალითად „პლატონ იოსელიანის თქმით: ლექსთა თხზულება (სინტაქსი) არის ნაწილი გრამატიკისა, რომელიცა ასწავებს სიტყვისა ნაწილთა კანონიერსა შეწყობასა გამოხატვისათვის სრულისა ჰაზრისა“ (17, 79).

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან სასკოლო გრამატიკებში სინტაგმათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის ადგილს წინადადების ფუნქციურ სემანტიკური ანალიზი იკავებს, სიტყვათა ურთიერთობის საკითხები იწრდილება, ადრე ხმარებული ტერმინები (უფალი, ძიება) ქრება და მათ ნაცვლად ფუნქციური ტერმინები (ქვემდებარე, დამატება, შემასმენელი...) ჩნდება. სინტაქსი, ანუ მოძღვრება ლექსთა თხზვის შესახებ, წინადადების შესახებ მოძღვრებად იქცევა.

შესაბამისად სასკოლო გრამატიკებში გვხვდება სინტაქსის ამგვარი განმარტება: „სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს. იგი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში“ (19, 6).

„XX საუკუნიდან გრამატიკაში თავი იჩინა ახალმა, ფორმალურმა (სტრუქტურულმა) მიმართულებამ, რომელმაც სინტაქსის მიზნად შესიტყვების მხოლოდ აგებულების (სტრუქტურის) კვლევა დასახა. სტრუქტურულ მიმართუ-

ლებას ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა არნ. ჩიქობავას ნაშრომებმა“ (17, 79).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, „სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ. სინტაქსის საგანია სიტყვათა შენაერთი, შესიტყვება. ცხადია, რომ ერთი სიტყვის სინტაქსი შეუძლებელია. სიტყვათა შენაერთში მთავარ როლს ასრულებს სახელი და ზმნა; სხვა სიტყვები ამათ ეკედლება (52, 36).

ქართულში სინტაქსის შესწავლის ისტორიას ლ. კვანტალიანი XVII საუკუნიდან ფ. მაჯოს გრამატიკით იწყებს, თუმცა თვლის, რომ „სინტაქსის შესწავლის ისტორიის დასაწყისი ადრეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ“ (17, 76).

შესიტყვების საკითხების მეცნიერული შესწავლა მეოცე საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და წერილთა სერია „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“.

შესიტყვების სინტაქსურად შესწავლაში არნ. ჩიქობავა შესიტყვების შედგენილობის შესწავლასა და შესიტყვების სტრუქტურის დადგენას გულისხმობს.

ქართულ გრამატიკაში შესიტყვების საკითხი მეტად აქტუალურია და მას არა ერთი ავტორის ნაშრომი მიეძღვნა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, აღსანიშნავია, ვ. თოფურიას „მეტყველების საკითხებისათვის ქართულში“ (სადაც ვ. თოფურია იზიარებს შესიტყვების არნ. ჩიქობავასეულ გაგებას), „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“, ნ. ბასილაიას „ქართული მართლწერის საკითხები“, ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსი“, მ. ციკოლიას „სიტყვათა რიგი, როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“ და სხვ.

წინადადების შესახებ გამოთქმულ განსაზღვრებებში აზრი (მსჯელობა) ფიგურირებს, როგორც წინადადების დეფინიციის აუცილებელი კონპონენტი (წინადადება არის აზრი, ან მსჯელობა... წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით კი აზრი გრამატიკის განხილვის საგანი ვერ იქნება. წინადადება განსაზღვრული უნდა იქნეს სპეციფიკური, სინტაქსური ნიშნებით, იმ დამოკიდებულებაზე დამყარებით, რომელიც სიტყვათა შორის შესიტყვებაში იქმნება. ამრიგად: „წინადადება არის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციის თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისაზე – რელატიურ-ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე – აბსოლუტურ-ზმნიანში)“ (52, 234).

სინტაქსში უნდა განიხილებოდეს თუ არა წინადადება და წინადადების წევრები, ამაზე ვრცლად მსჯელობს არნ. ჩიქობავა: „გვეჭირდება თუ არა სინტაქსში „წინადადება“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „დამატება“, „განსაზღვრება“, „გარემოებანი“? – ეს ტერმინები შეიძლება დავტოვოთ სინტაქსში, თუ მათ გარკვეული სინტაქსური შინაარსი განეკუთვნებათ, ესე იგი, თუ ისინი გამოყენებულნი იქნებიან სიტყვათა დამოკიდებულების აღსანიშნავად, სიტყვათა როლის დასახასიათებლად შესიტყვებაში. თუ ეს აუცილებელი პირობა არ შესრულდება, ამ ტერმინების ხმარება მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ სინტაქსი „არასინტაქსურად“ შეისწავლება... ...ცნებანი: წინადადება (მხედველობაში გვაქვს წინადადება-ცნება, რომლის ნაწილებს მეტყველების ნაწილები კი არ შეადგენს (ამ გაგებით წინადადება ძველთაგანვე იხმარებოდა), არამედ ქვემდებარე-შემასმენელი), ქვემდებარე, შემასმენელი — გრამატიკაში ლოგიკიდან არის გადმოტანილი მეცხრამეტე საუკუნეში; იქიდან მოყოლებული წარმოებს მათი აკლიმატიზაცია და ჯერაც არ არის დამთავრებული ეს პროცესი... პირვანდელი შინაარსით ამ ცნებების დატოვება ენათმეცნიერებაში გაუმართლებელი იქნებოდა, ხოლო თუკი მათ მკაცრად ენათმეცნიერული შინაარსი მიეცემოდა, მათი არსებობაც გამართლებული იქნებოდა“ (52, 71-127).

არნ. ჩიქობავა საუბრობს „უწინადადებო სინტაქსზე“: „... სინტაქსის მიზანს არ შეადგენს წინადადების და მისი ნაწილების ძიება... სინტაქსი სიტყვათა დამოკიდებულებას იძიებს ... „უწინადადებო“ სინტაქსი არა თუ წარმოსადგენია, არამედ ფაქტია კიდევ, ფაქტი ორჯერ უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ჩვენში, ვინემ ეს „წინადადებიან სინტაქსს“ გააჩნია. ...წინადადება ვერ გამოცხადდება პრინციპულად უჩვეულო და განსაკუთრებულ საგნად სინტაქსისა“ (52, 73-127).

თუმცა ავტორს მიაჩნია, რომ წინადადება შესიტყვებათა შორის უპირატესობით უნდა სარგებლობდეს, რადგან მასში მონაწილეობს სახელი და ზმნა: „...უდავოა, რომ იგი უნდა სარგებლობდეს უპირატესობით სხვა შესიტყვებათა შორის, რადგანაც მასში მონაწილეობს მეტყველების ორი ძირითადი ნაწილი: სახელი და ზმნა, შესიტყვებისა, და საერთოდ, მეტყველების ხერხემალი“ (52, 127).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არნ. ჩიქობავა სინტაქსში წინადადების შემოყვანას და განხილვას ამართლებს იმდენად, რამდენადაც „წინადადება გარკვეული სახის შესიტყვებაა და, მაშასადამე, მისი ნაწილების კვალიფიკაციაც ხდება სათანადო სიტყვათა ურთიერთობის

მიხედვით; წინადადების ნაწილთა აღმნიშვნელი ცნებების შინაარსი მიგვიჩვენებს, რა როლსაც თამაშობს ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში: არის იგი გაბატონებული, თუ დამოკიდებული, მმართველი თუ მართული, მათანხმებელი თუ შეთანხმებული, თუ არც ერთია, არც მეორე, არამედ მხოლოდ მართულია“ (52, 122).

სინტაქსის საკითხებზე ქართულში არაერთ მკვლევარს უმუშავია და სამეცნიერო კვლევა დღესაც გრძელდება, შესაბამისად აღნიშნულ გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებით მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მათ შორის გამოსარჩევია: ანტონ I-ის „ქართული დრამატიკა“, ფრანჩესკო მარიო-მაჯოს „დრამატიკა“, დავით ბაგრატიონის „ქართული დრამატიკა“, იოანე ბაგრატიონის „ქართული დრამატიკა“, გაიოზ რექტორის „ქართული დრამატიკა“, ს. დოდაშვილის „შემოკლებული ქართული დრამატიკა“, ი. ნიკოლაიშვილის „ქართული მოკლე გრამატიკა“, ილია ფერაძისა და ილია სისარულიძის „ენის დაკვირვება“, იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“, ა. ქუთათელაძის „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“, მ. ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა“, ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, ვ. თოფურიას „შრომები“, მისივე — „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“, არნ. ჩიქობავას „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, მისივე — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მისივე — „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, ა. შანიძის „თხზულებანი“, ტ III, მ. ციკოლიას „სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“, შ. ძიძიგურის „ქართული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში“, რ. ჭიკაძის „წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში (ერთგვარშემასმენლებიან შერწყმული წინადადების მაგალითზე)“, მისივე — „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“, აღ. დლონტის „ქართული წინადადება“, ვ. ფეიქრიშვილის „ქართული ენის სინტაქსი“, აკ. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსი“, ა. კიზირიას „შერწყმული წინადადება ქართულში“, მისივე — „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, ლ. კვანტალიანის „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“ და სხვ.

რაც შეეხება სვანურს, სვანური სინტაქსის შესწავლის ისტორია, ძირითადად, XX საუკუნიდან იწყება, მას შემდეგ, რაც ინტენსიურად დაიწყო სვანური მასალის შეკრება-ჩაწერა და ხელმისაწვდომი გახდა სვანური დიალექტ-

ტების ტექსტები, შესაბამისად გამოქვეყნდა სხვადასხვა ნაშრომებშიც, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გ. როზენის გრამატიკულ მიმოხილვაში „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische“-ში მოცემულია სვანურის მსაზღვრელ-საზღვრულის დახასიათება (32, 57-70).

სვანური სინტაქსის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით ვ. თოფურიას, მ. ქაღდანს, ნ. აბესაძეს, ა. კიზირიას, გ. როგავას, ი. ჩანტლაძეს და ა. შ. აღნიშნული საკითხის მეცნიერული შესწავლა, რასაკვირველია, ამჟამადაც გრძელდება.

ვ. თოფურიას თქმით „სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინტაქსურ საკითხებში. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუდგება სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი. ერთადერთი ძირითადი განსხვავება ჩანს III პ. სხვათა სიტყვის გადმოცემაში. ამ მხრივ სვანური ორიგინალურია არა მარტო ქართველურ ენებში: ამ თავისებურებით გამოირჩევა ის სხვა ენათაგანაც“ (13, 254).

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა და თანამედროვე კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ქართულთან მსგავსების მიუხედავად, სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა გამოწვეული.

ვ. თოფურიას შრომებში სვანურის სინტაქსს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, ძირითადად განხილულია წინადადება შინაარსისა და აღნაგობის მიხედვით, წინადადების წევრები ფუნქციისა და მორფოლოგიური თვალსაზრისით, წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობა და პარალელურია გაკლებული ქართულის შესაბამის კატეგორიებთან.

სვანურის სინტაქსის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნ. აბესაძის კვლევებს: „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, „შერწყმული წინადადებები სვანურში“, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომსატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“, „რომ კავშირი ქართველურ ენებში“, „განსაზღვრება სვანურში“, „დამატებებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი სვანურში“, „ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში“, „მიმართებითი ზმნიზედები სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებაში“, „მიმართებითი ნაცვალსახელების გამოყენება ქვეწყობილი წინადა-

დებების წევრ-კავშირებად სვანურში“, „ერე (რომ) კავშირისათვის სვანურში“, „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“ და სხვ.

ნაშრომში „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, რთული ქვეწყობილი წინადადების მაქვემდებარებელი წევრ-კავშირები და კავშირები განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით, თუმცა როგორც ავტორი აცხადებს, „უხვად წარმოდგენილია ბალსზემოური კილოს მასალები, რადგან ამ კილოში უფრო სრული სახითაა შემონახული სვანური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა“ (1, 107).

განხილული მასალის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ „სვანურ ენაში ჰიპოტაქსის განვითარება საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, როდესაც მთავარი და დამოკიდებული წინადადების დაცალკეება უმტკივნეულოდ ვერ ხერხდება“ (1, 144).

ვ. თოფურიას მსგავსად, ნ. აბესაძეც თვლის, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების აღნაგობით სვანური ძირითადად ქართულს ჰგავს (მაგ: ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ზმნიხედების გამოყენებაც არსებითად ქართული-სებურია; მიმართებითი სიტყვების კითხვითი ნაწილი ბევრ შემთხვევაში ქართულთან საერთო ფუძეს შეიცავს; მიმართებითი სიტყვების შემცველ დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარ წინადადებას შორის ძვ. ქართულის მსგავსად გამოყენებულია ი (= და) კავშირი; მიმართებითი სიტყვები იწარმოება კითხვით სიტყვათა ფუძეზე უნდა ნაწილაკის დართვით, უნდა შედგენილობით რთულია, შეიცავს ი (> ი) ნაწილაკს, რომელიც ქართული -ცა ნაწილაკის ბადალია;), თუმცა მკვლევარი განსხვავებაზეც საუბრობს.

ავტორს თავისებურებები, ძირითადად, ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების დროს შეუნიშნავს: „მიმართებითი ნაცვალსახელიც და მისამართი სიტყვაც ბრუნვაში თავის შემასმენელთან არიან შეწყობილი, მაგრამ იშვიათად დასტურდება შემთხვევები, როდესაც მთავარი წინადადების მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავრის შიგაა მოქცეული, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მეორდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში თავის შემასმენელთანაა შეწყობილი“ (1, 145).

აღნიშნული გამოკვლევა („ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“), სხვა დანარჩენ ნაშრომებთან ერთად, საინტერესოა იმდენად, რამ-

დენადაც მასში დეტალურადაა განხილული სვანურის ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები, ყველა შესაძლო დიალექტური ვარიანტითურთ.

მნიშვნელოვანია ასევე ნ. აბესაძის „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“, რომელშიც ავტორი მსჯელობს სვანურის ბრუნვათა რიგის შესახებ (ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურის ბრუნვათა თანმიმდევრობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა) და გეთავაზობს მისეულ ბრუნვათა რიგს: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, მოქმედებითი, ნათესაობითი.

ნ. აბესაძის მოსაზრებით, „წარმოდგენილ დალაგებაში არის ცდა ერთდროულად გამოიყენონ მორფოლოგიური, სინტაქსური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისი. ...აუცილებელია გავითვალისწინოთ ბრუნების ორფუძიანობა (ხშირად კი სამფუძიანობაც) სვანურში. ამიტომ სვანურ ბრუნვებს შორის სახელობითს მიცემითი უნდა მოსდევდეს, როგორც ახალი ფუძის მომცემი ბრუნვა. ამასთანავე მას, სახელობითის მსგავსად, შეუძლია გადმოსცეს ქვემდებარეც და პირმიმართი დამატებებიც. ამ ორ ბრუნვას ვერ დავაშორებთ მოთხრობითს, რომელიც მათსავით ქვემდებარეს გადმოსცემს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, არ აღნიშნავს პირმიმართ დამატებებს. ამას გარდა, სამფუძიანობის შემთხვევაში ერთ-ერთ ფუძედ მოთხრობითიც არის გამოყენებული. ამათ შემდეგ ყველაზე მიზანშეწონილია ჯერ ვითარებითი ბრუნვის წარმოდგენა, რადგან ფორმით იგი მოთხრობითის მსგავსია (როცა ორივე მათგანი მიცემითის ფუძეს ეყრდნობა და ფლექსიად -დ ფორმანტი აქვს), ფუნქციით კი ხშირად მიცემითს უახლოვდება. შემდეგ უნდა დაისვას მოქმედებითი, როგორც ასევე მიცემითის ფუძეზე დაყრდნობილი ბრუნვა, ბოლოს კი ნათესაობითი, რომელიც წინა ბრუნვებისაგან განსხვავებით, ამოსავლად სახელობითს ან მოთხრობითს იყენებს. ამასთანავე, მოქმედებითი და ნათესაობითი ფუნქციურადაც ახლო დგანან ერთმანეთთან“ (2, 6).

ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ვითარებითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციის განხილვას და სწორედ ამ ბრუნვის წარმოებაში შეუნიშნავს, ძირითადად, ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც.

ნ. აბესაძეს შესწავლილი აქვს სვანურის შერწყმული წინადადებებიც და ასკვნის, რომ სვანური, ვინაიდან, არასალიტერატურო ენაა, ზედმეტ ეპითეტებს გაურბის და იშვიათად გვხვდება ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით

ნაკლებად — ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათად, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაუბრუნებს“ (3, 15).

მისივე დაკვირვებით, ერთგვარშემასმენლიან წინადადებას ქართულისაგან განასხვავებს უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება: „ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში სინტაქსური ურთიერთობის მხრივ სავსებით ქართულისებური მდგომარეობა გვაქვს. ის გარემოება, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა, განაპირობებს მცირე განსხვავებას უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში“ (3, 19).

მკვლევარი ქართულისაგან სხვაობას მეორეულად მიიჩნევს და ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდით ხსნის, თუმცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ მოკვეცას სვანურის თავისებურებად თვლის; „საერთოდ, შერწყმულმა წინადადებებმა სვანურში ქართულის ანალოგიური სურათი წარმოგვიდგინა, ოღონდ რამდენადმე განსხვავებულია ცალკეულ სახეობათა გამოყენების სიხშირე. ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებების შედარებით იშვიათი ხმარება დამახასიათებელია არასალიტერატურო ენისთვის, ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მერყეობა უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში. ტოლადშერწყმულ რთულ სახელებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის მხრივ სვანური აგრეთვე ემიჯნება სალიტერატურო ქართულს, მაგრამ ძნელი არ არის პარალელების დაძებნა ცოცხალ დიალექტებში. და ბოლოს, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში სვანური ბრუნების თავისებურებას მიეწერება“ (3, 26).

ნ. აბესაძეს ცალკე სტატია აქვს მიძღვნილი ისეთი ქვეწყობილი წინადადებისთვის, რომლებიც გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნებს შეიცავს. მკვლევრის დაკვირვებით, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობის დროს დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსახელისა და კავშირის გარდა, შიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიზედები... გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა ქვეწყობაში კითხვითი მნიშვნელობის მქონე დამოკიდებული წინადადებებიც იხმარება, კითხვითი სიტყვები ასეთ წინადადებებში არ უნდა მივიჩნიოთ საკავშირებელ საშუ-

აღებებად, ისინი მხოლოდ დამოკიდებული წინადადების კითხვითობას გადმოსცემენ“ (4, 15–16).

ავტორმა ყურადღება მიაქცია და ცალკე ჯგუფად გამოყო სუბიექტის განწყობის გამომხატველი ზმნების შემცველი წინადადებები: „... აქ შესაძლებელია როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთება. საკავშირებელ საშვალეებზე შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირები, რაც ამ ტიპის წინადადებებს განასხვავებს არამართო დამატებითი დამოკიდებული, არამედ „მეტყველება წრის“ ზმნების შემცველი ქვეწყობილი წინადადებებისაგან“ (4, 17).

სვანურის სინტაქსის საკითხები განხილულია ი. ჩანტლაძის მონოგრაფიაში „ქართველოლოგიური ძიებანი“, სადაც გამოწველილგვითაა განხილული ატრიბუტული მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმების საკითხები სვანურთან ერთად სხვა ქართველურ ენებში.

აღნიშნულ ნაშრომში, მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმების კვლევისას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენას და მკვლევარი დაასკვნის, რომ: „სვანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ატრიბუტულ მსაზღვრელთან თანდათანობით მოიშალა რიცხვში შეთანხმება... შეთანხმებული ფორმები პირველად პრეპოზიციურ წყობაში გაჩნდა“ (48, 221).

საკითხი „სხვათა სიტყვა სვანურში“ ავტორს სვანურის ოთხივე დიალექტის მიხედვით აქვს შესწავლილი და განხილული, რომელშიც გამოთქმულია ვარაუდი, რომ ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვამის I და II პირში წარმოდგენა სვანურისათვის გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს „...ფიქრობთ, რომ ამგვარი რამ სვანურისათვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქტით უნდა აიხსნას“ (48, 227).

სინტაქსის საკითხთა განხილვის დროს გარკვეული ყურადღება ეთმობა ხოლმე მსაზღვრელ-საზღვრულის კატეგორიას. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება მ. ნაჭყეაძის მონოგრაფია „მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში“.

ნაშრომში განხილული მასალის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობისას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამსავე ენას საერთო კანონზომიერება ახასიათებდა. ამასთანავე, მათ მოეპოვებათ ზოგიერთი თავისებურება, რისი მიზეზიც მთის

კავკასიურ ენებთან კონტაქტი (სვანური), უმწერლობო ენების შეუზღუდველი განვითარება თუ სამწერლობო ქართულის ნორმათა სტაბილურობა უნდა იყოს. მაგრამ თანამედროვე ქართულ ენაში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში შეიმჩნევა ამ საკითხში არსებული სხვადასხვაობის თანდათანობით გაქრობის ტენდენცია“.

აღმოჩნდა, რომ მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების ფორმები ქართველურ ენებში ერთნაირი არ არის. ძვ. ქართულში მსაზღვრელიც და საზღვრულიც ერთნაირად იბრუნებოდა, თანამედროვე ქართულში დაწყებულია მსაზღვრელი სახელის ბრუნვის ნიშნის გამარტივება, ხოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ეს პროცესი დასრულებულია.

გამოკვლევაში, ითვალისწინებს რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თავადაც თვლის, რომ „ძვ. ქართულისაგან განსხვავებით, ატრიბუტულ მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ზანურსა და სვანურში პრეპოზიციული წყობა ახასიათებს“ (28, 181).

სვანურის სინტაქსის რთულ საკითხთა კვლევაში გარკვეული სინათლე შეიტანა ა. კიზირიამ. აღსანიშნავია სტატიები: „ქვემდებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში“ „ვითარების გარემოების გამოხატვის საშუალებანი ქართველურ ენებში“ და მონოგრაფია „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“.

ამ უკანასკნელში ქართულთან და ზანურთან მიმართებაში გამოწველილვითაა განხილული სვანურის მასალა. ავტორის თვალსაზრისით, შესიტყვება და წინადადება ერთმანეთს არ უპირისპირდება და ნაშრომიც ჩიქობავასეული პრინციპითაა შედგენილი, რომ „წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება“.

გამოკვლევაში, ქართულ-ზანურ-სვანურის სინტაქსურ მოვლენათა შესწავლისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეულ საკითხთა თავისებურებებს, რადგანაც ერთნაირი ვითარების გვერდით შეინიშნება გარკვეული განსხვავებებიც.

განიხილავს რა შესიტყვების ყველა შესაძლო ვარიანტს, ასკვნის, რომ „ქართველურ ენებში შესიტყვების პრინციპები საერთოა, განსხვავება იგრძნობა გამოხატვის საშუალებებში“ (23, 60).

განხილულ ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა ქართველურ ენებთან მსგავსების მიუხედავად სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა გამოწვეული.

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ღვაწლის მიუხედავად, კიდევ მრავალი საკითხია საკვლევი სვანურში და, აქედან გამომდინარე, სვანური სინტაქსის საკითხების შესწავლა აუცილებელია.

თავი I

სინტაქსური შეკავშირების სახეები

§ 1. შესიტყვება. შესიტყვების საკითხის მეცნიერული შესწავლა იწყება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას ვრცელი მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და წერილების სერია „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“.

შესიტყვება წარმოადგენს მარტივ სინტაქსურ ერთეულს და მოიცავს სინტაქსურად შეწყობილ ორ ან მეტ სრულმნიშვნელოვან სიტყვას (23, 3).

შესიტყვებას ქმნის სიტყვათა შორის დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება სულ მცირე ორ სიტყვას გულისხმობს, რომელთაგან ერთი მთავარია, გაბატონებულია, მეორე მასზე დამოკიდებული. სიტყვათა შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით. ესენია: სიტყვათა ფორმა, სიტყვათა ადგილმდებარეობა, სიტყვათა ინტონაცია. ...შესიტყვებაში შემავალი სიტყვები ერთმანეთის მიმართ არ არიან თანაბარნი: ერთი გაბატონებულია, დომინანტია, მეორე კი მასზე დამოკიდებულია, დეპენდენტია. მათი ურთიერთობით გვაქვს **შეთანხმება, მართვა და მირთვა** (52, 113-115).

სვანურში, ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, შესიტყვება შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: მასში შეიძლება შედიოდეს უფორმო სიტყვა და სახელი (**შუკს ეჩნაჟ** „გზას იქით“; **ლიც ჩუქუნან** „წყალს იქით“...), უფორმო სიტყვა და ზმნა (**სგუებინ ოთჟოდუდა** „წინ გაუძღვა“; **ლანთ ლოგუმუშგურანს** „გუშინ გვესტუმრენ“; **ჟიქანთე აჩადს** „ზევით ავიდნენ“...) სახელი და ზმნა (**ბოფშარ ესჰომეს** „ბავშვები მირბიან“; **დუნჟლ იბლახ** „ბოჩოლა ძოვს“; **თჟეფ ადკუარ** „თოფი გაისროლა“...).

§ 2. შეთანხმება. შეთანხმება ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ, წამყვან სიტყვას.

შეთანხმებისათვის აუცილებელია, რომ ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში მყოფ სიტყვებს საზიარო გრამატიკული კატეგორია ჰქონდეთ.

სვანურში, ქართულის მსგავსად, გვაქვს შეთანხმების შემდეგი სახეები:

1. შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის ანუ სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში (**დინრლარ იწჷილალხ** (ჩოლ.) „გოგოები თხოვდებიან“. ამ შესიტყვებაში ზმნის **იწჷილალხ** მრავლობითობას განსაზღვრავს სახელის მრავლობითის ფორმა);

2. შეთანხმება სახელისა სახელთან ბრუნვაში (ჰეცერ **მესტიაშ რაჟონიშ** ეშხუ მაჩენამთეჲ კეჲ ლი (ბქ.) „ეცერი მესტიის რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო ხეგია“, **მესტიაშ რაჟონიშ** „მესტიის რაიონის“).

სვანურში ძვ. ქართულისთვის დამახასიათებელი სახელის სახელთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები (**რომლისანი სიტყვანი...**) არ გვხვდება.

სიტყვათა შეკავშირების სახეები სვანურში დადგენილია ვ. თოფურიას მიერ. იგი წერს „**შემთანხმებელია**: 1. რეალური ქვემდებარე შემასმენლისა რიცხვში, 2. რეალური O (პირდაპირი და ირიბი) I და II პირისა შემასმენლისა რიცხვში, O² იმ შემთხვევაში, თუ შემასმენელი S-თან არ არის შეთანხმებული, 3. ქვემდებარე, დამატება (ყველა სახისა) და გარემოება (აგრეთვე ყველა სახისა) განსაზღვრებისა ბრუნვაში. **შეთანხმებულია**: 1. შემასმენელი ქვემდებარესთან რიცხვში, 2. შემასმენელი დამატებასთან (პირდაპირთან, ირიბთან), 3. განსაზღვრება ქვემდებარესთან, დამატებასთან, არსებითი სახელით წარმოდგენილ გარემოებასთან. **შენიშვნა**. შემასმენელი მეორე პირის დამატებასთან პირობითად არის შეთანხმებული“ (13, 277).

განვიხილოთ შეთანხმების თითოეული შემთხვევა უფრო დაწვრილებით. სუბიექტთან ერთად შესიტყვებას ქმნის ყველა სახის ზმნა: ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი, ხოლო ობიექტთან – ორპირიანი და სამპირიანი ზმნა: ერთ შემთხვევაში გვაქვს ბრუნვაცვალებადი ობიექტი და ორპირიანი და სამპირიანი ზმნა, მეორე შემთხვევაში – ბრუნვაცვლელი ობიექტი და გარდაუვალი ორპირიანი ან გარდამავალი სამპირიანი ზმნა.

I და II პირის აღმნიშვნელი სუბიექტი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში (**ნაჟ ონღურდად ლამტჷარალუმ** (ჩოლ.) „ჩვენ მოვდიოდით ნათებით“; ნამისჷ ლოქ **ანგიდღ** სერ **სგაჟ!** (საყდრ.) „ნამუსი მოიტანეთო („იქონიეთო“) თქვენ!“), III პირისა კი მაშინ, როცა სულიერ საგანს აღნიშნავს (რაჰხან **ანღგრდახ** უშგჷლა **გზაჷრან** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 366,32) „რაჭიდან მოდიოდნენ უშგულის მგზავრები“), ან უსულოა, მაგრამ სულიერის თვისება აქვს, პერსონიფი-

ცირებულია, აქტიურადაა წარმოდგენილი (**ქორალ იღრენწიელხ** (ჩოლ.) „სახლები ქანაობენ“; **ზექარ იფრის** „შეშები ხმებიან“) (ამაზე ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ).

ორპირიან გარდაუვალ ზმნას ორი სახელი უკავშირდება: სახელობითში დასმული სუბიექტი და მიცემითში დასმული ობიექტი. როგორც ა. კიზირია მიუთითებს, „რამდენადმე განსხვავებულია რიცხვში შეთანხმების ფორმები: სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში და მრავლობითი რიცხვის ნიშნები წარმოდგენილია **-დ** (I და II პ.) და **-ხ** აფიქსებით, ობიექტის მრავლობითობა კი **გჷ** (I პ.) და **-ხ** (II და III პ.) აფიქსებით: ეჩქას ზურალ გუდ ანჯად ლელჷტი ლიჯედს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 262,28) „მაშინ ქალი მიხვდა საყვარლის მოსვლას“; ხელწიფეს ხორდა დორი ნალჷჷურ (ბქ., სვან. ქრესტ., 87, 21) „ხელმწიფეს ჰყავდა ორი ვაჟი“ (23, 33).

ორპირიანი გარდამავალი ზმნა სვანურში, ქართულის მსგავსად, ბრუნვაცვალებად სუბიექტსა და ობიექტს მოითხოვს: I სერიის ზმნებთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი მიცემითში; II სერიის ზმნებთან სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი სახელობით ბრუნვაში; III სერიის ზმნებთან სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ობიექტი – სახელობითში.

ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი აქვს სუბიექტსაც და ობიექტსაც, თუ ობიექტი I ან II პირშია (ისგუთი ლიკითაჷნლ **ნაჲ** ჩიგარ ღომტ **გუ-ტხე** (ჩოლ.) „შენი ფხუკიანობა ჩვენ ყოველთვის უკან გვაბრუნებს“ – ბრუნვაცვალებადი ობიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში; ლეზობნლარს ერ ესდჷმ ასუი ჩიგარღალ **გჷ-აჷდი ნაჲ** (ჩოლ.) „საჭმელებს თუ რამეს აკეთებს ყოველთვის გვაძლევს ჩვენ“ აქ ბრუნვაუცვლელი ობიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში).

„I ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანი **გჷ** (// **ნ**), II პირისა **-ხ** სუფიქსი, III პირისა კი იმ შემთხვევაში დაირთავს **ხ** ბოლოსართს, როცა მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, ენის თვალსაზრისით არამოქმედი, ობიექტი სინამდვილეში მოქმედ სუბიექტს წარმოადგენს“ (23, გვ. 39).

სვანურის ყველა დიალექტი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად იყენებს **-ჷლ-ი** (ბზ. ანუ-**ჷლ-ი** „აცხობს“), **-ჷლ-ი** (ბქვ. ანუ-**ჷლ-ი**), **-ალ-ი** (ლნტ. ანჷყ-**ალ-ი**), **-ჷლ-ი** (ლშხ. ჩოლ. ანუ-**ჷლ-ი**) აფიქსს. ა. კიზირიას და თ. შარაძენიძის თვალსაზრისით, სვანურის ობიექტის ამგვარი გამოსატვა არ ჰგავს ძვ. ქართული-სას: „ძვ. ქართულში ითანხმებდა სახელობითში დასმული ობიექტი, რომელსაც ობიექტის მრ. რიცხვის აღსანიშნავად ჰქონდა **ნ** ნიშანი, სვანურში კი ჩამოთვლი-

ლი აფიქსები გვხვდება ნაკეთა სამსავე ჯგუფში... მიმდებობთან მრ. რიცხვის აღსანიშნავად და მრავალგზისობის გამომხატველ ზმნებთან“ (23, 37).

სამპირიან ზმნას სამი სახელი ახლავს, ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და ბრუნვაცვალებადი ობიექტი და ბრუნვაუცვლელი (მიცემითში დასმული) ობიექტი. სუბიექტი I სერიის ზმნებთან სახელობითშია (მაგ., მახე **თერლლა** ნათიარს ლექტურწილ ტორტს **ხონყი** (ჩოლ.) „ახალი რძალი ნათესავებს საქორწინო ტორტს უცხობს“), II სერიის ზმნებთან მოთხრობითში (**თერლლად ოხნაყე** „რძალმა გამოუცხო“) და III სერიის ზმნებთან მიცემით ბრუნვაში (**თერლლას ოხნაყა** „რძალს გამოუცხოვია“). პირდაპირი ობიექტი I სერიის ზმნებთან მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა (მეჩი ზურალროლს **ლარტამს ხობარაჟი** (ლშხ.) „მოხუც ქალს ბოსტანს უბარავს“), ხოლო II და III სერიის ზმნებთან სახელობით ბრუნვაში გვხვდება (**ლარტამ ოხბარაჟე** „ბოსტანი დაუბარა“; **ლარტამ ოხბარაჟა** „ბოსტანი დაუბარია“). ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია და ყოველთვის მიცემით ბრუნვაში გვეკვლინება (ბაბა მედღლალ ლეთიმ ტისკჷლარს **ხომხჷნი დადას** (ჩოლ.) „ბაბუა ყოველთვის ნარჩევ ვაშლებს უნახავს ბებოს“; **ოთმხუნე დადას** „შეუნახა ბებოს“ და ა. შ.).

წინადადებაში ორივე ობიექტი თუა წარმოდგენილი (ე. ი. ზმნა თუ გარდამავალია) ზმნა-შემასმენელს ითანხმებს ერთ-ერთი: ან ბრუნვაცვალებადი, ან ბრუნვაუცვლელი დამატება. I პირი დამატება ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს: II პირი დამატება მაშინ ითანხმებს შემასმენელს, როცა ის მხოლოდით რიცხვშია, ანუ ქვემდებარესთან არაა შეთანხმებული მრ. რიცხვში: III პირი დამატება ფორმალურად ვერ ითანხმებს რიცხვში: ფაუს **გჷასწი** ევი ნაჲ (ჩოლ.) „ჯოხს გვირტყამს ის ჩვენ“; **ჯალძინეხ** ევი სგაჲ (ლშხ) „გაბეზღებთ ის თქვენ“, მაგრამ **ჯალძინეხ ეჯჲარ სგაჲ / სი** „გაბეზღებენ ისინი თქვენ / შენ“, ალძინე ევი ეჯჲარს „აბეზღებს ის მათ“.

სვანურში, ქართულის მსგავსად III სერიაში ბრუნვაუცვლელი ობიექტი პირმიუმართავ დამატებად იქცევა და ნანათესაობითარ ვითარებითში დაისმის, ხოლო ლაშხურსა და ჩოლურულში პარალელურად, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ვითარებით ბრუნვაში გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითის სემანტიკით. მაგ.:

ლჷაჷარს ხამი ლაყჷფა ნიცს **ხოფინე** (ლშხ.) „კაცებს ღორის დასაკლავ („გასაპუტ“) წყალს უღუღებს“

ღუაჟარ-ეშ-დ||ღუაჟარ-დ ხამი ლაყუფა ნიც ოხფინა „კაცებისთვის ღორის დასაკლავი წყალი აუღულებია“

მწკტი **გეზალს** აკატანს ხოჩა მამა **ხოტაბე** (ხოლ.) „პირველ შვილს აკვანს კარგი მამა უკეთებს („გამოუთლის“)"

მწკტი **გეზლ-აშ-დ||გეზალ-დ** აკატან ხოჩა მამას **ოხტაბა** „პირველი შვილისთვის აკვანი კარგ მამას გამოუთლია“...

ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, გვაქვს სახელის სახელთან შეთანხმების შემთხვევები. სახელური შესიტყვება გულისხმობს მსაზღვრელ საზღვრულის ურთიერთობას.

„შეთანხმებული სახელი ან ფორმითაც იმავე ბრუნვაში დგას, რაშიც საზღვრული, ან ივარაუდება იმავე ბრუნვაში. ქართულში ბოლოთანხმოვნიათი სახელი ამჟამადაც ეთანხმება საზღვრულს ბრუნვებში და ზოგჯერ იმავე ნიშნებსაც ირთავს, რასაც საზღვრული. ძვ. ქართულში სულ მისდევდა. სვანურში ასეთი შეთანხმება ჩანს ზოგიერთ ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთან: განსაკუთრებით ეს შეთანხმება შესაძლებელია კუთვნილებით და ჩვენებით ნაცვალსახელებთან, -ე-ზე დასრულებულ ზედსართავ და რიცხვით სახელებთან და გაქვავებულ შედარებით ხარისხებთან: **ხოჩა, ხოლა...** ისიც იქცევეს ყურადღებას, რომ განსაზღვრებას სახელობითში სხვა ფორმა აქვს და დანარჩენ ბრუნვებში – სხვა- ერთნაირი (**თჷეთნე კან** „თეთრი ხარი“; **თჷეთნა/ამ კანდ** „თეთრმა ხარმა“...). მრავლობით რიცხვში შეთანხმება არ არის, როგორც ეს თანამედროვე ქართულშია: **ბეგი მარალ** „მაგარი კაცები“; **დამბალ ჭუნდარ** „დაბალი კედლები“... სხვა ბრუნვებში იგივეა, რაც მხოლოდობითში" (13, 273).

„გ. როზენიდან მოყოლებული დღემდე სვანურის შესახებ არსებულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პრეპოზიციული ბოლოთანხმოვნიათი მსაზღვრელი საზღვრულთან ურთიერთობისას უცვლელია ბრუნვაში (28, 48-49).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ყველა დიალექტში, პრეპოზიციურ ბოლოთანხმოვნიათ სახელთა მსგავსად უცვლელია **ი, ო, უ**, ხმოვნებზე დაბოლოებული მსაზღვრელი სახელებიც:

- | | |
|---|---------------------------|
| თოყი ღულაჲ „რბილი მუხლი“, ოლდო-ბოლდო ბეფშ „თხუპნია ბავში“ | |
| თოყი ღულაჲ-დ | ოლდო-ბოლდო ბეფშ-დ |
| თოყი ღულაჲ-ს | ოლდო-ბოლდო ბეფშ-ს |
| თოყი ღულაჲ-შ | ოლდო-ბოლდო ბეფშ-იშ |
| თოყი ღულაჲ-ჷშ | ოლდო-ბოლდო ბეფშ-ჷშ |

ჭჷრუ დიარ „ამოუსვლელი პური“

ჭჷრუ დიარ-დ

ჭჷრუ დიარ-ს

ჭჷრუ დიარ-იშ

ჭჷრუ დიარ-ჟშ

ჭჷრუ დიარღ

ცნობილია, რომ -ა, -ე ხმოვნებზე დაბოლოებული მსაზღვრელები რამდენადმე იბრუნვიან, ვინაიდან ერთი ფორმა აქვთ სახელობითში, მეორე კი მიცემითში, მაგ.: სახ. **ხოჩა** ქორ „კარგი სახლი“, **თვეთნე** კოჯ „თეთრი კლდე“, მოთხრ. **ხოჩამ** ქორდ „კარგმა სახლმა“, **თჷეთნემ** კოჯდ „თეთრმა კლდემ“ და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხშირ შემთხვევაში მ ფლექსია იკარგება და მოთხრობითსა და მომდევნო ბრუნვებში ა დაბოლოებიანი მიცემითის ფუძე ბატონდება. გვაქვს პარალელური ფორმები **ხოჩამ** ქორდ||**ხოჩა** ქორდ, **თჷეთნამ** კოჯს||**თჷეთნა** კოჯს. ამ პარალელური ფორმებიდან კოდორის ხეობის სვანურ სოფლებში უგამონაკლისოდ გატარებულია ა დაბოლოებიანი მიცემითის ფუძე, **მ** ფლექსია კი დაკარგულია“ (28, 49).

ანალოგიური ვითარება დასტურდება ქვემოსვანურ დიალექტებში, მათ შორის ჩოღურულშიც, სადა ა დაბოლოებიანი მიცემითის ფუძე დასტურდება (**მეშხა** უედღ, **მახა** ქორდ), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესობა ენიჭება ე ხმოვნიან ბრუნვის ფორმებს (**მეშხე** უედღ, **მახე** ქორდ).

რაც შეეხება სუბსტანტიურ პრეპოზიციურ მსაზღვრელს სვანურში, იგი ქვემოსვანურ დიალექტებსა და ჩოღურულში ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნის (-შ-ს) გარეშე დასტურდება (**ამსჷაღღ-ა** შგჷირ „ადამიანის სირცხვილი“, ჭაში-ი ნაზგჷღ „ქმრის ნაშრომი“, შდრ.: ამსჷაღღ-აშ „ადამიანის“, ჭაში-იშ „ქმრის“), განსხვავებით ზემოსვანური დიალექტებისაგან, სადაც (ბალსზემოურში იშვი-ათად, ბალსქვემოურში ხშირად) მსაზღვრელს ნათესაობითის ნიშანი სრულად აქვს შენარჩუნებული.

სვანურშიც, სხვა ქართველური ენების მსგავსად, დასტურდება ნათესაობითში დასმული სახელის პოსტპოზიცია. მსაზღვრელი ასეთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანს ირთავს და მართულ-შეთანხმებული ხდება. მაგ.:

ქა მაჭკურე ლუსდგუარს უოქურაშ (ბზ.) „მომჭრის ნაწინაგებს ოქროსას“
ლაძრაცის ამარეხ უისკუთის (ჩოლ.) „საარაცეს ამზადებენ ვაშლისას“...

სვანურისათვის პოსტპოზიციური წყობა რომ უცხო არ იყო, ამას პოეზიაც მოწმობს, კერძოდ „გვაქეს შტო-გვარიდან წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავები, რომლებიც პოეზიის ნიმუშებში პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი“ (48, 126).

§ 3. მართვა. მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც გაბატონებული სიტყვა მოითხოვს დამოკიდებულისგან ისეთ ფორმას, რომელიც მას ან თვითონ არა აქვს ამ მომენტში ან არც შეიძლება ჰქონდეს საერთოდ (არნ. ჩიქობავა).

გვაქეს მართვის შემდეგი შემთხვევები: 1. მართვა სახელსა და ზმნას შორის: სახელი მართავს (ე. ი. მოითხოვს) ზმნას პირში; 2. მართვა ზმნასა და სახელს შორის: ზმნა მართავს (მოითხოვს) სახელს ბრუნვაში, და 3. მართვა უფორმო სიტყვასა, ნაწილაკსა (თანდებულსა) და სახელს შორის. შესაბამისად გამოიყოფა **მმართველი**: 1. ქვემდებარე, სუბიექტი შემასმენლისა, 2. პირდაპირი და ირიბი დამატება შემასმენლისა პირში, 3. შემასმენელი ქვემდებარისა და დამატებებისა ბრუნვაში, 4. უფორმო სიტყვა უბრალო დამატებისა და გარემოებისა ბრუნვაში. **მართულია**: 1. ქვემდებარე და დამატება (ყველა სახისა) შემასმენლის მიერ ბრუნვაში, 2. შემასმენელი ქვემდებარისა და პირდაპირი და ირიბი დამატებების მიერ პირში, და 3. უბრალო დამატება და გარემოება უფორმო სიტყვის მიერ ბრუნვაში.

მართვის მხრივ სვანურში სრულიად ქართულისებური მდგომარეობა გვაქვს (13, 266).

შესიტყვებაში – **ჭყინტ ასხლატი** „ბიჭი სხლავს“ **ჭყინტ** –სახელი მართულია ზმნის მიერ სახელობით ბრუნვაში, ზმნა რომ სხვა სერიაში გადავიყვანოთ, იგი სახელს სხვა ბრუნვაში მოითხოვს: **ჭყინტ-დ** ადსხალტე „ბიჭმა გასხლა“, **ჭყინტს** ოთსხალტა „ბიჭს გაუსხლავს“. ე. ი ამ შემთხვევაში სახელის ფორმა დამოკიდებულია ზმნის ფორმაზე, ზმნამ მასთან შესიტყვებაში მყოფი წევრისგან მოითხოვა ის ფორმა (ბრუნვის კატეგორია), რომელიც მას საერთოდ არ გააჩნია.

შესიტყვებაში – **მეზუბელი მუშკურალ** „მეზობლის სტუმრები“ მთავარი სიტყვაა **მუშკურალ** „სტუმრები“, **მეზუბელი** „მეზობლის“ კი მასზეა დამოკიდებული. სიტყვამ **მუშკურალ** რომ ბრუნვა იცვალოს, დამოკიდებული (**მეზუბე-**

ლი) მაინც ნაესაობით ბრუნვაში დარჩება: მეზუბელი მუშკურალ-დ, მეზუბელი მუშკურალ-ს, მეზუბელი მუშკურალ-ჟშ... მაშასადამე, მთავარი სიტყვა დამოკიდებულს მოითხოვს (მართავს) ნათესაობით ბრუნვაში.

შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა დაქვემდებარება შეიძლება იყოს ცალმხრივი და საურთიერთო. **ცალმხრივია დაქვემდებარება**, როდესაც წყვილის ცალთაგან ერთი გაბატონებულია, მეორე – დაქვემდებარებული. დაქვემდებარებული ვერ ახდენს გავლენას პირველის ფორმაზე: **ნათუარალე ქორ** „ნათესავების სახლი“, აქ დაქვემდებარებული სიტყვა **ნათუარალე** ვერ ახდენს გავლენას გაბატონებული სიტყვის – **ქორ**-ის ფორმაზე.

საურთიერთოა დაქვემდებარება, როდესაც შესიტყვებაში შემავალი წევრები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ისინი ერთმანეთის მიმართ დამქვემდებარებლებიც არიან და დაქვემდებარებულებიც. **საურთიერთო** ჩვეულებრივ არის **მართვა**. საანალიზოდ ავიღოთ ორი სინტაგმა: **მეჩიოლარ აბერგეს** „მოხუცები თოხნიან“ და **მეჩიოლარდ ადბერგეს** „მოხუცებმა დათოხნეს“. პირველ შესიტყვებაში სახელი **მეჩიოლარ** ითანხმებს ზმნას (**აბერგეს**) მრ. რიცხვში და მართავს მესამე პირში. და, პირიქით, ზმნა **აბერგეს** მართავს სახელს (**მეჩიოლარ**) სახელობით ბრუნვაში. ასევეა მეორე შემთხვევაშიც (**მეჩიოლარდ ადბერგეს**), ოღონდ, პირველი წყვილისგან განსხვავებით, სახელი ზმნის მიერ მართულია მოთხრობით ბრუნვაში.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „საურთიერთო მართვა გვაქვს წინადადების მთავარ წევრთა შორის, ცალმხრივი კი მთავარსა და არამთავარ ან თვით არამთავარ წევრთა შორის“ (27, 164).

I და II პირიან გარდაუვალ წინადადებაში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია დასმული, სუბიექტის მიერ ზმნა-შემასმენლის მართვა პირში ცალმხრივია, რადგან ზმნა ვერ მართავს ქვემდებარეს სხვა ბრუნვებში: (ჩოლ.) **ჩუ სგურდა ეჯი** „იჯდა ის“, **ჩუესგურდა ეჯი** „დაჯდა ის“, **ჩუალსგურელი ეჯი** „დამჯდარა ის“; ეჯი ხონკრი ეჯის „ის მიჰყვება მას“, ეჯი ლოხენკვარ ეჯის „ის გაჰყვა მას“, ეჯი ლახენკრენა / ინენა ეჯის „ის გაჰყოლია მას“...

გარდამავალ II და III სამპირიან ზმნებთან, ქართულის მსგავსად, მართვა საურთიერთოა. ქვემდებარე ყველა პირში მართავს შემასმენელს (მაგ., **ჟ'ოხტიკ მი ეჯი** „ავიდე მე ის“, **ჟ'ენიკ სი ეჯი** „ავიდე შენ ის“, **ჟ'ენკიდ ეჯენმ** ეჯი „ავილო მან ის“) და, ამავე დროს ქვემდებარე იმართვის ზმნის მიერ სამ ბრუნვაში: I სერიაში სახელობითში (**ხოსყი მგლენტეს** „უკეთებს ლენტეხელი“), II სერიაში მოთხრო-

ბითში (ოხსეე მგლენტეხ-დ „გაუკეთა ლენტეხელმა“) და III სერიაში მიცემითში (ოხსეა მგლენტეხ-ს „გაუკეთებია ლენტეხელს“).

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურშიც, ქართულის მსგავსად, ზმნები შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი, რომლებთანაც დაკავშირებულია სათანადო სახელი თუ სახელები. ზმნებისა და სახელების სინტაქსური დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი სახელობითშია, გარდამავალთან კი ბრუნვაცვალებადი, გვხვდება სამ (სახელობით, მოთხრობით და მიცემით) ბრუნვაში. ბრუნვაცვალებადი ორ (სახელობით და მიცემით) ბრუნვაშია, ხოლო ე. წ. ირიბი ობიექტი ყოველთვის ერთ (მიცემით) ბრუნვაში დასტურდება.

აღნიშნულ შემთხვევაში ზმნასა და მასთან დაკავშირებულ სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთობა ყალიბდება. ორპირიანი და სამპირიანი ზმნა მართავს მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვებს და სუბიექტი და ობიექტი მართავენ ზმნის პირს, ამავე დროს სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში, ე. ი. გვაქვს საურთიერთო მართვა. ამგვარ შესიტყვებებში მხოლოდ მმართავი და მართული წევრი არ მოიპოვება: მმართავი ერთი ნიშნის მიხედვით მართულია მეორე წევრის მიერ სხვა ნიშნის მიხედვით: ზმნა მართავს სახელის ბრუნვას, მაგრამ მისი პირი იმართვის სახელისაგან, ზმნის რიცხვის ფორმაც განპირობებულია სახელის მიერ.

არნ. ჩიქობავამ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ განიხილა ყველა შესაძლო კომბინაცია და ზმნისა და სახელების ასეთ ურთიერთობას უწოდა კოორდინაცია: „ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, ამ საურთიერთო მართვას, ვუწოდებთ კოორდინაციას. **რელატიურ გარდამავალ-ზმნიანი წინადადების მექანიზმს ქმნის კოორდინაცია** (და არა უბრალო მართვა)“ (52, 215).

ავტორმა ამავე ნაშრომში, შესიტყვებაში სინტაქსური სიძლიერის მიხედვით გამოყო „შემასმენელი – მეკოორდინაციე ზმნა; კოორდინაციის ძაფები მასში იყრის თავს; ამდენადვე იგია კოორდინაციის ცენტრი, **ძირითადი კოორდინატი**; 2. **დიდი კოორდინატი** (სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, მართავს შემასმენელს პირში და ითანხმებს ორივე რიცხვში); 3. **მცირე კოორდინატი** (სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, მართავს შემასმენელს პირში, მაგრამ ითანხმებს

მრავლობით რიცხვში; 4. **უმცირესი კოორდინატი** (სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაგრამ ვერ მართავს პირში)“ (52, 219).

§ 4. **მირთვა**. „სიტყვა, რომელიც მიერთვის სხვა სიტყვას, იწოდება მირთულად. მირთული სიტყვა არც ეთანხმება რომელსამე სიტყვას, არც იმართვის რომელიმე სიტყვის მიერ, იგი ასე ვთქვათ შესიტყვების თავისუფალი წევრია. მისი არსებობა შესიტყვებაში გამართლებულია არა სიტყვათა ურთიერთობით, არამედ აზრის საჭიროებით“ (52, 66).

არნ. ჩიქობავა მირთვას „ურთიერთობის ნოლ-ფორმად“ მიიჩნევს და თვლის, რომ შეიძლება იგი არც ყოფილიყო სინტაქსში განსახილველი, რომ არა ერთი გარემოება: „მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან, მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა, მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ (52, 120.)

მირთვის წევრებია – მიმრთველი და მირთული. წამყვანი სიტყვა, ჩვეულებრივ, პირიანი ზმნაა, ან სახელზმნა, ხოლო მირთულია უფორმო სიტყვები (ზმნისართები), აგრეთვე გარემოება, გადმოცემული თანდებულიანი სახელით და თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედებით.

მირთვაში, როგორც უკვე აღინიშნა, ივარაუდება სიტყვათა შინაარსობლივი კავშირი და მისი გამოცნობაც ადვილია იმ შემთხვევაში, თუ სინტაგმაში ზმნასთან შეწყობილია უფორმო სიტყვა (გარემოება). ამ შემთხვევაში მირთვა უდავოა.

როგორც ცნობილია, გარემოება გადმოიცემა თანდებულიანი სახელებითაც (**სახურავზე** ავიდა, **სხვენზე** აწვივა) და ისეთი სახელებითაც, რომელთაც ახლავს თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედები (**საბძელს იქით** გასძახა), „ამ ტიპის გარემოებებიც მირთულია ზმნასთან, ოღონდ განსხვავებით ზმნიზედებით გადმოცემულ გარემოებათაგან, ასეთი გარემოებები, ამავე დროს **შუალობით მართული** სახელებია. ისინი იმართვიან ბრუნვაში ზმნების მიერ თანდებულებისა და თანდებულად გამოყენებული ზმნიზედების მეშვეობით. ე.ი. გვაქვს შუალობითი მართვა“ (27, 163.).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს შემთხვევები, როდესაც სინტაგმაში ზმნასთან გვხვდება თანდებულიანი ან მოქმედებითი ბრუნ-

ვით გადმოცემული სახელი „საქმე ჭირს თანდებულთან და მოქმ. ბრუნვის შემთხვევებში, უკანასკნელი ფორმა ჩნდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან: მოკლა **თოფით**, წავიდა **ფეხით**... რა ვივარაუდოთ აქ: მართვა თუ მირთვა? თუ დავუშვებთ, რომ ასეთ პირობებში მხოლოდ ეს ბრუნვა შეიძლება იყოს და არა სხვა, მაშინ მართვაა; მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა მართვის უნარის გარეშეა, მაშინ მირთვა დაიშვება და მართვა გამოირიცხება. – ეს ერთი. მეორეც: თანდებულიანი ბრუნვები ამ თვალსაზრისით ნებისმიერად ნაწილდებიან მართულად და მირთულად. თუ მხოლოდ ერთი თანდებულიანი ბრუნვა უნდა იყოს ზმნასთან თუ ნაზმნარ სახელთან და სხვა ბრუნვით მისი შეცვლა არ შეიძლება, მაშინ მართვააო – ფიქრობენ; თუ შეიძლება, მაშინ მირთვააო – ამბობენ; მაგ: **ხელში** უჭირავს, **თავში** მოუვიდა **ხელში**, **თავში**... მართული გამოდის. მაგრამ **მაგიდასთან** დგას – **მაგიდასთან** მირთულია, რადგანაც მას შეეცვლით სხვა თანდებულიანი ბრუნვებით: **მაგიდის ქვეშ** დგას, **მაგიდაზე** დგას აშკარაა, თუ თანდებულიანი ფორმა ერთ შემთხვევაში მართულია, მეორე შემთხვევაში რატომ უნდა იყოს ის მირთული? ფორმაში ხომ არაა განსხვავება? ამას ხომ არ ვიტყვით ბრუნვების შესახებ? მიცემითი ბრუნვაა ყველგან და ყოველთვის მართულია. გამონაკლისი არ შეიძლება იყოს. შეიძლება თქვან: თანდებულიანი ბრუნვის ხმარებასა და მართულად თუ მის მიჩნევას ზმნა განსაზღვრავსო, მაგრამ არც ეს იქნება მართალი: **თავში აქვს**, **ხელში აქვს**... თითქოს იდიომატური თქმაა, მაგრამ ამასაც ვცვლით და ვამბობთ: **ხელთ აქვს**..." (13, 278)

ვ. თოფურიას აზრით, „საბოლოოდ უნდა დადგინდეს სად თავდება მართვა და სად იწყება მირთვა. მართვასა და მირთვას შორის უნდა დაიდვას ზღვარი" და საბოლოოდ ასკვნის, რომ ყველა თანდებულიანი ბრუნვა მართულია, თუნდაც მას სხვა თანდებულიანი ბრუნვა არ ენაცვლებოდეს, ხოლო თანდებულიანი ბრუნვები ამავე დროს „მირთულები არიან" (13, 278).

სვანური მირთვა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულთან მიმართებაში არსებით და პრინციპულ სხვაობას არ ავლენს, განსხვავება, ძირითადად, გამოხატვის საშუალებებსა და ფორმათა მრავალფეროვნებაში იგრძნობა.

ცნობილია ისიც, რომ მირთული სიტყვები ზმნისართებითა და თანდებულებით გადმოიცემა, სვანური კი საკმაოდ მდიდარია ზმნიზედებითა და თანდებულებით.

„გარემოების გადმოცემა ზმნიზედის ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა" (19, 129), თუმცა გარემოება შეიძლება გადმოიცეს ბრუნვიანი სიტყვითაც უთანდებულოდ ან თანდებულის დართვით.

ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, სვანურშიც აგებულების მიხედვით გამოიყოფა ზმნისართთა ორი ჯგუფი; პირველადი (ძირეული ანუ ოდინდელი) და ნაწარმოები ზმნისართები.

ოდინდელ ზმნისართებში „მორფოლოგიური სეგმენტაცია (ძირეულ და აფიქსურ მორფემათა გამოყოფა) სინქრონიული თვალსაზრისით შეუძლებელია" (29, 276.).

სვანურში პირველად ზმნისართთა რიცხვი მწირია, ესენია **ერე** „იქ", **ბაზი** „ამალამ", **ღეთი** „წუხელ", **ლადილადი** „დღეს", **მეხარ|მეხარ** „ხვალ", **ღეჰნა** (ზს.) **ღედნა** (ჩოლ.) ||**ღენანენა** (ლშხ.) „შარშან", **ქამ** (ბქ.) ||**ქამ** (ლშხ.) ||**ქამ** (ჩოლ.) „გარეთ", **სურუ** „მეტად", **უქბოჟუშ** (ჩოლ.) ||**უქობოჟუშ** (ლნტ.) „მალულად", **ათხე** „ახლა", **დოსგ** (ლშხ.) ||**დოსგ** (ჩოლ.) „ადრე", **აჯად** (ლშხ.) ||**აჯახ** (ჩოლ.) „კიდევ", **მანკუი** „ჯერ", **ჩიქე** „ჯერ"...

მოცემული გარემოებები სინტაგმაში ზმნა-შემასმენელს მირთვით უკავშირდება:

ჩიქე სოფელ ითიშდა (ბზ., სვან. ქრესტ., 95) „ჯერ სოფელი ირჩევდა"

გუნ დარდ მამ მარ (ლშხ., იქვე, 255) „ძაან არ ვდარდობ"

აშთქა ნათხუიარას ადგარი **მანკუი** (იქვე, 253) „მაკე ნადირს კლავს ჯერ"

ღედნა ოთზგზ (ჩოლ.) „შარშან გავაგზავნე"

უქბოჟუშ ოთწუღლენ (ჩოლ.) „მალულად, ჩუმად გავთხოვდი" და ა. შ.

ოდინდელ ზმნისართთა სიმცირის გამო, ენა განვითარების კვალდაკვალ სხვადასხვა ხერხს მიმართავს ზმნიზედათა შესაქმნელად და შესაბამისად ნაწარმოები ზმნიზედები მიღებულია მრავალი გზით.

აღ. ონიანი სვანურში ნაწარმოებ ზმნიზედათა შემდეგ ჯგუფებს გამოყოფს, 1. აფიქსები, რომლებიც გამოსატყულების პლანში ბრუნვის ნიშნებს ემთხვევა, 2. აფიქსები, რომლებიც სახელებში თანდებულებად იწოდება, 3. აფიქსები, რომლებიც მხოლოდ ზმნიზედებში დასტურდება... (29, 276).

ჩვენი დაკვირვებით, აქვე უნდა გამოიყოს სვანურში მიმდებარე ფორმებზე მიციმითი ბრუნვის ნიშნის -ან-ის დართვით მიღებული დროის გარემოებათა ჯგუფი. მათ ქართულ ეკვივალენტებს გარემოებათა ისეთი სემანტიკა აქვთ, რომელთაც თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედები ახლავთ. მაგ.:

ლგ-ნბოზ-ან „დაღამებულს მერედაღამებულზე“, **ლგ-მარ-ან** „გამზადებულს მერეგამზადებულზე“, **ლგ-ლეთ-ან** „დაღამებულს მერე“, **ლგ-დმარ-ან**||**ლგ-დორ-ან** „ჭამის შემდეგ“, **ლგ-მჩ-ან** „დაბერებულს მერე“, **ლგ-კაფ-ან** „წაქცევის შემდეგ“, **ლუ-ხუნირ-ან** „დანგრევის შემდეგ“, **ლგ-ნორ-ან** „დაწერის შემდეგ“, **ლგ-ჭბიდ-ან** „დამწვევდების შემდეგ“, **ლგ-ტყცან-ან** „ცემის შემდეგ“:

ლგზგვრან ანჯაღს ნიშგეშარ (ბქ.) „დასრულების შემდეგ მოვიდნენ ჩვენები“

ცუდღ ლი განარე ლიტხე **ლგტყცანან** (ლშხ.) „ტყუილია სამაგიეროს გადახდა ცემის შემდეგ“

სგ'ოთშგებნოლ ეჯ გუემა **ლუჟქობან**, ძაღო იმ ხუნიმინას?! (ჩოღ.) „შეუვარდებოდი იმ საქმის დამალვის შემდეგ, აბა რას ვიზამდი?“ და მისთ.

აღნიშნული გარემოებები მირთულია ზმნა-შემასმენელთან და ამასთანავე გვაქვს შუალობითი მართვაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ზმნიზედათა იმ ჯგუფის შესახებ, რომელსაც ბრუნვის ნიშანი ახლავს აზრთა სხვადასხვაობაა; მკვლევართა ერთი ჯგუფი მას გაქვავებულ ბრუნვის ნიშნებს უწოდებს, ხოლო საკუთრივ ზმნიზედებს – სახელის გაქვავებულ ფორმებს, ნაწილი კი ბრუნვის ნიშანთა უბრალო დამთხვევაზე მსჯელობს (29, 276).

ბრუნვათაგან გამოყენებულია მიცემითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

მიცემითი ბრუნვა:

ერქა-ს მეთხუიარა ნებოზს ეხჰამხ სოფელს (ლშხ., სვან. ქრესტ., 251) „მაშინ მონადირეები საღამოს გამოყენენ სოფელს“

შომა-სი მეკუად ერქაჟ ამნებედ (ჩოღ.) „როცა მინდოდა მაშინ დაგენებებინათ“

ჯოდია-ს მემგენან ლაცენდულა (ჩოღ.) „შორს მეგულებოდა საბუღარი“

ერქა-ს სკ'ამერედელი ქორხო (ღნტ., იქვე, 310) „მაშინ შესულა სახლში“.

მოქმედებითი ბრუნვა:

ლეთ-ჟე უკუნირეღად ჩუაშყედ ქორს (ჩოღ.) „ღამით წანწალის გარეშე („უგდებღად“) დაეგდე სახლში“

ჟედ-ჟე ოთქაზე ქა (ლშხ.) „ძღივს აუარა გვერდი“

ვითარებითი ბრუნვა:

ერქა-ღ ერის ლგმზუბელიხ (ღნტ., სვან. ქრესტ., 315) „მანამდე იმას ჭამდნენ“

ურთქმელ-ღ ლაპარ გუიე **ლახიბპარ-ღ** (ჩოღ.) „მოუღოდნეღად წამოხტა, გულის გასახეთქად“

პეპის საჩქტარსნ ხნტლუდახ ათხა-დ (ლშხ., იქვე, 237) „ნათლიას საჩუქარსაც აძლევდნენ აქამდე“

ათხელ-დ ამჟი დემეგ ხემთქუნხ (ბქ.) „მანამდე|აქამდე| („ახლად“) ასე არ სჩვეოდათ“

ღროის აღმნიშვნელ ვითარებით ბრუნვის ნიშნიან **ათხა-დ** „აქამდე“ და **ერქა-დ** „მანამდე“ ფორმებს ხშირ შემთხვევაში მარტივი ან რთული თანდებულები დაერთვის მაგ.:

ათხელ-დ-თექა ალი დემეგ მიხალდა (ბქ.) „აქამდე ეს არ ვიცოდი“

ათხა-დ-ნუნ-ენ მაწხუნ, მარე ლამტორდებუნ (ხოლ.) „აქამდეც მჭირდებოდა, მაგრამ მომერიდა“

იმე ხარდ **ათხა-დ-თექა**?! (ხოლ.) „სად იყავი აქამდე?“

ათხა-დ-ნუნ|ათხად-ნუნ-ენ|ათხა-დ-ნუნ-თექა ოგუნდა ეჯარე ნაზგზ კიმენლ (ხოლ.) „აქამდე გვეყო იმათი გამოგზავნილი ყველი („პატარა თავი)“

საკმაოდ მრავალფეროვან სურათს იძლევა აღ. ონიანის მიერ გამოყოფილი ზმნისართთა ის ჯგუფი, რომელიც წარმოებულია **-ინ** (**სკუტებინ** (ლნტ.) |**სგობინ** (ლშხ. ჩოლ.)|**სგუტებინ** (ჩოლ.)), **ხი-** (**ერ-ხი** „უფრო იქეთ“, **ქა-ხი** „უფრო გარეთ“...), **-ნ** (**ჰამ-ნ** ი **ნაბოზ-ნ** „დილიდან საღამომდე“, **ჟან-ნ** „ზევით“), **-ბ** (**-ჟან-ბ** „ზევით“, **ჩუან-ბ** „ქვევით“...), **ლე-** (**ლექუა** „ქვევით“, **ლე-ჟა** „ზევით“...), **-ჩუ** (**ერ-ჩუ** „იქ“, **ამე-ჩუ** „აქ“...), **-ი** (**ლეთ-ი** „წუხელ“, **ლანდელ-ი** „დღეს“...) მაწარმოებლებით 29, 277-278). დავასახელოთ მაგალითები:

ერჩუ ხოჩა მარე იბნა ლნმბტუნლს (ბზ., სვან. ქრესტ., 95) „იქ კარგი კაცი იწყებდა საუბარს“

სკუტებინ ხოჟელტ თუეთუნე ლერექტ (ლნტ., იქვე, 306) „წინ მიუძღვის თეთრი სამოსი“

ლგლგლე კაბლს მა **სკუტებინჩუ** ირექტალდა ი მა **ლუეშკიმჩუ** (იქვე, 323) „დახეულ კაბას ხან წინიდან იფარავდა და ხან უკნიდან“

სგობინ ლემეს გტაწუხტატი, **ლოშგინ** მცცი (ლშხ., სვან. ქრესტ., 251) „წინ ცეცხლი გვაწუხებს, უკან სიცივე“

სგ'რთსგიდლად **სგანჩუ** ი ჩ'ოსწუტუნედ ლემდტ (იქვე, 255.) „ჩავიხედეთ შიგნით და დავინახეთ დათვი“

ჟან ოსწუტენ, ესღერდა (ხოლ.) „ზევით დავინახე, მიდიოდა“

როგორც ცნობილია, სვანურში გარემოებათა დიდი ნაწილი თანდებულთა მიერაა წარმოებული და მირთვის განხილვის შემთხვევაში თანდებულებს გვერდს ვერ ავუვლით.

სვანურში განარჩევენ მარტივ და რთულ თანდებულებს. მარტივია: **-ჟი|-ჟინ** (ბზ., ლნტ.) „ზე“, **-ჩუ** (სვ.) /**-ჩუნ** (ბზ., ლნტ.) „ქვე“, **-ისგა** (ზს.) /**-ისკა** (ლნტ.) /**-ისა** (ლშხ., ჩოლ.) „ში“, **-ქა** „გა“, **-თე** „-კენ, -ში“, **-ხო** (ლნტ.) „კენ“, **-შალ** (ბქ., ლნტ.) **||შალ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „-ვით“, **-ხან** (ბზ., ლნტ.) /**ხენ** (ბქ., ლშხ., ჩოლ., ლნტ.) „დან“, **-ცახან** (ზს., ლნტ.) /**ცახან** (ლშხ., ჩოლ.) „-თან“, **-ნუნ** (ლშხ.) /**-ნენ** (ჩოლ.) „-მდე“, **-მუყუ** (ბზ.) /**-მეყ** (სვ.) /**მოყ** (ლნტ., ლშხ., ჩოლ.) /**მიყ** (ბქ.) „-თან“, **-ლა** (სვ.) „თვის, გამო“, **-ლო** „შემდეგ“...

რთული თანდებულები მიიღება მარტივ თანდებულთა კომბინაციით. ამ კომბინაციაში პირველი ელემენტი არის **-თე**, ან **-ხან||ხან**, მეორე ელემენტი კი **-ჟი**, **-ჩუ**, **-ისგა**, ან **-ქა**, შედეგად ვღებულობთ რთულ თანდებულთა ორ რიგს:

1: **-თეჟი**, **-თეჩუ**, **-თეისგა** (ზს.) /**-თეისკა** (ლნტ.) /**-თენსა** (ლშხ.) /**-თენსა||-თენსა** (ჩოლ.), **-თექა**,

2. **-ხანჟი** (ბზ., ლნტ.) /**-ხენჟი** (ბქ., ლშხ., ჩოლ.), **-ხანჩუ** (ბზ., ლნტ.) /**-ხენჩუ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.), **-ხანისგა** (ბზ.) /**-ხანისკა** (ლნტ.) /**-ხენისა** (ბქ., ლშხ., ჩოლ.), **-ხანქა** (ბზ., ლნტ.) /**-ხენქა** (ბქ., ლშხ., ჩოლ.)... ჩამოთვლილი თანდებულებით ერთდროულად გამოიხატება საგნის მოქმედება და მიმართულება.

„რთული თანდებული დამახასიათებელია მხოლოდ სვანურისათვის. იგი შედგება მიმართულების **-თე** პლიუს თანდებულ-წინდებული **ჟი**, **ჩუ**, **ისგა**, **ქა**, რაც იძლევა: **-თეჟი**, **-თეჩუ**, **-თენისგა|თენსა|თენსა|თენსა**, **თელისგა**, **თექა** თანდებულებს" (13, 204).

აღ. ონიანი ცალკე გამოყოფს „ლექსემათა შეზღუდულ ნაწილებთან ხმარებულ რთულ თანდებულთა კიდევ ერთ ტიპს, რომელიც **-ხან-ხან** და **-თე**, **-ქა**, **-ჩუ** ელემენტთა კომბინაციით არის წარმოქმნილი" (29, 279.), მაგ, **ამ-ხენ-თე** „აქეთკენ“, **ენ-ხენ-თე** „იქეთკენ“, **ამ-ხენ-ქა** „აქედან“, **ენ-ხენ-ქა** „იქედან“, **ამ-ხენ-ჩუ** „აქედან ქვემოთ“, **ენ-ხენ-ჩუ** „იქედან ქვემოთ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაშხურსა და ჩოლურულში ამ ტიპის თანდებულებში დასტურდება **-ხენ** თანდებულის გაორმაგებული წარმოება, მაგ; **ამ-ხენ-ხენ-ქა** „აქედან“, **ამ-ხენ-ხენ-ჟი** „იქიდან ზევით“, **ენ-ხენ-ხენ-ქა** „იქედან“, **ენ-ხენ-ხენ-ჟი** „იქიდან ზევით“, **ამ-ხენ-ხენ-ჩუ** „აქედან ქვემოთ“, **ენ-ხენ-ხენ-ჩუ** „იქედან ქვემოთ“.

თუმცა მსგავს წარმოებას არავითარი სემანტიკური ნიუანსი არ შემოაქვს წინადადებაში, რასაც საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს. მაგ.:

ამხენხენქა ქა ხტაფსენი ხოჩულ ღტინელს (ღშხ.) „აქედანაც გამოვიყვან უკეთეს ღვინოს“

ეძკაჲ ჯრდი ლი, ერე **ამხენხენჩუი** ქ'ენხერან (ღშხ.) „ისეთი გრძელია, რომ აქედანაც გადაემეტა“

მმა ხაკუ სერ ეჩა **ეჩხენხენუი** ლნის? (ჩოლ.) „რა უნდა იმის იქიდან ამოღებას?“

თანამედროვეთა მეტყველებაში მსგავსი ზმნისართები არცთუ იშვიათად გვხვდება, თუმცა, სპეციალური ძიების მიუხედავად, სვანურის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში იდენტური მაგალითები ვერ აღმოვაჩინეთ.

სვანურის სხვა თანდებულთაგან განსხვავებით, **ხან|ხენ** თანდებულს ყველა დიალექტში ყოველთვის „გან|დან“ თანდებულის სემანტიკა აქვს და დაშორებით მიმართულებას გამოხატავს:

ლატლიხან ი **ლენჯარხან** ანვიდხ მორჟარ (ბზ., სვან. ქრესტ., 94) „ლატალიდან და ლენჯერიდან მოიყვანეს შუამავლები“

ციცხუნარხენ ვაიშდთე იშგჟიდ კილომეტრ ხოზი (ბქ., იქვე, 204) „ციცხუნარიდან ხაიშამდე შვიდი კილომეტრია“

აღდარ ყიაჩუ ვნრეკ, ეშტი **აშუხენჩუი** ი მერმე **მერმახენჩუი** (ბქ., იქვე, 94 216) „ესენი ყელზე ჩამოიკიდა ერთი ერთი მხრიდან და მეორე მეორე მხრიდან“

ზურალელს ქა ლექაბი ხერან **ქორალხენქა** (ღშხ., იქვე, 243) „ქალებს გასარიდებელი ექნებათ სახლებიდან“

ჯგილ-დაჩტირ — **აშუხენ** ი დატ — **მერმახენ** (ღნტ., იქვე, 318) „და-ძმა — ერთი მხრიდან და დევი — მეორედან“

მეჭთუნე **სგობინხენ** ხენროლ ლგთიშს (ჩოლ.) „დამწყველი წინიდან უდგებოდა არჩეულს“...

ლენტეხურ დიალექტში იშვიათად **-ხენ** თანდებული რედუცირებული სახით წარმოგვიდგება. მაგ.:

ლითუეფ ახოხინახ **ეჩხენ-ამეხნისა** (ღნტ., სვან. ქრესტ., 309) „სროლა დაუწყიათ იქიდან და აქედან“...

სვანურის დიალექტებში **-უი** და **-ჩუ** თანდებულთაგან ნაწარმოებ ადგილისა და ვითარების ზმნისართებს, ასევე დაერთვის სუფიქსი **-ნენ** (ჩოლ.) **-ნე** /**-ნან** /**-ნაჲ** (ღშხ.) | **-ნ** (ბზ., ღნტ.), ამის გამო მიიღება გართულებულ ფორმები, თუმცა

მათი დართვა-დაურთველობა თანამედროვე სვანურში არანაირ სემანტიკურ სხვაობას არ იძლევა: **ამჟ-ნენ**||**ამჟ-ნან**||**ამჟ-ნად**||**ამჟი-ნ** „ასე“, **ეჯჟ-ნენ**||**ეჯჟ-ნან**||**ეჯჟ-ნად**||**ეჯჟი-ნ** „ისე“, **ამჩჟ-ნენ**||**ამჩჟ-ნან**||**ამჩჟ-ნად**||**ამჩჟი-ნ** „აქ“, **ემჩჟ-ნენ**||**ემჩჟ-ნან**||**ემჩჟ-ნად**||**ემჩჟი-ნ** „იქ“, **ამხენჟ-ნენ**||**ამხენჟ-ნან**||**ამხენჟ-ნად**||**ამხენჟი-ნ** „აქედან ზევით“, **ეჩხენჟ-ნენ**||**ეჩხენჟ-ნან**||**ეჩხენჟ-ნად**||**ეჩხენჟი-ნ** „იქედან ზევით“, **ამხენჩჟ-ნენ**||**ამხენჩჟ-ნან**||**ამხენჩჟ-ნად**||**ამხენჩჟი-ნ** „აქედან ქვევით“, **ამხენთეჟ-ნენ**||**ამხენთეჟ-ნან**||**ამხენთეჟ-ნად**||**ამხენთეჟი-ნ** „აქედან ზევით“, **ეჩხენთეჟ-ნენ**||**ეჩხენთეჟ-ნან**||**ეჩხენთეჟ-ნად**||**ეჩხენთეჟი-ნ** „იქედან ზევით“. მაგ.:

მეთხუდარ მარ'ანლი **ცხეკჩჟენ** (ბზ., სვან. ქრესტ., 92) „მონადირე კაცი მოდის ტყიდან“

ემჩჟენ თოფ ლეიმურჯინე ბაბად (ლშხ., იქვე, 253) „იქ თოფი დაიხმარა ბაბუამ“

ლევკორალ ხარ **ამხენჟინენ** ლისიბ (ჩოლ.) „სახვეწარი აქვს აქედან სიარული“
ჩჟჟ ესგუ **ამჩჟენ** ი ქ'ეჯქადოლ დაგარ (ჩოლ.) „დამჯდარიყავი აქ და ავცდებოდა სიკვდილი“.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელთაგან **-ჟი** და **-ჩჟ** თანდებულთა მიერ წარმოებულ გარემოებებსაც თან ახლავს **-ნენ**||**-ნე**||**-ნან**||**-ნად**||**-ნ** სუფიქსები.

ეჯარს **ლაზელალჟინენ** დერსკნალ ქა ხეწადხ (ლშხ., იქვე, 251.) „ისინი სიარულის დროს ჯიხვებმა დაინახეს“

ჟოხორკხტეს **კჟედელჟი-ნენ** (იქვე, 255) „ჩამოვკიდე წკნელზე“
ხტაჯ **ჯაჯარჟინენ** ნათხტიარეს (იქვე, 253) „დავარტყი თირკმელზე ჯიხვს“
აღნიშნული სუფიქსი (**-ნენ**||**-ნე**||**-ნან**||**-ნად**||**-ნ**) დაერთვის **-ლო** „შემდეგ“ თანდებულსაც დროის აღმნიშვნელ ზმნისართებში. მაგ.:

ეჩანღრ-ნენ შხამს ლოქ ითხელი (ლშხ., იქვე, 247) „მერე („შემდეგ“) შხამს პოულობსო“

ეჩანღრნენ ლიცნუნ ლოქ ვედნი ჟიჯ (ლშხ., სვან. ქრესტ., 247) „შემდეგ წყლამდე მოდისო გველი“

ჟინ||**ჟინენ** და **ჩჟენ** ტიპის ფორმები ვ. თოფურიას უძველესად მიაჩნია. იგი წერს: „**ჟინ**, **ჟინენ** „ზე“ ეკვივალენტია ქართ. **ზე**, **ზენასი**, იგივე მეგრული **ჟი-ა**; გამოიყენება ძველ ფორმასთანაც; **ისგენჟი** „წელს ზემოთ“... **ჩჟუ**, **ჩჟ** /**უნ** „ქვეშ“ შესატყვისია ქართული **ქვე**, **ქვენასი**; გვხვდება ძველ **-გნ** სუფიქსთან ერთადაც; **გიმენჩჟ** „მიწის ქვეშ“, **ისგენჩჟ** „წელს ქვევით“ (13, 204).

განსახილველი **-ნენ|-ნე, -ნან|-ნა** სუფიქსი იშვიათად შეიძლება დაერთოს ზემოთ ნახსენებ გაორმაგებულ **-ხენ** თანდებულის ფორმებსაც, მაგ.: **ამ-ხენ-ხენ-ჟნ-ნენ|ამ-ხენ-ხენ-ჟნ-ნან|ამ-ხენ-ხენ-ჟნ-ნა** „აქედან ზევით“, **ენ-ხენ-ხენ-ჟნ-ნენ|ენ-ხენ-ხენ-ჟნ-ნან|ენ-ხენ-ხენ-ჟნ-ნა** „იქედან ზევით“, **ამ-ხენ-ხენ-ჩუ-ნენ|ამ-ხენ-ხენ-ჩუ-ნან|ამ-ხენ-ხენ-ჩუ-ნა** „აქედან ქვევით“.

გვაქვს თანდებულთა ერთი რიგი, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ადვერბიალურ თანდებულებს“ (13, 205) უწოდებენ. ესენია: **ლო** „შემდეგ“, **ჟიქან** „ზევით“, **ჟიქანქა** „ზევიდან“, **ჟიქანჩუ** „ზევიდან ქვევით“, **ჟიქანხენჩუ** „ზევიდან ქვემოთ“, **ჟიქანხენქა** „ზევიდან აქეთ“, **ჩუქტან** „ქვევით, ქვეშ“, **ჩუქტან-ქა|ჩუქტანხენქა** „ქვევიდან, ქვეშიდან“, **ჩუქტანხენჩუ** „ქვევიდან, ქვეშიდან“, **ჩუქტანხენჟი** „ქვევიდან ზემოთ“...

-ლო „შემდეგ“ თანდებულთა იწარმოება დროისა და ადგილის გარემოებები; იშვიათად შეიძლება გადმოიცეს ჯერობაც; დასტურდება რთულ თანდებულ დართულიც:

როგორც ვ. თოფურია მიუთითებს, **ლო** იხმარება **-ენ** და **-ნ** დაბოლოების მიცემითთან ნაცვალსახელებში... **-ენლო, -უნლტუ, -ნლო** კი შესორცებულია და მთლიანად იხმარება (**ზაუნლო** „წლის შემდეგ“) (13, 205). მაგ.:

აშხუნლტუ'ენსარ ლომოროტუ ახადაბ (ბზ., სვან. ქრესტ., 93) „ერთხელ („ერთხელის მერე“) შუამავლობა ჰქონდათ“

ხოჩამდ **ლგპინტყლაუნლტუე** ჩუ ბტიტტედ ქათალს (ბქ., იქვე, 206.) „კარგად გაპუტვის შემდეგ გავჭრით ქათამს“

ხტანდ **ლითოფუნლო** ქათოხინახ გოჭ (ლნტ., იქვე, 309) „ბევრი სროლის შემდეგ წაურთმევიათ გოჭი“

მანჩეს ეჯდარე **ლაიდტერუნლო** ხეზნან ლიშთხრი (ლშხ.) „მაჩეს იმათი საზღვრის შემდეგ სჩეოდა თხრა“

მაე მერი საბრა **ეჩანლონენხენქა** ლირდე! (ჩოლ.) „რად მინდა იმის მერე ცხოვრება!“...

სწორედ თანდებულთა ასეთი სიმრავლე განაპირობებს მართულ ფორმათა სიუხვეს სვანურში.

სვანურში მიცემით და ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ზმნას უკავშირდება თანდებულთაც და უთანდებულოდაც.

ზმნასთან დაკავშირებული მიცემით ბრუნვაში დასმული თანდებულისა სახელი, რომელიც წინადადებაში გარემოებად გვევლინება, ზმნას უკავშირდება

მირთვით და შუალობითი მართვით. ასეთი გარემოებები იმართვის ზმნის მიერ ბრუნვაში თანდებულის მეშვეობით:

ჩუ ლემარდ **საფლაჷისგა** (ბზ., სვან. ქრესტ., 91) „საფლაჷში ყოფილა“

ყერპრ **ზაჷლისგა** დარუნ იზალს (ბქ., იქვე, 205) „დედა ღორები წელიწადში ორჯერ ყრიან გოჭებს“

ჩტერ ანტუნდ **ლაჯოგხოდა**, შალიკო ჩტაყტრე ი კტეც (ლნტ., იქვე, 206) „რომ ჩამოვედით ჯოგში, შალიკო წევს და კვნესის“

ძინარგნლო ხომურჯდას **ლაბერგადა** (ჩოლ.) „დილიდან ვეხმარებოდი სათოხარში“

ჩტანბზნდახ სოფლი **ნადგრთგულაჷინ** (ბზ., იქვე, 95) „აფიცებდნენ სოფლის ერთგულებაზე“

ქერ ანხადხ **კტეჭოლჷინ**, ეჩქას დტ ლახახტიდა (ლნტ., იქვე, 316) „რომ გამოვიდნენ ცოტაზე, მაშინ დევი შეხვდათ“

ჭყინტი **ლაპრისტალჷი** ხინ იმინი ი დნოლაშეი მნდე ეჯუმ (ლშხ., იქვე, 237) „ბიჭის ნათლობაზე ლხინი იმართება და გოგოსაზე არა იმხელა“

ლაგაგეჷი ლისგტრალს მნ ლოქ ხაყა (ჩოლ.) „ზღურბლზე დაჯდომა არ შეიძლება“

მამტილს **ყიაჩუ** ბიმბილიდარ ხორკა (ბქ., სვან. ქრესტ., 206) „მამალს ყელზე ბიბილო ჰკიდა“

დაჩტირ ადწტრლე **ყარჩათე, დუდაშერთე** (ბზ., იქვე, 95) „და გაათხოვა ყარჩათეში, დუდაშერებში“

კასრულთე ლიცს ხტგტშე (ბქ., იქვე, 206) „ქვაბში წყალს ვასხამ“

ქა ლიზლალ ხაკუ დესიეს **მეზტბელთე** (ჩოლ.) „გასვლა უნდა ზოგჯერ მეზობელთან“

ლენტესურ დიალექტში **-ხო||-ხ** თანდებულთ გადმოიცემა მიმართულების გარემოება და იგი სხვა დიალექტების **-თე** „კენ“ თანდებულის მნიშვნელობისაა:

ეჯ წუთისა აჩად **ეჩოხ** (ლნტ., სვან. ქრესტ., 307) „იმ წუთში წავიდა იქეთკენ“

ამეჩედლი **ცხეკხო** (ლნტ.) „წასულა ტყისკენ“

ამ ხისკიდნიუ **დეცხო?** (ლნტ.) „სულ ცისკენ უნდა იყურო?“...

აღნიშნულ თანდებულს შეიძლება ჰქონდეს **-ზე** და **-ში** თანდებულთა და ვითარებითი ბრუნვის სემანტიკა, ამ უკანასკნელის შემთხვევაში მიზნის გარემოება გადმოიცემა. მაგ.:

ქა ლახაბეხ **მერბახო** (ლნტ.) „შეაბეს მეორეზე“

ეჩქა **ლახხო** ამაუზეხ მელწხტდ (ლნტ., იქვე, 306.) „მაშინ მთაში გამაგზავნეს მთისად”

ეჩქას სკ’ამეჩედელი **ქორხო** (იქვე, 310) „მაშინ შესულა სახლში”

ეჯი **ლათხუიარხო** ამეჩედ (ლნტ., იქვე, 324) „ის სანადიროდ წასულა”.

ვ. თოფურიას ვარაუდით, **-ხო** თანდებული უშგულურშიც უნდა ყოფილიყო „როგორც ამას ხალხური სიმღერები ადასტურებენ; სიმღერებიდან; **ცენახო** „ცენისკენ”, **ზესხუახო** „ზესხვასკენ”... (13, 204.).

სვანურის დიალექტებში ყველაზე პროდუქტიულად შეიძლება ჩაითვალოს -**ქა** „-ზე, -დან” თანდებული, რომელიც მონაწილეობას იღებს რთულ თანდებულთა წარმოებაში და აღნიშნავს გავლით, მიახლოებით:

თხერ’ესერ ხოვდე **ისგლადელქა** ხვრჯს (ბქ., იქვე, 219) „მგელი მოუტანსო შუადღეზე საჭმელს”

ქერ ანტუადდ **ტუბწხოქა**, ლიკილ აგუასგმდა (ლნტ., იქვე, 306) „რომ გამოვვლით ტბაზე, კივილი შემოგვესმა”

ლაგუწნუშ ქადჯად **დატწრხოქა** (იქვე, 207) „ტირილით გავიდა დავართან”

ქეთხელწლ **ქორთექა** (ჩოლ.) „გაიარე სახლთან ახლოს („სახლამდე)”

განსახილველი თანდებული ზმნისართს ხშირ შემთხვევაში შეიძლება რამდენჯერმე დაერთოს:

ქემეი ათღგრჟან **ჩუ-ქან-ქა-თე-ქა** ი ეჩლო მი ხოშტელნე (ჩოლ.) „როგორმე გაათრიე ქვემოთამდე და მერე მე ვუშველი”

ჟერ ოთდეს **ჟი-ქან-ქა-თე-ქა**, ეჩქა მაჲ მწრხი?! (ჩოლ.) „რომ ავიტან ზემოთკენ, მერე რად მინდიხარ”?!.. და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თანაობის გამომხატველი **-მეყ** თანდებული ამ სახით მხოლოდ ზემოსვანურში გამოიყენება, ხოლო მისი ასიმილირებული **-მოყ** ფორმა ლენტეხურსა და ლაშხურში გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ სვანურ ქრესტომათიაში მოძიებულ მასალებსა და თანამედროვეთა მეტყველებაში ქვემოსვანური დიალექტები ორივე ვარიანტს გამოიყენებს (**-მეყ|-მოყ**), ხოლო რაც შეეხება ჩოლურულს, ამ მეტყველებაში მხოლოდ **-მოყ** ფორმას მივაკვლიეთ:

ღუდაშერემ ბწჩა **ბოგმუყუ** ანგენეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 95) „ღუდაშერებმა ქვის ხიდთან გამოაცილეს”

ბაზი ხოჩამ **ბაჩუმეც** ხტარდად სადგუმედ (იქვე, 95) „ამაღამ კარგ ქვასთან ვიყავით დასადგომად („სადგომად)“

ნიშგუმეც ხამპრ ჩი ხორი (ბქ., იქვე, 205) „ჩვენთან ღორები ყველას ჰყავს“

ნიშგუმეც ხოჩა სიმინდ ჳედნი (იქვე, 204) „ჩვენთან კარგი სიმინდი მოდის“

ადგად ეშხუ **მეზგაშერმოც** (ლნტ., იქვე, 313) „მოვიდა ერთ ოჯახთან“

თხერელს ცხეკთე **ლაჭონმეც** ოთგელგრაბ ჳან (ლშხ.) „მგლებს ტყის მოსახვევთან დაუგლეჯიათ ხარი“

მიშგტა **ლაკუმაშმოც** იხტრებს ღულადს აღდპრე ბოჩკარ (ჩოლ.) „ჩემ სასაქონლესთან იყრიან თავს ამათი საქონელი“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში გვაქვს შუალობითი მართვა და მირთვა. ზმნა-შემასმენელი თანდებულების მეშვეობით მართავს სახელებს მიცემით ბრუნვაში, ამავე დროს სახელის თანდებულზე დართვის შედეგად მიღებული გარემოება მირთულია ზმნასთან.

სვანურში, კერძოდ, ლაშხურსა და ჩოლურულში გამოიყოფა ადგილის მიწვევითობის გამომხატველი **-ნუნ** „მდე“ თანდებული, რომელიც სხვა თანდებულთაგან განსხვავებით, ძირითადად, დამოუკიდებლად ერთვის სახელს:

ეჩანღონენ **ლიცნუნ** ლოქ ჳედნი უიჯ (ლშხ., სვან. ქრესტ., 247) „მერე წყლამდე მოდისო გველი“

ლეჟა ოჩადდ **მორგოულნუნ** (იქვე, 251) „ზევით წავედით მორგოულამდე“

ოდ **დაგრა-ნუნ** მრმ ადე, ეჩქად დემ აჯზგზ ექმართე (ჩოლ.) „სანამ სიკვდილამდე არ მიხვედი, მანამ ვერ გაგაგზავნე ექიმებთან“

მამჭირ **ეჩაუნუნ** ლწი (ჩოლ.) „მეზარება იქამდე გასვლა“

იშვიათ შემთხვევაში აღნიშნული (**-ნუნ** „მდე“) თანდებულს წინ უსწრებს რთული თანდებული **-თექა** და შეიძლება დაერთოს აგრეთვე **-ენ** სუფიქსი ზმნი-ზედათა იმ ჳგუფში, რომელსაც ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ახლავს თან. მაგ.:

ეჩქა-დ-თექა-ნუნ მნდ ეთსყნხ, უოდ ჩუ მრდ ედწორებს (ლშხ.) „იქამდე არ შეურიგდნენ, სანამ არ ისისხლეს“

ოდ ოთწტიღლოლ, **ეჩქა-დ-ნუნ-ენი** შუშპრას (ჩოლ.) „სანამ გავთხოვდებოდი, მანამდეც ვცეკვავდი“

ეჯდარხენქა **ათხა-დ-ნუნ-ენი** ქა ჳებრლ ნატყნც (ჩოლ.) „იმათგან აქამდეც გეკუთვნოდა ცემა“.

საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს თანდებულიანი ნათესაობითი გადმოცემული გარემოებებიც.

სვანურში, როგორც ცნობილია, ხშირია თანდებულდართული სახელის მეორედ ბრუნება და „ვლებულობთ ნათანდებულარ ნათესაობითს (ამეჩუმ „აქაური – ამისქევეშის“, ეჩხნი „იქითა – ამისგანის“...) ზოგჯერ ნათანდებულარი ნათესაობითის ფორმაში ორჯერაა ნათესაობითის ნიშანი..." (48, 164).

ნათანდებულარი ნათესაობითით, ძირითადად, ადგილისა და დროის გარემოებები გადმოიცემა:

ლეჟოტიშვარ **ლეჟაშხენჩუ** ჩუ ხობიდხ ი ლექჟოტიშვარ – **ლექჟაშხენჩუ** (ბქ., სვან. ქრესტ., 215) „ხემოურები ზემოდან ჩამოქაჩავენ და ქვემოურები ქვემოდან"

ღაჟ სკ'აჩად **სკაშხენხო** (ლნტ., იქვე, 325) „დევი შევიდა შიგნითკენ (შიგნითისკენ)"

დეცხენისაშ ხია? ერ დესმა ჯიმვერა?! (ჩოლ.) „ციდან ხარ? რომ არაფერი გაგიგია?!"

აღ ჟადა ნატყიც **ჭუნელფისაშლექჟა** ნაჯადჟ ლას (ჩოლ.) „ამ ზვავის ჩამონაშალი, ჭკველფიდან ჩამონასვლელი იყო"

„სვანური შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელწოდება წინადადებაში გამოიყენება... გარემოებადაც, თუ ის თანდებულს დაირთავს" (48, 177).

მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ადგილის გარემოებათა ჯგუფი, რომლებიც წარმოებულია ნათესაობით ბრუნვაში ადამიანთა გვარ-სახელებზე თანდებულთა დართვით:

ბექნუშერმოყუ აჯვედა დაგრობ (ჩოლ.) „ბექნუსაანთთან მომკვდარიყავი („მოგსვლია სიკვდილი)"

ონიანშერმეყქა ისმოლ კოლ-მაკოლ (ლშხ.) „ონიანების მხრიდან ისმოდა წივილ-კივილი"

„თანდებულიან სახელებს მოეპოვება აგრეთვე ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებიც..." (48, 165). ასეთი გარემოებები წინადადებაში უმეტესწილად დროის გარემოებებად გვევლინება:

ძინარჟინაშდ ოხჭურნე ლეზგ'ს (ჩოლ.) „დღისთვის მოვზელ საგზალს"

ლიმრიეჟინაშდ იშხუნდახ ეჯ კეცაძს (ჩოლ.) „მარიამობისთვის ინახავდნენ იმ ჭურს"

აღ **ლადეღჟიშდ** ხტაჭკუარის ჩიმე ლიწიგს (ჩოლ.) „ამ დღისთვის ვფიქრობდი ყველას მოწვევას" და ა. შ.

თანდებულიანი ნათესაობითით იშვიათად შეიძლება გადმოიცეს ჯერობის გარემოება:

მერმაშუი ანღრდახ აშირან ი მიჩა ლახტუბა ლანთხართე (ბქ., სვან. ქრესტ., 213.)
მეორედ მოდიოდნენ ამირანი და მისი ძმები სანადიროდ"

ღნანაჲ ლი აჯახ **მესმაშუი** (ჩოლ.) „ფენხმძიმეა კიდევ მესამეზე"

შესაბამისად, ამგვარი გარემოებები მირთულია ზმნა-შემასმენელთან, ასეთ სინტაგმაში ამავე დროს გვაქვს შუალობითი მართვა, რადგანაც გარემოება გადმოცემულია სახელის ბრუნვაზე თანდებულის დართვით; სახელი იმართვის ზმნის მიერ ნათესაობით ბრუნვაში თანდებულის მეშვეობით.

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, გარემოება გადმოიცემა ისეთი სახელებითაც, რომელთაც ახლავს თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნისართები. მაგ.:

სუეტ უიქანქა ქანთქადა (ბზ., იქვე, 94) „ბოძის ზემოდან გადასცდა"

ისგ შუკუნუნ ქადჭაბეხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 251) „შუა გზამდე გაკვალეს"

კუეტოლ ხანგნლო სკ'ათედა (ლნტ., იქვე, 309) „ცოტა ხნის შემდეგ დაეწია"

ძინრა ნარიუი მარ ლეგნალ (ჩოლ.) „დილის სინათლეზე უნდა ავდგე" და სხვ.

ასეთ სინტაქსურ წყვილში შემავალი გარემოება მირთულია ზმნა-შემასმენელთან და ამავე დროს აღნიშნული გარემოებები შუალობით მართული სახელებია.

საინტერესოა ქ. მარგიანი-სუბარის მიერ შენიშნული მართვის შემთხვევები, რომელიც ქართულ პარონომაზიულ ფორმებთან შეპირისპირებისას შეუნიშნავს; „ქართულ ენაში ზოგჯერ ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით მისივე საწყისია დაკავშირებული სვანურშიც მსგავს გამოთქმებში საწყისის მოქმედებითი ბრუნვა მონაწილეობს: **ღანსკნოშუ სგ'ადსკინე ლგცთე, მარე ქანტიხხ...** თუმცა უფრო ბუნებრივი ვითარებითი ბრუნვისა და **-ხან|-ხენ** თანდებულისანი ფორმებია: **ღე-სკ-ნ-ად სგ'ადსკინე... ღი-სკ-ნ-ე-ხენ სგ'ადსკინე ...** ქართულში პარონომაზიულ შესიტყვებაში საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მართულია, სვანურში კი ასეთ გამოთქმებშიც მართვაა" (25, 150).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანური არსებით სხვაობას არ ამჟღავნებს მართვისა და შუალობით მართულ სინტაგმებში. აღნიშნულ შესიტყვებათა მრავალფეროვნებასა და ქართულისაგან განსხვავებით მრავალრიცხოვნებას, დიალექტებში არსებული ზმნისართთა და თანდებულთა სიუხვე და ნაირგვარობა იწვევს.

§ 5. ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა.

წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი, რომელიც გადმოცემულია ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელით და აღნიშნავს მოქმედ საგანს ან ისეთ საგანს, რომელსაც მოქმედება თუ მდგომარეობა მიეწერება ქვემდებარე ეწოდება.

ქვემდებარე-შემასმენელს ახასიათებთ რთულ სინტაქსურ ურთიერთობა: ქვემდებარე მართავს შემასმენლის პირს და ითანხმებს მას რიცხვში, ხოლო ქვემდებარე იმართვის ბრუნვაში შემასმენლის მიერ, თუ ეს უკანასკნელი გარდამავალი ზმნაა.

სვანურში ქვემდებარე სამ ბრუნვაში გვხვდება: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში. ბრუნვები განაწილებულია გვარისდა მიხედვით, „სავსებით ემთხვევა ქართულისას. III სერიაში ინვერსიასთან გვაქვს საქმე ჩანს თანამედროვე სვანური გასდევს თანამედროვე ქართულს. ქართულმა გარკვეული გზა გაიარა და ივარაუდება, რომ სვანურსაც ეგევე გზა აქვს გავლილი. ისტორიულად ერთგვარი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ. მეგრულისა და დასავლური კილოების თავისებურებანი, სახელდობრ, მოთხრობითი ბრუნვის გამოყენება გარდაუვალ, პროცესის გამომხატველ ზმნებთან დრო-კილოთა II სერიაში, ჭანურში კი I სერიაშიც, უცხოა სვანურისათვის. ეტყობა ეს მოვლენა ძალზე ახალია და სვანური ამ საფეხურამდის არ დაძრულა. ის ინარჩუნებს შედარებით ძველ მდგომარეობას. მოთხრობითი ქვემდებარის ბრუნვაა, სახელობითი და მიცემითი – საზიარო" (13, 259).

ქვემდებარე სახელითა და სახელზმნით გადმოიცემა. სახელთაგან უმეტესად არსებითი სახელები და ნაცვალსახელებია (პირისა, კითხვითი) გამოყენებული, სახელზმნათაგან კი საწყისები და მოქმედებითი გვარის მიმდებარეები. ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს ყოველგვარი სიტყვით, რომელიც არსებითი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული:

არსებითი სახელი ქვემდებარედ:

ელმგყ **სოფელ** ჩუ ისგური (ბზ., სვან. ქრესტ., 18) „ელთან სოფელი ჯდება“

დაჟს თგმი ოხჯად (ბქ., იქვე, 229) „დევს გაუჭირდა“

ამჟი აღშგურანე **გეზალდ** მუ (ლშხ., იქვე, 288) „ასე დაარიგა შვილმა მამა“

აღ ჩხარა ლახტბანი **დაჩჟირ** აჩად მიჩა ლაჭმილახო (ლნტ., იქვე, 317) „ამ ცხრა ძმის და წავიდა თავის ძმებთან“

ქრხეხტახ ლარტამ **ლოლიაქარს** (ჩოლ.) „გადაუძოვიათ ბოსტანი ცხვრებს“...

ზედსართავი სახელი ქვემდებარედ:

წგრნიალ სგობინ ხოყოლტდახ თუეთუნელს (ღშხ.) „წითლები წინ მიუქ-
ვლოდნენ თეთრებს“

ლეგმერდე ემნ ლიგნალს ლეხკუაჟ (ჩოლ.) „ავადმყოფი მაინც ადგომას
შეეცადა“...

რიცხვითი სახელი ქვემდებარედ:

ემსტარე მქარჟი ოთრდრეხ **აერქნდაშემ** საჩიტარ (ღშხ.) „ერთმანეთის
ჯიბრზე დაუწერეს ორივემ საჩივარი“

ემხუდ ლომტ ლახტის ნაქტთარუალ (ჩოლ.) „ერთმა უკან დაუბრუნა
ნაქურდალი („ნა-ქურდალ-ებ-ი“)“...

ნაცვალსახელი ქვემდებარედ:

მიჩნემ ესერ თუეფ ქ'რთმეწუნას, ეჩქას ესერ ჯა ბარჯარსუ ლოხტუდირდა (ბზ.,
სვან. ქრესტ., 72) „მან („თვითონ“) რომ თოფი გაუსწოროსო, მაშინ მან მხრებში
მოკიდოსო“

ათხე სერ **ალარ** ჩტბდხეხტჟაშანს (ბქ., იქვე, 228) „ახლა უკვე ესენი
დააქორწინდნენ („დაცოლქმარდნენ“)“

მიჩ ერ მიჩაშდ შტელნლ ოხტნდა, ეჯლა ათყიჩ შდღუტს (ღშხ., იქვე, 274)
„თვითონ რომ მასთან შრავტი მოუტანია, ამიტომ შეეშვება თავვს“

მი კლასხო ათხელხი **ანტუედ** (ღნტ.) „მე სკოლაში ახლახან მოვედი“

ნაჲ ოხტიხდ ლომტ მეყარიელა (ჩოლ.) „ჩვენ მოვაბრუნეთ უკან მოჩხებრები“

სახელზმნა ქვემდებარედ:

ხოჩა ლი ზატლადედ შტანს **ლირდე** (ღშხ.) „კარგია გაზაფხულზე სვანეთში
ყოფნა“

ტუნდლალ აფხარუნდა თერალს **ლგქაჩ** (ჩოლ.) „ძლივსდა აფახულებდა
თვალებს დაჭრილი“ და სხვ.

როგორც აღინიშნა, სვანურში, ქართულის მსგავსად, გარდაუვალი ზმნა-
შემასმენლის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დაისმის. ერთპირიანი ზმნა-
შემასმენელი ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში მოითხოვს (მართავს). მაგ.:

მახელტაჟარ ლინთუისგა ლქმათე ღგრდახ **ზანთე** (ბზ., სვან. ქრესტ., 23) „ახ-
ალგაზრდა კაცები ზამთარში მიდიოდნენ საშოვარზე („სამატებლისკენ“)“

ჯტინელ დტრეტუჟი **თათარ ლგმვედოლნელი** ნიშტუე სოფლიშ ლწხტათე (ბქ.,
იქვე, 191) „ძველ დროს თათარი მოდიოდა თურმე ჩვენი სოფლის ამოსაწყვეტად“

ლეღუნთად შტანხენ ლაქმად სგნტუა ქტყენართე **ინგზარუთის** (ღშხ., იქვე, 236)
„ზამთრობით სვანეთიდან საშოვნელად შიდა ქვეყნებში მიდიან („მგზავრობენ“)“

ლინთუისკა გუშეტეშმოყ **მუს ხტუა ჰედენი** (ლნტ., იქვე, 298) „ზამთარში ჩვენთან თოვლი ბევრი მოდის“

მადრსკ **დებ დრსკ შტენნი** (ჩოლ.) „საადრეო ბალი ადრე ილევა“...

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს ისევ სახელობით ბრუნვაში შეიწყობს ისევე, როგორც ერთპირიანი, მაგრამ განსხვავებით ირთავს ირიბ დამატებას.

ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის სწორედ ისეთი სინტაქსური დამოკიდებულებაა, როგორც ერთპირიან გარდაუვალ ზმნა შემასმენელთან; ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში შეეწყობა შემასმენელს და არაა ბრუნვაში მართული, თუმცა შესწევს უნარი მართოს შემასმენლის პირი. აქედან გამომდინარე მართვა ამ შემთხვევაშიც ცალმხრივია:

მაცლანწარს ესტიტეხ ჰეცი ლაყარდ (ბზ., იქვე, 157) „მუგუზლებს დაავლეს ხელი მხეცის დასარტყმელად“

აშუ ლეთ აშუ ქორლისკა **ხეწად ნწრჰის** (ბქ., იქვე, 221) „ერთ საღამოს ერთ ოჯახში დაინახა სინათლე“

სკ'ახედა მიჩა **ლახტუბას** (ლნტ., სვან. ქრესტ., 318) „დაეწია თავის ძმებს“

ემხუ **მუჩროლირ ლახმუშგურენა ყიბეშუნანარს** (ჩოლ.) „ერთი ჩოლურელი სტუმრებია ზემოსვანებს“ და ა. შ.

გარდამავალი ორპირიანი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია; სვანურშიც, ქართულის მსგავსად, სამ ბრუნვაში გვხვდება: სახელობითში (როცა ზმნა შემასმენელი I სერიაშია), მოთხრობითსა (როცა ზმნა-შემასმენელი II სერიაშია) და მიცემითში (როცა ზმნა-შემასმენელი III სერიაშია).

გარდამავალ ორპირიან ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურ შეკავშირებას ქმნიან ქვემდებარე და პირდაპირი დამატება. ეს უკანასკნელიც ბრუნვაცვალებადია, დაისმის მიცემითსა (I სერიის ფორმებთან) და სახელობითში (II და III სერიის ფორმებთან):

ყუელდერისკა ერხი **სოფლწარ** საყდრარე ფუდდას მუსი **მურყუმწარს დემხ** (ბზ., სვან. ქრესტ., 99) „ყველიერში ზოგი სოფლები ტაძრების ახლოს თოვლის კოშკებს დგამენ“

ლაფანაჟი სკამწრ სგებინლექჟა ჩუ **გემხ ტაბგარს** (ბქ., იქვე, 174) „სუფრის წადგმისას წინ („წინ-ქვევით“) დგამენ სუფრებს“

მახელგთნა **ბობშს** ემხუ თოფ ფირეცხთჟესა **აყუნეხ** (ლშხ., იქვე, 237) „ახალდაბადებულ ბავშვს ერთი თვე ხოჭოტში აწვენენ“

სიმინდს აქწიხს ნაშტაქშუ (ლნტ., იქვე, 297) „სიმინდს ჭრიან ნამგლით“
ლინნეუს შიშდ **აყულურე ეხტუ-ჭაშს** (ჩოლ.) „ენატანიობა მყის აშორებს
ცოლ-ქმარს“

ჩტესერგდ **ოდჩარტა** მიჩა **ეხტუს** (ბქ., იქვე, 222) „ისევე გააჩერაო ცოლმა“
მიჩაშთე **ოხეერა ზაურბეგს** დნნა **ხალხ** (ჩოლ.) „თავისთან მოუხმია ზაურბეგს
გოგოს ხალხი“...

წინადადების ამ მთავარ წევრთა (ქვემდებარე, დამატების) ბრუნვაცვალებადობა გამოწვეულია შემასმენლით, რომელიც მართავს ქვემდებარისა (სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში) და დამატებათა (სახელობითში, მიცემითში) ბრუნვას, თავის მხრივ ქვემდებარეცა და დამატებაც მართავენ შემასმენლის პირს.

აღნიშნულ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს (ქვემდებარესა და დამატებებს) შორის რთული სინტაქსური ურთიერთობა ყალიბდება. გარდამავალი (ორპირიანი და სამპირიანი) ზმნა-შემასმენელი მართავს მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვებს და თავის მხრივ სუბიექტი და ობიექტი მართავენ ზმნა-შემასმენლის პირს, ამავე დროს სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში, ე. ი. გვაქვს საურთიერთო მართვა.

ზმნა-შემასმენლისა და სახელების ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას გრამატიკაში კოორდინაციის სახელი ეწოდა.

ქართულისათვის არნ. ჩიქობავამ განიხილა ყველა შესაძლო კომბინაცია ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და ზმნისა და სახელთა ასეთ ურთიერთობას სწორედ მან უწოდა კოორდინაცია: „ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, ამ საურთიერთო მართვას, ვუწოდებთ კოორდინაციას. რელატიურ გარდამავალ-ზმნიანი წინადადების მექანიზმს ქმნის კოორდინაცია და არა უბრალო მართვა“ (52, 215).

ამგვარ შესიტყვებებში მხოლოდ მმართავი და მართული წევრი არ მოიპოვება: მმართავი ერთი ნიშნის მიხედვით მართულია მეორე წევრის მიერ სხვა ნიშნის მიხედვით: ზმნა-შემასმენელი მართავს სახელის ბრუნვას, მაგრამ მისი პირი იმართვის სახელისაგან, ზმნის რიცხვის ფორმაც განპირობებულია სახელის მიერ.

სვანურში ქვემდებარე გარდამავალ სამპირიან ზმნა-შემასმენელთან (I სერიის დრო-კილოებთან) სახელობით ბრუნვაში გვხვდება:

ზატისგა ყტილდჳრე თახწჳ ჰასტიჳს **მანგ** ნაკმარუნს **ხოგდა** (ბზ., სვან. ქრესტ., 11) „წელიწადჳი ყველიერის სამშაბათს ასულს ყველა მოსაკითხს მიუტანდა ხოლმე“

მანტჳი აშხუნლტჳე ლიშუღების **ხობნე** ქუნწრს (ბქ., იქვე, 174) „უფროსი მერე („ერთისმერე“) შენღობას უგზავნის („შენღობას უწყებს“) სულებს“

სემი ზატუნლო სკა ლგვიღ **ლერწალ** ლწდღი ხოჩა მაშანს **გჳწჳედის** (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 27) „სამი წლის მერე შემოტანიღი ლერწებიც კარგ ნაყოფს („მონა-სხამ-ს“) გვაძღღევენ“

მახე **თერღლა** ნწთიარს ლექტჳერწიღ ტორტს **ხოწყი** (ჩოღ.) „ახალი რძალი ნათესავებს საქორწიღო ტორტს უცხოებს“ და სხვ.

II სერიის დრო-კიღოებთან ქვემღღებარე მოთხრობით ბრუნვაშია:

ბერტისგა **ჩიბყუნწრღ** თასაჳღ ი ქტიწწღ **ლახტჳემს** ქტიწწიჳ გეზალ (ბქ., სვან. ქრესტ., 176) „ბეროში ჩიბყვანებმა თასავმა და ქვიანმა მისცეს ქვიანის შვიღი“...

ლექსტირი **მუთჳერიღ** ლენტეხწღ მამასახლისს ჰიშხ ჩაფღლ **ლახტჳემ** (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 8) „ლექსურის მასწავღღებღმა ლენტეხის მამასახლისს ფეხის ქირა მისცა“

გჳეგწულ მეჩი ზურწლოღლს ლარტამ **ოხბარაჳე** (ჩოღ.) „გვეგწუმ მოხუც ქალს ბოსტანი დაუბარა“...

III სერიის დრო-კიღოებთან ქვემღღებარე მიცემით ბრუნვაში გვხვღღება. აღნიშწულ შემთხვევაში სამპირიანი ზმწა ორპირიანად გადაიქცევა:

ჳალტერს ნწსყე მექწუნაჳწღღ **ოხსყა** (ღშხ.) „ვალტერს ნემსი მომაკვღღავისთვის („სულთმობრძავისათვის“) გაუკეთებია“

ბაბას ლგთიჳ ჳისკჳლარღღალ **ოთშტუნა დადწშღ** (ჩოღ.) „ბაბუას ნარჩევი ვაშღღები შეუნახავს ბებოსთვის“

გარღღამავალ ორ და სამპირიან ზმწა-შემასმენღღთან, ქართუღღის მსგავსად, მართვა საურთიერთოა. ქვემღღებარე ყვეღღა პირში მართავს შემასმენღღს (ჳწოხტიტხ **მი ეჯი** – ამოწწიე („ამოვაბრუნე“) მე ის, ჳწეხიტხ **სი ეჯი** „ამოწწიე („ამოაბრუნე“) შენ ის“, ჳწენტის **ეჯწწმღ ეჯი** „ამოწწია („ამოაბრუნა“) მან ის“) და ამავე დროს ქვემღღებარე იმართვის ზმწის მიერ სამ ბრუნვაში: I სერიაში სახეღღობითში (ხოზოი **გეზალ** „უგზავნის შვიღი“), II სერიაში მოთხრობითში (ოხზოზე **გეზალღ** „გამოუგზავწა შვიღღმა“) და III სერიაში – მიცემითში (ოხზოზე **გეზალს** „გამოუგზავწია შვიღს“).

გარღღამავალ ორპირიან ზმწა-შემასმენღღს ორი სახეღღი უკავშირღღება, ქვემღღებარე და პირღღაპირი დამატება. „რამღღენადმე განსხვავღღებულია რიცხვიში

შეთანხმების ფორმები: სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში და მრავლობითი რიცხვის ნიშნები წარმოდგენილია **-დ** (I და II პ.) და **-ხ** აფიქსებით, ობიექტის მრავლობითობა კი **გუ** (I პ.) და **-ხ** (II და III პ.) აფიქსებით: ემსუ მუშტჷნ **ლანმუშ-გურჷნა** ლელტხას მეზგა (ბზ. 57; 8) „ერთი სვანი სტუმრებია ლენტეხში ოჯახს“; აშხტჷნ ლაბსყალდჷრს ვანი ლიდსენი **ხკჷდახ** (ბზ. 49;10) „ერთხელ ლაბსყალდელებს ხარის დაკვლა ნდომებიათ...“ (23, 33).

ქართულში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქვემდებარე-დამატების ურთიერთობას **იცის/უწყის** ზმნებთან. აღნიშნულ ზმნა-შემასმენელს აწმყოში (და აქედან უწყვეტელსა და I კავშირებითში) ქვემდებარე მოთხრობითში ეწყობა, ხოლო დამატება – სახელობითში.

„ეს თავისებურება განაპირობა ისტორიულმა ვითარებამ: წარმოშობით **იცის** (და **უწყის**) პერმანსივია და თავისი სინტაქსური კონსტრუქცია თანამედროვე ქართულშიც შეინარჩუნა, თუმცა გაგება აწმყოსი მიიღო. **იცის** თავისებურია სხვა მხრივაც: გარდამავალია, მაგრამ მოქმედებითი გვარის არაა, სათავისო ქცევის ნიშანი ა- აქვს, მაგრამ უქცევია. მოხდა ცვლილება ძველი ქართულიდან ახალ ქართულამდისაც: ძველ ქართულში იცის ზმნას ორივე წყობა ჰქონდა (სუბიექტურიც და ობიექტურიც) ახალ ქართულში მხოლოდ სუბიექტური წყობით გვევლინება და ითავსებს სუბიექტთან ერთად მხოლოდ ობიექტურ მესამე პირს“ (23, 95).

აღნიშნული ზმნა ქართველურ ენებშიც არაერთმა მკვლევარმა იკვლია (ნ. აბესაძე, ა. კიზირია, ი. ცერცვაძე...). ა. კიზირიას დაკვირვებით, „**იცის** ზმნა, ქართულის შესატყვისი ფორმა, ზანურსა და სვანურს არ გააჩნია. ამ მნიშვნელობით გამოყენებულია ინვერსიული ზმნები ზანურში **ურქუ(ნ)ურქინ** და სვანურში – **ხოხალ** სვანურშიც იცის ზმნის შესაბამისი **ხოხალ** ინვერსიულია და სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მოითხოვს: **ეჯას ხოხალ** („მან იცის“, სიტყვასიტყვით: „მას იცის“, როგორც ეს ზანურშია)... სვანურში **მ-ი-ხალ**, **ჯ-ი-ხალ**, **ხ-ო-ხალ** ზმნის ძირად გამოყოფილა **ხალ**, მას უკავშირებენ ქართულ **ხ** ძირს, რომელიც გვაქვს სიტყვებში **ხ-ე-და-ვ-ს**, **ი-ხ-ილ-ა**, **ნა-ხ-ა**“ (23, 95-86).

ზოგადი წესი, რომ გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს, ირდევვა ზოგ სტატიკურ ზმნასთანაც – ჰყავს, უყვარს, სძულს...

ამ ტიპის ზმნებთან მიცემითში დასმულ სახელს მკვლევართა ნაწილი დამატებად თვლიდა (ა. შანიძე), ხოლო ნაწილმა დაასაბუთა, რომ აღნიშნული ბრუნვით ქვემდებარეა გამოხატული (არნ. ჩიქობავა): „მიცემითში დასმული სახე-

ლი რეალური სუბიექტი, ზმნაში კი იგი ობიექტის ნიშნითაა (მ-, გ-) წარმოდგენილი" (23, 97).

სვანური არც ამ საკითხში განსხვავდება ქართულისაგან: „ქართული-სებური მდგომარეობაა ჭანურსა და სვანურში: რეალური სუბიექტი მიცემითში დაისმის, რეალური ობიექტი – სახელობითში... აჩქა **ლახლონს უშგულანს** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 369:6) „მაშინ ეწყინათ უშგულელებს“; ალ **დაჟს ხად** ემდორი **თხჟიმ** (ბქვ., იქვე, 118:16) „ამდევს ჰქონდა თორმეტი თავი“; **ციცჟს ხალატ კოტე** „კატას უყვარს კოტე...“ (23, 97-98).

რაც შეეხება ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხს, სხვა ქართველური ენების მსგავსად სვანურშიც ქვემდებარესთან ერთად შესიტყვებას ქმნის ყველა სახის ზმნა-შემასმენელი: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი, ხოლო ობიექტთან – ორპირიანი და სამპირიანი ზმნა-შემასმენელი.

ქართველურ ენებში ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი, არაერთგზის ყოფილა მკვლევართა კვლევის ობიექტი.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ამოსავალია ძვ. ქართულის მონაცემები, ვინაიდან ახლანდელი ვითარება განსხვავდება ძველი ქართულისაგან „სადაც მრავლობითი რიცხვის **ნ** და **თ** ნიშნებიანი ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებდა რიცხვში შემასმენელს, **-ებ** ნიშნიანს კი შეთანხმების უნარი არ ჰქონდა. ახალ ქართულში მრავლობითი რიცხვის **ნ-თ** და **-ებ** ნიშანთა ასეთი დაპირისპირება მოხსნილია: სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან **-ებ** ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა გაუთანაბრდა **ნ** და **თ** ნიშნიანებისას, რის გამოც სულიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვში" (23, 128).

„ქართულში **ებ** სუფიქსიანმა სახელმა შეიძინა **ნ** სუფიქსიან სახელთა მსგავსი გაგება და სცადა მისი მსგავსი სინტაქსური ფორმების გაკეთება... როგორც თ. უთურგაიძე შენიშნავს, **ებ** სუფიქსიან სახელს ახალი ფუნქცია პირველად ადამიანთა გამომხატველ სახელებთან უნდა შეეძინა. ასე უნდა მომხდარიყო მეგრულ-ლაზურშიც" (12, 108-109).

ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს ვინ და რა ჯგუფის სახელებით და, შესაბამისად, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხს, სწორედ, ვინ და რა ჯგუფის სახელთა შეპირისპირების ფონზე განიხილავენ.

სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მოსაზრების თანახმად, „ვინ და რა ჯგუფებად დაყოფა სახელთა ფუნდამენტური მნიშვნელობის დაჯგუფებაა, რომე-

ლიც გამსჭვალავს ქართველურ ენათა მთელ სისტემას. ესაა ბინარული სემანტიკური ოპოზიცია, რომელიც ამოსავალში ადამიანისა და ნივთის მორფოლოგიურ ოპოზიციას ვარაუდობს" (12, 109).

ვინ ნაცვალსახელი ქართველურ ენებში ბრუნვის თვალსაზრისით საინტერესო და განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. სვანურში, ქართულის მსგავსად, **იარ** „ვინ“ ნაცვალსახელს მრ. რიცხვი არა აქვს, სიმრავლის გამოსახატავად ფუძეგაორკეცებული ფორმა **იარიძარ** „ვინდავინ“ გამოიყენება, ხოლო „ზანურში“ სავსებით ბუნებრივია **მი** „ვინ“ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები, რაც გარკვეულწილად მიგვანიშნებს ვინ ჯგუფის სახელთა სინტაქსურ ძალაზე რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით" (12, 110).

რაც შეეხება უსულო საგნით გამოსატულ ქვემდებარეს, ქართველურ ენებში ასეთი აქტანტის ზმნა-შემასმენელთან ურთიერთობა მრავლობით რიცხვში ხან შეთანხმებით აღინიშნება, ხან შეუთანხმებლობით.

„სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულში ჩვეულებრივია მრ. რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, როცა ქვემდებარეა ცხოველის ან ფრინველის სახელი, ხოლო როცა უსულო (არაცოცხალი) საგნის სახელი ქვემდებარეა და მრ. რიცხვში დგას, შემასმენელი შეიძლება შეუთანხმდეს რიცხვში მას და შეიძლება არა. ამგვარი რყევის მიზეზი შეიძლება იყოს ნათარგმნი ლიტერატურა იმ ენებიდან, სადაც ქვემდებარე შემასმენელს უცილობლად მრავლობითში შეიწყობს, ან კიდევ სტილისტიკური აუცილებლობაა მწერლობაში..." (12, 120).

ქართულში თუ ქვემდებარედ პირველი პირია, იგი გამოიხატება **მე** და **ჩვენ** ნაცვალსახელებით. აღნიშნული ნაცვალსახელები ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით არ იცვლებიან, თუმცა სემანტიკურად პირველს მხოლობითის გაგება აქვს, მეორეს კი მრავლობითისა. ხოლო თუ ქვემდებარე მეორე პირია, იგი გამოიხატება **შენ** (მხ. რ.) და **თქვენ** (მრ. რ.) ნაცვალსახელებით. შესაბამისად **ჩვენ** და **თქვენ** (მრ. რ.) ნაცვალსახელებით გამოსატული ქვემდებარე ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში მოითხოვს.

ანალოგიური ვითარებაა სხვა ქართველურ ენებშიც: „თუ სუბიექტი პირველი ან მეორე პირია და დგას მრავლობით რიცხვში, ის ყოველთვის ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში გამონაკლისის გარეშე და ეს შეთანხმება ორმხრივ მარკირებულია. ეს არის საერთო ნორმა, რაც გატარებულია მთლიანად მეგრულსა და ლაზურში" (12, 110).

სვანურშიც I და II პირის გამომხატველი ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში (**ნაა გუაწხუნ** ბაბ (ჩოლ.) „ჩვენ გვჭირდებოდა მღვდელი“; **ნაა ხუეთხელდად** მღვდელს (ლშხ.) „ჩვენ ვეძებდით მწყემსს“; **სგაა ოთჭირედ** ლიწიენალი „თქვენ დააბარეთ მოწვევა“; **სგაა ახვიდუნედ** ლელუნთ ზექ (ლშხ.) „თქვენ შემოატანინეთ საზამთრო შეშა“), III პირისა კი მაშინ, როცა სულიერ საგანს გამოხატავს (**მესტაღლარს** გუნ **დაგრობ ხარახ** უმხუარ ნესგა (ბზ., სვან. ქრესტ., 76) „მესტიელებს მკვლელობა ქონდათ ერთმანეთთან („დაან მკვლელობა ქონდათ ერთმანეთს)“); რაჭხან **ანღვრდახ** უმგულა **გზანურარ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 366:32) „რაჭიდან მოდიოდნენ უშგულის მგზავრები“, ან უსულოა, მაგრამ სულიერის თვისება აქვს, პერსონიფიცირებულია, აქტიურადაა წარმოდგენილი (ალიარმყ **ჭუედუარ იმნარალხ** „ამათთან კედლებიც აყურადებენ (ლშხ.) „ამათთან კედლებიც აყურადებენ“; ეჭკაა დერს იკედ **ქორალი იღრენწიელხ** „ისეთ ხმას იღებს, სახლებიც ქანაობენ“).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა უსულო (არაცოცხალი) საგნის სახელით გამოხატული ქვემდებარე მრავლობით რიცხვში დგას, არ არის გაპიროვნებული და, მიუხედავად ამისა, შემასმენელს მაინც მრ. რიცხვში ითანხმებს. ასეთი წინადადებები არ შეიცავს არანაირ ხატოვნებას და, შესაბამისად, უსულო სახელით გადმოცემული ქვემდებარეც მოკლებულია ყოველგვარ პერსონიფიცირებას:

მერმა-მერმა აგის **ლგგ-ხ მურყუმ-ალ** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 216) „სხვადასხვა ადგილას დგანან კოშკები“

ეჩხენ-ამხენ **ლგგ-ხ ქორუ-ალ** (ჩოლ.) „აქეთ-იქით დგანან სახლები“

მალფხნ **თუენარ ლი-ხ**: მარტ აპრილ ი მწის (ლნტ., იქვე, 40:2) „ზაფხულის თვეები არი-ან: მარტი აპრილი და მაისი“

იმგწვი მამ **ლწსუ-ხ** ხოჩა **შუკუ-არ**, მარე წიბარარშუ ი მიჯურალშუ ხუიგჭად თხუმ ი ეჩინ ესლურდად (ბზ., სვან. ქრესტ., 149) „სხვაგანაც არ იყო კარგი გზები, მაგრამ წრიაპებით და ჯოხებით ვიჭერდით თავს და ისე მივდიდით“

თხუმ-არ ჭუძდისგა **ხეხწან-ხ** ი **კაცხ-არ** გუალჟინ **არდა-ხ** (საუბარია ღირეზე: ათხე დარუ დორს ხოდწსგდა ჭუძდხწანქა) (იქვე, 36) „თავები კედელში გაყრილიყვნენ და წვერები ბაგაზე იყვნენ“

ჩუბზე ლახმელს ლი ნენსგა სუფ, სუფლისგა **ლგგ** ზესხ, მიჩა გგრკდიშენ ჩიზღ **ლასგურა ბაჩ-არ ლგგ-ხ** (ბქ., იქვე, 185) „ქვედა ლახამულაში არის სოფლის

მოედანი, მოედანზე დგას ცაცხვი, მის ირგვლივ ყველგან დასაჯდომი ქვებია („დგანან")

კუმში ლალდლიარ **ლახუ-არ** შტანზე დემე **არი-ხ**, მარა აღდარ ხუნდ უსგრეებად **არიხ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 266) „საქონლის საძოვრები სვანეთისხელა არსად არის („არიან"), მაგრამ ესენი ბევრი უსარგებლოდ არის („არიან")"

ისგუა **ნარგადუზრდ** მი ბაჟ ქა **ამკიდხ** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 342,2) „შენმა სიტყვებმა მე გონება წამართვეს"

განსხვავებით ქართულისაგან (სადაც **რა** კითხვით ნაცვალსახელს ორივე მრავლობითი ეწარმოება), სხვა ქართველურ ენებში **რა** კითხვით ნაცვალსახელთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი სურათი იკვეთება: „ლაზურში **მუ** „რა" ნაცვალსახელის მრავლობითი გამოიხატება **მუფე** (იშვიათად **მუეფე**) ფორმით, ხოლო მეგრულში **მუ** მრავლობითს არ აწარმოებს. იშვიათად მრავლობითის სემანტიკის აღსანიშნავად მეგრული მიმართავს **მუ** ნაცვალსახელური ფუძის გაორმაგებას" (12, 121).

სვანურშიც, მეგრულის მსგავსად, აღნიშნული ნაცვალსახელი მრავლობითობას ფუძეგაორკეცებით გამოხატავს, მაგ.: **მანმან||მან** „რა" (მხ. რ.) და **მაიმან** „რადარა" (მრ. რ.) – **მაიმან** ეჯჯიდხ? „რადარა მოგიტანეს?"

სვანურში ქვემდებარე, როცა უსულო საგნის სახელია, შემასმენელთან ურთიერთობა მრ. რიცხვში ხან შეთანხმებით აღინიშნება, ხან შეუთანხმებლობით. უფრო მეტიც, ერთნაირი ქვემდებარეებიც სხვადასხვაობას ამჟღავნებენ და, შესაბამისად, ვხვდებით ასეთ პარალელურ ფორმებს:

თოფ-არ შეედნი-ხ აშთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 68,17) „თოფები ვარდებიან ერთ მხარეს"

ქორწილობეი ჩიგარ **იცრიელი თოფ-არ** (ლშხ.) „ქორწილისას ყოველთვის იცლება („ცარიელდება") თოფები"

იწარგნეი **ქორ-ალ** მან **ლგ-ხ** (ლშხ.) „იწარსიქით სახლები არ დგანან"

ზაგალრდი მხარეხენ ათხედ ჩუ **ლგ ქორუ-ალ** (ჩოლ.) „ზაგალოდის მხარეზე ახლაც დგას სახლები"

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, სულიერი (რა ჯგუფის) სახელით გამოხატულ ქვემდებარესაც შესწევს ძალა ზმნა-შემასმენლის მრ. რიცხვში შეთანხმებისა, მაგ.:

დერხი **ვან-არ** კვლთხი ლუმუჟ **ლი-ხ** ი დერხი დამბალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 263) „ზოგი ხარები მაღალრქიანი არიან და ზოგი დაბალი"

ძირს ჩუ ლემოდ უსკუარ ჩუ **ლაღემე-ხ დაკლ-არდ** (ლშხ.) „ძირს ჩამოყრილი ვაშლები შეჭამეს თხებმა“

სგა **ხეჭუნდროლ-ხ ქათლ-არ** სიმინდი კაკალი ლაკენკუას (ჩოლ.) „შემოეხვეოდნენ ქათმები სიმინდის კაკლის აკენკვას“

აღე საყულიას **ბაყე-არ ყიყნე-ხ** მედად, ამკად დესმა მიწუა (ჩოლ.) „ამ საყულიაში [რომ] ბაყაყები ყიყნებენ ყოველთვის, ასეთი არაფერი მინახავს“...

როგორც ცნობილია, სახელით გადმოცემულ წინადადების წევრებს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელი. „სალიტერატურო ენის ნორმის თანახმად, ასეთი სახელებით განსაზღვრული ქვემდებარე დგას მხოლოდობით რიცხვში, შემასმენელსაც მხოლოდობით რიცხვში ითანხმებს. მეგრულსა და ლაზურში ეს ნორმა დარღვეულია“ (12, 113).

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული წინადადების მთავარი წევრი, შეიძლება, მხოლოდობითშიც შეგვხვდეს და მრავლობითშიც. მხოლოდობითი რიცხვი.

სემი მუხტბე ხეგნოლ-ხ ეშხუდ (ჩოლ.) „სამი ძმა გაუდგებოდნენ ერთად“

ეჩქა **ანვედენი-ხ** ლოქ ამელექუა **სემი დაკვლ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 139) „მაშინ ჩამოვლენო აქ ქვემოთ სამი თხა“

მრავლობითი რიცხვი.

ზავარ ლექუა **ჩხარა დაჟ-ვარ აღმწული-ხ** (იქვე, 207,32) „ზეგანზე ცხრა დევები მოდიოდნენ („მონავალან“)"

სემი ზურლ-ალ იღრალდა-ხ (ჩოლ.) „სამი ქალები მღეროდნენ“...

რაოდენობითი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე (ორივე: ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფისა) დგას მრავლობით რიცხვში და შემასმენელსაც ითანხმებს მრავლობითში:

იმეგ **ვარი-ხ ეშდიორი ლახტბა** (ბქ., სვან. ქრესტ., 228) „სადღაც არიან თორმეტი ძმები“

არდა-ხ სუმინ ჩხარა ლახტბა (იქვე, 224) „იყვნენ სამჯერ ცხრა ძმები“

დერბი ლახტბას ხვედი-ხ, მატრენე მუხტბეს მწდ ხვედი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 128) „ორ ძმებს სძინავთ, უმცროს ძმას არ ძინავს“

დერბი ჭყენტ-ვარ ვმეჩედლი-ხ ლწთხუიარხო (იქვე, 134) „ორი ბიჭები წასულან სანადიროდ“

ღემწარდელი-ხ დერბი ლახტბა (იქვე, 149) „ყოფილან ორი ძმები“

დერბი აფხანნიკ-პრ ლემპარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 296) „ორი ამხანაგები ყოფილან“

ზნდსა პრი **დემტდერბი თუე, აღმინ ლი-ხ:** ქუწხი (იანტარ)... (იქვე, 39:31) „წელიწადში არის თორმეტი თვე, ესენი არი-ან: იანვარი“...

იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება შემთხვევები, როცა ასეთი ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვშია და ზმნა-შემასმენელი კი მრავლობითში, ან პირიქით, შემასმენელი მხოლოდობითშია და ქვემდებარე კი მრავლობითის სემანტიკას შეიცავს.

ლემარდელი-ხ ეშხუ სოფელ (ლნტ., სვან. ქრესტ., 330) „ყოფილან ერთი სოფელი“

არი ამეჩუ **სემი ლახუბა** (ლშხ., იქვე, 282) „არის აქ სამი ძმები“

უსულს საგნით გამოხატული ქვემდებარე დგას მხოლოდობით რიცხვში და ზმნა-შემასმენელს შეიწყობს მრავლობითში:

ალ **ლიტრელან ლი-ხ:** კაკობაა, უირობია... (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 42,4) „ეს თამაში არი-ან კაკობაა, ვირობია“...

როცა ქვემდებარედ წარმოდგენილია სულიერი (ვინ ჯგუფის) საგნების აღმნიშვნელ სახელთა შეერთებით მიღებული კომპოზიტი, მას ზმნა-შემასმენელი მრავლობით რიცხვში შეეწყობა:

ლანსხუ ეშხუ ხეხუ-ჭანუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 262) „იყვნენ ერთი ცოლ-ქმარი“

იმეგ **პრის მუ-გეზალ** (ბქ., სვან. ქრესტ., 223) „სადღაც არიან მამა-შვილი“

არდხ ეშხუ **დესუ-ჭანუ** (ბქ.) „იყვნენ ერთი ცოლ-ქმარი“

ლემარდელის აშხუ აგის ეშხუ **დესუ-ჭანუ** (ლნტ., იქვე, 343) „ყოფილან ერთ ალაგას ერთი ცოლ-ქმარი“

თუმცა დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მსგავსი კომპოზიტებით გამოხატულ ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლოდობით რიცხვშია:

პრდა ეშხუ **დესუ-ჭანუ** (ლშხ., იქვე, 277) „ყო ერთი ცოლ-ქმარი“...

ლემარდელი ეშხუ **დესუ-ჭანუ** (ლნტ., იქვე, 333) „ყოფილა ერთი ცოლ-ქმარი“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, რა ჯგუფის სახელით გამოხატულ სუბიექტს, მიუხედავად იმისა, სულიერ ჯგუფს განეკუთვნება თუ უსულს, ხშირ შემთხვევაში შესწევს უნარი ზმნა-შემასმენლის შეთანხმებისა, ორმხრივ მარკირებასთან ერთად დასტურდება ცალმხრივი მარკირების შემთხვევებიც.

სვანურში, მიუხედავად იმისა უსულო საგანი არის თუ არა პერსონიფიცირებული, ანუ აქტიურად წარმოდგენილი, ქართულისგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში, შეთანხმება მაინც გვაქვს ორმხრივი მარკირებით:

ეჟი კოჯლექტა ჩიგარ ამჟი **შგდნი-ხ ბეჩ-არ** (ლშხ.) „იმ კლდიდან ყოველთვის ასე იყრებიან ქვები“

მურაბაშდ ნესგალექტა **იმრჟშთხტნირი-ხ უსგჟ-არ** (ლშხ.) „მურაბისთვის შუაზე იჭრებიან („ოთხად იპობიან“) ვაშლები“

ყაყჩირხენქა სგა **ხებიდ-ხ ხილა-არ-ს** (ჩოლ.) „პაპანაქება მზისგან („სიცხისგან“) ცეცხლი უკიდიათ ხეებს“

დრსკა ნაგამ ჯტინელ **ქორ-ალ** ხოლა ლინთუს დემ **ხოგიჭ-ხ** (ჩოლ.) „ადრე აშენებული ძველი სახლები ცუდ ზამთარს ვერ უძლებენ“

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სვანურში უსულო საგნით გამოხატული სუბიექტის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში ქართულისაგან განსხვავებული სურათი გვაქვს, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა უსულო (არაცოცხალი) საგნის სახელით გამოხატული ქვემდებარე მრავლობით რიცხვში დგას, არ არის გაპიროვნებული (მოკლებულია ყოველგვარ პერსონიფიცირებას) და, მიუხედავად ამისა, შემასმენელს მაინც მრ. რიცხვში ითანხმებს.

§ 6. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის მართვით-შეთანხმებითი ურთიერთობა. რთული ქვეწყობილი წინადადება, შედგება ერთმანეთის მიმართ არათანასწორი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისგან, რომელთაგან ერთი მთავარია ანუ ასახსნელი, მეორე (ან დანარჩენები) დამოკიდებული ანუ ამხსნელი.

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთობა სიტყვათა დაქვემდებარებაში შემავალ სიტყვათა ანალოგიურია, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული, წამყვანი, სიტყვის ამხსნელი.

ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებებით ხდება, ე. ი. „დაქვემდებარებას აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნულად არის გამოხატული, ზოგი კი მის შინაგან ნიშანს წარმოადგენს“ (16, 326).

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად ენა მაქვემდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიზედების გარდა იყენებს ფორმაცვალებად, სრულმნიშვნელოვან სიტყვებსაც – მიმართებით ნაცვალსახე-

ლებს. განსხვავებით მაქვემდებარებელი კავშირებისაგან, საკავშირებელი სიტყვები წევრ-კავშირებია.

მთავარ წინადადებაში გვხვდება ასახსნელი წევრი და კორელატი; „**ასახსნელია** მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს. ეს წევრი შეიძლება გამოხატული იყოს სახელით ან ზმნით. თუ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს ხსნის, ამ წევრს მისამართ სიტყვასაც უწოდებენ. **კორელატი** დამოკიდებული წინადადების შესაფარდებელია მთავარ წინადადებაში. კორელატად იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები. კორელატად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელს შეიძლება **მისათითებელი სიტყვაც ეწოდოს**" (1, 105).

მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადება ხსნის და განსაზღვრავს მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს, ასახსნელ წევრს, ანუ მისამართ სიტყვას.

მიმართებით ნაცვალსახელსა და მისათითებელ სიტყვას შორის გარკვეული სინტაქსური ურთიერთობაა. მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი.

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსურ ურთიერთობას ქართულში არა ერთი მკვლევარი შეეხო და აღნიშნულ საკითხს ფასეული გამოკვლევებიც მიუძღვნა (ლ. კვანტალიანი, „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“; კ. დონდუა, „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძვ. ქართულში“...).

განვიხილოთ აღნიშნული საკითხი სვანური მონაცემების მიხედვით და ყურადღება **ხედი|ხედა** „რომელი“ ნაცვალსახელზე გავამახვილოთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ **ხედი|ხედა** ნაცვალსახელს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება ექვსივე ბრუნვა როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

ვითვალისწინებთ რა სვანურის ოთხივე დიალექტის, ასევე, ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კოლოკაგის მონაცემებს, განსახილველ ნაცვალსახელს პირველ რიგში წარმოვადგენთ ბრუნების კატეგორიის მიხედვით რო-

გორც ნაწილაკდართულს, ასევე უნაწილაკოდ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

ბზ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედა „რომელი“	ხედავრ „რომლები“
მოთხ.	ხედად ხედნემ	ხედავრდ
მიც.	ხედას	ხედავრს
ნათ.	ხედემიშ	ხედავრემშ
მოქმ.	ხედაშჲ ხედნოჲშ	ხედავრჲშ
ვით.	ხედად	ხედავრდ

ბზ. -ჲნა ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედჲნა	ხედავრჲნა
მოთხ.	ხედჲნად	ხედავრჲნად ხედავრდჲნად ხედჲნავრდ
მიც.	ხედჲნას	ხედავრჲნას ხედავრსჲნას
ნათ.	ხედჲნაშ	ხედავრჲნაშ ხედავრიშჲნაშ
მოქმ.	ხედჲნაშჲ	ხედავრჲნაშჲ ხედავრშჲნაშ
ვით.	ხედჲნად	ხედავრჲნად ხედავრდჲნად

ბჟ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედი	ხედავრ
მოთხ.	ხედიდ	ხედავრდ
მიც.	ხედის	ხედავრს
ნათ.	ხედაშ	ხედავრემშ
მოქმ.	ხედაშჲ	ხედავრშჲ
ვით.	ხედიდ	ხედავრდ

ბალსქვემოურში, როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მიმართებითების ნაწილაკიანი წარმოება არა გვაქვს, თუმცა იშვიათად ცხუმარულ კილოკავში ნათესაობითისა და მოქმედებითის მრავლობით რიცხვში შეიძლება შეგვხვდეს ხედოლუემ, ხედოლუემჲ ფორმები:

ლხმ.

მხ. რ.	მრ. რ.
--------	--------

სახ.	ხედა	ხელოლუ
მოთხ.	ხედად	ხელოლუდ
მიც.	ხედას	ხელოლუს
ნათ.	ხედაშიშ	ხელოლეშ
მოქმ.	ხელოშუ	ხელოლშუ
ვით.	ხედად	ხელოლუდ

ლხმ. -ჟნ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედჟნ	–
მოთხ.	ხედჟნდ	–
მიც.	ხედჟნშ	–
ნათ.	ხედჟნშიშ	–
მოქმ.	ხედჟოშ	–
ვით.	ხედჟნდ	–

ლნტ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელი	ხელმინ
მოთხ.	ხელიდ	ხელმინდ
მიც.	ხელის	ხელმინს
ნათ.	ხელიჲშ	ხელმინეშ
მოქმ.	ხელიჟუ	ხელმინჟუ
ვით.	ხელიდ ხედად	ხელმინდ

ლნტ. -ჟნ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხედჟნჲ	ხელმინჟნჲ
მოთხ.	ხედჟნჲდ	ხელმინჟნჲდ
მიც.	ხედჟნჲს	ხელმინჟნჲს
ნათ.	ხედჟნჲშ	ხელმინჟნჲშ
მოქმ.	ხედჟნჲჟუ	ხელმინჟნჲჟუ
ვით.	ხედჟნჲდ	ხელმინჟნჲდ

ლშხ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელი	ხელდარ
მოთხ.	ხელიდ ხელინემ ხელნემ ხელნემდ	ხელდარდ
მიც.	ხელის	ხელდარს
ნათ.	ხელნემ ხელნემიშ	ხელდარემ
მოქმ.	ხელიტუშ ხელინრტუშ	ხელდარტუშ
ვით.	ხელიდ	ხელდარდ

ლშხ. -ტაჲ|-ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელტაჲ –	–
მოთხ.	ხელტაჲდ ხელტაჲდრ	–
მიც.	ხელტაჲს ხელტაჲსრ	–
ნათ.	ხელტაჲშ ხელტაჲშრ	–
მოქმ.	ხელტაჲტუშ ხელტაჲტუშრ	–
ვით.	ხელტაჲდ ხელტაჲდრ	–

ლშხ. -რ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელრ	ხელდარრ
მოთხ.	ხელიდრ	ხელდარდრ
მიც.	ხელისრ	ხელდარსრ
ნათ.	ხელრშ ხელრშიშ	ხელდარემრ
მოქმ.	ხელიტუშრ ხელნემტუშრ	ხელდარტუშრ
ვით.	ხელიდრ	ხელდარდრ

ჩოლ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელი	ხელდარ
მოთხ.	ხელიდ ხელინემ ხელნემ ხელნემდ	ხელდარდ
მიც.	ხელის	ხელდარს
ნათ.	ხელნემ ხელნემიშ	ხელდარემ
მოქმ.	ხელიტუშ ხელინრტუშ ხელნრტუშ	ხელდარტუშ
ვით.	ხელიდ	ხელდარდ

ჩოლ. -ჟნაჲ-ჟნაჲ-ი ნაწილაკიანი

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ხელიჟნაჲ ხელიჟნაჲ –	ხელიარჟნაჲ –
მოთხ.	ხელიჟნაჲდ ხელიჟნაჲდ	ხელიარჟნაჲდ ხელიარჟნაჲდ
მიც.	ხელიჟნაჲს ხელიჟნაჲს	ხელიარჟნაჲს ხელიარჟნაჲს
ნათ.	ხელიჟნაჲში ხელიჟნაჲში ხელიჟნაჲში ხელიჟნაჲში	ხელიარჟნაჲში ხელიარჟნაჲში
მოქმ.	ხელიჟნაჲჟში ხელიჟნაჲჟში	ხელიარჟნაჲჟში ხელიარჟნაჲჟში
ვით.	ხელიჟნაჲდ ხელიჟნაჲდ	ხელიარჟნაჲდ ხელიარჟნაჲდ

ჩოლ. -ი ნაწილაკიანი

მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხელი
მოთხ.	ხელიდ
მიც.	ხელის
ნათ.	ხელიში ხელიში
მოქმ.	ხელიჟში ხელიჟში
ვით.	ხელიდ

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში დიალექტები არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიჩვენებ. საინტერესო და, ამავე დროს, ჭრელი სურათი გვაქვს. დასტურდება როგორც ნაწილაკშეზრდილი (**ხელი-ჟნაჲ-დ**), ასევე ნაწილაკშეუზრდილი (**ხელი-დ-ი**) და ნარევი წარმოებაც (ჩოლ.) **ხელი-ჟნაჲ-დ-ი** (ბზ.) **ხელიჟნაჲდ**. ბალსზემოურისა და ჩოლურულის მონაცემებისგან განსხვავებით, დანარჩენ დიალექტებში **-ჟნაჲ** ნაწილაკიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები არ იწარმოება. ლაშხური **-ი** ნაწილაკიან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბალსქვემოურსა და ლახამულურში ნაწილაკიანი წარმოება შედარებით იშვიათია.

აღნიშნული მიმართებით ნაცვალსახელი ყველაზე სრულ და მრავალფეროვან სურათს მაინც ჩოლურულში იძლევა, სადაც ერთადაა თავმოყრილი ბალსზემოურისა და ლაშხურისათვის წარმოდგენილი ფორმები და, რაც ყველაზე საინტერესოა, სრულიად ბუნებრივად ენაცვლება წარმოდგენილი პარალელური ფორმები ერთმანეთს მეტყველებისას.

საყურადღებოა, რომ სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში საანალიზო მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის მრავლობით რიცხვში დადასტურება მხოლოდ ორ დიალექტში მოხერხდა – პროზაში

ლაშხური დიალექტის სამი ილუსტრაცია, რომლებშიც აღნიშნული წევრ-კავშირიცა და საკორელაციო სიტყვაც მრავლობით რიცხვშია და ლენტეხური დიალექტის ერთი წინადადება, სადაც მისამართი სიტყვა მრ. რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელი კი მხოლობითის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ.:

ჩაფრასტანლ თეთრიშ ლიხ ტყელდ ლგშკანდე ი ლუშდბუნე **თეთრი მგშკდარეშ, ხედდარნ** ჭუინელდ ლგმარდხ შუანისა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 56,11) „სამკაულები ფულისაა ბრტყლად ნაჭედი და ნამუშევარი ფულის მჭედლებისა, რომლებიც ძველად ყოფილან სვანეთში“

ეჩანდო ლაფურს ასფუსნენახ ჭარგალ **გელტუნარ, ხედდარნ** ერე ეჩქაშია დროიჟი ლაშხს ლგმზიგელიხ ი ლაშხე ფუსნარ ლგმარხ (იქვე, 191,21) „მერე ლაფურს დაეპატრონენ ბატონები გელოვანები, რომლებიც რომ მაშინდელ დროზე ლაშხეთში ცხოვრობდნენ და ლაშხეთის ბატონები ყოფილან“

ხოჩა ლუმუჭ ვანარ ი ხოჩა **ვანარ, ხედდარნ** ერე ხოშა თაშარ ლიხ, ლომგმანტ აგ-ნეხ მახტრენე ვანლარს (ლშხ. სვან. პროზ. ტექსტ., 224) „კარგი რქიანი ხარები და კარგი ხარები, რომლებიც რომ მთავარი არიან, უკან აყენებენ უმცროს ხარებს“

აშხტ ლადელ ლახეშყადხ მიჩა ჭუინელ **აფხანკარს, ხედტუა** ერ ლითურის ქათაყეჩახ, ეჰმინს, ამეჩედელიხ აფხანკი ლათხელიხო (ლნტ., იქვე, 183) „ერთ დღეს გაახსენდათ თავის ძველ ამხანაგებს, რომლებმაც (რომელიც, რომ) სწავლა მიატოვეს, მათ, წასულან ამხანაგის საძებნელად“.

სხვა დიალექტებში წინადადების განსახილველი წევრები მრ. რიცხვის ფორმით არ დაფიქსირებულა, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ზეპირ მეტყველებაში არცთუ იშვიათად იხმარება და შეგვეცდებით ქართულთან მიმართებაში ყველა შესაძლო ვარიანტი წარმოვაჩინოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში კი გამოთქმულია მოსაზრება რომ, „სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს... სვანურში არც ერთ ნაცვალსახელს არა აქვს მრავლობითის ფორმა, ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხი მოხსნილია. რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის...“ (1, 115-145).

გამოთქმულ მოსაზრებას შემდგომში არა ერთი მკვლევარი იმეორებს (არ. მარტიროსოვი, ლ. კვანტალიანი, ა. კიზირია).

არ. მარტიროსოვი თავის ნაშრომში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ **ხედუწ||ხედი** მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნების მიხედვით წარმოგვიდგენს და ასკვნის, რომ „**ხედუწა...** ნაცვალსახელს მხოლოდ ნაწილაკშეზრდილი ფორმები მოეპოვება. ლაშხურში ეს ნაცვალსახელი **უწა**-ს ძალზე იშვიათად დაირთავს, მიმართებითობის გადმოსაცემად აქ **-ი** ნაწილაკი იხმარება, იგი შეუზრდელია, უშუალოდ დაერთვის ნაბრუნებ ფორმას“ (26, 357), თუმცა ჩვენ მიერ განხილულ მასალებში დადასტურდა როგორც ნაწილაკშეზრდილი (**ხედ-უწა-დ**), ასევე ნაწილაკშეუზრდელი (**ხედი-დ-ი**) და ნარევი წარმოებაც (ჩოლ.) **ხედ-უწა-დ-ი** (ბზ.) **ხედუწაწარდ**).

როგორც არაერთგზის აღინიშნა, მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის სინტაქსური კავშირი მხოლოდ რიცხვის მიხედვით ხდება. მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და, შესაბამისად, მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ვინაიდან, გაზიარებული იყო შეხედულება, რომ სვანურში არცერთ მიმართებით ნაცვალსახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა და ამდენად მოხსნილი იყო საკითხი მისამართ წევრთან მისი რიცხვში შეთანხმებისა, განხილვებოდა მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება, „...რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრ. რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის“ წერს ნ. აბესაძე (1, 145).

სვანური სინტაქსის მკვლევარი, როგორც ჩანს, ამ დასკვნამდე იმ გარემოებამ მიიყვანა, რომ ფიქსირებულ სვანურ მასალაში არ იყო წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების მაგალითები.

შეთანხმებისათვის აუცილებელია, ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში მყოფ სიტყვებს საზიარო გრამატიკული კატეგორია ჰქონდეთ, კატეგორია, რომელშიც შეთანხმების შემთხვევაში ორივე წევრი დგას, ანუ მათანხმებელს (მისამართ სიტყვას) უნდა ჰქონდეს მრავლობითი რიცხვის ფორმა და მიმარ-

თებით ნაცვალსახელსაც უნდა შეეძლოს წამყვანი სიტყვის ფორმის მიღება. თუ ერთ-ერთ მათგანს არა აქვს მრ. რიცხვი, შეთანხმების საკითხი აღარ დადგება.

როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილიქნა მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პარადიგმები სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით და ვინაიდან მიმართებით ნაცვალსახელს აქვს მრ. რიცხვის ფორმა, ასახსნელ წევრთან შეთანხმების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა იდგეს.

საკვლეგია, როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს შეთანხმება, ან ქართულთან მიმართებაში რაიმე სხვაობას ხომ არ გვიჩვენებს; ილუსტრაციებს ძირითადად ჩოლურულის მონაცემების მიხედვით წარმოვადგენთ, ვინაიდან ამ მეტყველებაში ნაწილაკთა მრავალფეროვანი წარმოება გვხვდება.

მისამართი სიტყვა, თუ იგი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია, მრავლობით რიცხვში ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს:

სგ'უნსიბეხ **აღმარდა**, **ხედარღი** ეღსიმნეხ ნაგერგალ „შემოიარეს ამათმა, აი, რომლებმაც ყურადიღეს ნალაპარაკევი“

ეჯარ აღრიხ, **ხედარჷა** ბეფშს ღოშკინპილხო ესტჷირეხ „ისინი წავლენ, რომლებიც ბავშვს ბოლოს დაიტოვებენ“

ხედარჷა კჷიმტჷან ნინეშ ლასხ, **ეჯარ** ჯრღიას არღახ „რომლებიც ენა კვიმატიანები იყვნენ, ისინი შორს იყვნენ“

ითშის **ეჯარს**, **ხედარჷე** ოჯახარისაჲ ხეკჷეს ენსეჷნს ალ სუფრა „ირჩევენ მათ, რომელთა ოჯახებშიც უნდა გაკეთდეს ეს სუფრა“...

იშვიათად ცოცხალი საგნის გამომხატველი მისამართი სიტყვა ფორმოზრივად ვერ ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს; მისამართი წევრი მრავლობითშია, მიმართებითი კი მხოლოდითში. მაგ.:

ხედჷა ერ ლითჷერის ქათაყეჩახ, **ეჯინ** აჷმეჩედელიხ აფხანკი ლათხელიხო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 183.) „რომლებსაც სწავლისათვის თავი დაუნებებიათ („რომელიც რომ სწავლას განებებიათ“), ისინი წასულან ამხანაგის საძებნელად“

გვაქვს შემთხვევები, როდესაც უსულო საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვა ითანხმებს რიცხვში მიმართებით ნაცვალსახელს:

ქა ლეცჷრე ხნღახ **ეჯ სოფლარ**, **ხედარსი** ჟადობ ხენტჷრეხ „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავიანობა ემუქრება“

ქა ტგხე **ნაგერგლარს**, **ხედარჷში** ეშბჷრ ხარცხჷე ხალხს „მიაქვს ენები („დააბრუნებს ნალაპარაკეებს“), რომლებითაც ერთმანეთს ახოცავს ხალხს“...

უნდა აღინიშნოს, რომ სულიერ, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელ მისამართ სიტყვასთან მრავლობითში შეწყობილ განსახილველ (**ხედუწა**) მიმართებით ნაცვალსახელს, თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს მიმართებითი ნაცვალსახელი **დერუწა** „ვინც“ და ასეთ შემთხვევაში ასახსნელ წევრსა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს, ვინაიდან სვანურში აღნიშნულ ნაცვალსახელს მრავლობითი არ ეწარმოება და მრავლობითობა მხოლოდ კონტექსტის მიხედვით ივარაუდება;

სგ'ენტკულნნან ზურლანრს ი ღუაყარს, **ხედმარწი||მარწი** ანწყინარახ ათხად „დაეცაკა (შეერია) კაცებს და ქალებს, რომლებიც||ვინც ამშვიდებდნენ აქამდე“

ეჯმარ აღრიხ, **ხედმარუწა||მარუწა** ბეფშს ღოშკინპილხო ესცუტირეხ (ჩოლ.) „ისინი წავლენ, რომლებიც||ვინც ბავშვს ბოლოს დაიტოვებენ“

ღოშკინპილს ქა ხალრისეხ ეჯის, **ხედწიშწი||ხედუწაშწი||ხედუწაშწი||დერუწაშწი** ლას ნადან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსეს მას, რომლისაც||ვისიც იყო გოგო“

სვანურში, ქართულის მსგავსად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი ან განუსაზღვრელ რაოდენობაზე მიმითებელი სხვა რომელიმე სიტყვა.

როდესაც მსაზღვრელად გამოყენებულია განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (**ხუწა** „ბევრი“, **მანდხუწა** „ცოტაოდენი“, **ქუწყანა** „უამრავი“, **ქოყანამაგ** „მრავალი“), ძვ. ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო მიმართებითი ნაცვალსახელი სვანურში ყველა შემთხვევაში მრავლობით რიცხვში იქნება. მაგ., ჩოლ.:

ჩოსწყუნენ **ქოყანამაგ ბოფშარ**, **ხედმარსწი** ნაქუთარ ტისკულარ ხოყდნანნან „დავინახე უამრავი ბავშვები, რომელთაც მონაპარი ნაქურდალი ვაშლები ეჭირათ“

ჩოთშიდ სგობინჩუ **ხუწა ძიჟარანლ**, **ხედმარწი** ეშ ანარიესდახ „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც ანათებდნენ“

აშყუდლუდახ **მანდხუწა ზურლანლ**, **ხედმარდუწა** ოთბაცეხ ლიმურჯი „რეცხავდნენ რამდენიმე („ცოტაოდენი“) ქალები, რომლებიც შეპირდნენ დახმარებას“

ხუწა ჟობელ-ჟოჯარდ ხოგუწკურება, **ხედმარწი** ლადი აშამსწი დამ ხატხეხ „ბევრი ობლისთვის მოუვლია, რომლებიც დღეს მადლობას არ უბრუნებენ“

ქუწყანან გაკს ალე აფთხენე, **ხედმარსწი** ჟი მეშტხე ხარხ პატრონ „ყველას კაკალს ეს ფერთხავს, რომელთაც ამოუწყდათ პატრონი“

ჟი ლუზგუტე ლას **ხუა ზურალ, ხედარდნი** ხოლა მინან ანსუცხ „შეგრო-
ვებულიყენენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს“...

როცა სულიერი საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვის მსაზღვრელად
რიცხვითი სახელია, მისამართი სიტყვა მხოლოდით რიცხვშია, ხოლო მიმართები-
თი სიტყვა მრავლობითში შეეწყობა:

ქანსკინენ **აერქდა მახელუაჟდ, ხედარუაჟ** ქემ ლემგენელიხ (ჩოლ.)
„გადმობტენენ ორივე ბიჭი, რომლებიც გარეთ მდგარან“

ემხუ-აერუ მარე ელო ედქუთნი, **ხედარსნი** აჯახ ხობიცხ (ჩოლ.) „ერთი-ორი
კაცი თუ გაინძრევა, რომელთაც კიდევ ერჩით ძალა“

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა ასეთ მსაზღვრულთან, უსულო საგნის
აღმნიშვნელ ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი მაინც მრავლო-
ბითშია:

ქა იზგინ **ჩხარა წკაბ, ხედარნი** ხეკუეს მახა მეჯდად ლოხთუნან (ჩოლ.) „მოით-
ხოვა ცხრა სასმისი, რომლებიც ახალ მოსულთათვის უნდა დაეღვინებინათ“

რიცხვითი სახელით განსაზღვრულ უსულო საგნის გამომხატველ
მისამართ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდით რიცხვშია:

ემხუ ხოშა ოთახისა, ხედუაჟ ერ თელდ ოქრუჟ ლასჟ ლემარე, ოქრუჟ ტახტუი
ბაყაყ ხეყადხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 322) „ერთ დიდ ოთახში, რომელიც სულ
ოქროთი იყო მორთული, ოქროს ტახტზე ბაყაყი ჰყავდათ“.

„სალიტერატურო ქართულში ერთზე მეტის აღმნიშვნელი მსაზღვრელით
წარმოდგენილ მისამართ სიტყვასთან კანონზომიერია და ფართოდ გავრცელე-
ბული მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითში დასმა, ე.ი. აზრობრივი შე-
თანხმება, რაკი მისამართი სიტყვის სიმრავლე ლექსიკური საშუალებით
(მსაზღვრელებით) არის გამოსახული... ფორმის მიხედვით შეთანხმება, ე.ი. წევრ
კავშირის მხოლოდობითში დასმა, მხოლოდ მაშინ ჩანს გამართლებული, თუ
ასახსნელი წევრი ისეთი საგნის სახელია, რომელიც ცალობითს ერთეულებად
არ ნაწილდება...“ (16, 86-87).

მისამართი სიტყვა შეიძლება გადმოიცეს კრებითი სახელებითაც, ასეთ
ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში შეთანხმე-
ბულია მათანხმებელთან ფორმის მიხედვით:

იტფურალდახ **ნადანუ, ხედარსნი** ნადირ ახჭემახ (ჩოლ.) „ვიშიშებდნენ
(„იტყავებდნენ“) გოგოები, რომელთაც ნადირი გამოკიდებიათ“

ათურნლდა ღოშქმე **ჯოჯარს**, **ხედარსტუნი** ფარნაოზ ხოჟოლტუდა (ხოლ.) „ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძლოდა“

ქა ლეცტრე ხნდახ **ეჯ სოფლარ**, **ხედარსი** ჟადობ ხენტტუბ (ხოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომლებსაც ზვაევი ემუქრებოდათ“ და ა. შ.

მათანხმებელიც და შეთანხმებულიც მხოლოებით რიცხვში დგას:

ანჯაღხ **ლაშქარტუშ**, **ხედ** თელ ჩოლირისა ანხურიელეხ (ხოლ.) „მოვიდნენ ლაშქრით, რომელიც მთელ ჩოლურში მოაგროვეს“

ქედქიხ **ეჯი ჯოგი** ლიგედლ, **ხედტუშდსი** მაშენე მანკუტი ანდელდახ (ხოლ.) „დააგვიანა იმ ჯოგის მოსვლამ, რომელსაც ყველაზე ადრე ელოდნენ“

ოთზგზახ ეჭკალი ხალხ, **ხედისი** ღოშქინ მუწუტრი-მეტხნელი მრმ ხასდენოლნა (ხოლ.) „გაუგზავნიათ ისეთი ხალხი, რომელსაც უკან მსისხლებელ-მომკითხავი არ რჩებოდა“

გვაქვს აზრობრივი შეთანხმების ისეთი შემთხვევებიც, როცა ამხსნელი წევრი მრავლობითშია, ხოლო კრებითი სახელით გადმოცემული ასახსნელი წევრი მხოლოდობით:

ეჯი ხალხი ცოდ ოთხტირე ღულაღს, **ხედარსი** ხოლლატე (ხოლ.) „იმ ხალხის ცოდვა მოეკითხება („დაუნგრევს მუხლს“), რომელთაც უღალატა“

როულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება მოგვევლინოს ერთდროულად რამდენიმე მისამართი სიტყვის ამხსნელად, ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ცოცხალი საგნის სახელებია ასახსნელი წევრები, თუ არაცოცხალისა, მიმართებითი ნაცვალსახელი, ძირითადად, მრავლობით რიცხვში გვხვდება. მაგ., ჩოლ.:

ჩუათირ მიჩა **ლერში-ლექტუმ**, **საბაკ-ხუბაკ**, **ხედარსი** ხეთხნლდა ამშელდ ზად „იცნო თავისი დასაგებ-ჩასაცემელი, ნივთები, რომლებსაც ეძებდა ამდენი წელი“

სგეტკულინან **ზურალ-მარას**, **ხოშას ი ხოხრას**, **ხედარსი** ანწყენარახ ათხად „შეერია ქალს და კაცს, დიდს და პატარას, რომლებიც აწყენარებდნენ აქამდე“

ტოშა **მაიდარ-მაფნარდ**, **ტუტუელაად ი უზგალნად** მირიწუა ში, **ხედარსი** აშ ხტემყდნხტი მინე მაშყადისა „რამდენი მშიერ-მწყურვალისათვის, ტიტველისათვის და უსაქმურისთვის გამიწვდია ხელი, რომელთაც სულ ვემახსოვრები მათ მახსოვრობაში“...

იშვიათად რამდენიმე მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება მხოლოდობით რიცხვში შეგვხვდეს:

მიჩა ნაუმეკრის ი ნამუჭუარის, ხელილი ადგაცე, იშგან ნომა ხაბრალი (ჩოლ.) „თავის გაუგებრობას და რქიანობას, რომელმაც დაღუპა, სხვას ნუ აბრალებს“.

ასეთი ასახსნელი წევრები, ძირითადად, სინონიმებია და რეალურად ერთ აღსანიშნს გულისხმობენ, შესაბამისად ამხსნელიც მხოლოდობითია.

მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელი“ წარმოების მხრივ სხვა ქართველურ ენებშიც არაერთგვაროვან და საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

აღნიშნული ნაცვალსახელი და მისამართი სიტყვის ურთიერთობა დაწვრილებითაა განხილული ლ. კვანტალიანის მიერ ქართული სალიტერატურო ენის საფეხურების მიხედვით და ავტორის მიერ დანახულია ის სხვადასხვაობა, რაც ამ საკავშირებელ წევრს ახასიათებს ახალ სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში და მკვლევარი ასკვნის, რომ „...ძველი ქართულისათვის მტკიცე ნორმა ჩანს ნართანიან მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება რიცხვში. ... -ებ სუფიქსიანი მისამართი სიტყვა სინტაქსური ძალით ნართანიანს ვერ უტოლდება, მაგრამ შეთანხმების უფლების მოპოვებისათვის იბრძვის უპირველესად სიტყვის აქტიურ შინაარსზე დაყრდნობით... შეთანხმების დარღვევა რაც ახალ ქართულში იჩენს თავს საშუალო ქართულის მემკვიდრეობაა. საშუალო ქართულში კი დარღვევების წყაროს დიალექტები წარმოადგენს...“ (16, 33).

„ზანურში ძირითად მიმართებით ნაცვალსახელს მხოლოდობითი რიცხვის ფორმაც აქვს (ნამუთ = რომელიც) და მრავლობითისაც (ნამუნეფით = რომლებიც), მაგრამ მხოლოდობითი რიცხვის ფორმა ისეთ შემთხვევაშიც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც კონტექსტით მრავლობითია მოსალოდნელი“ (1, 115).

როგორც ცნობილი, დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, შეიძლება იყოს ქვემდებარული, შემასმენლური, დამატებითი და განსაზღვრებითი: „ქვემდებარულს, შემასმენლურს და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს მისამართ სიტყვად ნაცვალსახელი უჩანს, განსაზღვრებით დამოკიდებულს კი – არსებითი სახელი ან არსებითი სახელის მნიშვნელობის მქონე სხვა სახელი“ (16, 4).

ჩვენ მიერ განსახილველი მიმართებითი ნაცვალსახელი, ქართულის მსგავსად, ძირითადად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება, თუმცა იშვიათად შეიძლება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებაშიც დადასტურდეს.

ბრუნვის მიხედვით მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის არანაირი სინტაქსური დამოკიდებულება არ არსებობს. მიმართებითი

ნაცვალსახელის ბრუნვას ისევე, როგორც ქართულში, სვანურშიც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი განსაზღვრავს, ხოლო მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ მთავარი წინადადების შემასმენლისაგანაა მართული.

თუმცა გვაქვს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. ნ. აბესაძემ ყურადღება მიაქცია ისეთ იშვიათ შემთხვევებს სვანურში, როდესაც მისამართი წევრი მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში: „ძველ ქართულში გავრცელებული ორი შემთხვევიდან პირველს (როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, ხოლო მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მის ნაცვლად ნაცვალსახელი არ ჩნდება) სვანურში საერთოდ არა აქვს ადგილი... სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემასმენელთან არის შეწყობილი, მაგ.: ა ლ დ ო ნ ა, ხედუჷჲ იგუჷანდა, ა ლ ა ს ხჷჷჷჷ = ეს გოგო, რომელიც ტიროდა, ამას უთხრა" (1, 114).

განსახილველ წევრთა ასეთი ტიპის ურთიერთობა მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ „...როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, აუცილებელი ხდება მთავარი წინადადების მეორე ნაწილში საკუთარ შემასმენელთან შეწყობილი ჩვენებითი ნაცვალსახელის განმეორება, აშკარაა, რომ ბრუნვების მხრივ სინტაქსური ურთიერთობა მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის სვანურში თითქმის აღარა გვაქვს" (1, 115).

მსგავსი შემთხვევები, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი მსგავსება (ასიმილაციად წოდებული), ქართულშიც არა ერთი მკვლევრის მიერაა განხილული: „ფორმობრივი დამსგავსება შედარებით მეტად არის გავრცელებული ძველ ქართულში, უფრო ნაკლებად – გარდამავალი პერიოდის მწერლობაში, აქა იქ ამოტივტივდება ახალ ქართულში, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში, აქედანაა შემოქონილი სამწერლობო ენაშიც" (16, 10).

მკვლევართა ერთი ნაწილი ასეთი ტიპის ურთიერთობას ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირებს, რაც იმითაა განპირობებული, თუ რომელი წევრი წარმოითქმის პირველად: „მისამართი სიტყვის წარმოთქმას წინ უსწრებს მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოდგენა, – ასიმილაცია რეგრესულია. ამგვარი ასიმილაციის შემთხვევებია ქართულში. თუ მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოთქმას წინ უსწრებს მისამართი სიტყვის წარმოდგენა, ასიმილაცია პროგრესულია (მაგალითად ძვ. ბერძნულში)" (10, 331).

კ. დონდუას თვალსაზრისით, ამგვარი შემთხვევები არც ასიმილაციით და არც ფსიქოლოგიური ფაქტორით არ აიხსნება: „ჩვენ წინაშე არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადადებას შორის" (11, 11).

ხოლო ლ. კვანტალიანის აზრით „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არაა გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან დამოკიდებულებით... ასეთ კონსტრუქციებს კ. დონდუა „კომპრომისულ ფორმებს" უწოდებს. ... მისამართი სიტყვის ბადალი (ნაცვალსახელის სახით) იმიტომ გაჩნდა, რაკი ასახსნელმა წევრმა გაწყვიტა სინტაქსური კავშირი მთავარი წინადადების შემასმენელთან და ბრუნვის ფორმით დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შეეთვისა..." (16, 12).

მიუხედავად გარკვეული აზრთასხვადასხვაობისა საბოლოო დასკვნა მაინც ერთია, „ასახსნელი წევრ-კავშირის ფორმოზრივი დამსგავსება ვერ ცვლის საერთო წესს; მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის ბრუნვის მიხედვით სინტაქსური დამოკიდებულება არ არის, რამდენადაც ისინი სხვადასხვა წინადადების წევრები არიან" (16, 15).

მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მსგავსი ფუნქციები აქვს მიმართებით ნაცვალსახელსაც დამოკიდებულ წინადადებაში და შესაბამისად იგი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება:

ლოშკიძეილს ეჯ ზურალ ანვიდხ, **ხედუწი** შუკუთისა ხაბღა (ლნტ., სვან. ქრესტ., 317) „ბოლოს ის ქალი მოიყვანეს, რომელიც გზაში ება"

ქანწად ეჯი მწრე, **ხედ-ნი|ხედუწი** სგობინ ხოყოლუდახ (ხოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მოუძლოდათ"

ემხუ გუელაწრშაპ, **ხედუწი** ამირან აღურტყუე, ლეგდ ადგრდა ი ქანბენლწნ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 95) „ერთი გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ავად გახდა და გაიბერა"

შუკუტყინ ალ დწუ ლახხტიდხ-ა, **ხედუწი** მინე მუ აღდწუშენ (ბზ., იქვე, 407) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც დაღუპა მათი მამა"

მიჩა ნაუმეგრის ი ნამუჭტუწრის, **ხელილი** ადგაცე, იშგან ნომა ხაბრალი (ხოლ.) „თავის გაუგებრობას და რქიანობას, რომელმაც დაღუპა, სხვას ნუ აბრალებს"

უქმი მუკუტუე მეზგე, ქა იწდა ზედმეტს დედ ლაძდას, დედ ემხუ საწურიან არაყს, **ხედისი** ქწხკემნახ ლეთუნად ჩნს (ლშხ., სვან. ქრესტ., 244) „უქმე დღეების გამტეხი

ოჯახი იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარეკა არაყს, რომელსაც ჩამო-
ატარებდნენ ყველას დასალევად"

ხედუნძას ესერ ჭემხარ მრმა ათქუტერის, ეჩიშუ ესერ ლასუ ზურალ (ბზ., სვან.
პროზ. ტექსტ., 290) „რომელსაც ფეხებს არ მოაჭრიან, იმისი იყოსო ქალი"

ემხუ მარე ლემარ გუშუტემბეყ, **ხედუნძას** ხაყენა სემი ჭყენტარ (ლნტ., სვან.
ქრესტ., 304) „ერთი კაცი ყოფილა ჩვენთან, რომელსაც ჰყოლია სამი ბიჭი"

ლოშკინპილს ქა ხალრისეხ ეჯის, **ხედუნძაშე||ხედუნძაშე||ხედუნძაშე** (მარემიშ) ლას
ნადან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსეს იმას, ვისიც იყო გოგო"

მერმა, დედ მესმა ლეთ, **ხედუნძალეშე**, ტეტანდარს იჩომხ (ბზ., სვან. პროზ.
ტექსტ., 7) „მეორე, ან მესამე დღეს, რომელიმე („დღეს“), მიცვალებულის სულის
საკურთხ რიტუალს აკეთებენ"

ეჯი თაკუს ხათხელნა, **ხედუნძაშეშე||ხედუნძაშე||ხედუნძაშე** ოთგრმა დანუ (ჩოლ.) „იმ
თოკს ეკებდა, რომლითაც დაუჭერია დევი"

ეჩაშდუ ანვე სერდე, **ხედუნძადე** ხიმკახის (ჩოლ.) „იმისთვის გეზრუნა,
რომლადაც (რომლისთვისაც, ვისთვისაც) იგულვებდი (გულობდი)"

უნეჯი ლოქ ალფგრელი ე, **ხედუნძაშედე||ხედუნძაშედე** ლოქ ოსგომა საპნარ ლიც
(ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი"

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში აღნიშნული ნაცვალსახელი ყველა ბრუნვის
ფორმითაა წარმოდგენილი და სინტაგმაში შემავალი მიმართებითი ნაცვალსახე-
ლის სინტაქსური (მართვით-შეთანხმებითი) ურთიერთობა, წინადადებაში მისი
ფუნქციითაა განპირობებული.

მოქმედებითი ბრუნვაში წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელი
მრავლობითის ფორმით, სვანურში არცთუ იშვიათია და ასახსნელ წევრთან
ყოველთვის შეთანხმებულია:

ხედმარუნეშე ანვლენი, **ეჯმარ** ემიცურ ლეშუტდიდ (ჩოლ.) „რომლებითაც
მოხვალ, ისინი დამიტოვე გასარეცხად"

ემდეშე **ეჯმარს** ათტანტარე სვა, **ხედმარუნძაშეშე** ხტამურჯის ლნზის (ჩოლ.)
„მაინცდამაინც იმათ წაეპოტინა, რომლებითაც ვაპირებდი წასვლას"

ეჯმარუნეშე ეხკოდ აჯახ, **ხედმარუნეშე** ამენ სგობდ ეხიტხ (ჩოლ.) „იმეებით აწიე
კვლავ, რომლებითაც ამას წინათ აწიე"..

„ძვ. ქართულში მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს, მრავლობითის
წარმოება უჭირთ... ცხადია, მისამართი სიტყვის რიცხვი მოქმედებით და ვითარ-
ებით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელში არ აისახება... ახალ

ქართულში ებ სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითს თავისუფლად აწარმოებს" (16, 46-73).

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს ჰიპოტაქსის საკავშირებელი სიტყვებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა სვანურში.

მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწეობა ქვემდებარედ ან ერთ-ერთი სახის დამატებად და პირველ სამ ბრუნვაში დგას, სინტაქსური ფუნქციის შესაბამისად ზმნა შემასმენლის მიერ იმართვის ბრუნვაში.

მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი კი I სერიაშია, მაგ:

ეჯი აღრი, **ხედნ** ბეფტუმს ღოშკინპილხო ასაცტირე (ჩოლ.) „ის წავა, რომელიც ბავშვს ბოლოს {კენ} დაიტოვებს“...

ხოჩღლ **გელჟან ხედჟა ლი**, **ეჯა** ქამენ გგემ ჭუნდს (ჩოლ.) „უკეთესი ხელოსანი რომელიცაა, ის გარეთ აშენებს კედელს“

აღე ლი ძინარა **მიუ**, **ხედჟა** ერ თელ ქვეყანას **ხომტჟარე**, **ხედჟაი** სკუტბინ ხეკუტეს ერ მაგ თაყყანიცემას **ლეშტაბლედ** (ლნტ., სვან. ქრესტ., 322) „ესაა დილის მზე, რომელიც მთელ ქვეყანას უნათებს, რომლის წინაც ყველა თაყყანს უნდა ვცემდეთ“

ჩ'ოთშიდ სგობინჩუ ხუნდ ძიტარალ, **ხედჟარნ** ემ **ანარიესდახ** (ჩოლ.) „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც ანათებდნენ“

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მეორე სერიის გარდამავალი ზმნაა და მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარის როლს ასრულებს, მაშინ იგი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება. მაგ.:

ხედჟაიდ ლოქ ხოჩა ჰარკალ ლწქჟას, ეჯას ხაცეს აღ დიწრ (ბზ., სვან. პროზ., 159) „რომელმაც კარგი არაკები თქვას, იმას ჰქონდეს ეს პური“

ეჯარ აღქტერწლეს, **ხედჟარდნ** ადა-ბაბას ოხგმნარეს (ჩოლ.) „ისინი დააქორწინეს, რომლებმაც ტრადიციებს მოუსმინეს“

ეჯ ქაჯ ხატტილდ'ენ, **ხედჟაიდ** მიჩა მუხტბე აღურტყუტე (ბზ., იქვე, 137) „ის ქაჯი ებახის, აი, რომელმაც მისი ძმა ჩაყლაპა“

როგორც ცნობილია, მიცემით ბრუნვაში მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მაშინ, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ირიბი ან პირ-

დაპირი დამატებაა, მაგრამ თვით შემასმენელი-ზმნა I სერიის ფორმითაა წარმოდგენილი (1, 111). ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში. მაგ., ჩოლ.::

ათეურაღლა ღოშკმე **ჯოგარს**, **ხედარსჷნი** ფარნაოზ **ხოჟოღუღა** (ჩოლ.)
„ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძლოდა“

ქუეყან **გაკს** ალე აფთხენე, **ხედარსი** ჟი **მეშტხე** **ხარხ** პატრონ (ჩოლ.)
„ყველას კაკალს ეს ფერთხავს, რომელთაც ამომწყდარი ყავთ პატრონი“

ხუა **მემორჷნლას** ახლელდახ, **ხედარსჷნი** **ხეკუეს** **ოთსკუხჷნის** მინე გუემ (ჩოლ.)
„ბევრ მედიატორებს ელოდნენ, რომელთაც უნდა მოეგვარებინათ („გადაეწურათ“) მათი საქმე“...

როგორც ვხედავთ, ასეთ შემთხვევებში სრულიად ქართულისებრი მდგომარეობაა, თუმცა მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში, აღნიშნულ ბრუნვებში, სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებს გვიჩვენებენ.

მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს; რიცხვში მთავარი წინადადების იმ წევრს უთანხმდება, რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში იმართვის დამოკიდებული წინადადების იმ წევრისგან, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი თავადაც გვევლინება რიცხვში ზმნა-შემასმენლის მათანხმებელ წევრად და, შესაბამისად, ერთდროულად, მართულ-შეთანხმებული და მათანხმებელია.

თუ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა, შემასმენელსაც მრ. რიცხვში ითანხმებს. მაგ.:

ხედარ ხოლა ნინეშ **ლასხ**, ეჯარ ჯრდიას არდახ (ლშხ.) „რომლებიც ენაკვიმატიანები იყვნენ, ისინი შორს იყვნენ“

ემსუ-დერუ მარე ელო ედქუთნი, **ხედარსი** აჯახ **ხობიცხ** (ჩოლ.) „ერთი-ორი კაცი თუ გაინძრევა, ვისაც კიდევ ერჩით ძალა“

ქანსკინეხ დერქლა მახელუაჟდ, **ხედარჷნი** ქამ **ლემკენელიხ** (ჩოლ.) „გადმოხტნენ ორივე ვაჯკაცი, რომლებიც გარეთ მდგარან“.

მიმართებითი ნაცვალსახელი წინადადებაში თუ გარდამავალი ზმნის ქვემდებარეა, იგი იმართვის ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში:

აგითე ლაზჷი სგ'ენსიპეხ ალიარდ, ა, **ხედარდ** **ელსიმნეხ** ნაგერგულ (ჩოლ.)
„სახლში წასვლისას შემოიარეს იმათ(მა), აი, რომლებმაც გაიგონეს („მოისმინეს“) ნათქვამი“

აწყდუდას მდხუდა ზურალ, **ხედარდუდა ობაცეს** სგობნე ლადელ ლიმურჯი (ჩოლ.) „რეცხავდენ რამდენიმე ქალები, რომლებმაც პირობა მისცეს წინა დღეს დახმარების“

ჟი ლუზგუე ლას ხუდა ზურალ, **ხედარდი** ხოლა მმან **ანსეხ** (ჩოლ.) „შეგროვილიყენენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს“

ქუეყანა კიტუარ ხასიბხ, **ხედარდი იკელხ** ამეობას ლაკაულს (ჩოლ.) „უამრავი კნუტები სტუმრობენ, რომლებიც იკლებენ აქაურობას კნავილით“

უნდა აღინიშნოს, რომ მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში.

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს შემთხვევები, როცა მრ. რიცხვით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელიც დამატება ობიექტია, შემასმენელი შეიძლება შეუთანხმდეს რიცხვში, შეიძლება არა, განურჩევლად იმისა, მიმართებითი ნაცვალსახელი სულიერია, თუ უსულო საგნის აღმნიშვნელი:

ეჩქა ეჯკალი მეგმარალს გარ იმჯახ, **ხედარსი** ლიც **ხენწროლხ**||**ხედარსი** ლიც **ხენწროლ** (ჩოლ.) „მაშინ მარტო ისეთ მორებს ეზიდებოდნენ, რომლებსაც წყალი ერეოდათ|ერეოდა“

ქა ლეცტრე ხნდახ ეჯ სოფლარ, **ხედარსი** ჟაფობ **ხენტუნიბ**||**ხენტუნიბხ** (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზგავი ემუქრება|ემუქრებათ“

ქა ხოჟოლტუდა ქუეყანამავ ბოფუს, **ხედარდი ხეჭამხ**||**ხეჭამ** აბარდატუმ (ჩოლ.) „მოუძლოდა უამრავ ბავშვს, რომლებიც მოსდევდნენ|მოსდევდა ჩქარა“

სგ'ენტკულნნან ზურალ-მნრას, ხომას ი ხობრას, **ხედარსი ხონწყნარახ**||**ხონწყნარა** ათხად (ჩოლ.) „დაერია კაცს და ქალს, დიდს და პატარას, რომლებსაც დაუწყნარებიათ|დაუწყნარებია აქამდე“.

ასევე, მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება იყოს პირმიუმართავი დამატების ამხსნელიც და შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მხოლობითის, ისე მრავლობითის ფორმით. მაგ.:

ტოშა მაიდარ-მაფნარდ, ტუტუელად ი უზგანლნად მნრიწუა ში, **ხედარსი** ამ ხტეშყდნხტი მინე მაშყადისა (ჩოლ.) „ბევრი მშიერ-მწყურვალისთვის, შეუმოსავისთვის და უსაქმურისთვის გამიწვდია ხელი, რომელთაც სულ ემახსოვრებათ თავიანთ მახსოვრობაში“

ხტუნი ტობელ-ტოჯარდ ხოგტუკტრება, **ხედარსი** აშამნ დესა ხოტნხახ (ჩოლ.) „ბევრი ობლისთვის უპატრონებია, რომელთაც მადლობაც არ დაუბრუნებიათ“

ეჭაერაშ ეხკოდ აჯახ, **ხედარაშ** ამენ სგობდ ეხიტხ (ხოლ.) „იმეებით აწიე კვლავ, რომლებითაც ამასწინათ აწიე“

ჟეჯი ლოქ ალფერელი ე, **ხედუაშ** ლოქ ოსგომა საპნარ ლიც (ხოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიო საპნიანი წყალი“

იმჟი ხემუნდი აჯახ ეჯის, **ხედუაძან** აღმაგ ხლაფორთს ლეხბეკენ? (ხოლ.) „როგორ ენდობი კიდევ მას, რომელთანაც ამდენ ხიფათს გადაეყარე?“

მიმართებითი ნაცვალსახელი **ხედუა** მეტ-ნაკლები სიხშირით შეიძლება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაშიც შეგვხვდეს:

მეხარ ესერ **ხედუაშთე** ქა ისპი დინა, ეჩიშ ესერუ ლსსუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 350) „ხვალ ვისკენაც გადაბრუნდებო გოგო, იმისი იყოსო“

აჩად ეჯ ფოყხან, ე', **ხედუაძან** მერ აპარ (ბზ., სვან. ქრესტ., 133) „წავიდა იმ მხარისკენ, საითაც ბუზი გაფრინდა“

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, ადგილის მიხედვით შეზღუდული არ არის, იგი შეიძლება მთავარ წინადადებაში იყოს მოქცეული, ან მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს მას. ხოლო, თვითონ მიმართებითი ნაცვალსახელი ან დამოკიდებულის შიგნითაა მოქცეული, ან იწყებს წინადადებას, მაგრამ ყოველთვის წინ უსწრებს დამოკიდებული წინადადების შემასმენელს.

აღნიშნულ მიმართებით ნაცვალსახელზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მისი სინტაქსური ფუნქციები ქართულის ანალოგიურია და შეუძლია აწარმოოს მრავლობითი რიცხვი და შესაბამისად მართულ-შეთანხმებული და, ამავე დროს, მათანხმებელიცაა. ზმნა-შემასმენლისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური ურთიერთობა მართვით-შეთანხმებითია. მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში, ხოლო დამატება ობიექტის ფუნქციით გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი ხან ითანხმებს შემასმენელს, ხან – ვერა.

§ 7. ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში. სვანურში ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები ნაკლებად არის შესწავლილი, რაც გარკვეულ წილად იმით აიხსნება, რომ სინტაქსური თვალსაზრისით ბრუნება სვანურსა და ქართულში ძირითადად იგივეობრივია. მიუხედავად ამისა, მაინც შეინიშნება მცირეოდენი განსხვავება, რაზეც სპეციალურად შევჩერდებით.

სვანურში ბრუნვათა რიგის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ძირითადად გამოიყოფა ბრუნვათა ოთხგვარი თანმიმდევრობა: „1. **ტრადიციული**, რომელსაც მისდევენ ბ. ნიჟარაძე, მ. ზავადსკი, გ. მაჭავარიანი: სახელობითი, მოთხრობითი (ანუ სახელობითი მეორე), ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი (ეს უკანასკნელი ბრუნვა ბ. ნიჟარაძეს სულ არ აქვს გამოყოფილი, მისი ფორმები კი მიცემითთან ერთად განიხილება); 2. **ა. ჩიქობავასა და ვ. თოფურიასეული**: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, ნათესაობითი, მოქმედებითი; 3. **თ. შარაძენიძისეული**: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, ნათესაობითი; და **ნ. აბესაძისეული**: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, მოქმედებითი, ნათესაობითი.

ნ. აბესაძის მოსაზრებით, „წარმოდგენილ დალაგებაში არის ცდა ერთდროულად გამოიყენონ მორფოლოგიური, სინტაქსური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისი: „...აუცილებელია გავითვალისწინოთ ბრუნვების ორფუძიანობა (ხშირად კი სამფუძიანობაც) სვანურში. ამიტომ სვანურ ბრუნვებს შორის სახელობითს მიცემითი უნდა მოსდევდეს, როგორც ახალი ფუძის მომცემი ბრუნვა. ამასთანავე, მას, სახელობითის მსგავსად, შეუძლია გადმოსცეს ქვემდებარეც და პირმართი დამატებებიც. ამ ორ ბრუნვას ვერ დავაშორებთ მოთხრობითს, რომელიც მათსავით ქვემდებარეს გადმოსცემს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, არ აღნიშნავს პირმართ დამატებებს. ამას გარდა, სამფუძიანობის შემთხვევაში ერთ-ერთ ფუძედ მოთხრობითიც არის გამოყენებული. ამათ შემდეგ ყველაზე მიზანშეწონილია ჯერ ვითარებითი ბრუნვის წარმოდგენა, რადგან ფორმით იგი მოთხრობითის მსგავსია (როცა ორივე მათგანი მიცემითის ფუძეს ეყრდნობა და ფლექსიად -დ ფორმანტი აქვს), ფუნქციით კი ხშირად მიცემითს უახლოვდება. შემდეგ უნდა დაისვას მოქმედებითი, როგორც ასევე მიცემითის ფუძეზე დაყრდნობილი ბრუნვა, ბოლოს კი ნათესაობითი, რომელიც წინა ბრუნვებისაგან განსხვავებით, ამოსავლად სახელობითს ან მოთხრობითს იყენებს. ამასთანავე, მოქმედებითი და ნათესაობითი ფუნქციურადაც ახლო დგანან ერთმანეთთან“ (2, 6).

სახელობითი ბრუნვა ქვემდებარისა და ბრუნვაცვალებადი დამატების ბრუნვაა. ქართულის მსგავსად, სვანურში სახელობითი ბრუნვა გადმოსცემს:

გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს პირველი სერიის ფორმებთან:

ზურალან ტეტს ინზორეხ მასარდ (ბზ., სვან. ქრესტ., 135) „ქალები ნაცარს იგროვებენ ბლომად“

ლექშერი ხოთური მეცქტილს დინათე (ბქ., იქვე, 176) „საქმრო აგზავნის („უბიძგებს“) მოციქულს გოგოსთან“

ლეთურ **გეზელილ** მინე თხტიმს ჟიხი აგენახ (ღნტ., იქვე, 305) „ნასწავლი შვილები თავიანთ თავს მადლა აყენებდნენ“

ქათლარ ძინრუმ ანგრეს (ჩოლ.) „ქათმები დილაობით დებენ კვერცხს“.

გარდამავალი ზმნის ბრუნვაცვალებად დამატებას II და III სერიის ფორმებთან:

მაჩნე **ლანნი** ადგი ლი ბეჩისგა (ბქ., იქვე, 193) „საუკეთესო სახნავი ადგილია ბეჩოში“

დედბერდ **ფექ** ჩუადუჰურე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 246) „დედაბერმა ფქვილი გაცრა“

ეჩქა დედე **ლამზერ** ახგრუტენ (ღშხ., სვან. ქრესტ., 279) „მაშინ დედის სალოცავი ახსენე“

ასაშა ჩიჟას სემტლაშდ ოხყიდა **მანქანაჲ** (ღშხ.) „ასასაანთ სიძეს ცოლისძმისთვის უყიდა მანქანა“

მეზბებელს ოთზზე **ლეღერტამ** (ჩოლ.) „მეზობელს გაუგზავნა ბოსტნეული“.

გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს სამივე სერიაში:

ჩუ იზგეს ლუმურყუამ ლზზგაისგა (ბზ., სვან. ქრესტ., 153) „ცხოვრობენ კოშკიან სახლში“

ჯე ესერ ათჰემა (ბქ., იქვე, 222) „თვითონ წაჰყოლია“

მიჩა **დებუ** ჩუალღანელი (ღნტ., იქვე, 343) „თავისი ცოლი დაფეხმძიმებულა“

დედე მუგუნი ესღერდა ლოშტ (ჩოლ.) „დედა მტირალი მიდიოდა უკან“

ქჩად **დედე** ლამშადთე (ღშხ.) „გავიდა დედა სამუშაოდ“

ღანელიშთე **მუშგურალ** ემვედს (ჩოლ.) „ღანელთან სტუმრები მოსულან“

ინვერსიული ზმნების რეალურ ობიექტს:

ლახლატგნ ალ **ჰყინტ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 68:8) „შეუყვარდა ეს ბიჭი“

ლიღნაჰუნღო ლახსისგენ ლედუ (ღშხ.) „ფეხმძიმობის მერე შესსძულდა ხორცი“

ლახბაჟენ ალე **გუეშ** (ჩოლ.) „მოეწონა ეს საქმე“.

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს:

მაშენე თხტიმ ბზღენჟინზ თაჰსუფაღ შუანისგა **ვეობ** ლზსუ (ბზ., სვან. ქრესტ., 95) „ყველაზე დიდი მოთავე ბალსზემო თავისუფალ სვანეთში ხევის მმართველობა („ხეობა“) იყო“

ჟოთარშერ იმახათ ჰეცრიშ **ლფვეკელ** ლემპრელი (ბქ., იქვე, 192) „ოთარისაანთ იმახათი ეცერის ქალბატონი ყოფილა“

ჟედ ლოქ მახე **მარე** ლი (ლშხ., იქვე, 274) „თვითონ ახალგაზრდა კაცი არისო“

შომძე ერე ხოჩა **მალეფხ** ლი... (ლნტ.) „როდესაც („როცა რომ“) კარგი გაზაფხული არის...“

ლეშუნდობი ხოჩა **ზურალ** ლას (ჩოლ.) „ცხონებული კარგი ქალი იყო“...

დროის გარემოებას:

ჩუ ლმდარაგეხ ეშხუ **ნაგზი** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 66,5) „დაიცადეს ერთი კვირა“

ლამბჰხენქა ლიჯედს მერბი **ზნ** ხოკლი (ლნტ.) „ციხიდან გამოსვლას ორი წელი უკლია“

მინეშხენ თელ **ზაჟლანდედ** ხეკუადხ ლისედ (ლშხ.) „თავიანთი სურვილით მთელი ზაფხული უნდოდათ დარჩენა“

თელ **ლეთ** ეხკუადხ ლიჭბის (ჩოლ.) „მთელი დამე მოუნდნენ თოვლის გაკვალვას“ და სხვ.

როგორც ცნობილია, სვანურს არ გააჩნია მარკირებული წოდებითი ბრუნვა და მიმართვის ფორმებში სახელობითი ბრუნვა გამოიყენება, რაც მას განასხვავებს ქართულისაგან:

მანლიან ლერბეთ, მიჩა ლიჯგრანლენქა მამგუეშ ხოჩუმინახ... (ბზ., სვან. ქრესტ., 89) „მადლიანო ღმერთო, შენი ხვეწნის მეტი არაფერი გვიკეთებია...“

მალ, იმთ' ესერ ესქინანლ? (ბქ., იქვე, 210) „მელავ, სად მირბიხარო?“

ლგჩედ **ნადენა**, ნოთი იმალე გუეთხენს (ლნტ.) „წავიდეთ გოგოები, იქნებ რამე ვიშოვოთ“

ხოჩა **ლუაჟარ**, ხოწნადად თხუმს! (ლშხ.) „კარგო კაცებო, უშველეთ თავს“

კინჩხე ლაქტონცარ **დედბერ**, იმნემდ აჯსოყე?! (ჩოლ.) „კისრის მომჭრელო დედაბერო, რამ გაგაგიჟა?!“

მიმართვის გასაძლიერებლად შეიძლება დართული იყოს ნაცვალსახელები და სხვადასხვა შორისდებულები ან ორივე ერთად:

მინ მარანლ, იმ ესერ ხაჩუმანტნეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 79) „თქვე კაცებო, რას მაქნევინებთო“

სგან ლანხარუ, აშტ ათუაფდ! (ჩოლ.) „თქვე ლაჩრებო, ახლავე დაიკარგეთ!“

ჟო, სი ჭყინტ, ჩუაქუც აშიშდ! (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 70,30) „ო, შე ყმაწვილო, შეწყვიტე ახლავე!“

ატ, სი ლეყიმ, იშა მგომ ხი?! (ლშხ.) „ატ, შე დამხრჩვალო, რისი გამკეთებელი ხარ?“

ატ, სგაი ტიშარუ, ემლარდ! (ჩოლ.) „ატ, თქვე ტილიანებო, მომშორდით!“

სვანურში ზოგი ზმნა, რომელიც ქართულში ქვემდებარეს მოთხრობითში მოითხოვს, სახელობითის ფორმას იყენებს. მაგ.:

‘ალძარ’ ბაზი ჩუაღუახშმანს ‘ი’ ჩუაღუუდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 105,24) „ამათმა („ესენი“) ამაღამ ივახშმეს და დაიძინეს“

ალ ზურალ დანაჟ ლგმარ, **ჩუაღლჟაჟუ ‘ალე’** ი ძერუ ჭყინტ ოხტათაჟა (ბზ., იქვე, 97,17) „ეს ქალი ორსულად ყოფილა, იმშობიარა მან („ეს“) თურმე და ორი ვაჟი გაუჩენია“

ალძარ ჩუაღუაჰურანს ი გჟნმი ხიად ადვიდხ (ბზ., იქვე, 160,1) „ამათმა („ესენი“) ერთმანეთი გადაკოცნეს და გაიხარეს“

დალ ჩუაღნაბანს (ბზ., იქვე, 54,3) „დაღმა („დალი“) დაიფიცა“

ემხუ ნაგაზი ერე ქაჩად, ეჩქანლო **‘კუაპა’ უახეთხელდა** დაჯგლს (ლნტ., იქვე, 344,14) „ერთი კვირა რომ გავიდა, შემდეგ კვაპამ („კვაპა“) ძებნა დაუწყო თხას“

ამ ღურეს **დაჟი უაშედეცხ** (იქვე, 340) „ამ ღროს დეგმაც („დევიც გამოღვიძებულა“) გაიღვიძა“

ონინარ ჩუედღურანს დაგრალობლა (ჩოლ.) „ონიანებმა („ონიანები“) დაიფიცეს მკვლელობის გამო“

ლიზალე პილთე **ჩუედუალანს ალძარ** (ჩოლ.) „წასვლის პირას ერთმანეთი გადაკოცნეს ამათმა („ესენი“)“

მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა. ამ ბრუნვის გამოყენების მხრივ სვანური ქართულის იდენტურია და განსხვავდება მეგრულისაგან, სადაც მოთხრობით ბრუნვაში დგას როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე მეორე სერიის დრო კილოებში.

სვანურში რეალური სუბიექტის, ქვემდებარის გარდა ამ ბრუნვაში წინადადების სხვა წევრი არ შეიძლება იყოს. ეს ერთადერთი ბრუნვაა, რომელიც ერთ ფუნქციას ასრულებს. ქართულის მსგავსად, ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვით მხოლოდ გარდამავალი ზმნის II სერიის ფორმებთან გადმოიცემა:

ლძარეკლე მაჰრენა **მუნუბად** ფურალ სგუებინ (ბზ., სვან. ქრესტ., 166) „გაირეკა უმცროსმა ძმამ ძროხები წინ“

აშუქი მიჩომულ ხაქუ მაშენ გეზალს (ბქ., იქვე, 230) „ერთხელ მამამ უთხრა უფროს შვილს“

ჭყინტემ ლენშუშპრე (ღშხ.) „ბიჭმა იცეკვა“

ლწიბინე ლიტფურულ **მაჟლუდ** (ღნტ., იქვე, 312) „დაიწყო გოდება მელაკუდამ“

დავლ **თხერად** ოთგლგრე (ჩოლ.) „თხა მგელმა დაუგლიჯა“.

მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა:

გარდამავალი ზმნის ქვემდებარე III სერიის ფორმებთან:

ეჩქას უშხურდ ლოჰოდახ შიძარ **ქრისდეს** ი ალ **მარა** (ბზ., იქვე, 103) „მაშინ ხელი ჩამოურთმევიათ ქრისტეს და ამ კაცს“

ალი **აზნაჟირს** ჩუ ოთცხირა (ბქ., იქვე, 185) „ეს აზნაურს გაუგია“

ჩ'ოსგა **თემრაზს** ლაგაგიჟი დანტარემდ ლუნცულე (ღშხ.) „დაუდგია თემრაზს დევებისთვის ზღურბლთან რძეში ჩაფშენილი პური“

დედეს როქ ათოფიშტუა ლატრელალხო (ღნტ.) „დედას გაუშვიაო სათამაშოდ“

ზურანლს ლაკილუმ ოხმეკრანა ქორა ვაცა (ჩოლ.) „ქალმა კივილით გააგებინა ოჯახის დაღუპვა („დაქცევა“)...“

ინვერსიული ზმნის რეალური სუბიექტი:

ბეფშუს ათყალწნდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 262,4) „ბავშვს შეეშინდა“...

სვანურში, ისევე როგორც ქართულში, მიცემითი ბრუნვა პირმიმართი დამატებების საყრდენი ბრუნვაა, რომლითაც გადმოიცემა პირდაპირი დამატება გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან, ხოლო ირიბი დამატება გარდამავალი ზმნის I და II სერიაში და გარდაუვალი ზმნის სამივე სერიის ფორმებთან. ირიბი დამატების გამოსახატავად მიცემითი ბრუნვა ერთადერთია: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მიცემითი ბრუნვა თავიდანვე დამატების ბრუნვა იყო. ... მიცემითი ქვემდებარისათვის შედარებით მოგვიანებით არის გამოყენებული“ (13, 261) .

ბრუნვაცვალებადი დამატება გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან:

მეჟეგის ხუიზურდად მეზგაწლხანქა (ბზ., სვან. ქრესტ., 79) „ფეტვის კვერს ვიგროვებდით ოჯახებიდან“

ცალმანგს კალტუმ თხუმ გგემხ (ბქ., იქვე, 202) „კარაპანს კალოს თავზე დგამენ“

ეჩნლო **ლეღუს** ჩუ ხტნთედ მეზგაჟი (ღმს., იქვე, 238) „მერე ხორცს ვანაწილებთ ოჯახზე“

ჩი ტოჯახისა აძენის კალანდამუტდ ლეკალანდ **ხამს** (ღნტ., იქვე, 291) „ყველა ოჯახში კლავენ კალანდისთვის საკალანდე ღორს“

მედად ხოზგდახ ნათუარალ **ტაბლარს** (ჩოლ.) „ყოველთვის უგზავნიდნენ ნათესავები შესალოც პურებს“.

ბრუნვაუცვლელი დამატება გარდაუვალი ზმნის სამივე სერიის ფორმებთან და გარდამავალი ზნის I და II სერიის ფორმებთან:

ამხტ ზატ ესნარ სჰტჰარ ოხტშგაბხ **წტირმის** ი **ჰადიშს** (ბზ., სვან. ქრესტ., 72) „ერთ წელს თურმე ოსები მოუვარდნენ წვირმის და ადიშს“

იფარი **ჩგვრანგს** ვან ლახბეხ ძღუნდ (ბზ., იქვე, 70) „იფარის წმ. გიორგის ხარი შეაბეს ძღვენად“

მესამედ **ტობურდადას** ოხთონე კესარდ (ბქ., იქვე, 211) „მესამედ კუდიანი დედაბერი გამოაგზავნა კესარმა („მესამედ კუდიან დედაბერს მოასწავლა კესარმა“)

ლარტმალს დოსგ ლუფხტს ჟი ხაშდებ ენწს (ღმს., იქვე, 264) „ბოსტნებს ადრე გაზახფულზე აყრიან ნაკელს“

ლეძიენი **ქათალს** ლეზტებს ხოშას ხტამნედ (ღნტ., სვან. ქრესტ., 301) „დასაკლავ ქათამს საჭმელს უფრო მეტს ვაჭმევთ“

დედე **გეზალს** ჩიგარ ხეფრებალ (ჩოლ.) „დედა შვილს ყოველთვის ეფერება“

დედეს ლეზიზ ხამგტმინ (ჩოლ.) „დედას საგზალი სთხოვა“

თერღლას ნატბიდი ხაწტწნე (ჩოლ.) „რძალს მოეფერა („რძალს სითბო აჩვენა“)...

სვანურში აღსანიშნავია ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ზმნა, რომელიც ქართულში ქვემდებარეს სახელობით ან მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობს, სვანურში მიცემით ბრუნვას მოითხოვს. მაგ.:

ეჩზუმ **ქწხფას** ამ **ღწთს**, ერე ალა მანგ ნამშაუნლო სემი ტჟ ქანდ ანტწნე (ბზ., სვან. ქრესტ., 172,25) „იმხელა გამოვიდა ეს („ამ“) დამე („დამეს“), რომ ამდენი მუშაობის შემდეგ სამჯერ ისევ გამოიძინა“

ხოჩა ლესგდი ქორ **ეხფასან აღეს** (ჩოლ.) „კარგი შესახედი სახლი გამოვიდა ეს („ამას“)

მიცემითი ბრუნვა გარემოების ბრუნვაცაა. ყველაზე მეტად ამ ბრუნვის ფორმით ადგილისა და დროის გარემოება გადმოიცემა, თანდებულიანიც და უთანდებულოც.

დროის გარემოება:

ამნ ხეხუ ჟ'ანგვან **ჰამს** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 88) „ამისი ცოლი ადგა დილას“

მერმა **ძინარს** ჩუადდე ალ მწრე მიჩა გეზლა ლათიშთე (ლშხ., სვან. ქრესტ., 288) „მეორე დილას ჩაიყვანა ეს კაცი თავისი შვილის ასარჩევად“

კუეცენს ჩუალაშის **მუჟოღორს** (ლნტ., იქვე, 300) „ხორბალს თესავენ შემოდგომას“

ცუარილ ენყელე **ნებოზს** (ჩოლ.) „ყველი ამოიყვანა საღამოს“.

ადგილის გარემოება:

ყწრჩას კუეცენ ხორდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 151) „ყარაჩაეთში ხორბალი ჰქონდა“

ღაღს არი ხოჩა პწტიოსან ხაღს (ბქ., იქვე, 188) „დაღში არიან კარგი პატიოსანი ხაღსი“

ნაცულარ იზგეხ ლწმხური **ეჩნეპილს** (ლშხ., იქვე, 264) „ნაცულელები ცხოვრობენ ცხენისწყლის იქითა მხარეს“

სოზარმერ **ქუთაშს** არის (ჩოლ.) „სოზარაანნი ქუთაისს არიან“...

არის შემთხვევები, როცა მიცემითის **-ს** არ ჩანს, მოკვეცილია:

აშხტუნ შამერთუშა არი **ჩაღლირ** აშხტ მეზგაისგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 54) „ერთხელ შამერთუშა არის ჩოღურში ერთ ოჯახში“...

თუ მიმართულებას უჩვენებს, მაშინ თანდებული დაერთვის მიცემითს და ამ შემთხვევაშიც არ ჩანს ბრუნვის ნიშანი:

აშხტუნ მგლხარ ესღრის **ქუთაშთე** (ბზ., იქვე, 54) „ერთხელ მულახელები მიდიან ქუთაისში“

დეზტუთე ლოხტულა ბიტაშა ზინაშდ (ლშხ.) „ეზოში დაუძახია ბიტასაანთ ზინასთვის“

ცხეკთე აჩაღს ზეჟი ლაქჩად (ჩოლ.) „ტყეში წავიდნენ შეშის მოსაჭრელად“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. „ადგილის მიცემითის“ ფორმებთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავდაპირველად ეს მიცემითში დასმული სახელები პირმიმართ ობიექტებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დაკარგეს ზმნის ობიექტური პირის მართვის უნარი და უბრალო დამატებად ან

ადგილის გარემოებებად იქცნენ: „ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვის განვითარების გზა სვანურში ოთხსაფეხურიან სისტემად გვეკვლინება: ა) სახელის ოდენ ფუძე; ბ) მიცემით-ვითარებითი ბრუნვა შესაბამისი -ნ, -დ, -ს, -ჟ ფორმანტებით (თავდაპირველად არადიფერენცირებული, შემდგომ ორი დამოუკიდებელი ბრუნვა); გ) სახელის ერთთანდებულისანი და დ) ორთანდებულისანი ფორმები“ (48, 104).

ასეთ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას ეთანხმება ნ. აბესაძეც: „ამ დაყოფის მიხედვით მეორე საფეხურისად არის მიჩნეული ფორმები, როდესაც უთანდებულო მიცემითი ადგილმდებარეობას, ხოლო უთანდებულო ვითარებითი მიმართულებას გამოხატავს. საფეხურების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მართლაც, ეჭვს არ იწვევს. ოღონდ საგულისხმოა, რომ თანამედროვე სვანურში ამ მეორე საფეხურის ფორმები გაცილებით უფრო უხვად არის შემონახული, ვიდრე ქართულში“ (2, 7).

ნათესაობითი ბრუნვით სვანურში, ქართულის მსგავსად, გამოიხატება წინადადების არამთავარი წევრები, ძირითადად, სუბსტანციური განსაზღვრება და უბრალო დამატება:

ნათესაობითი ბრუნვით გამოხატული სუბსტანციური განსაზღვრება სვანურშიც გადმოსცემს ან მასალას, რომლისგანაც დამზადებულია საზღვრულით აღნიშნული საგანი, ან კუთვნილებას თუ დანიშნულებას:

ანჯაღ ესნარ **სჷიბიშა** ი **იფარი** ჯგერაჷგ ვან ლახბეხ ძღუენდ (ბზ., სვან. ქრესტ., 70) „მოსულან თურმე სვიბისაანთნი და იფარის წმ. გიორგის ხარი შეაბეს ძღვენად“

ჯიჯჷიშ კარაჷ ადგე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 76,19) „ძვლის კარავი დადგა“

წჷლიშ ლასგურა ჩაჷ ჭაშომ ხეკუეს ოხზგზას (ბქ., სვან. ქრესტ., 178) „პატარძლის დასაჯდომი ცხენი ქმარმა უნდა გამოუგზავნოს“

ჯე ლოქ ადგე **ფანაგა ლარელე** თხუმდ (ლშხ., იქვე, 251) „თვითონ წავაო ფანაგის მინდვრების თავამდე“

თოფი ლიფშედე დეშ ოხოჩშ (იქვე, 255) „თოფის სროლა ვერ მოვასწარი“

ეჯი სანაფ სურუ ხალტენა **დინაშ** ჭაშს (ბქ., იქვე, 220) „ის ვაშლი ძალიან ჰყვარებია გოგოს ქმარს“

ეჩეჩუ ლგ **კახრაშ** ი **ბაშა** ლაჭუამ (ლნტ., იქვე, 305) „იქ დგას კახურის და ბაშისაანთ ეკლესია“

ბაჩა მესერ ახჭემე გირკტან (ჩოლ.) „ქვის ღობე შემოავლო ირგვლივ“

უპლ ხაგდგნდა **ღწჳშ** (ჩოლ.) „ვალი ემართა დევის“

თუეფ ოხკრდა **მუხტბემიშ** (ჩოლ.) „თოფი აუღია ძმის“...

სვანურში გაბატონებულია სუბსტანტიური განსაზღვრების **პრეპოზიციური წყობა**, რომლის დროსაც მართულ განსაზღვრებას, ქართულისაგან განსხვავებით, ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი ეკვეცება, თუმცა ბალსქვემოურ დიალექტში, უმეტესწილად, ბრუნვის ნიშანი სრულადაა დაცული:

ეჩქას ესერ **საფლჳტი** თხურმჳშ წამუ ათვალეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 86) „მაშინ საფლავის თავზე ნიშანი ჩაარტყვეთო“

ლგგრემი გუიგუ მალჳტ (ჩოლ.) „კვერცხის გული მიყვარს“

ლეწუთღლჳლი **ღინა** კაბ უგნბა ხაკუჩერ ლესეს (ჩოლ.) „გასათხოვარი გოგოს კაბა გაუსვრელი (შეურცხვენელი) უნდა იყოს“

კოჭიშ ქიპშუ ოხთლგრა ამექა (ბქ., იქვე, 218) „კაპრონის ძაფით მოუჭერია აქ“

ნთხტრჳშ ლელტუშუ გარ ხორდხ მინე ღაჩტირ (ბქ., სვან. ქრესტ., 221) „ნანადირევის ხორციო მარტო ყავდათ მათი და“ და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც საზღვრულს რამდენიმე ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრება ახლავს — ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი მხოლოდ უკანასკნელთან იქნება მოკვეცილი, თუმცა ბალსქვემოური დიალექტი ამ შემთხვევაშიც ყველა განსაზღვრებითან სრულად ინარჩუნებს ბრუნვის ნიშანს:

ჟოსებიშ ი **ბჳდრი** მგჳწნე მერა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 65,1) „უსუპისა და ბადრის მომვლელი მეყოლება“

აკატანდ ხრბ **თხტრემიშ** ი დედ **დეშლჳე** ცხა ხოლა **თემიშ** ი **აყბჳ** მგჳბტუნად (ლწხ., სვან. ქრესტ., 237) „აკენისთვის {შე}უბია მგლის ან დათვის ფრჩხილი ცუდი თვალის და ყბის ასაცილებლად“

ბატიშ ი **ციცრა** ლგგრას დემ ხუაღფენდად (ჩოლ.) „ბატის და ციცარის კვერცხს არ ვღებავდით“

ბეფშუტიშ ი **მეჩიაშ** ჭკუა ეშუ ლი (ბქ.) „ბავშვის და მოხუცის ჭკუა ერთია“

დიეშ ი **მუეშ** ძმდ ესერ ხათხიფ (ბქ.) „დედის და მამის გამო ძაძები აცვიანო“...

სვანურის დიალექტებში იშვიათად განსაზღვრებას თან ახლავს მეორე განსაზღვრებაც, ამ შემთხვევაში ორივე სუბსტანტიურ მსაზღვრელს ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი, ხოლო ბალსქვემოური ამ შემთხვევაშიც გამონაკლისია, იგი სრულადაა მარკირებული:

ჰედ ლოქ ადგნე **ფანაგა ლარელე** თხუმდ (ლშხ., იქვე, 251) „მე წავალო („თვითონ წავაო“) ფანაგის მინდვრების თავამდე“

პალტო ფაყტი ნაჭრენულს ხეთხელდა ლეშხილ (ჩოლ.) „პალტოს ქუდის შესაერთებელს ეძებდა შესაკერად“

აღმარ იზგეხ **მახარაძეშ რაფონიშ** სოფელ მთისპირს (ბქ., იქვე, 207) „ესენი ცხოვრობენ მახარაძის რაიონის სოფელ მთისპირში“...

ი. ჩანტლაძის მოსაზრებით, ნათესაობითი -**შ** თანხმოვნის გაუჩინარება თავდაპირველად მრავლობითის ფორმებში უნდა დაწყებულიყო: „ძველი სვანური ხალხური სიმღერებისა და ანდაზების ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ -**შ**ს გაუჩინარება, განსხვავებით დანარჩენ ქართველურ ენათაგან, მრავლობითის ფორმებში უნდა დაწყებულიყო. ამ მონაცემებს მხარს უბამს თანამედროვე ბალს-ქვემოური მეტყველებაც, სადაც არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტის შემონახვისა მრ. რიცხვში იმ დროს, როდესაც (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბენოურ კილოკავს, სადაც მსოფლობითის ფორმებში -**შ**ს დაკარგვა ბალსხემოურ დიალექტთან მისი უშუალო მეზობლობით აიხსნება), თითქმის ყველგან დაცულია -**შ** მსოფლობითში. ლახამულურში აქა-იქ თუ შეგვხვდება თანხმოვანმოკვეცილი პრეპოზიციური მსაზღვრელი: მუშტნი **შტან-ე** ჯტრილს ოხბიდ „სვანი სვანეთის რჯულს იცავს“...“ (48, 28).

სვანურში სუბსტანტიური განსაზღვრების **პოსტპოზიციური წყობის** შემთხვევებიც დასტურდება. მსაზღვრელი აქაც მართულია და მასთან ბრუნვის ნიშანი სრულად არის დაცული:

ქა მაჭკურე **ლუსდგუარს ჟოქტრანშ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 88,10) „მომჭრის ნაწნაებს ოქროსას“

გაღოს ხტად რიგი ლიმზგრ ხოხალ ხალ **მათხეფიშ**, ეფი ხოლა **თემიშ** ი **აყბანშ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 237) „ბებიაქალმა ბევრინაირი ლოცვა იცის როგორც მონადების, ისე ცუდი თვალისა და ყბის“

ჩუ ჟარ ლოგტემნე **გარო ხამიშ** (ჩოლ.) „ნეტა გვაჭამა ცხიმი (შემწვარი) ღორის“

იგივე მდგომარეობაა გათიშულ პოსტპოზიციურ მსაზღვრელთანაც: **ღაჭა ქორ** ლგ **ჩეიშ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 307:29) „ღევის სახლი ღვას სპილენძის“

ჩაფლარ ჟენდ ხტითხ **ტუფიშ** (ჩოლ.) „ფეხსაცმელი ძლივს ვიშოვე ტყავის“.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ნათესაობით ბრუნვაზე დართული **-შალ** „ვით“ თანდებული სვანურში.

როგორც ცნობილია, სვანურში თანდებულები ორ ბრუნვას – მიცემითსა და ნათესაობითს დაერთვის. ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში ნათესაობითზე დართული **-შალ** თანდებული ხმარების სისშირით გამოირჩევა და **-შალ** თანდებულიანი ადამიანთა ხმოვანფუძიანი სახელები მხოლოდ ნათესაობითში გვხვდება:

დოდრ-**შ-შალ** ხაზუნი მიჩი (ჩოლ.) „დოდოს მსგავსად უნდა მასაც წასვლა“

ჰანდურდ ჩუ მეთუფე ხი პეტრე-**შ-შალ** (ბზ.) „მთლად დაკარგული ხარ პეტრეს მსგავსად“

ალეს ლაძდი იჟანე-**შალ** ხაყერ (ლნტ.) „ამასაც ივანეს მსგავსად დამართა“

ბაბა გოგ-**იშ-შალ** მეთხუარ... (ბქ.) „პაპა გოგის მსგავსი მონადირე“

ჟალიკრ-**შ-შალ** იმითრულალ (ლშხ.) „ვალიკოს მსგავსად იგიჟიანებს თავს“.

აღნიშნული თანდებულის დართვისას მიცემითსა და ნათესაობითის ბრუნვის ნიშნები წარმოდგენილია. განსაკუთრებით საინტერესოა **-შალ** თანდებულიანი მიცემითი, ასეთი ფორმები ძალზე იშვიათია, უმეტესად ნაცვალსახელებში გვხვდება (საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც წარმოდგენილია მიცემითის **-ს** ნიშანი):

დარ-**ს-შალ** ხარ სერდე (ჩოლ.) „თითქმის არავის ედარდება“

სგანჟიშარს ჩი-**ს-შალ** ხოხალს ცურაჟ (ლშხ.) „ქალაქელმა („შიგნიტებს“) თითქმის ყველამ იცის ცურვა“

მევედ მარე უყლად მან დემი-**ს-შალ** ჯედნიჟ (ბქ.) „მომსვლელები დაუძახებლად თითქმის არ მოვიდოდნენ“

სამაშირს ჩუბაჟ ეჯლან დემი-**ს-შალ** ჟეცნი... (ბქ.) „სამასზე ნაკლებად თითქმის არ გადაწყდება“...

ნათესაობით ბრუნვაზე **-შალ** თანდებულის დართვისას გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს თანდებული გაუფორმებელ ფუძეზეა დართული და ასეთი ფორმები გარეგნულად სახელობითს ემთხვევა.

გამომდინარე იქიდან, რომ სვანურში სახელობით ბრუნვას თანდებული საერთოდ არ დაერთვის, ასახსნელია თუ რომელ ბრუნვას (მიცემითსა თუ ნათესაობითს) დაერთვის ამ შემთხვევაში **-შალ** თანდებული.

-ვით თანდებულს ქართულში არა ერთი მკვლევარი შეეხო (თ. შარაძენიძე, არ. მარტიროსოვი, ი. გიგინეიშვილი, შ. აფრიდონიძე, გ. ბურჭულაძე, ი. კიკნაძე...).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში **-ვით** თანდებული სამ ბრუნვასთან – სახელობითთან, მიცემითთან და ნათესაობითთან დასტურდება. აქედან „ნათესაობითში **-ვით**-ის ხმარების შემთხვევები უფრო იშვიათია” (46, 158)... „...და ასეთი ფორმები ამჟამად გადავარდნილია” (43, 600).

მკვლევართა აზრით **-ვით**-ის გათანდებულების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, საფიქრებელია, რომ ეს პროცესი ამ თანდებულის ერთ რომელიმე ბრუნვასთან, კერძოდ, მიცემითთან მიმაგრებით დასრულდება (46, 158). ამის ერთ-ერთ საფუძვლად ითვლება ის ფაქტი, რომ ნაცვალსახელებთან **-ვით** მხოლოდ მიცემით ბრუნვაში გვხვდება.

სვანურში ხომ არ გვაქვს ქართულისებრი მდგომარეობა? როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა – **კაცივით** ფორმა სახელობითია თუ ნათესაობითის (**კაცისავით**) ფორმის გარდაქმნის შედეგად მივიღეთ მსგავსი ფორმები.

სვანურში გაუფორმებელ ფუძეზე დართული **-შალ** თანდებულიანი ფორმები ნათესაობითის პარალელურად გვხვდება. შესაძლოა სვანურშიც დროთა განმავლობაში ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი დაიკარგა და ასეთი ფორმები ფორმალურად დაემთხვა (დაემსგავსა) სახელობითს.

-შალ თანდებულიან ნათესაობითს ენიჭება უპირატესობა თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებთანაც, თუმცა **მეტად იშვიათად** წმინდა ფუძეზე დართულიც შეიძლება დადასტურდეს, მაგ: ბეთქილ-**იშ-შალ**||ბეთქილ-**შალ** „ბეთქილის მსგავსად“, მურმან-**იშ-შალ**||მურმან-**შალ** „მურმანის მსგავსად“, ბათარ-**იშ-შალ**||ბათარ-**შალ** „ბათარის მსგავსად“, ციოყ-**იშ-შალ**||ციოყ-**შალ** „ციოყის მსგავსად“...

რაც შეეხება ტოპონიმებს, **-შალ** თანდებული გეოგრაფიულ სახელებთან გაუფორმებელ ფუძეზე დართული გვხვდება, მაგ: ქალაქ-**შალ** „ქალაქივით“, თეკალ-**შალ** „თეკალივით“, ჩოლურ-**შალ** „ჩოლურივით“, ლაშხ-**შალ** „ლაშხივით“, ფანაგა-**შალ** „ფანაგასავით“...

სვანურში, განსაკუთრებით ჩოლურულში, ნაცვალსახელებთან **-შალ** უმეტესად ნათესაობით ბრუნვას ერთვის, თუმცა ნათესაობითის ნიშნის გარეშეც დასტურდება, სხვა დიალექტებში ნათესაობითზე დართული თანდებული, ძირითადად, ნაცვალსახელთა მესამე პირის ფორმებთან გვხვდება გაუფორმებელი ფუძის პარალელურად.

ჩოლურული

მხ. რ.

მრ. რ.

ნათ.

ნათ.

მიშგტა-შ-შნლ||მიშგტა-შნლ

გუშგტე-შ-შნლ||გუშგტე-შნლ

ისგტა-შ-შნლ||ისგტა-შნლ

ისგტე-შ-შნლ||ისგტე-შნლ

ენა-შ-შნლ

ეჯიარე-შ-შნლ||ეჯიარ-შნლ

მინა-შ-შნლ

მინე-შ-შნლ

ამშა-შ-შნლ

იმე-შ-შნლ

იმშა-შ-შნლ

დეშა-შ-შნლ||დეშა-შნლ

დეშა-შ-შნლ||დეშა-შნლ

მერმა ლადელ მიჩე-შალ (||მიჩე-შ-შალ) ლეთურიდ აღნიდ ანჯად ეშხუ მარე (ბქ.) „მეორე დღეს მის მსგავსად სასწავლებლად კიდევ მოვიდა ერთი კაცი”

ანჯად მესმე მარე, მინე-შალ (||მინე-შ-შალ) ლათურიტე (ბქ.) „მოვიდა მესამე კაცი მათ მსგავსად სასწავლებლად”

ჯი ესერ მნმა ლი ეჩდვრ-შნლ||ეჯდარე-შ-შნლ... (ბზ.) „შენ არა ხარო მათი მსგავსი...”

მიჩხ-შ-შნლ ხოლ'ესერ მნდ ლი (ბზ.) „მის მსგავსად ცუდი არ არისო...”

წესისამებრ პირის ნაცვალსახელებს ენაცვლება შესაბამისი კუთვნილებითის ფუძეები, თუმცა -შალ თანდებული იშვიათად პირის ნაცვალსახელსაც შეიძლება დაერთოს: ეჯი-შალ ლესგიდვრი ლწსტ (ბქ.) „თითქმის ისეთი სანახავი იყო...”

როგორც მასალიდან ჩანს, -შალ „ვით” თანდებულიან ნათესაობითში ძირითადად „ვინ” ჯგუფის სახელები გვხვდება, ხოლო სხვა დანარჩენ სახელებს -შალ თანდებული გაუფორმებელ ფუძეზე დაერთვის, მაგ.: დიე-შ-შნლ||დი-შნლ „დედის მსგავსად”, დინოლა-შ-შნლ||დინოლ-შნლ „გოგოს მსგავსად”, მეე-შ-შნლ||მე-შნლ „მამის მსგავსად”, ხემწიფი-შ-შნლ||ხემწიფ-შნლ „ხელმწიფის მსგავსად”... თხერე-შნლ „მგელივით”, დამდუ-შნლ „დათვივით”, გეჭ-შალ „გოჭივით”, ბაჩ-შალ „ქვასავით”, ტურ-შნლ „ტევრივით”, დეც-შნლ „ცასავით”, შუკუ-შნლ „გზასავით”... თუმცა ეს წესი არ არის უგამონაკლისო, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც „რა” ჯგუფის სახელებიც -შალ თანდებულიან ნათესაობითში გვევლინება, ძირითადად ნათანდებულარი სახელები (42; 48):

ლამზერ-ჟი-შ-შალ (ბქ.) „სალოცავის დროის მსგავსად”

კონხხვრ-ჟი-შ-შალ (ბქ.) „წლისთავის დროის მსგავსად”

ცინგლიდვ-შ-შალ (ბქ.) „ზღაპრის მსგავსად”

ეს ფორმები ძირითადად ბალსქვემოურისთვისაა დამახასიათებელი. ბალსქვემოურში ასევე საინტერესოა ზმნიზედების – ჩიგარ „ყოველთვის“, მეჰად „მუდამ“ და შომა „როდის“ -ვით თანდებულიანი ნათესაობითიც, რომლებიც სხვა დიალექტებში ამ სახით არ დასტურდება, მაგ.:

ათხე ხოჩმდ არი ჩიგარი-შ-შალ „ახლა კარგადაა, როგორც ყოველთვის“

ჩუ ხოფანეს ადჰიდ ჩიგარი-შ-შალ მეკლიბარს გარ „საკუროთს სუფრას წაუდგამენ როგორც ყოველთვის მხოლოდ კოჭლებს“

დოხთურდ შაურდენს ჟაგრბრ ჟდესჰიე ი მაჟ შომჰდ-შ-შალ ამჟი ესსიბეს „ექიმმა შევარდენს დროზე მიუტანა წამლები („წამლები მიუსწრო“) და როგორც როგორც ყოველთვის („როდისსხავით“) იყო ისეთი გახადეს“

ნებოზს ანღრი დჰუ ი მეჰადი-შ-შალ ბიკ ხოგენგერი „სადამოს მოდის დევი და როგორც ყოველთვის მორი აქეს ჩამოკიდებული“...

რაც შეეხება სხვა ზმნიზედებს, ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულში – -შალ თანდებული გვხვდება როგორც ნათესაობით, ასევე გაუფორმებელ ფუძეზე დართული, მაგ.:

ეჩქადა-შალ||ეჩქადა-შ-შალ||ეჩქადი-შ-შალ (ჩოლ.) „მაშინდელის მსგავსად“

ათხადა-შალ||ათხადა-შ-შალ||ათხადი-შ-შალ (ჩოლ.) „როგორც აქამდე“

ათხა-შალ||ათხე-შ-შალ (ბზ.) „ახლანდელის მსგავსად“...

-შალ თანდებული დაერთვის წინდებულებსაც (42, 169), მაგ.:

ეჯი ჩუ-შალ ლგშდნე მარ „იგი თითქმის დავიწყებული მაქვს“

ლაწე ჟი-შალ ახსყენა „მხედველობა თითქმის დაბრუნებია“

ქა-შალ ადზელალე „დაიარა თითქმის“...

აღნიშნული თანდებული დაერთვის ასევე უარყოფით ნაწილაკებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს, მაგ.:

დესა-შალ ხეზნან ლიტხიელ (ჩოლ.) „თითქმის არ სჩვეოდა ენის შემობრუნება“

ათხე დარ-შალ ხაშდბა ამკალიბარს (ბზ.) „ახლა თითქმის არავინ აკეთებს ასეთებს“

ათხე ლჟაჟარს მამ-შალ ხოჟიბხ ი დესა ხაკუიუხ ეჯ ბაჩარე ლიკედს (ლშხ.) „ახლანდელ კაცებს თითქმის არ სცალიათ და თითქმის არ ცდილობენ იმ ქვების აღებას“

მხელტუჲ მარა ტაღდ ხოლა მოღმაგეშ-შალ ხათმენ (ბქ.) „ახალგაზრდა კაცისთვის („ახალგაზრდა კაცს ნიშნად ცუდი არასავით ემართა“) ამაზე ცუდი თითქმის არაფერი იყო"

ისევე, როგორც ქართულის ზოგიერთ კილოში, სვანურშიც ხშირია სახელ-ზმნებზე და ზმნებზე -შალ (-ვით) თანდებულის დართვა, მაგ.:

ხაპლანტუნე გაცხა მესყი-შალ (ჩოლ.) „ტლიკინებ მართლა გამკეთებელივით"

სგა ხეჭუალოლხ ეშხუარ ამჟი, ა, ლიბტრეგელ-შალ (ჩოლ.) „მისცვივდებონენ ერთმანეთს ასე, აი ჭიდაობასავით"

მახე მედცხე-შალ ჟუნასკინე (ლნტ.) „ახალი გაღვიძებულივით წამოხტა"

ჩუ ლებრეჟე-შალ ლიხ ჭტედუარ (ლშხ.) „გაქვაგებულივითაა კედლები"

ლესყე-შალ ლასუ (ბზ.) „გაკეთებულივით იყო", უახტონე-შალ „ასწავლასავით", უოსყე-შალ „გაუკეთასავით", ქალახდიანე-შალ „ათხოვასავით", ლახბარიე-შალ „მიაბარასავით", ლახტულე-შალ „დაუძახასავით", იტნი-შალ „ტირისსავით"...

განხილული მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში ნათესაობითზე დართული -შალ თანდებული ხმარების სიხშირით გამოირჩევა და -შალ თანდებულის ადამიანთა ხმოვანფუძიანი სახელები მხოლოდ ნათესაობითში გვხვდება. რაც შეეხება გაუფორმებელ ფუძეზე -შალ თანდებულის დართვას (სახელობითის ფორმის დამთხვევას), საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ქართულისებრი მდგომარეობაა.

უბრალო დამატებად, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ძირითადად ნაზმნარ სახელებთან იხმარება:

ეჯაჲრ ესერ ჰამჲ ლეზობ ლიხ დჲტუჲშ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 274,4) „ისინი დილას შესაჭმელნი არიანო დევის"

ნაბომ ლიყდანი ლი ზურალჲშ (ბქ., სვან. ქრესტ., 175) „ნებით დანიშენაა ქალისა"

მჲგ ხოჩემ გარ მეჩემ ლი უშხურეშიშ (ბქ., იქვე, 191) „ყველა კარგის გამკეთებელია ერთმანეთის"

ხშირად, როგორც დამატება, -ხანქა თანდებულისანი საკუთარი სახელია და დასმულია ვნებითი გვარის ფორმებთან: ლიც იტში პეტრეშხანქა (ბზ.) „წყალი ისხმება პეტრესგან".

დანიშნულების დამატებაც ნათესაობითისაგან ნაწარმოებ ვითარებებში დგას და ორივე ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი:

აღე ხაკუ გიორგიშდ, მარქმიშდ (ჩოლ.) „ეს უნდა გიორგისათვის, კაცისათვის“

ხახტემ ლილღუაჟალეშდ მეზგე არჰყი არჰყს (ბქ., სვან. ქრესტ., 178) „ცოლის მშობიარობისთვის ოჯახი ხდის არაყს“

დერხის ლელუნთად იშხტნის **უჟელდერისაშდ** (ღშხ., იქვე, 265) „ზოგს საზამთროდ ინახავენ ყველიერისთვის („-ის-ად“)"

ჩუ ხტაშხტნი ტებდიდ **ბოფშიშდ** (ჩოლ.) „შევინახავ თბილად ბავშვისთვის („-ის-ად“)"...

როცა რამდენიმე დანიშნულების დამატება ერთადაა წარმოდგენილი, ქვემოსვანურ დიალექტებში, მათ შორის ჩოლურულშიც, ყველა სრულად ინარჩუნებს ორივე ბრუნვის ნიშანს, ხოლო ზემოსვანურ დიალექტებში, ხშირად, წინამავალი დამატება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის გარეშე დასტურდება:

პოლარეშდ ი **აკოშკელეშდ** ეშხუნაირ მეგემ ხეკტად (ღშხ.) „იატაკებისთვის და ფანჯრებისთვის ერთნაირი ხე უნდოდა“

ქატრ ლიჟღუნეს იგვრალდა **ხამარეშდ** ი **ქათლარეშდ** (ჩოლ.) „ქატოს გამოყოლებას იხვეწებოდა ღორებისთვის და ქათმებისთვის“

მტყხნქა ალთახ მინე **ლაჭშაშ** ი **გეზღირეშდ** (ბზ. სვან. ქრესტ., 29) „მატყლისგან რთავდნენ თავიანთი ქმრებისთვის და შვილებისთვის“.

ვ. თოფურიას მოსაზრებით, ნათესაობითის ფორმითაა გადმოცემული დროის გარემოებები: **ღაღი** (ღაღდიშ) „ღღეს“; **ბაზი** „ამაღამ“... (13, 264).

მოქმედებითი ბრუნვით, ძირითადად, გადმოიცემა წინადადების არამთავარი წევრები – უბრალო დამატება და გარემოება:

აღნიშნული ბრუნვით გამოიხატება საჭურვლის უბრალო დამატება:

ნაგვლუნანრს სგუებნაჟ ხაჰუედდა, დერხის **გემშუ** ი დერხის **კუმაშუ** (ბზ., იქვე, 27) „ნახელავს წინასწარ აძლედა: ზოგს მიწით და ზოგს საქონლით“

ეჟ ლეთ **არჰყშუ** ხოჩა პატივს ხეჩოხ (ბქ., იქვე, 175) „იმ ღამეს არყით კარგ პატივს სცემენ“

ღემ სხტატჰარ **ნაფთუშუ** ლემესყ (ღნტ.) „ვერ ავანთე ნავით ცეცხლი“

ნესყეჟუ აყაღუდა ბოფშს (ღშხ.) „ნემსით აშინებდა ბავშვს“

თეჟზი ლირმი ხეკტად **ბაღჟუ** (ჩოლ.) „თევზის დაჭერა უნდოდა ბადით“...

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედებით ბრუნვაში დასმულ თანაობის აღმნიშვნელ ქართულ უბრალო დამატებას სვანურში **-ცახან|-ცახან|-ცხან** (-თან)

თანდებულებიანი ფორმები შეესაბამება: **ფეკუნარცახან** ლეხმითქუნანს გუქეჭარნ ლიდარალს (ჩოლ.) „ლეკვებთან ერთად შეეჩვივნენ გოჭებიც ჭამას“.

გარემობათაგან მოქმედებითი ბრუნვით გადმოიცემა:

დროის გარემობა: **ლეთუმ** ტეხენდა აგხო (ლნტ.) „დამით ბრუნდებოდა სახლში“

ლადეღუმ მამ ლას ლემყალ ფიშყორქა ლიზი (ჩოლ.) „დღისით არ იყო საშიში ფიშყორზე გავლა“...

ვითარების გარემობა: ამჟინ ჩუ იყულურალს **ლახანალუმ** ი **ლაგუნუმ** (ბზ., სვან. ქრესტ., 27) „ასე შორდებიან ერთმანეთის კოცნით და ტირილით“

მიშგუტი ნებუმ ოთეკმ ეხტედ (ლშხ.) „ჩემი ნებით გავყვევი ცოლად“

ლანარალუმ მუგტუნნი დარ მიწუა მი (ლნტ.) „სიმღერით მტირალი არავინ მინახავს მე“

ლილტუნალ **ძალუმ** მს ლი (ჩოლ.) „სიყვარულობანა („საყვარლობია“) ძალით არაა“...

მიზეზის გარემობა: **მაიდუმ** ხტიდგარი (ბზ.) „შიმშილით ვკვდები“

მაყალუმ გუ ლრმდ ემბაჭკუ (ლშხ.) „შიშით კინაღამ გული გამისკდა“

მაწუღუნუმ ლრთ ოხგიყენ (ჩოლ.) „მონატრებით კინაღამ გავგიყდი“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ძველ და ახალ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ადგილის გარემოების გადმოცემა წარმოადგენდა, ქართულისაგან განსხვავებით სვანურში ადგილის გარემობად მოქმედებითი თითქმის არ გამოიყენება. უპირატესობა აქაც თანდებულებს ენიჭება.

ვითარებითი ბრუნვით, ძირითადად, გამოიხატება დამატება, გარემობათა უმეტესობა და შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმები.

სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა უბრალო დამატება გარდაქცევითი და დანიშნულებითი მნიშვნელობით:

ეჯად მასარდ გარჯ ლჰსუ ლგმშერა **მარემიშდ** (ბზ., სვან. ქრესტ., 149) „ესეც ძალიან ძნელი იყო დაღლილი კაცისთვის“

ჟებე სოფელ იჟმარი **ლეთრად** მარემიშუ ი ტეთხმწლიშუ (ბქ., იქვე, 186) „ზედა სოფელი იყენებს დასალევად ადამიანისთვის და ოთხფეხისთვის“

მგჭი-მგარბიელიდ გარ ჯაკუნხტი (ჩოლ.) „გამომცხობად მარტო გინდივარ“.

სვანურში, ქართულისაგან განსხვავებით, ვითარებითი ბრუნვით გადმოცემულ უბრალო დამატებას ზოგჯერ შეიძლება განკუთვნების მნიშვნელობა

ჰქონდეს (კითხვაზე: იშაშდ? - ვისთვის?), რაც ქართულში -თვის თანდებულიანი ნათესაობით ან ნანათესაობითარი ვითარებით გადმოიცემა:

ციცუ ი ფაკუნა ქა ლოხრდას ამი მგქაფ მინე ხოხტრა **უდილდ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 76) „კატა და ლეკვი მიუციათ ამის მაგივრად მათი უმცროსი დისთვის" („დად")"

ზურალდ ნუმა ხაკურ ოთყუნან (ლშხ.) „ქალისთვის არ უნდა გაეცნია" ჯტებე ნათი ქ'ლოხბიშას მეზტბელი **ბიშუდ** (ჩოლ.) „ჯვებეს წილი მიუწოდებიათ მეზობლის ნაბიჭვრისთვის".

ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს:

ლგიფლდ ნომ ანვე ქორთე (ბზ.) „ფესაცმლიანად არ შემოხვიდე სახლში" **ლგინჩუილდ** ლენმუშტრანს (ბქ.) „ბავშვებიანად გვესტუმრენ" **ლგბეფშუდ** მანშ მანმედა ლიზი (ლნტ.) „ბავშვებიანად არ შემიძლია წასვლა"

ლგშერაუდ მანდ ენმითრულან ქა?! (ლშხ.) „მარვლიანად არ გაგიჯდა?!" **ლგ-მეხტ-ლგ-გზელ-დ** ოთოგანს შუკტს (ჩოლ.) „ცოლ-შვილიანად გაუდგენ გზას („შუკას")"

ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ემოციებისა და გრძობების აღმნიშვნელ ზმნა-შემასმენელთან. უნდა აღინიშნოს, რომ სვანური ამ მხრივაც ქართულისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, ვინაიდან ქართულ თარგმანში სვანურს, აღნიშნულ შემთხვევაში, ნათესაობითი ბრუნვის ფორმები შეესაბამება:

მიჩა **წეტარ-მეძარდ** ესერ ხაყლუნი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 268,25) „შენი მწევარ-მეძებრების („მწევარ-მეძებრად") მეშინიაო"

ცხეკისა **თხერელდ** მაყლუნდა (ლშხ.) „ტყეში მგლების („მგლებად") მეშინოდა"

ლადრ **პაცნარდ** მანდ მეკკრ (ჩოლ.) „დღევანდელი ბიჭ-ბუჭების („პაცნებად") რა უნდა მერიდებოდეს?"

ლადიმთილად მახა ლათრელლას ხეკტეს ხამორდებუნდეს (ჩოლ.) „დედამთილების („სადედამთილოებად") ახალ რძლებს უნდა ერიდებოდეთ"...

შედარებითი ხარისხის ფორმებთან სვანურში ვითარებით ბრუნვით გამოხატული უბრალო დამატება ქართული -ზე თანდებულიანი ფორმების შესატყვისად იხმარება:

ქუეყანაჲი **ეჯაზრდ** ხოჩა დესა ლემზრდ (ბზ., იქვე, 124:16) „ქვეყანაზე მათზე („იმეებად“) უკეთესი არავინ ყოფილა“

ეჯაზრდ ხოდრა დარს ხაბუა თხუმ (ჩოლ.) „მათზე ცუდი არავის გონია თავი“
გარემოებებში ყველაზე ხშირად ამ ბრუნვაში ვითარებითი გარემოება ჩანს, ამისთვის აღებულია ზედსართავი სახელი:

კუმანს ლემქუთითინს **უმბილდ** (ბზ., სვან. ქრესტ., 91) „საქონელს იპარავდნენ თავისდაუნებურად“

მესამედ აჯახ **ამკალიბდ** ლეხინსტუნ (ლშხ.) „მესამედ კიდევ ასე („ასეთად“) დაესიზმრა“

მუაჲდ ლამაწუენან (ლნტ.) „მუავედ მომეჩვენა“

თუეთანამდ ლეწჩუჲ ჯარ (ჩოლ.) „თეთრად გაგეცვითოს“...

დროის გარემოება: **ჯუინალდ** ჰნდურდ დემგტაჲ ხნჩუმინახ (ბზ., იქვე, 91) „ძველად სულ არაფერს უკეთებდნენ“

ჯუინელდ ხამთქუენახ ციცტარს ლიგტუეფ (ჩოლ.) „ძველად სჩვეოდათ თურმე კატებს კუდიანობა“...

ადგილის გარემოება: **ჯოდიად** ხეკტადხ ლნზი ალე ბენალეთისა (ლშხ.) „შორს („შორად“) უნდოდათ წასვლა ამ წყვილიადში“

ნაფდიად დემ ითლა გეზლნრე მუჭუთუნას (ჩოლ.) „ახლოს არ იკარებდა თავისი შვილების მაწყევარს“

ხალ ხემდედნ ტეხდნ-ტეხდა **ქახიდ** (ჩოლ.) „რაც შეეძლო წევდადაწევდა გვერდზე“.

ადგილისა და დროის გარემოებები ქართულში ვითარებით ბრუნვაში გვევლინებიან ცალკეც და -მდე თანდებულის დართვითაც, მაგრამ სვანური აღნიშნული გარემოებების გადმოსაცემად უპირატესობას სხვადასხვა თანდებულებს (-ნუნ|-ნენ, -თე, -თექა..) ანიჭებს და მიცემითი ბრუნვაა წინ წამოწეული: **ძინარუნ** „დილამდე“; **სოფელნენ** „სოფლამდე“; **კიჩხთექა** „კიბემდე („კიბისკენ გარეთ“); **ლაგაგითექა**– „ზღურბლამდე („ზღურბლისკენ გარეთ“)“...

ხშირია შემთხვევები, როდესაც შესადარებელი სახელი ვითარებით ბრუნვაშია დასმული:

ხრმელს **ხონრელდ** ხოჯეჲს თუელ (ლშხ.) „უფროსებს უმცროსებისთვის უგავთ ტვინი“

მესტია **ლენტხად** ხომა ლი (ჩოლ.) „მესტია ლენტეხზე დიდია“...

ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა:

სი მამა ჯაყანა ეჩათ **მეზიდ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 65) „შენ არ გამოდგები იქ წამსვლელად“

ეჯიარტუ ჯაყა ხტანდ ხან **მეზი-მეტეხდ** (ჩოლ.) „ისინიმც გყავდეს ბევრ ხანს წამსვლელ-მომსვლელად“...

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, სვანურში ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები, ძირითადად, ქართულისებურია, ორივე ენა განვითარების საერთო ხაზს მისდევს, მცირეოდენ სხვაობას ქმნის რამდენიმე ბრუნვა, მაგ.: ზოგი ზმნა, რომელიც ქართულში ქვემდებარეს მოთხრობითში მოითხოვს, სვანურში სახელობითის ფორმას იყენებს (ეშხუ ნავაზი ერე ქაჩად, ეჩქანლო **კტაპა** **უაბეთხელდა** დაგვლს (ლნტ., სვან. ქრესტ., 344,14) „ერთი კვირა რომ გავიდა, შემდეგ კვაპამ („კვაპა“) ძებნა დაუწყო თხას“), ხოლო ზოგიერთი ზმნა, რომელიც ქართულში ქვემდებარეს სახელობით ან მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობს, სვანურში მიცემით ბრუნვას მოითხოვს (ეჩზუმ **ქწხფას** ამ **ლეთს**, ერე ალა მწგ ნამშაუნლო სემი ტუ ქნდ ვნტუენე (ბზ., იქვე, 172,25) „იმხელა გამოვიდა ეს („ამ“) ღამე („ღამეს“), რომ ამდენი მუშაობის შემდეგ სამჯერ ისევ გამოიძინა“). ქართულში, ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში იხმარება ორი თავისებური ზმნის (**იცის** და **უწყის**) პირველი სერიის ფორმებთან. სვანურში შესაბამისი ზმნა **ხოხალ** ინვერსიულია და ქვემდებარეს ყველა დროში მიცემით ბრუნვაში მოითხოვს: **ეჯას** ხოხალ („მან იცის“, სიტყვასიტყვით: „მას იცის“): ნინას ჩნმე გტემ ხოხალ (ჩოლ.) „ნინამ („ნინას“) ყველას ამბავი („საქმე“) იცის“.

§ 8. უბრალო დამატება სვანურში. დამატებას, რომელიც არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან უბრალო დამატება ეწოდება. უბრალო დამატება წინადადების არა მთავარი წევრია, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. იგი „ახლავს შემასმენელს ან ზმნური წარმოშობის წევრს წინადადებისას (აგრეთვე ზოგ ზედსართავ სახელსა და ზმნისართს) და იმართვის მათგან ბრუნვაში“ (23, 145).

უბრალო დამატება გადმოიცემა არსებითი სახელით და მასთან გრამატიკულად გათანაბრებული ნებისმიერი სიტყვით. იგი უთანდებულოა ან თანდებულიანი.

ქართულში პირმიუმართავი დამატების ბრუნვებია მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

უბრალო დამატება სვანურშიც ოთხ ბრუნვაშია – მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში და ვითარებითში, თუმცა თანდებულის დამატებებთან ქართულისაგან განსხვავებული ვითარება დასტურდება: „უთანდებულო ბრუნვაში სავსებით ქართულისმაგვარი ვითარება გვაქვს, თანდებულთა მიერ სახელების ბრუნვაში მართვა კი ქართულისაგან განსხვავებულია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სვანურში თანდებული ერთვის სახელს მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში. ამასთან თითოეულ ბრუნვას ესა თუ ის თანდებული კი არ მოითხოვს, არამედ თანდებულს შეუძლია სახელები ორივე ბრუნვაში მართოს" (5, 9).

ა) პირმიუმართავი დამატება მიცემითში:

მიცემითში დასმული სახელი პირმიუმართავ დამატებად ქართულში, ძირითადად, თანდებულიანია, სვანურში კი უთანდებულო. მეცნიერთა ერთი ნაწილი (23, 146) ამას თანდებულთა სიმცირით ხსნის.

სვანურში უთანდებულო მიცემითით გადმოიცემა ქართულის **-ზე** და **-ში** თანდებულიანი მიცემითი, მაგ.:

უმგულ ხორიკ უოქტრემ **ხანთალს** (ბზ., სვან. პოეზ., 304,6) „უმგული ჰკიდია ოქროს საკიდზე“

ჟი ხასტურდა **ჩაჟის** მიჩა (ბზ., სვან. პოეზ., 64,22) „იჯდა თავის ცხენზე“

ემეჟმ **ფხულას** ენცუე გეჩ (ლშხ.) „მაინცდამაინც თითს||თითზე გამოსვა დანა“

მცცხის ნამითქუ ბოფშარ ლიხ (ჩოლ.) „სიცივეს შეჩვეული ბავშვები არიან“...

სვანურში არცთუ იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში დასმულ პირმიუმართავ დამატებას დაერთვის **-ჟი** და **-თე** თანდებულები, რომლებიც ქართულის **-ზე** თანდებულის მნიშვნელობისაა:

ათხე უმხტჷრ ლახტჷერჷნჷნ უმგჷლარ ი ღებჷრ **ნაერთგულაჟი** (იქვე, 368:19) „ახლა ერთმანეთს შეეფიცნენ უმგულელები და ღებელები ერთგულებაზე“

ხოჩმდ ხახლჷნა **ფანდურჟი** დაკტრა (ლშხ.) „კარგად სცოდნია ფანდურზე დაკვრა“

კადაჟი ხონცოლა ქორ-გტეჟი (ჩოლ.) „ნაჯახზე უზის („უსვია“) მთელი ოჯახი („სავსე-სახლი“)

ნად ესლტრიდ **ლაკუცირათე** (ბზ., სვან. პოეზ., 182,22) „ჩვენ მივდივართ ჯიხვზე სანადიროდ“.

მიცემითის ეს თანდებულებიანი ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში მეორეულ მოვლენად მიაჩნიათ (ა. კიზირია).

სშირად **-თე** თანდებულს ქართულის **-ში** თანდებულის მნიშვნელობა აქვს: ემნ სგედკუჟარ **კანჭართე** (ჩოლ.) „მაინც ჩაიგდო კლანჭებში“

დემ ხეყჩენი **კასრულართე** ლიყიოტალს (ჩოლ.) „არ ეშვება ქვაბებში ძრომიალს“

სვანურში ასევე შეინიშნება ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათესაობით ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებას დაერთვის **-თე** თანდებული და მას ქართულის **-ზე** თანდებულებიანი მიცემითი შეეფარდება:

იმჟი ხაკუეს ეხმჯარტუნ **დედწითე?** (ლშხ.) „როგორ უნდა გაბრაზდე დედაზე?“

ხოლა კტიჟ ემჟად **გუნტერიშთე** (ჩოლ.) „ძალიან გავბრაზდი გუნტერზე („ცული კუჭი მომივიდა გუნტერ-ის-კენ“).

როგორც მასალიდან ჩანს, პირმიუმართავ დამატებებში ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი სრულადაა შენარჩუნებული.

სვანურში მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული **-თე** თანდებულებიანი სახელი ქართულის **-თან** თანდებულებიანი უბრალო დამატების მნიშვნელობითაც შეიძლება დადასტურდეს:

კასართე ოჩედდ ლასმართალად (ბზ., სვან. პოეზ., 70,7) „კეისართან წავიდეთ სიმართლის საქებნელად („გასასამართლებლად“)

მოცქულდ ლწი დეშერს ოთბედტა ხტანთქარ **მეფწითე** (ლშხ., სვან. ქრესტ., 250) „მოციქულად წასვლა ვერავის ვერ გაუბედია ხონთქარ მეფესთან“

ცარიელ ოჩეა **ბოფშართე?** (ლშხ.) „ცარიელი წავიდე ბავშვებთან?“

მეზუბელთე ქა ხტასკნის მგწგხჟი (ჩოლ.) „მეზობელთან გავდიოდი („გადავხტებოდი“) საჭიროებისას“ და ა. შ.

ქართულის **-თან** თანდებულებიანი დამატების ფარდია სვანურში მიცემით ბრუნვაში დასმული **-ცახწწ-ცახწწ-ცახწწ-ცხან** თანდებულებიანი სახელებიც. აღნიშნული თანდებული სვანურის ყველა დიალექტში საკმაოდ პროდუქტიულია:

ლაცლაცახწწ ლირდე ლწმსედნი (ბზ., სვან. პოეზ., 320:8) „ტოლებთან ყოფნა შემრჩება“

ჩუქრ იშდმი, **კუმაშცახან** ლებენდ ისყი (ღმს.) „რომ თვრება, საქონელთან დასაბმელი ხდება“

ზურაღლა **ღუაჟარცახან** ლიბნეჟყე შგუირ ლას (ჩოღ.) „ქალის კაცებთან დაჯდომა („დასკუპება“) სირცხვილი იყო“

ვარაუდობენ, რომ „**ცახან** „თან“ შეიცავს **ცა** „ცალი“, „ერთი“ და **ხან** „გან“ თანდებულს. ...აქ **ც**-ს წინ ნათესაობითის **-შ** ელემენტი დაკარგულია“ (13, 204).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისეთი შემთხვევები სვანურში, როდესაც უბრალო დამატების უთანდებულო ვითარებითი ბრუნვით ქართულის **-თან** თანდებულისანი მიცემითის მნიშვნელობაა გამოსატული. მაგ.:

ამჩედელი სეგზილდ ქამაჟ, ჟიჟ ხობინა **გუელეშაპარდ** (სვან. პოეზ., 306,7) „გარეთ გასულა სეგზილდი, დაუწყია (ომი) გველეშაპებთან“ (19, 155).

მსგავს შემთხვევაში, ქვემოსვანურ დიალექტთა, უბრალო დამატება შეიძლება შეეფარდოს ქართულის **-თვის** თანდებულისანი ნათესაობითსაც, უფრო მეტიც, ამ დიალექტებისთვის **-თვის** თანდებულისანი ნათესაობითის გამოსატვა უფრო ბუნებრივია:

ლიცტულ ოხბინა **ბოფშარდ** (ღმს.) „ჩხუბი დაუწყია ბავშვებისთვის“

მაშდმარ მარას **მექტერწლად** ხორშუნაღლა (ღმს.) „მოვრალ კაცს მექორწილეებისთვის უგინებია“

ჟედარ ლოხსისნა **ხამარდ** (ჩოღ.) „ძაღლები მიუქსევია ღორებისთვის“...

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ სვანურში **-თვის** თანდებულისანი სემანტიკისაა უთანდებულო ნანათესაობითარი ვითარებითით გამოსატული პირმიუმართავი დამატებაც, რომელიც ზემოთ აღნიშნული ვითარებითი ბრუნვის პარალელურად გვხვდება:

ლახტუბას მინე **დაჩურაშუღ** ხოქტახ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 170) „ძმებს თავისი დისთვის უთქვამთ“

ჟი ლგმარე ლიხ **ქორწილობაშდ** არაჟუჟ (ბქ., სვან. ქრესტ., 176) „გამზადებული არიან ქორწილისთვის არყით“

ფოლქარს ხტეთხელი **კაბიშდ** (ღმს.) „დიღებს ვეძებ კაბისთვის“

ხომა ლაგაფ ოთკტარა **ბუწანკიშდ** (ჩოღ.) „დიდი ნაჭერი გადაუგდია ძაღლისთვის“...

ცნობილია, რომ უბრალო დამატების ნანათესაობითარ ვითარებითს პარალელები ეძებნება სხვა ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებშიც: „ზოგჯერ პირმიუმართავ დამატებად გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითიც,

რომელიც **-თვის** თანდებულებიანი სახელის მნიშვნელობისაა წინადადებაში. ძველ ქართულში პირმიუმართავი დამატების ასეთი ფორმა ჩვეულებრივი იყო. ამ შემთხვევაში ფუძედ გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში: საფრკვე ქმნულხარ დიდისა **კელმწიფისა-და...** თუ აქვს, რად უჭრის ერთი **თავისად**, მეორე **შვილისად?** ...მსგავსი ფორმები გავრცელებულია ცოცხალ მეტყველებაშიც, აღმოსავლურ დიალექტებშიც და დასავლურშიც" (23, 158).

-თან თანდებულებიანი პირმიუმართავი დამატება, ძირითადად, აღნიშნავს თანაობას, თანმყოფობას და ზოგჯერ გამოსატყვევს სამოქმედო საგანსაც.

ხშირად აღნიშნულ თანდებულებიან დამატებას ქართულში გასაძლიერებლად **ერთად** ზმნიზება დაერთვის, რომელიც უფრო ნათლად გახაზავს დამატების აღნიშნულ მნიშვნელობას.

„ერთად“ ზმნიზების სემანტიკით სვანურში **„ემსუდ“** ზმნისართი გამოიყენება და იგი შეიძლება დაერთოს მხოლოდ და მხოლოდ **-ცახან** თანდებულებიან უბრალო დამატებას მიცემითში:

ინდაურალს **ქათლარცახან ემსუდ** აღიარუნე (ლშხ.) „ინდაურებს ქათმებთან ერთად აჭმევს“

პატიდლომდ **ჟისკჟცახან ემსუდ** ჟიცხსნ ჩჟაჯბიხ (ჩოლ.) „ჯემისთვის ვაშლთან ერთად მსხალსაც ხარშავენ“...

ბ) ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უბრალო დამატებად. შინაარსის მიხედვით, ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება შეიძლება აღნიშნავდეს მოქმედ საგანს, სამოქმედო საგანს ან მასალას, რომლისგანაც მზადდება საგანი.

პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში გამოყენებულია უთანდებულო ან **-ხან|-ხან**, **-ხანქა|-ხენქა** და **-თე** თანდებულებიანი ნათესაობითი და ნანათესაობითარი ვითარებითი.

უთანდებულო უბრალო დამატება შეწყობილია საწყისთან ან მიმდევობასთან და აღნიშნავს რაიმეს ჩამდენობას:

ათხიღენ **აფხნიკი** ლიჯედ (ჩოლ.) „გაუხარდა ამხანაგის მოსვლა“

ოსტატი ლგლაფ ჩჟედწინჟე მართად (ლშხ.) „ოსტატის შედებილი დაიწუნა მართამ“...

სვანურში ნათესაობითი წარმოდგენილ პირმიუმართავ დამატებას ბრუნვის ნიშანი ან სრულად დაერთვის, ან **შ** თანხმონითი ელემენტი მოკვეცილი აქვს:

დინაშ ლამუარ ი ლამთილ ჟი ლგმარე ლიხ (ბქ., სვან. ქრესტ., 176) „გოგოს მამისეული და ქმრისიანები გამზადებული არიან“

ლაგუანისა **დიარი** მგნყეს ძღვდ პატიჟ ხარ (ჩოლ.) „გასვენებაში პურის მცხობელს დიდი პატივი აქვს“

ქართულში, როგორც ცნობილია, ნათესაობით ბრუნვაში დასმული უთანდებულო დამატება გამოიყენება გრძნობათა გამომხატველ ზმნებთან (verba sentiendi), სვანურში კი ქართულის ნათესაობითს ვითარებითი ან ნანათესაობითარი ვითარებითი შეესაბამება და ეს ფორმები ხშირად ენაცვლება ერთმანეთს:

ნადირდ||ნადირიშდ ხაყლუნის (ლშხ.) „ნადირის ეშინიათ“

მახა თელღრას ჩიგარ ხომგურ **ლამთილარდ||ლამთილარეშდ** (ლშხ.) „ახალ რძალს ყოველთვის სრცხვენია ქმრისიანების“

ხაკიკ მიჩა **მუდ||მუეშდ** (ჩოლ.) „ერიდება თავისი მამის“

ხახათრ **მასწაჟლებელდ||მასწაჟლებელიშდ** (ჩოლ.) „ეხათრება მასწავლებლის“...

სვანური ენის ნათესაობით ბრუნვაში ყველაზე პროდუქტიულია **-ხან||-ხან**, **-ხანქა||-ხენქა** „-გან“ თანდებულებიანი პირმიუმართავი დამატება, რომელიც აღნიშნავს რაიმეს ჩამდენობას, მასაღას, რომლისგანაც რაიმე მზადდება, დაშორება-დაცილებას, თავის დაღწევას და გამოყოფა-გამორჩევას. მაგ.:

მგწსილ ოხვად **ოთარიშხან** (ბზ., სვან. პოეზ. 96,14) „დამპატიჟებელი მოუვიდა ოთარისგან“

აღაჰრხენქა ჩი ლეთ ესერ ხათფოტნახ ეშტი-ეშტი (ბქ., სვან. ქრესტ., 222) „ამათგან ყოველ ღამე ეკარგებოდათო თითო-თითო“

ქორს გგემხ **ბაჩხენქა** ი **მეგამხენქა** (ბქ. იქვე, 296) „სახლს დგამენ ქვისგან და მორებისგან“

ტელეფიხენქა ხოჩა გემამ ნწყუნ ისყი (ლშხ.) „მთის ღოღოსგან გემრიელი საჭმელი კეთდება“

ლუმნუ ფაყუ **მატყლხენქა** ისყი (ჩოლ.) „სვანური ქუდი მატყლისგან კეთდება“...

ქართულში **-თვის** თანდებულებიანი პირმიუმართავი დამატება დანიშნულებას გამოხატავს. სვანურში აღნიშნული დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, ვითარებითში ან პარალელურად ნანათესაობითარ ვითარებით ბრუნვაშია:

მგრზილაშდ დაშნილ ჟიჟ მიკიდა (ბზ., სვან. პოეზ., 92,16) „მურზილასთვის ხმალი ამიცილია“

გიგოს ხოქტა **გლენარდ** მიჩა (იქვე, 46:2) „გიგოს უთქვამს თავის გლენებისათვის“

ჩაფლარდ ოხფასახ ლიცტულ (ლშხ.) „ფესხაცმლისთვის გამოუყოლებით ჩხუბი“

შეტებს **ხამარეშდ** იფანდეს (ჩოლ.) „რკოს ღორებისთვის აგროვებენ“...

პირმიუმართავ დამატებას, რომელიც **-თვის** თანდებულებითაა გადმოცემული ირიბისებრ დამატებასაც უწოდებენ, რადგან იგი, როგორც ცნობილია, ენაცვლება ბრუნვაუცვლელ დამატებას გარდამავალი სამპირიანი ზმნის მესამე სერიაში და პირმიმართი დამატება პირმიუმართავად იქცევა: დედედ **გეზალს** კაბ ოხყიდე (ჩოლ.) „დედამ შვილს კაბა უყიდა“, დედეს **გეზლაშდ** კაბ ოხყიდა „დედას შვილისთვის კაბა უყიდა“.

შედარებისთვის მოვიყვანოთ ქართულისათვის გამოთქმული მსჯელობა: „-თვის თანდებულებიანი უბრალო დამატებაც შეიძლება დაუკავშირდეს ყოველგვარ ზმნა-შემასმენელს ან ნაზმნარ სახელს, ამიტომ ზმნის პირიანობით იგი არაა შეზღუდული: გვაქვს ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნებთან. ასევე თანაბრად უკავშირდება პირველი, მეორე თუ მესამე სერიის ზმნა-შემასმენლებს, მაგრამ ნათლად იგრძნობა მისი წარმომავლობა ირიბი დამატებისაგან მესამე სერიის ფორმებთან, როდესაც შემასმენლად გვაქვს სამპირიანი ზმნა (თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია: თედომ მანასაანთ გოლას ქამრის ღილები წაართვა)“ (23, 16).

სვანურში **-თე** თანდებულებით გამოიხატება ქართულის **-კენ** თანდებულებიანი ნათესაობითის ფორმები და ქართულის მსგავსად, ასეთ დამატებას ნაცვალ-სახელი და არსებითი სახელი (მასდართურთ) გადმოსცემს:

ესღვრინე ლეჟა **ოთარიშთე** (ბზ., სვან. პოეზ., 106,31) „მიდის ზემოთ ოთარისკენ“

ისგუჟათე მწ ლოქ ოხთოფა (ლშხ.) „შენკენ არ უსვრიაო“

მიშგუჟათე ძალაჟშ ლი ლესპენე (ჩოლ.) „ჩემკენ ძალითაა მოსაბრუნებელი“...

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ლენტეხურ დიალექტში მიმართულების გამოსახატავად **-ხო „-კენ“** თანდებულებიან ნათესაობითი გამოიყენება:

აღე ხელმწიფდ ახომეკერე ი ქ'ანდერ **მიჩაშხო** (ლნტ., სვან. ქრესტ., 316) „ეს ხელმწიფემ გაუგო და დაიბარა მასთან („მისკენ“)"

ისკიდლახ **ხელმწიფეიშხო** ეჯ ჳგილ-დაჩტირ (ლნტ., იქვე, 316) „იყურებოდნენ ხელმწიფისკენ ის და-ძმა"

ქ'ანდასკინე **დენაშხო** (ლნტ.) „გადახტა გოგოსკენ"...

სვანურში ნათესაობით ბრუნვაში პირმიუმართავი დამატება საკმაოდ ხშირად დაირთავს **-გნქა „გარდა“** თანდებულს:

აღე **ქორალგნქა** არის აჯალ ჳტინელ ქორალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 264) „ამ სახლების გარდა არის („არიან") კიდევ ძველი სახლები"

ხამარგნქა მაგ ოთხმატალ ოთურდუნედ (ლშხ.) „ღორების გარდა ყველა ოთხფეხა ვიყოლიეთ"

მეზტბელიშგნქა ჩის ლოქ ოხბაჟა მინე ლიკილი (ჩოლ.) „მეზობლის გარდა ყველამ („ყველას") გაიგო („გაუგია") ჩვენი („მათი") კვილი"

ნათესაობითისეული ნიშანი შენარჩუნებულია, ან ხშირ შემთხვევაში სრულად არის მოკვეცილი.

აღნიშნულ ბრუნვაში **გამო** თანდებულებიანი სახელის ერთ-ერთი ფუნქციაა პირმიუმართავი დამატების გამოსატვა, რომელიც სვანურშიც ხშირად ფიქსირდება. ქართულის **გამო** თანდებულის მნიშვნელობით სვანურში **-და** თანდებული გამოიყენება, რომელიც უშუალოდ დაერთვის ბრუნვას:

აღე **გარგლალა** ხტაჲ ჳატრს ეთხტინე (ლშხ.) „ამ საუბრის გამო ბევრი სანერვიულო შეგხვდება („ბევრ ჳავრს იხვედრებ)"

ღინა **გეზალლა** დეამ იწხტაჲთის თხუმს (ჩოლ.) „გოგო შვილის გამო არ იწუხებენ თავს"...

-და თანდებულს სვანურში, ხშირად, **-თვის** თანდებულის სემანტიკაც აქვს.

გ) მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი უბრალო დამატებად. ამ ბრუნვით გამოსატული პირმიუმართავი დამატება ძირითადად ორი სახისაა: საჭურვლისა და თანაობისა. საჭურვლის დამატება ყოველთვის უთანდებულოა, თანაობისა კი უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულებიანიც. მაგ.:

ემხუ **ლანგაჲშ** ჩუჲ ჳიდგარა (ბზ., სვან. პოეზ., 128,15) „ერთი ცოცხით მოგიკლავს"

გოთოლურ კუთხის **ნაყირუშუ** ლუჟორე ლჷსუ (ბქ., სვან. ქრესტ., 193)
„გოთოლური ჩაქუჩის დანარტყამით დარეტიანებული იყო“

ამჟი **კარიჟუ** ათხოდა დაბხო (ლნტ., იქვე, 335) „ასე გოდრით წაუღია ყანაში“

წათხუ აბრალის ი ხამი **ჰყანუშუ** აცმენის (ლშხ., იქვე, 265) „მარილწყლით
ბანენ და ღორის ქონით ზეღენ“

ეჟღაი კედნიდ ამღან: **მეცხიჟუ** ი **მაიდუშუ** (ჩოლ.) „ისედაც ვწყდებით და
ასედაც: სიცივით და შიმშილით“ და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ისეთი შემთხვევებიც, სადაც
უბრალო დამატება **-ინ** ნიშნით გვხვდება: „სვანურში მოქმედებითში დასმული
პირმიუმართავი დამატება უძველესი ფორმით გვხვდება **-ინ** ნიშნით: ნარყუამ
ღუაშარინ გუაშია (სვან. პოეზ., 184,8) „ნარყვამი ჯიხვებით სავსეა“; ქამეშხან ისგუი
ძღუდარე უოქტრე **სამკალინ** გოშია (იქვე, 22,9) „გარეთ შენი ზღუდეები ოქროს
სამკაულით სავსეა“ (23, 179).

თანაობის, თანმყოფობის, ერთადობის გამომხატველია მოქმედებითის **-ურთ**
თანდებულებიანი დამატება, რომელიც გულისხმობს მეორე სახელს, რომელთანაც
ამყარებს აზრობრივ კავშირს.

„**-ურთ** თანდებულებიანი სახელი უპირატესობას იჩენდა ძველ ქართულში,
ახალში იშვიათია იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, მეტი უფლება მოიპოვა
უთანდებულო მოქმედებითმა და, მეორე მხრივ, მოხდა შენაცვლება: **-ურთ**
თანდებულებიანი მოქმედებითის ფუნქცია იკისრა **-იან** სუფიქსით წარმოქმნილმა
სახელმა ვითარებით ბრუნვაში“ (23, 176).

სვანურშიც იგივე მდგომარეობაა, მოქმედებითი ბრუნვით თანაობას
სვანური ვერ აწარმოებს, აღნიშნულ ბრუნვაში სვანური თანდებულებსაც არ
დაირთავს, თანმყოფობა-ერთადობას გამოხატავს ვითარებითში დასმული უბრა-
ლო დამატება **ღგ**- პრეფიქსის მეშვეობით:

დაბა უორს **ღგ-ბეჩ-ღ** ახუბახ ლესგთე (ლშხ.) „ყანის მიწას ქვიანად ყრიდნენ
გვერდზე“

ღგ-კაბ-ღ ათფილჰე ლწმურთჲესა (ჩოლ.) „კაბიანად შეაღაჯა
ცხენისწყალში“

ღ) ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი უბრალო დამატებად.
„ვითარებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება ქართულში ჩვეულებ-
რივ უთანდებულოა, მაგრამ შეიძლება თანდებულები დაერთოს. უთანდებულო
დამატება შეიძლება იყოს მარტივი ფორმითაც ან გვექონდეს **-იან** სუფიქსით წარ-

მოქმნილი სახელი, ან კიდევ ნანათესაობითარი სახელი. ეს უკანასკნელი გვხვდება -**მი** თანდებულის დართვითაც. იშვიათად პირმიუმართავ დამატებად - **მდე** თანდებულისანი სახელიც გვაქვს" (23, 156).

ვითარებით ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებად ყველა ქართველურ ენაში არსებითი სახელი ან სათანადო ნაცვალსახელია წარმოდგენილი და გამოსატავს ახალ ვითარებას, გადაქცევას, გარდაქმნას, მიმართებას, დამოკიდებულებას და თანაობას.

აღნიშნული ბრუნვის სინტაქსური ფუნქციები სვანურში ძირითადად ქართულის მსგავსია, ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა მიერ (ნ. აბესაძე, ვ. თოფურია, ა. კიზირია) არაერთგზის განხილულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვითარებითში დასმული პირმიუმართავი დამატებით შეიძლება გამოიხატოს თანაობა-თანყოფობაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოსატავს: „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს, განსაკუთრებით - **იან** სუფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება, საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული -**ცახანი-ცახანი-ცხან** " (2, 8).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის ჩოლურულში, აღნიშნულ შემთხვევაში ვითარებითში დასმულმა უბრალო დამატებამ -**ცახან** თანდებულის დაურთველადაც შეიძლება გამოიხატოს თანაობა **ლგ-**პრეფიქსის მეშვეობით. ქართულში, როგორც ცნობილია, -**იან** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, სვანურში კი **ლგ-**პრეფიქსიანი. მაგ.:

ლგრეჭუდ ადუჭინე ბეფშუ (ბზ.) „ტანსაცმლიანად დააწვინა ბავშვი"

ლგჩფლდ ნომ ანჯე ქორთე (ბზ.) „ფეხსაცმლიანად არ შემოხვიდე სახლში"

ლგბარგდ აჩადხ ამხენქა (ბქ.) „ბარგიანად წავიდნენ აქედან"

ლგისჭ-ლგჯიჭუდ ათუიფხ ლაშიაღლისა (ლშხ.) „უკვალოდ დაკარგეს ომში"

ეჭყი ხაიდღნა, ერე **ლგფათუდ** ლგმშიდინ ლელუი ნაგმეჯარს (ჩოლ.) „ისე შიოდა თურმე, რომ თმებიანად იყრიდა ხორცის ნაჭრებს".

აღნიშნული **ლგ-**პრეფიქსს ვ. თოფურია მიმდებობათა მაწარმოებელ **ლგ-**პრეფიქსთან აიგივებს „ქონების გამომხატველად ხშირადაა გამოყენებული **ლგ-**

თავსართი და უდრის ქართულ -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსებს. ...ეს ლგ- იგივე უნდა იყოს, რაც მიმდევობის საწარმოებელი ლ-გ- არის" (13, 248).

ხოლო რაც შეეხება თანაობის გამომხატველ -ცახან („თან“) თანდებულს, სვანურის ყველა დიალექტში საკმაოდ პროდუქტიულია:

ჯ'ესერ ამრცახან მეგნე მამ ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 105) „შენ ამასთან გამჩერებელი არ ხარო“

ისგუაცახან ლიზი მაკუ შტანთე (ბქ.) „შენთან ერთად წასვლა მინდა სვანეთში“

ლახტარჟი კუმშცახან კუმშდ ხომა ხალხ ილგუტარი (ლნტ., იქვე, 300) „მთებზე საქონელთან ერთად საქონელზე უფრო ხალხი სუქდება“

მენსაჟარსი ლუნჟარცახან ხაბლახნეს (ჩოლ.) „დეკეულებსაც ხბოვებთან აბალახებენ“...

ვითარებითში დასმულ თანაობის უბრალო დამატებას სვანურში მრავლობითის ფორმა არ გააჩნია, იგი არ დაირთავს მრავლობითის მაწარმოებლებს, თუმცა მრავლობითის სემანტიკა და გაგება ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს, მაგ.: „**ლგბოფშდ** აჩად“ შეიძლება გამოხატავდეს, როგორც მხოლობითს – „**ბავშვიანად** წავიდა“, ისე მრავლობითს – „**ბავშვებიანად** წავიდა“.

აღსანიშნავია, რომ ასეთი დამატების რიცხვი (მხოლობითია, თუ მრავლობითი) წინადადების კონტექსტის მიხედვითაც ვერ დგინდება, თუ მოქმედმა თავად არ ნახა და არ განმარტა **ბავშვიანად** წავიდა თუ **ბავშვებიანად**.

წინადადებაში ყოველთვის წარმოდგენილია ან ნავარუდევია ის წევრი, რომელთანაც უბრალო დამატება თანაობას გამოხატავს. ქართულის მსგავსად სვანურშიც ასეთი დამატება თანაობას ქმნის წინადადების მთავარ წევრებთან ქვემდებარესთან (თუ ზმნა გარდაუვალია) და პირდაპირ დამატებასთან (თუ ზმნა გარდამავალია):

თანაობა ქვემდებარესთან: (ბზ.) ლგჩჟდ ანთენან სერგო შდრ. (სერგო ლგჩჟდ ანთენან) „ცხენიანად გამოჩნდა სერგო“

(ლშხ.) ლგშგრჟაოდ მანდ ენმითრულანან ქა?! შდრ. (ეჯი ლგშგრჟაოდ მანდ ენმითრულანან ქა?!) „შარვლიანად არ გაგიჟდა?“

(ჩოლ.) ლგ-აეხჟ-ლგ-გზელ-დ ოთრგანხ შუკჟს შდრ. (ეჯარ ლგ-აეხჟ-ლგ-გზელ-დ ოთრგანხ შუკჟს) „ცოლ-შვილიანად გაუდგნენ გზას („შუკას“)“

თანაობა პირდაპირ დამატებასთან: (ბზ.) ლგძგჟდ ანტყაბე გჟეჟ შდრ. (გჟეჟ ლგძგჟდ ანტყაბე) „თმებიანად („ჯაგრიანად“) შეწვა გოჭი“

(ლშხ.) **ლგდიმთილდ** იმგინა ეხტუ?! (ეხტუ **ლგდიმთილდ** იმგინა?!)
„სიდედრიანად ითხოვა ცოლი?!“...

(ჩოლ.) **ლგ-ბოფმ-დ** ხამურჯდა ქა ლიტუს „ბავშვებიანად აპირებდა გაქცევას“...
სინტაგმაში თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ზმნა-შემასმენელთან ერთად ქმნის სინტაქსურ წყვილს და მისგანვე იმართვის ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზედსართავთა ვითარებითი ბრუნვის **ლგ-**პრეფიქსიანი წარმოებით გადმოიცემა ვითარების გარემოება, ასეთ შემთხვევაში გვაქვს ფორმობრივი დამთხვევა უბრალო დამატებასთან, თუმცა ფუნქციისა და სემანტიკის სხვაობა კონტექსტის საშუალებით ადვილად დგინდება, მაგ.:

ლგლდეშუელ ხებლჯინი (ჩოლ.) „დებილურად („დევეურად“) გადააჯინდები“
ლგმწრად ხატულდა (ჩოლ.) „გამწარებულად („სწრაფად და ხმამაღლა“) ეძახდა“

ლგსრყად ხეპსუხდა (ჩოლ.) „გაბრაზებულად („გაავებულად“) ეპასუხებოდა“...
რაც შეეხება ვითარებითი ბრუნვის გამოყენების სხვა შემთხვევებს, წარმოდგენილია წინა თავში (§ 7. ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, „დამატება შეიძლება გვქონდეს ზედსართავ სახელებთანაც და ზმნისართებთანაც. ასეთი დამატება ჩვეულებრივ **-ზე** თანდებულიანია... სვანურში როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. აბესაძეს, ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართული **-ზე** თანდებულიანი ფორმების შესატყვისად იხმარება: **ქუეყანაჟი** ეჯმარდ ხოჩა დესა ლგმარდ „ქვეყანაზე მათზე უკეთესი არავინ ყოფილა“. მკვლევარი მართებულად ასკვნის, რომ „ეს გარემოება საინტერესოა მიცემით-ვითარებითის ურთიერთობის თვალსაზრისით. ივარაუდება, რომ ძველი ქართულის **ხ-უ-დიდ-მს-ი** ტიპის ფორმებს თავდაპირველად უთანდებულო მიცემითი ახლდათ, რომელსაც საგსებით კანონზომიერად ენაცვლება უთანდებულო ვითარებითი“ (23, 182-183).

სვანურში უბრალო დამატება, რომელიც უფროობით ხარისხთანაა დაკავშირებული, ვითარებით ბრუნვაში დაისმის:

ბაზიმდ ხოჩა მად მაჰენა (ბზ., სვან. პოეზ., 154,47) ამადამინდელზე უკეთესი არ მომსწრებია („ამადამისაზე უკეთესი არ მომსწრებია“)

ზემტუ **ჭიმკად ზოშულელ** ლოქ ლი (ლშხ.) „ჭინკაზე ცოტათი უფრო დიდია“
სგობნე ნაყიდ **კაბდ** ხონხუწრლ ეთმურჯან (ჩოლ.) „წინაზე ნაყიდ კაბაზე უფრო ვიწრო გამოადგა“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ინტენსიურად დასტურდება, მისი სინტაქსური ფუნქცია ემთხვევა ქართულისას, თუმცა ქართულისგან განსხვავებით მრავლობითი არ ეწარმოება.

მასალაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პირმომართავი დამატების წარმოება სვანურში უთანდებულო ბრუნვებში სავსებით ქართულისებურია, თანდებულთა მიერ სახელების ბრუნვაში მართვა კი ქართულისაგან განსხვავებულია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სვანურში თანდებული ერთვის სახელს მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში.

II თავი

წინადადება

წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს.

წინადადებათა დაჯგუფება შეიძლება აგებულების, მოდალობის, წევრთა შემადგენლობისა და მტკიცების მიხედვით. თუ მოვახდენთ კლასიფიკაციას აგებულებით, წინადადება შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული და რთული.

მოდალობის (შინაარსის) მიხედვით გვაქვს თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა (ემოციური) და კითხვით-ძახილის წინადადებები. თითოეულს თავისი სპეციფიკური ინტონაცია ახასიათებს.

წევრთა შემადგენლობით მარტივი წინადადება არის სრული და უსრული (არასრული), გავრცობილი ან გაუვრცობელი.

მტკიცების მიხედვით – წართქმითი და უკუთქმითი.

წინადადების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთაგანია პრედიკატულობა, რაც ზმნა-შემასმენლის მეშვეობით მიიღწევა.

წინადადებათა ტიპები წევრთა სინტაქსური დამოკიდებულებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ყველა ტიპის წინადადება ემყარება სიტყვათა ორგანიზებულ ურთიერთობას, მაგრამ დანარჩენებს უპირისპირდება თხრობითი წინადადება, რომელიც მოიცავს მსჯელობას და გადმოგვცემს ფაქტს. სხვა ტიპები თხრობითისაგან განირჩევიან სპეციფიკური ინტონაციით, დამხმარე სიტყვებითა და ნაწილაკებით.

1. მარტივი წინადადების ტიპები მოდალობის (შინაარსის) მიხედვით

§ 9. თხრობითი წინადადება. თხრობითი წინადადება გადმოგვცემს რაიმე სახის ცნობას ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, ადასტურებს ან უარყოფს წარმოდგენილ ინფორმაციას:

აშხტინ ალ მგკგლმახიდ აღგრმე ჟოქჟრე კალმას (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 367,24) „ერთხელ ამ მეთევზემ დაიჭირა ოქროს თევზი“

ამირანდ რაშუჟ ქაფიშტუ მინდუერისკა (ლნტ., იქვე, 281,6) „ამირანმა რაში გაუშვა მინდორში“

დაშტუარს დაურხანი ლუნუარ ოთგელგარას (ჩოლ.) „დათვებს დაურხანის ხბოები დაუგლეჯიათ“...

თხრობითი წინადადების თვალსაზრისით ქართველური ენები ერთნაირ სურათს გვიჩვენებენ, სვანურში „თხრობითი წინადადება სავსებით ქართულ მეგრულსებურია. ინტონაციის თანდათან დაშვება-დადაბლება და პაუზაა მისი დამახასიათებელი“ (13, 254):

ბაჩი ფედიას ხოჩა ლიც ანლო (ლნტ., სვან. ქრესტ., 295) „ქვის ახლოს კარგი წყალი მოდის“

ამსტალდა ლერსგუენ მევერდ ხაბუახ ვან (ლშხ., იქვე, 268) „ადამიანის მარჯვენა მკლავად მიაჩნიათ ხარი“

ლეგ ლეკშურე ლი ლეთარ (ჩოლ.) „ცუდი გასაყვანია („გასატეხია“) ღამეები“...

აღნიშნული შინაარსის წინადადებები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება დიალოგებში კითხვაზე პასუხად, რაიმეს დასადასტურებლად, ან უარსაყოფად:

- **ანვდენიმა მიშა მამგუამი ლაქჟისთე?** (ლშხ.) „წამოხვალ მიშას სამძიმრის სათქმელად?“
- **ლივედს ხუამურჯი ნებოზარათე** (ლშხ.) „წამოსვლას ვაპირებ სადამოსკენ“;
- **ჟელს იმლა'ესერ ადმარის?** (ბქ.) „ძაღვს რატომ აჭმევინო?“
- **ქორს ესერ ილჩე ლეთუშ** (ბქ.) „სახლს იცავსო ღამე“;
- **მეშკიდს კუართხს დემ ხატხეა?** (ჩოლ.) „ჭკედელს ჩაქუნს არ უბრუნებ?“
- **მამ მიჟიბ ჩიქე ლატხად** (ჩოლ.) „არ მცალია ჯერ დასაბრუნებლად“.

ქართველურ ენებში თხრობითი წინადადებები უფრო გავრცელებულია სხვა შინაარსის წინადადებათაგან განსხვავებით.

§ 10. კითხვითი წინადადება. კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს, მისი მიზანია მოუბარმა მიიღოს საჭირო ახალი ინფორმაცია, დაადასტუროს ან უარყოს წინადადებაში გამოთქმული აზრი.

სვანურში, ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში მისი გამოსატვის საშუალებებია კითხვითი ნაცვალსახელები (**ძარ?** „ვინ?“, **მან?** „რა?“, **ხედა||ხე-დი||ხე?** „რომელი?“, **მაკაჲ||მაკანჲ||მაკანჲ||მაკაჲ?** „როგორი?“, **მაგუნარ||მაგუნარ||მაგუნან?** „როგორი?“, **იმუმ, მაზუმ||მანუმ?** „რამხელა?“, **ეშა||იშა?** „ვისი?“, **იმშა?** „რისი?“...), კითხვითი ზმნისართები (**იმთე** „სად“, **იმატუ||იმატუნუნ?** „სანამდე?“ **იმხენ?** „საიდან?“ **იმჟი?** „როგორ?“ **იმლა||იმნა?** **ხემა** „რატომ“...), კითხვითი და დადასტურებითი ნაწილაკები (**-ა||მა||ჰა, -მო, -მა, ლნტ. -გ, (-უ); დერ** (ქვს. ს) „ხომ, აკი“: **ანგედ-ჰა?** „მოხვედი?“ (ლხმ.); **ხოქტა-უ||ხოქტა-გ?** „უთქვამს?“ (ლნტ.); **ასყი-ა?** „აკეთებს?“ **კედნი-მო?** „წამოხვალ?“ **ხიჭკურე-მო?** „შეიჭრი?“ (ჩოლ.); **ქა დერ** ჯექტა? „ხომ გითხარი?“...) და კითხვითი ინტონაცია. აქედან გამომდინარე კითხვითი წინადადება ორი სახისაა: **კითხვითსიტყვიანი** და **უკითხვითსიტყვო**.

კითხვითი წინადადების გამოსახატავად სვანური ენა უპირატესობას ანიჭებს კითხვით სიტყვებს (ნაცვალსახელებს ან ზმნისართებს), რომლებიც უხვად დასტურდება ყველა დიალექტში:

მანუმ ესერ ხეშტუმხ წორს? (ბზ., სვან. ქრესტ., 85) „რამხელას ითხოვენო სისხლის საფასურს?“

ამი ფვსს ძარ ათხრლ? (იქვე, 92) „ამის ფასს ვინ მიხვდებოდა?“

მან ესერ ჟგრს ხეჩო სოფელ? (ბქ., იქვე, 193) „რა წყალობას უზამს სოფელიო?“

მერმე ზურალ ესერ **იმლ**’ოხცხენა? (იქვე, 215) „მეორე ქალი რატომ აირჩიეო („აურჩევიაო“)“

მინე დაჩტირ ესერ **მომდენ?** (იქვე, 221) „მათი და რა იქნაო?“

ჭირა, **მან** ლოქ ჯათემ? (ლნტ., სვან. ქრესტ., 506) „ჭირიმე, რა გჭირსო?“

იმოხ ლოქ ახოჯდეს? (იქვე, 312) „საიდან მოუტანოსო?“

ხემა ლოქ დოშ ოთთორახ? (ლშხ., იქვე, 248) „როგორ ვერ მიცანიოთ“

იშა ნაქტს ტჷლი? (ლშხ.) „ვის ნათქვამს ამბობ?“

ეჩა ზურალს ოხგოტა? (ჩოლ.) „იმის ქალს დაუფქვია?“...

კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების პასუხი შეიძლება იყოს მოკლე, ან ხშირ შემთხვევაში, ერთსიტყვიანიც კი: **ძარდ** ჯახენე ამჟი შიშტ? (ჩოლ.) „ვინ გახარა ასე მალე?“ – დედედ „დედამ“;

თუ კითხვითი სიტყვა არ არის ფიქსირებული, მაშინ კითხვითობას ნაწილაკები გამოხატავენ:

ფიჩქ ესერ ალშინელიე მ^ა ჩუ (ბზ., იქვე, 77) „ტაბლა თუ დაიწვიაო?“

ხახტდ ესერ ხონვრი მ^ა? (ბქ., იქვე, 219) „ცოლად გამოყვებიო?“

ხაჭემა-უ ღოშკინ ღუაჟარს? (ლნტ.) „გაჰყოლია უკან კაცებს?“

ხაკტედა-გ ტებელი დიარ? (ლნტ.) „სდომებია თბილი პური?“

ლგხტიტს ლოქ დემ ათაჟაგნებ-გ? (ლნტ., იქვე, 319) „გაჭრილს ვერ მოგირჩენთო?“

ქორთე ემტეხელი-ა? (ლშხ.) „სახლში დაბრუნებულა?“

დერტემტინ დერ^ა ოთაძრაბ? (ჩოლ.) „ოცჯერ ხომ გავაფროთხილე?“ და ა. შ.

სვანურში, ძვ. ქართულის მსგავსად, კითხვით წინადადებაში -ა||^ა ნაწილაკია გამოყენებული, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას დაერთვის:

ამკალიბ ხოჩა თტალწშიშ თხტიმ ესერ ხოპრა-^ა მიჩ? (ბქ., სვან. ქრესტ., 221) „ასეთი ღამაზი („კარგი შესახედი“) თავი ვთხოვეო მე?“

ქენსგიდ-^ა ლესგთე? (ლშხ.) „გამოიხედა გვერდზე?“

ქა ლოქ აღმითრულელი-^ა? (ლშხ., იქვე, 271) „გაგიჟდიო?“

ლოხშგუნდა-^ა მიჩა ლიმტემ ლადი (ჩოლ.) „შერცხვა თავისი სიმთვრალე დღეს?“

ხოშტრი-^ა დნნატ ზურალს ხამი ლელტ? (ჩოლ.) „სწყენს ფეხმძიმე ქალს ღორის ხორცი?“...

არის შემთხვევები, როდესაც კითხვითად -ესა||^ა არის გამოყენებული, რომელიც -ა ნაწილაკის მსგავსად ზმნა-შემასმენლის თანმხლებია:

ხომვერ'-^აესა? (ლშხ.) „გაუგია?“

ადყურდახ-^აესა ბოფმარ? (ლშხ.) „დაწვენენ ბავშვები?“

ჟოჟ ლოქ თომა, აჯახტიდ-^აესა? (ლნტ., სვან. ქრესტ., 308) „ო, თომა, იპოვეო?“

მინს ხეგნდრლხ-^აესა ნაფანუნ ორმოცუი (ჩოლ.) „თვითონ ექნებოდათ მოტანილი საკურთხი ორმოცზე?“

ჩვენი აზრით, აღნიშნული ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებული – ესა იგივეა, რაც კავშირი ესა||^ა „თუ“, ვინაიდან წარმოდგენილ ილუსტრაციებში სავსებით შესაძლებელია ხსენებული სუფიქსის ზმნის წინ გადაადგილება და მას, ამ შემთხვევაში, სწორედ „თუ“ კავშირის სემანტიკა ექნება და გარკვეულწილად კითხვითობასაც გამოხატავს:

ესა ადუწრდას ბოფშარ? (ლშხ.) „თუ დაწუნენ ბავშვები?“

ესაჲ ხოწუნენან დინა? (ხოლ.) „თუ ანახა [ნეტა] გოგო?“

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ძვ. ქართულის -მე ნაწილაკს ეფარდება სვანური -მა და -მო:

ხოვდე-მა ქტერ ნიცს? (ლშხ.) „მოუტან ცივ წყალს?“

აღწუტუნელი ლოქ მა? (ლშხ., იქვე, 258) „გაიქცნენო?“

ჯაკუ-მო ლეზებ? (ლნტ.) „გინდა საჭმელი?“

ხაწგხ-მო მგშაჲრ? (ხოლ.) „სჭირდება მუშები?“ და ა. შ.

სვანური სხვა ქართველური ენებისგან მკვეთრად განსხვავდება კითვითი სიტყვებისა და ნაწილაკების სიუხვით, მათი გამოყენების ადგილისა და ინტონაციის თვალსაზრისით. კითხვითი სიტყვების (ნაცვალსახელების ან ზმნისართების) ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული, ისინი შეიძლება დადასტურდეს წინადადების თავში ან შუაში (ეშა გეზლნორ ლის აღჲარ? (ხოლ.) „ვისი შვილები არიან ესენი?“, ბჷი იმთე ესდრიდ? (ლშხ.) „ამაღამ სად მიდისართ?“).

იგივეს ვერ ვიტყვით კითხვით ნაწილაკთა შესახებ, რომელთა ადგილიც ზმნა-შემასმენლებზეა დამოკიდებული და ხმის აწევაც, სწორედ, ამ ნაწილაკებს მოუდის (ხატხე-უ ლოშტ უალს? (ლნტ.) „უბრუნებ უკან ვალს“; ჟი ჰიტბიდე ჯაკუ-მა ლეზობს? (ხოლ.) „გაგიცხელებ გინდა საჭმელს?“).

§ 11. ბრძანებითი წინადადება. ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას. ბრძანებითია წინადადება მაშინაც, როცა იგი გადმოსცემს თხოვნას, ხვეწნას, მუდარას და ა. შ. აქედან გამომდინარე მისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ინტონაცია, რომელიც იცვლება იმის მიხედვით, გამოხატავს იგი კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას თუ ხვეწნას.

ბრძანებითი წინადადების შემასმენლად ბრძანებითი კილოს ფორმები გამოიყენება. ამ ფორმებით გამოიხატება მბრძანებელი და შემსრულებელი.

სვანურში ბრძანებითი წინადადება შეიძლება იყოს **წართქმითი** და **უკუთქმითი**:

წართქმითი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: სკაჲ ანჷჲდ ქორხო! „შემოდით სახლში!“, ანჷგ! „მოიტანე!“, აშტ ატეხ ლოშტ! „ახლავე დაბრუნდი უკან!“, დტრედს ათშყოლდლუნ! „დროზე გაარეცხინე!“...

უკუთქმითი (აკრძალვითი) ბრძანებითი კრძალავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას. უკუთქმითობას გამოხატავენ არ და ნუ უკუთქმითი ნაწი-

ლაკები. სვანურში აღნიშნული ნაწილაკები უამრავია, „კილოებში სიგრძისა და უმლაუტის სხვაობის გარდა ყურადღებას იქცევს ვარიანტებიც. ბევრი მათგანი საერთო სვანურია, ზოგიც ერთ ან ორ კილოში იხმარება“ (13, 206): **მანმ, მანდ||მანდ** (ჩოლ.), **მანდმა** (ლნტ.) || **მადმა||მოდმა** (ბქ. ლხმ.), **დემ, დემმ** (ჩოლ.), **დომმა** (ლხმ.) „არ“...; **ნო, ნომა||ნომმა||ნომ||ნუმმა||ნუმმა||ნუმ||ნემ, ნე, ნოს||ნოსა** „ნუ“... **ნომა** ლახტულა! „არ დაუძახო!“; **დემ** ჯუდე! „არ მოვიტან!“; **დემ** ხტაშტაბნე! „არ ვამუშავებ!“ (ჩოლ.)... **ნუმმა||ნომა||ნომ||ნოსა** ხილძინე! (ჩოლ.) „ნუ აბრაზებ!“...

ბრძანებითი წინადადება ბრძანების გარდა შეიძლება გამოხატავდეს:

თხოვნას და ხვეწნა-მუდარას: მანდილუ ხერა ი ლანშანდუ მა მიჩა მომზირ ხანლხს! (ბზ., სვან. ქრესტ., 89) „მადლიმც გქონდესო და შეეწიეო მის მლოცველ ხალხს“

დიდებ ეჯვად ლამარია, შუიდედ ეხიტხ ლოშტ მიშგუტი გეზალ! (ჩოლ.) „დიდება წმინდა მარიამს, მშვიდობით დააბრუნე უკან ჩემი შვილი!“

დალოცვას: მაგ ხოჩაჟ ოგემენა ისგუტი ბედუინაჟ! (ლშხ.) „ყველაფერი კარგი გაგვეგოს შენ („მის“) ბედზე!“

მანგ ხოჩაჟ ახადენა ისგუტა მერდის! (ლნტ.) „ყველაფერი კარგი მოესწროს შენ გამზრდელს!“

ო, ურჟ ახერდენახი ისგუტა დედეს! (ჩოლ.) „აი, გაეზარდე დედაშენს!“

წყველა-კრულვას: მანდიან ჯგერანგ მიჩა უელარსუ ჯაჭუნდი ი შუანლას ნომჟრჟუ ჯივდე! (ბზ. სვან. ქრესტ., 55,16) „მადლიანმა წმინდა გიორგიმ თავისი („მის“) ძაღლები მოგიქსიოს და არაფრით შეველა არ მოგცეს!“

ნოსანუ ეჯცხიპა ზაჟდა ზანდ! (ჩოლ.) „არ მოგსწრებოდეს მომავალი წელი!“

მიწვევა-მიპატიუებას: ხოჩამდუ ლამვედა ისგუტი თხუმ, სანდე! (ლშხ.) „კარგად მომსვლოდეს შენი თავი, შემოდი!“

შუიდედ ლევდე, სგონაყაჟ! (ჩოლ.) „მშვიდობით მოსულიყავი, გვესტუმრე!“

წაქეზება-გამხნეებას: ნომ ჯასკორა, ხოჩამდ ირდი! (ბქ) „ნუ გეფიქრება, კარგად იქნება“

ნომა ლედ ჯარ, გუეშუელი ნან! (ჩოლ.) „ნუ დარდობ, გვეშველება ჩვენც!“

რჩევა-დარიგებას: ჯენგრალ, გუთე ნომათია (ბქ.) „გეხვეწები, გულთან ნუ მიიტან!“

მადილ ჯერი, ოხეკუბ თხუმს! (ჩოლ.) „მადლიანო, გაუფრთხილდი თავს!“

ძახილის (ემოციური) წინადადება. წინადადებათა სამ ძირითად ტიპს – თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს – შეიძლება ახლდეს მთქმელის ემოცია.

ასეთი წინადადების ემოციური ელფერი მრავალფეროვანია და ახასიათებს სპეციფიკური ინტონაცია. თავისი ემოციური იერით ძახილის წინადადება გამოხატავს:

სიხარულს, კმაყოფილებას, აღტაცებას, მოწონებას:

მამ ხოჩა ლი მესტია! (ღმს.) „რა მშვენიერია მესტია“

მამ მახიად აღმარე ლიზგაწ! (ჩოლ.) „ძაან მიხარია ამათი ცხოვრება“...

ნატვრას, სურვილს:

ნატლაჟ, ჩუ ჟარ მაგჟაჟას! (ჩოლ.) „ნეტა, დამაყენებდე („თავს დამანებებდე“)"

ხიადჟლ, მამ სიმაქ ხაყა! (ჩოლ.) „ნეტავი მას, რა კარგი გოგო ჰყავს!“

დანანებას, სიბრალულს:

აღე ლეჟრიდ, ჭიშხ ედზიგჟნე (ღმს.) „ამ საცოდავმა ფეხი იტკინა“

ჟან სიმა, იმჟი მგრ იზლან! (ჩოლ.) „საბრალო, როგორ დაღის!“

ეჩა ცოდჟუ ჩუ ღოთ ოწეზ! (ჩოლ.) „იმისი ცოდვით კინაღამ მოგკედი!“.

დაცინვას, ნიშნის მოგებას:

ჟანლე ჯადეს, ქა ჯეხრლი მიშგჟი ნამჯარჟულ (ღმს.) „ახია შენზე („ეს გქონდეს“), გეკუთვნის ჩემი გაბრაზებისთვის“

გჰგ, ჰგ, ჰგ, ჟანლე ჯადეს! (ჩოლ.) „აი, ესეც შენ („ეს გქონდეს“)!“

რფ, ქ'ემერი ისგჟი ლიზლან! (ჩოლ.) „იფ, მეყოფა შენი სიარული!“

აღშფოთებას, ზიზღს, სიძულვილს:

აღე ჟიჯი წიწილ იმზუმს მიბდაჟი?! (ღმს.) „ეს გველის წიწილი, რამდენს მიბდავს?!“

ჟგანდილან, აღე ხემა მაშგედს?! (ჩოლ.) „თავხედები („გაუზრდელები“), ეს როგორ მაკადრეს?!“

ჟიჯშალ მასისკ ამა მერტყჟელიან! (ჩოლ.) „გველივით მეზიზღება ასეთი მატყუარები“.

მწუხარებას, გულისტკივილს, შიშს:

საბრა მია, მამ დრსმა მარ ანღელს! (ღმს.) „მე საბრალო, არაფერი არ მელოდება!“

ეჰ, მი ერ გაჭირჟება მიზნანა! (ჩოლ.) „ეჰ, მე რომ გასაჭირი გამივლია!“

ჩუ ნოსაჟ ოთოჟიფა თეთრ ი იშგენ ჯანდაბას სერ! (ჩოლ.) „ფული არ დაკარგოს და სხვა ჯანდაბას!“.

„ქართველური ენების ძახილის წინადადების ინტონაცია თითქმის ერთმანეთის მსგავსია. აღნიშნული წინადადება შეიძლება შეიცავდეს სათანადო შორისდებულებს და ამით გაძლიერებული იყოს ინტონაცია“ (13, 256).

ძახილის წინადადების გრძნობითი იერი და ამის შესაბამისად ინტონაცია მრავალფეროვანია, ეს უკანასკნელი, უმეტესწილად დამავალია.

§ 12. კითხვით-ძახილის წინადადება. წინადადება ზოგჯერ კითხვასაც გამოსატყვეს და ამა თუ იმ გრძნობასაც. ასეთ წინადადებას კითხვით-ძახილის წინადადება ეწოდება. გადმოიციემა მხოლოდ კითხვით-გაკვირვების ინტონაციით:

მწ ლიმეჩჷი სი აჭჷიდი?! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 110,4) „როგორი სიბერე მოგესწრო?!“

მიშკჷი ცოდ, ათხე მწიჯ მეშედენი შტაშჷ (ლნტ., სვან. ქრესტ., 308) „ვაი, ჩემი ცოდვა, ახლა რა მეშველებათქო?!“

ჩინარ ეჯერა ისგჷი კაპეკილარ?! (ჩოლ.) „ყველაფრისთვის გეყოფა შენი კაპიკები?!“.

ან ამასთან ერთად სათანადო ნაწილაკებით:

რეჷიჷინ ლწმსგიდღას ესწარ ი ქა ლგთნაღე დამ ხარხა?! (ბზ.) „განთიადისას გაიხედეს და უღელტეხილი თურმე გავლილი არა აქვთ?!“

ქა ღემ ესურნელრლ სი საცოდაჷ?! (ჩოლ.) „ხომ არ გაგიყდი, შე საცოდავო?!“.

სრული და უსრული წინადადება.

§ 13. წინადადების მთავარი (პირველხარისხოვანი) და არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წევრები ერთმანეთთან სხვადასხვა სიძლიერის სინტაქსურ ურთიერთობას ამჟღავნებენ. ამის შედეგად მთავარი წევრები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმიმართი დამატებები) ქმნიან ძირითად ბირთვის; მეორეხარისხოვანი წევრები კი მათ უკავშირდებიან შეთანხმებით, მართვით ან მირთვით. წინადადების სისრულის დასადგენად მნიშვნელობა აქვს მთავარ წევრებს.

წინადადება **სრულია** იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად წარმოდგენილია შესიტყვეებით გათვალისწინებული მთავარი წევრები.

ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან, პირიანობის მიხედვით, ერთი სახელი, ქვემდებარე არის დაკავშირებული, ამიტომ აქ ქვემდებარე და შემასმენელი

ქმნიან სრულ წინადადებას. თუ ერთ-ერთი მათგანი გამოტოვებულია, წინადადება იქნება უსრული:

მეუ ხაწიდ ქორჟალს (ლშხ.) „მზე ადგას სახლებს“

თჟედსა ჟოშთხჟ ნაგაზი არი (ლნტ., სვან. ქრესტ., 298) „თვეში ოთხი კვირაა“

ოსლჟრი კაკალი ლაგოჟთე (ჩოლ.) „მივდივარ სიმინდის დასაფქვადალ“.

ორპირიან ზმნა-შემასმენელთან ორი სახელია დაკავშირებული: გარდამავალთან – ქვემდებარე და ბუნვაცვალებადი დამატება, გარდაუვალთან – ქვემდებარე და ბრუნვაცვლელი დამატება. შემასმენელთან თუ რეალურად წარმოდგენილია ორივე მთავარი წევრი, წინადადება იქნება სრული:

ა). შემასმენლად ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა:

ლატლარ ხოშამ ლაღალ ჟი ხაწინოლნახ (ბზ., სვან. ქრესტ., 77) „ლატალელები უმეტესად ერეოდნენ“

რადა ეჩა გიმარს ხეღვარ? (ჩოლ.) „რადა მაგის მიწებს დაეტაკა?“

ბ). შემასმენლად ორპირიანი გარდამავალი ზმნაა:

ალ მარად თაშმეგაბ ჩუ ლაღემ (ლშხ., იქვე, 240) „ამ კაცმა ხაწამწვარი („ყველმოსხარშული“) შეჭამა“

ქაფიშტჟ იღბალი ლათხელთე ბეტიდ გეზალ (ჩოლ.) „გაუშვა ბედის საძებრად ბეტიმ შვილი“

სამპირიან ზმნა-შემასმენელთან სამი სახელია დაკავშირებული და მათ შორის რთული სინტაქსური ურთიერთობაა დამყარებული. წინადადება სრულია, თუ ზმნა-შემასმენელთან ერთად წარმოდგენილია სამივე სახელი:

მერმე ხეხჟარ ლღღვარს ეჯშელღენ ეთს ხოყერხ (ბქ., იქვე, 182) „სხვა ქალები მიცვალებულს დაატირებენ („ბანს ურტყამენ“)"

ხოჩა ჳელჟან კიბღენს ლაკოდარს ჟი ხოსყი (ჩოლ.) „კარგი ხელოსანი კიდობანს სახელურებსაც („ასაწევს“) უკეთებს“.

უსრულია წინადადება, როცა გამოტოვებულია ერთ-ერთი მთავარი წევრი.

შემასმენლის გამოტოვება ხდება მაშინ, როდესაც ერთნაირი მოქმედების ან მდგომარეობის განმეორებაა: შემასმენლის განმეორების თავიდან ასაცილებლად მოსალოდნელი მომდევნო შემასმენელი არაა წარმოდგენილი. თუ შემასმენელი რთულია, გამოიტოვება საერთო: სი მამ ლექჟა, ქათალ ერ ლიტშულალს ენბინნე ი ციცჟ ლილრკალს, უჩხა ლოქ ჳედნი? „შენ არ თქვი, ქათამი რომ ტილაობას დაიწყებს და კატა სახის ლოკვას, წვიმა მოვაო?“ (ჩოლ.).

სვანური ნაკლებად მიმართავს შემასმენლის გამოტოვებას; ეს ძირითადად დიალოგებში ხდება.

გვაქვს ქვემდებარის გამოტოვების შემთხვევებიც:

მანა ლგდგარიშდ ატაბეხ სკამ-ტაბზგს (ბქვ., სვან. ქრესტ., 183) „ახალი მიცვალებულისთვის თლიან სკამ-მაგიდას“

ლოლმქარ ხეყედა (ლშხ., იქვე, 263) „ცხვრები ჰყავდა“

ჟანნაჩდინე კუბტარა ძქქ (ჩოლ.) „აურია საკუბდარეს“.

თავისებურია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქვემდებარედ I ან II პირია. ასეთ დროს ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელები გვაქვს, თუმცა ზოგჯერ ნაცვალსახელი გამოტოვებულია და შესაბამისად წინადადებაც უსრულია:

მი ხტიზგე სოფელ ნაცულს (ლშხ., სვან. ქრესტ., 264) „მე ვცხოვრობ სოფელ ნაცულში“

შდრ. აღ სემი ლადელს ათხე ნაშდბურჟალს ხჟაყლედ (ლშხ., იქვე, 263) „ამ სამ დღეს ახლა ნასესხებს ვეძახით“

ამ სამ მარა ჟოშთხჟ ფჟირ ოთქუიცდ (ბქ, იქვე, 190) „ამ სამ კაცს ოთხი ძროხის გადახდა დავაკისრეთ“

სი ლანშტებ ლელგჟანი თეთრ (ჩოლ.) „შენ ასესხე გასვენების ფული“

შდრ. მა ჯაკუ ლენტეხას? (ლნტ., იქვე, 299) „რა გინდა ლენტეხში?“

წინადადება შეიძლება იყოს **უსუბიექტო (უქვემდებარო)**, რომელშიც შემასმენელთან ქვემდებარე არ არის წარმოდგენილი და იგი არც ივარაუდება. უქვემდებარო წინადადებები, ძირითადად, ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებს გამოხატავენ: **შტუჟეშდუე** „თოვს“; **ირჰწლ||ირჟალ** „თენდება“; **იბურჟლალ** „საღამოვდება“; **თელ ლადელ უჩხა** „მთელი დღე წვიმდა“ და მისთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ეს საერთოა ყველა ენაში და ახსნაც საერთო ეძებნება. გადმონაშთია იმ დროის აზროვნებისა, რომლის მიხედვით ყველა ბუნების მოვლენას განაგებდა რაღაც, ამოქმედებდა გარკვეული პირი, I პირი, ისიც ერთი და არა ბევრი, რომლის მაგივრობა არ შეეძლო გაეწია არც II და არც I პირს. იგი „ყოვლისშემძლე“ III პირი იყო“ (13, 258).

განუსაზღვრელქვემდებარიანია (განუსაზღვრელპირიანი) წინადადება, რომელსაც ქვემდებარე არ მოეპოვება და არც რომელიმე კონკრეტული საგანი ივარაუდება ქვემდებარედ, მაგრამ ზმნას შენარჩუნებული აქვს სუბიექტური პირის გაგება, მისი ვინაობა არ ჩანს, წინა პლანზე მოქმედებაა წამოწეული.

ასეთი წინადადება ჰგავს უქვემდებაროს, მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ აქ ქვემდებარე III პირის მრავლობით რიცხვშია და შეგვიძლია ვივარაუდოთ ისინი, გაურკვეველი უცხო პირები, მაგრამ მაინც პირები:

მასჷშის შიე გჷიგჷჷი იყედნეს (ლნტ., სვან. ქრესტ., 305) „ოჯახის უფროსს ხელის გულზე ატარებენ“

ჟელი ლიკაჷკეჷი ამსჷალდა დაგრას ტჷლის (ჩოლ.) „ბაღლის ყმუილზე ადამიანის სიკვდილს ამბობენ“.

განზოგადებულშემასმენლიანია (განზოგადებულპირიანი) წინადადება, რომელშიც ზმნა-შემასმენლით ნაგულისხმევი პირი განზოგადებულია და ზმნით გამოხატული მოქმედება ეხება არა კონკრეტულად ზმნის ფორმით ნაგულისხმევ პირს, არამედ საერთოდ ყველას. ასეთი წინადადებები, როგორც წესი, ზმნის II პირის ფორმითაა წარმოდგენილი:

მაჷ ჭეკჷდი, ჭელჷნი (ჩოლ.) „რაც გენდომება, გექნება“

იმჷ ეხლანჷნე, ლიკედჷში ეჯის ეხკედ (ჩოლ.) „რასაც დათესავ („მოთესავ“), აღებითაც იმას აიღებ“.

განზოგადებულპირიანია ანდაზების უმეტესობაც, რომლებიც ზმნის III პირის ფორმით დასტურდება, მაგ.:

იჷალედედ ლგჷრ ლგდგჷრს დჷრ ხჷყჷნენა! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 111,31) „მისდღემში ცოცხალი მკვდარს არ მისწოლია“

ნაშტობილა წაბჷ ჩჷინტყჷი (ჩოლ.) „მშვიდობისთვის სამართებელიც ჩაიყლაპება“

წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით

§ 14. წინადადება მტკიცების მიხედვით შეიძლება იყოს **წართქმითი და უკუთქმითი**.

წართქმითია წინადადება, რომელშიც მოქმედება დადებითადაა წარმოდგენილი:

ლაჷრჷჷ ზეჷ სგჷებნაჷ ჟი ლგმარჷ ხარ მეზგა (ბზ., სვან. ქრესტ., 135) „არყის გამოსახდელი შეშა წინასწარ გამზადებული აქვს ოჯახს“

ქათლგდ იზგა ბედნიერდ (ბქ., იქვე, 210) „ქათამი ცხოვრობდა ბედნიერად“

ქ'ოთოგჷნდ დაშტჷჷ ლარათე (ჩოლ.) „გაუვდექით დათვის მინდვრისკენ“.

უკუთქმითი კი ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელშიც მოქმედება უარყოფითადაა წარმოდგენილი:

ჯუინაღდ შტუნისგა ქანგნქა **მაგტუშ** ითხრღდა (ბზ., იქვე, 131) „ძველად სვანეთში კანაფის გარდა არაფერი იშოვებოდა“

ბაბა ხულაჩს ეშხუ მარე სკტუბინ **დეშ** ხასკინინა (ღნტ., იქვე, 308) „ბაბა ხულაჩს ვერავინ შეედრებოდა („ერთი კაცი წინ ვერ გადანახტომა“)

ნოსა ჯეწე ეჯდართე მეზის (ჩოღ.) „არ დაგინახო იმათთან წამსვლეღი“.

სვანური ენა მდიღარია უარყოფითი ნაწიღაკებითა და ამ ნაწიღაკეთაგან წარმოებუღი უარყოფითი ნაცვალსახეღებით, უარყოფითი ზმნიზეღებითა და კავშირებით. სიმრავლეს დიღლექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს. სწორედ მათი საშუღღებით გაღმოიცემა წინაღღების უკუთქმითობა.

მოქმეღების შეუძღებღობის გამოსახატავად ენა იყენებს შემდეგ უარყოფით ნაწიღაკებს: **დეშ** (ბქ.), **მნღშმნჩ** (ღნტ.), **დეშღღოშ** (ჩოღ.), **ღოშ**, **დეშმა**, **დეშმამ**, **დეშსა** (ღშხ.)... „ვერ, ვერა, ვერაფერი“; უარყოფით ნაცვალსახეღებს: **დეშიწრღღეშწრღღეშღარ** (ბზ., ღნტ.), **დეშწრ** (ჩოღ.), **დეშწრღღეშწრღღეშწრღღოშ** (ღშხ.), **ღწრმოშ** (ბზ.) **ღწრმოშღღრღმოშ** (ბქ.), **ღწრმოშღღრღმოშ** (ღშხ., ჩოღ.) „ვერავინ“; **დეშსამაღღეშმა** (ზს.), **დეშმა** (ღხმ.), **ღწსმამოშღღსამამოშ** (ბზ., ჩოღ.), **მანგტუშმოშ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“; **ღესღამმოშღღმისმოშ** „ვერავერს“ და უარყოფით ზმნიზეღებს: **ღწემემოშ** (ჩოღ.), **ღემეგემოშ** (ბქ.) „ვერსად“; **ღემხენემოშ** (ბქ.), **ღემხენემოშ** (ჩოღ.) „ვერსაიღან“; **ღემჩიქსმოშღღემჩიქმოშ** (ღშხ., ჩოღ.) „ვერასღროს“; **ღემყიმოშ** (ბქ.), **ღემყიმოშღღემწიმოშ** (ღშხ., ჩოღ.) „ვერავრით“...

განსაკუთრებუღი ყურადღება გვინდა მივაქციოთ **მოშ** ნაწიღაკს, რომელიც მნიშვნეღოვან როღს თამაშობს წინაღღებაში უკუთქმითობის გამოხატვის თვღლსაზრისით.

შეუძღებღობის ნაწიღაკები (**დეშ**, **ღოშ**, **მნღშ**) თ. შარაძენიძეს „არ“ (**ღე**, **ღო**, **მნღ**) ნაწიღაკის გამომხატვეღ ფორმებზე -**შ** მაწარმოებღის ღართეით მიღებუღლად მიღჩნია „**დეშ**, **ღოშ** და **მნღ**“ში ახღლი ნიუღნსი შეაქვს **შ**-ს. სწორედ ეს აწარმოებს პოტენციღლისის კატეგორიღს... ეგევე **შ** გვხვღება სვანურში მეტად გავრცეღებუღლ **მოშ** ნაწიღაკში, რომელიც მხოლოდ შესაძღებღობღს გამოხატავს (ქართუღლად ხშირად არ ითარგმნება). იგი იხმარება როგორც ღადებით, ისე უარყოფით წინაღღებებში. როგორც შესაძღებღობის აღმნიშვნეღი ნაწიღაკი, ხშირია პირობით წინაღღებებში... კატეგორიულ უარყოფით ნაწიღაკებს, ნაცვალსახეღებსა და ზმნიღართებს ხსენებუღი **მოშ** პოტენციღლისის მნიშვნეღობღს ანიჭებს“ (45, 314).

ნ. აბესაძე აღნიშნულ ნაწილაკს განიხილავს, როგორც უარყოფით ნაწილაკს: „ჰე კავშირზე უარყოფითი ნაწილაკის დართვით ვიღებთ შემდეგ ფორმებს: **ჰე მოშიე მოშ „თუ“...**“ (1, 144).

აღსანიშნავია, რომ შეუძლებლობის ნაწილაკის გამოსატვის თვალსაზრისით ჩოლურული ყველაზე მწირ სურათს გვიჩვენებს, „ვერ“ ნაწილაკს **დემ** ფორმა გამოსატავს (**დომ** ნაწილაკი იშვიათად დასტურდება ზემო ჩოლურელთა მეტყველებაში), ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ფუნქციის გამომხატველ სხვა საშუალებებს (სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულში), ისინი იწარმოება კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე **მოშ** ნაწილაკის დართვით: **დესმამომ|დესამამომ** (ბზ., ჩოლ.) **მანგუემომ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“, **დარდმომ** (ბქ.) **დარდმომ** (ლშს., ჩოლ.) „ვერაინ“; **დემემომ** (ჩოლ.) **დემემომ** (ბქ.) „ვერსად“; **დემხენმომ** (ბქ.) **დემხენმომ** (ჩოლ.) „ვერსაიდან“; **დემჟიმომ** (ბქ.) **დემჟიმომ|დემჟიმომ** (ლშს., ჩოლ.) „ვერაფერი“ და ა. შ. მაგ.:

ლიდმანტსი **დარ მოშ** ხობდატდ'ულ მეზგა (ბზ., სვან. ქრესტ., 25) „მტრობასაც ვერაინ უბედავდა ამ ოჯახს“

დარ მოშ ესერ **იმგუამ მოშ** ასხთიხ (ბქ., იქვე, 194) „ვერაინ ვერაფერს ვერ ასერხებსო“

დემემომ ოხუთხა (ბქ.) „ვერსად უპოვია“

ახეჭუადანხ ჩხარა ლახუბად ეშხუ მეგამს, **მანდამომ** ხწყერხ (ლნტ., იქვე, 318) „დაესივნენ ცხრა ძმა („ძმამ“) ერთ მორს, ვერაფერი უქნეს“

ათხე **მანდამბელიგუემ მოშ** ხოჩომნა მიჩაშდ, ამინლო იმ ლოქ ხეჩო მიჩ (ლნტ., იქვე, 325) „ახლა ვერაფერი უქნია მისთვის, აწი რას უზამსო მას“

ალ ლატდილა ტუიტუელა ლემარელის, შკურშუ **დემონმომ** ლემანლის (ლნტ., იქვე, 315) „ეს დები ტიტველი ყოფილან, სირცხვილით ვერსად ვერ მიდიოდნენ თურმე“

დემერდ მოშ ახუჭუისნლნე (ლშს.) „ვერაინ ათქმევინა თურმე“

დემჩიქს მოშ ოხგრმ აგის (ჩოლ.) „ვერასდროს დავიჭირე სახლში“

დემნემი მოშ ოთღორაჟ (ჩოლ.) „ვერაფრით მოვატყუე“

სვანურში ასევე გვხვდება ფორმობრივად გამოსატული ორმაგი უარყოფა. სწორედ განსახილველი ნაწილაკი **მოშ** დაერთვის უარყოფით ზმნისართებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს და მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით გამოიხატება ორმაგი უარყოფითი ფორმები, მაგ.:

დარდ მოშ ჩტემინ (ბქ.) „ვერაფინ ვერ გააკეთა“

მანგუტემ მოშ ენმეკრე (ბქ.) „ვერაფერი ვერ გაიგო“

დემჟი მოშ ონტუედ (ლშხ.) „ვერაფრით ვერ მოვედი“

დესმა მოშ ოხსახ (ჩოლ.) „ვერაფერი ვერ მოვახერხე“

დემხენ მოშ ონჯუ (ჩოლ.) „ვერსაიდან ვერ მოვიტანე“

მოშ ნაწილაკი დაერთვის **დეთაძ** (ლნტ), **დეთაძ**, **დე** (ქს.) **დეშ** (ლშხ., ჩოლ.) **დეი** (ბქ.) „არც“ კავშირსაც და მასაც შეუძლებლობის სემანტიკას ანიჭებს:

მიჩ ლახგნბაჟენ ი **დეი** ჟი **მოშ** აჩნდ, დეი აცხირ მანგუტემ (ბქ., სვან. ქრესტ., 213)
„მას გაუკვირდა და ვერც ავიდა, ვერც გაიგო რამე“

ნან ჩტანტუშეშატანდ: **დემოშ** აჩტადდ, **დეთაძმოშ** რტაგადიდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 308) „ჩვენ გავშემდით: ვერც წავედით, ვერც ვლაპარაკობთ“

ეჩანლო ლეკარ **დეშსა** ანჯადხ ლაშხთე, **დეთაძ** წერეთლარ **მოშსა** ანჯადხ ყანსატი მაყალტუმ (ლშხ., იქვე, 248) „მერე ლეკები ვერ მოვიდნენ ლაშხეთში, ვერც წერეთლები მოვიდნენ ყანსავის შიშით“

ჯანარე ჯოგს დემდტარ, **დე მოშ** თხერელ ხობდატის ლიმგებს (ლშხ., იქვე, 268)
„ხარების ჯოგს დათვები, ვერც მგლები უბედავენ მივარდნას“

მაგ ხოცტდილლა, მარა **დეშ მოშ** ჟენფიშ ი **დეთაძ მოშ** ჩტადუჟენე (ჩოლ.)
„ბევრი უწვალთა, მაგრამ ვერც დაღალა და ვერც დააძინა“

თ. შარაძენიძეს კავშირი **დეთაძ** (ლნტ) **დეშაძ**, (ლშხ., ჩოლ.) „არც“ ნაწილაკებთან ერთად აქვს განხილული: „მასში გამოიყოფა **ძ – ი** (= ც). საკუთრივ უარყოფითი ნაწილაკი იქნებოდა **დეთა**, რომელიც ცალკე ამ სახით არ შეგვხვედრია, ამიტომ განვიხილავთ **დეთაძ**-ს უარყოფით ნაწილაკებთან“ (45, 294).

დეთა-ში მკვლევარი **-თა**-ს გამოყოფს და მას ნაცვალსახელად მიიჩნევს „შეიძლება ნაცვალსახელი იყოს. მართალია, ასეთი ძირი სვანურში ამჟამად არ არსებობს, მაგრამ გვაქვს მეგრულ-ჭანურში. მეგრულ-ჭანურის ფენა სვანურში საკმაოდ ძლიერია. შეუძლებელი არ არის, რომ **თ** (ა) ნაცვალსახელიც ყოფილიყო ნასესხები“ (45, 312).

უნდა აღინიშნოს, რომ **მოშ** ნაწილაკის ფუნქცია შეუძლებლობის გამოხატვით არ შემოიფარგლება, იგი ამავე დროს დასტურდება წართქმით წინადადებაშიც, ხოლო როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ძირითადად, გამოიყენება პირობით წინადადებებში.

როულ ქვეწყობილ წინადადებაში იგი ახლავს ელი, ლახლახე, კანლხანლ, ჰემჟი, დე, დეთაძ, ჟოდ კავშირებს. მაგ.:

ეჩას **ე მოშ** ჩუ ხადგარი, ეჩქა ისგუათან დარ ვრი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 231) „იმას თუ კი მოკლავ (მოკვლას თუ შეძლებ), მაშინ შენისთანა არავინ იქნება“

ქა **ლახე მოშ** ხატყცი, ეჩქას ლეყერს ხარ ლეგნე (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „თუ დაარტყამს, მაშინ გალახული უნდა დადგეს“

ამის ესერ **ჰემეი მოშ** ასხათი, სურუ ლემდა გუაშუტ ესერ ესდინე ქაშგი ბედყინ (ბზ., იქვე, 64) „იმას თუ კი მოახერხებო, მაშინ დიდ დასამადლებელ საქმეს გააკეთებო („დადებ“) ჩერქეხეთის წინაშე“

ეჩის ესერ **ჟ'ემოშ** ხაყუფე, ეჩქას ესერ მიჩა ლიბურგელ ესერი ხამედენა (ბქ., სვან. ქრესტ., 214) „იმას თუ კი ამოადრობ, მაშინ მასთან ჭიდაობაც (მისი დაჭიდებაც) შესძლებიაო“

ეჩის ესერ კინჩხს **ჟ'იმოშ** ხაქტუცეხ, ეჩქას გარ ესერ ხაყახ დანთთე მეზიდ (იქვე, 229) „იმას თუ კი კისერს მოაჭრით, მაშინ მარტო ვარგანან დევთან წამსვლელადო“

სი **ი მოშ** ალ მგლლაჟს ჟ'ახირმინე, ეჩქას მი ლაჯინე მიშკუა ქარაჟანს (ლნტ., იქვე, 323) „შენ თუ როგორმე მოლადურს დაიჭერ, მაშინ მე მოგცემ ჩემ ქარავანს“

დალო ლოქ **ე** უმარცხდ **მოშ** ადგენას, ლო ლოქ ქაშ ადგენე (ლშხ., სვან. ქრესტ., 248) „აბა, დაუმარცხებლად თუ კი გააცილებსო, მაშინ გააცილეო“

ემოშ ლოქ ათერ მიჩა გეზალს, ადგეშ ლოქუ აგითე (იქვე, 288) „თუ კი იცნობ შენს შვილს, წაიყვანეო სახლში“

ლახ მოშ ჩუნანდე, ეჩის მი ლოხტოდანნი ნაგერჯს (ჩოლ.) „თუ ჩამოიტან (ე. ი. ჩამოტანას თუ კი შეძლებ), იმას მე მოვაცემინებ გასამრჯელოს“

პირობით წინადადებაში კავშირთან **მოშ** ნაწილაკის ადგილი შეიძლება ითქვას განსაზღვრულია და შეზღუდული, ყოველთვის დამოკიდებული წინადადების შემადგენელი ნაწილია და ხშირ შემთხვევაში უშუალოდ ახლავს და მოსდევს კავშირს, მაგ.:

ქა **ლახე მოშ** ხატყცი, ეჩქას ლეყერს ხარ ლეგნე (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „თუ კი მოარტყამს, მაშინ მომრტყემელს აქვს დასადგომი“

ეჩის ესერ კინჩხს **ჟ'იმოშ** ხაქტუცეხ, ეჩქას გარ ესერ, ხაყახ დანთთე მეზიდ (ბქ., იქვე, 229) „იმას თუ კი კისერს მოაჭრითო, მაშინ მარტო („ივარგებთო“) დევთან წამსვლელადო“

ჩაყს **ემოშ** ლახესკურიხი, ქასალუძალნიხი, ეჩქა ჩუ ჯეიმედი ეჯ დატი ლიბორგიელ (ლნტ., იქვე, 324) „ცხენს თუ მოაჯდები, გააჭენ-გამოაჭენებ, მაშინ შეგეძლება იმ დევთან ჭიდილი (დევის ჭიდაობა)“

ემოშ ლოქ ათერ მიჩა გეზალს, ადდეტ ლოქუ აგითე (ლშხ., იქვე, 288) „თუ კი ამოიცნობსო თავის შვილს, წაიყვანოსო სახლში“

ჟი **ემოშ** ხნგმედე, ეჩქა ქა ლეგნიდ (ჩოლ.) „თუ კი შექლებ („შეიქლებ“), მაშინ გაეუღებით ვზას“...

აღნიშნული ნაწილაკი იშვიათად შეიქლება კავშირისაგან გაითიშოს ზმნისწინისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის მიერ. მაგ.:

ათხე ელო ჩუ ლოქ მოშ ხაჯღუნე, იტალადელ ლოქ ორი მიჩა აშმარ (ჩოლ.) „ახლა თუ როგორმე ჩამოატანინებსო, სამუდამოდ მისი მადლიერი იქნებაო“

ლეთრას ე ქა მოშ ხაშტბი, ჩტნჩოხ ემეი ლიპრისტალს (ჩოლ.) „სასმელს თუ როგორმე ასესხებს, იზამენ როგორმე ნათლობას“...

უნდა აღინიშნოს, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელ წევრებს (მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნიზედებს) ახლავს და უმეტეს წილად უკან მოსდევს ამ უკანასკნელთ. აღნიშნულ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკს „თუ, თუ კი, როგორმე, როგორღაც“ კავშირთა სემანტიკა აქვს, მაგ.:

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება:

ამჟინ იხრესიდეღს, **ფერუშა მოშ** ხსარე ლსკნას (ბზ., სვან. ქრესტ., 34) „ასე ენაცვლებიან ერთმანეთს („მორიგეობენ“), თუ ვინ აჯობებს გადახტომაში“

ერუშა მოშ ახოჩიშ ისკა, ეჯი მანკუი ჳედენი აგხო (ლნტ., იქვე, 303) „ვინც კი შემოასწრებს, ის პირველი მოდის სახლში“

ეჯ ქუთს იღეშგალს დინაშ აფხნეგვარ, **ფერუშა მოშ** ხონკი ესფხიჭისგხ (ბქ., იქვე, 178) „იმ ხაჭაპურს ცილაობენ გოგოს ამხანაგები, ვინც კი პირველი დასტაცებს“

ფერუშა სუმინ ფაუს ქა **მოშ** ხატყცი, ეჯა ეზერ ბგვი ხაბუახ (ბზ., იქვე, 34) „ვინც კი სამჯერ ჯოხს მოარტყამს, ის ძაან მაგარი ჰგონიათ („მიაჩნიათ“)"

უბრალო დამატებითი დამოკიდებული:

იმუშა მოშ ლემსახუთინს, დემნოტუმ ლემზარუთინს უშხუარ, **მწ მოშ** ლთთდალს ხნრახ (იქვე, 65) „რასაც კი მოახერხებდნენ, არაფრით ზოგავდნენ ერთმანეთს თურმე, რაც კი შეეძლოთ“...

განსაზღვრებითი დამოკიდებული:

მანუშუშა მოშ რწქუნინა, ეჩუმს ხაკადა (იქვე, 70) „რამდენსაც კი იტყოდა, იმდენს ახდევინებდა“

ქა ლეცხპე ხარ ლიშდრალე ლბზახნქა, **იმუშად მოშ** ლი მეჩდე ქა მგსრე (იქვე, 34) „უნდა შემოუაროს თამაშის დასაწყისიდან, სანამდეც კია გასული მჯობნი“...

გარემოებითი დამოკიდებული:

ეჩქანლო, მეზგე **შომანა მოშ** უნმპრი, იხო ბეფშიშ ლიბრისდალს (ბქ., იქვე, 179) „მერე, ოჯახი როცა კი მოემზადება, იხდის („იზამს“) ბავშვის ნათლობას“...

ხშირია განსახილველი ნაწილაკის დართვა **ჟოდ** „ვიდრე, სანამ“ მაქვემდებარებელ კავშირზე დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, მაგ.:

ხარხ ამჟინ ხინ, **ჟოდ მოშ** გეჭნის (ბზ., სვან. ქრესტ., 10) „აქვთ ასე ლხინი, სანამდეც კი ძლებენ“

ხაჯმაგორნა ლოქ უიშამმადურდ, **ჟოდ მოშ** ლოქ ხაბიცნა (ლშხ.) „ვემსახურებოდით („ნამოჯამაგირალო“) უმადურად, სანამდეც შემეძლო“

ჟოდ მოშ ლოხგემედ, ხომურჯალის (ჩოლ.) „სანამდეც შევექელი, ვეხმარებოდი“ ვითარების დამოკიდებულ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკი **ჰალ||ხალ** კავშირს ახლავს და მოქმედების შესრულების შესაძლებლობას უსვამს ხაზს, მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს კავშირს, მაგ.:

ჰარწყს გორახ, **ჰალ მოშ** ხეკუძდხ (ბზ., იქვე, 38) „არაყს სვამდნენ, რამდენიც უნდოდათ“

ეჯი ხეჭამ ლოშკინ, **ხალ მოშ** ხობიცდა (ჩოლ.) „ისე მისდევდა უკან, როგორც კი შეეძლო“

ლემწრად იფხანჭუტდა, **ხალ მოშ** ხემედან, ეჯი (ჩოლ.) „გამწარებული ბოჭავდა, როგორც კი შეეძლო, ისე“...

როგორც აღინიშნა, განსახილველ ნაწილაკს ყოველთვის არა აქვს მოქმედების შეუძლებლობის გამოხატვის ფუნქცია, ის წინადადებას სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს ანიჭებს.

მოშ ნაწილაკი ხშირად დაერთვის კითხვით ნაცვალსახელსა და კავშირს, ასეთ შემთხვევაში **მოშ** კითხვითობის გადმოცემასთან ერთად ხაზს უსვამს აღშფოთება-გაოცებისა და დაქადნების სემანტიკურ ნიუანსს:

იმჟიმოშ ჩუმინ ალი?! (ბქ.) „როგორ (როგორ თუ) გააკეთა ეს?!“

ე'მოშ ხიხო ეჯისნ ლოხთერ! (ჩოლ.) „თუ გააკეთებ, იმასაც ვნახავ!“

ე'მოშ ადრინი, ქუეყანა ხეწდენი! (ჩოლ.) „თუ წახვალ, ქვეყანა დაინახავს!“

კითხვით წინადადებაში, დამოუკიდებლად ნახმარი **მოშ** ნაწილაკი, ძირითადად, უკან მოსდევს ზმნა შემასმენელს (**ღვრიდ მოშ?** „წახვალთ? (წახვალთ თუ ვერა?)“ **ანჯე მოშ?** „მოიტანე, თუ ვერა“ **ათაჲ მოშ?** „წაიღე, თუ ვერა?“), ხოლო, როცა უარყოფით ნაცვალსახელთან, ნაწილაკთან და ზმნიზედასთან ერთადაა წარმოდგენილი, წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს (ღეშიმჟი **მოშ ანჯე** ღერ? „ვერაფ-

რით ვერ მოიტანე ხო?" დემხენ **მოშ ათაჲ** დერ? „ვერსაიდან ვერ წაიღე ხომ?“), თუმცა იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კითხვით ზმნიზებაზე დართული შეიძლება ზმნის მომდევნოდ აღმოჩნდეს (**ღვრიდ ემთე მოშ?** „წახვალთ სადმე, თუ ვერა?“, **ანვგ ემხენ მოშ** „მოიტანე საიდანმე, თუ ვერა?“...).

რაც შეეხება ცალკე აღებულ **მოშ** ფორმას, (დიალექტების მიხედვით) სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს, მაგ.: „ცალკე, სხვანაირი, სხვადასხვა ცუდი“, ანუ მას, ცალკე აღებულს, უარყოფითობის მნიშვნელობა არ გააჩნია:

აღჯარ **მრშ-მრშ** ზომამ ი ფერიშ ლიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 16) „ესენი სხვადასხვა ზომის და ფერის არიან“

მოშ ლესდი მარე ლი (ბქ.) „სხვანაირი, ცუდი შესახედი კაცია“

ლაფურალ **მრშ** ლი ი ლანნორ **მრშ** (ღშხ., იქვე, 265) „სადროხე ცალკეა და სახარე ცალკე“

მრშ იზლალ (ჩოლ.) „ცალკე დადის“

მრშ-მრშ იჭუნდულალხ (ჩოლ.) „ცალ-ცალკე ჩუმჩუმელობენ“ და სხვ.

განხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ **მოშ** ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია მრავალფეროვანია. კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე მისი დართვით იწარმოება შეუძლებლობის გამომხატველი ნაწილაკები და მხოლოდ მისი მეშვეობით გამოიხატება ორმაგი უარყოფა.

განსახილველ ნაწილაკს, ასევე, აქვს მოქმედების შესრულების შესაძლებლობის გამოხატვის ფუნქციაც და რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისი მონაწილეობა და კავშირებზე დართვა წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, **მოშ** ნაწილაკის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შეუძლებლობის სემანტიკის გამოხატვა, ხოლო, რაც შეეხება მის მიერ ქვეწყობილ წინადადებაში მოქმედების შესრულების შესაძლებლობის ნიუანსის გამოხატვას, მეორეულ მოვლენად მიგვაჩნია.

ნაწილაკი არ გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას, ვერ კი უარყოფას შესაძლებლობის მიხედვით, მიუთითებს იმაზე, რომ არის სურვილი მოქმედების შესრულებისა, მაგრამ არაა მისი შესაძლებლობა (**ღეშსა** ანსყე „ვერ გააკეთა“; **ღემ** ენთხე „ვერ მოძებნა“), ხოლო **ნუ** ნაწილაკიანი წინადადება კრძალავს ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების ჩადენა-შესრულებას (**ნომა|ნუმა** ხიხო „ნუ შერები“; **ნო** ხატხე პასუხს „ნუ სცემ პასუხს („ხმას“)“).

უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები სრულმნიშვნელოვანი სიტყვებია. ამიტომ ისინი, განსხვავებით უარყოფით ნაწილაკთაგან, წინადადების წევრებია: **ღარ** ანვად „არავინ მოვიდა“; **დემემოშ** ითხელეს „ვერსად იშოვეს“. **არავინ** და **ვერსად** ამ შემთხვევაში წინადადების წევრებია: **არავინ-ქვემდებარე, ვერსად-ადგილის გარემოება**.

III თავი

შერწყმული წინადადება სვანურში

§ 15. წინადადებას, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება, ერთგვარწევრებიანი, ანუ შერწყმული წინადადება ეწოდება. „ერთგვარი კი ის წევრებია, რომლებიც ერთი და იგივეა, ერთი და იმავე სახისა (ერთი და იმავე შინაარსისა), რომლებიც მიემართებიან ერთსა და იმავე წევრს, ახასიათებენ მას ერთი ნიშნის მიხედვით. ერთგვარი წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან თანწყობის საშუალებით“ (9, 5)

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის წინადადებების სახელწოდების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, სხვადასხვა მკვლევართან სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული, თუმცა უმეტესობა ტერმინს – შერწყმული წინადადება – ანიჭებს უპირატესობას; „ერთგვარწევრებიანი წინადადებების აღსანიშნავად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებული იყო ტერმინები: გაერთებული, შეერთებული, შერთული, და, ბოლოს შერწყმული წინადადება. ზოგი მკვლევარის თვალსაზრისით, სინონიმური მნიშვნელობის ტერმინად არის მიჩნეული „შერწყმული“ და „ერთგვარწევრებიანი“ წინადადება“ (3, 15).

არნ. ჩიქობავასთან ერთგვარწევრებიანი წინადადებების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი შერთული, ხოლო ტერმინი „შერწყმული წინადადება პირველად ქართულში ა. შანიძემ იხმარა თავის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში“ (19, 229)

„შერწყმული წინადადება ფართოდ არის გავრცელებული ენაში, იგი ძველ ქართულშიც გავრცელებული სინტაქსური კონსტრუქციაა. შერწყმული წინადადება მოხდენილი სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად; ერთგვარი წევრები უფრო სრულად, ამომწურავად გადმოსცემენ გადმოსაცემის შინაარსს, აძლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესიულობასა და ემოციურობას“ (19, 225).

მეცნიერთა ნაწილი ამ ტიპის წინადადებებს ან მარტივ, ან რთულ წინადადებებთან აიგივებს: „შერწყმული წინადადება წარმოადგენს მარტივ და რთულ წინადადებათა საშუალო საფეხურს: სტრუქტურულად იგი მარტივსავე შეესაბამება და რთულსაც უახლოვდება, ამიტომ მას ხშირად ცალკე ტიპად არც კი გამოყოფენ: აიგივებენ ან მარტივ, ან რთულ წინადადებასთან" (20, 203).

ქართულში შერწყმული წინადადების გენეზისის მსჯელობისას, ა. კიზირია, სამ გზას გამოყოფს: „შერწყმული წინადადების გენეზისის საკითხი საენათმეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ არაა გარკვეული. ქართულში მისი წარმომავლობისათვის სამი გზა აისახება: ა) იგი მიიღება წინადადებათა შერწყმით, ბ) თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი შემასმენლის კონვერსიის შედეგად და გ) თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი შემასმენლის ინვერსიით" (20, 227).

შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარდამატებიანი, ერთგვარგანსახლვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი და ნარევი, სადაც რამდენიმე ერთგვარი წევრია.

სვანურში შერწყმულ წინადადებათა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები სრულად არის წარმოდგენილი; თუმცა, მკვლევართა დაკვირვებით, სვანურში იშვიათია ერთგვარგანსახლვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად – ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსახლვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის (3, 15).

ერთგვარი წევრები ძირითადად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა; მათ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ. მაგრამ, ვინაიდან ერთი და იგივე წევრი სხვადასხვა მეტყველების ნაწილით და სხვადასხვა ფორმით შეიძლება გადმოიცეს, ერთგვარი წევრები ზოგჯერ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნება და ერთმანეთისგან ფორმითაც განსხვავდებიან.

ა) ერთგვარ შემასმენლებიანი შერწყმული წინადადება

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, აგრეთვე, ერთგვარ შემასმენლებიანი შერწყმული წინადადებების შესახებაც: „ზოგს (პეშკოვსკი და სხვ.) შერწყმულ წინადადებად არ მიაჩნია ერთგვარ შემასმენლებიანი წინადადება და გვარწმუნებს, რომ ასეთ წინადადებაში იმდენი ცალკე წინადადებაა, რამდენიც შემასმენელიაო; ზოგი მკვლევარი ამტკიცებს: ეს შერწყმული წინადა-

დებაა, ოღონდ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რამდენიმე შემასმენლის ქონა შეესაბამება რამდენიმე წინადადების არსებობასო" (20, 205).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების შემასმენლები არ განიხილება ცალკე წინადადებებად.

სვანური მდიდარია **ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებებით**. ერთგვარი შემასმენლების ხშირი გამოყენება დიალოგებში და ამბის მოყოლის დროს, სავსებით ბუნებრივია, რადგან ზმნათა სიმრავლე თხრობას დინამიკურ ხასიათს ანიჭებს.

შემასმენელი მარტივია ან შედგენილი ამის შესაბამისად ერთგვარ წევრებად წარმოდგენილია როგორც მარტივი, ისე შედგენილი შემასმენლები, ან ორივე მათგანი ერთად. ძირითადად გამოყენებულია ერთი და იმავე მწკრივის ფორმა, თუმცა იშვიათად შეიძლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებიც შეგვხვდეს:

ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი:

ესღრი, ესღრი ო აჯალ **წთლაკ** მეჯოგს ო **ხწქუ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 315) „მიდის, მიდის და კვლავ წააწყდა მეჯოგეს და უთხრა“

ეჯდარე ლეხილას სვა მგრ **ათმიოქუენა** ო ჩნს **ღემკუშური**ნ (ლშხ., იქვე, 96) „მათ ხეხილს რაღაცა შემოხვევია და ყველაფერს ამტვრევდა“

ამახტჷრს მწღ **ხოჩომნახ** ო **ჟ'ახონდუნახ** ლიზი (ლნტ., იქვე, 110) „მტრებს არ უქნიათ და მოუნდომებიანთ წასვლა“

ჟ'ონტეკუტ ეჯიარე **ლიშგლდანის** ო **ლიესს** (ჩოლ) „მოუნდი იმათ თვლას და წადებას“...

წინადადება შერწყმულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილების მიხედვით და თვით მეშველი ზმნებითაც:

უმად ნარღუ **მეშდხე** ო **მეჩხფე ლას** (ლშხ.) „უჭმელად ნამყოფი გალეული და გამხდარი იყო“

ჩ'უასად **შტაშტაჷარილ**, **პატრონურ** ო **თეთრულ** (ლნტ.) „დარჩა მარტოდ-მარტო, უპატრონოდ და უფულოდ“

ღეჩოპე, **ღელრიცე** ო **მეტრენტიელ ლას** მწკუტე თელღრა (ჩოლ.) „მოდრეცილი, მობრეცილი და მოქანავე იყო პირველი რბალი“

ხოჩა დედღ **ნაბგრწყ** ო **გეზალ ლი** (ჩოლ.) „კარგი დედის ნაშიერი და შვილია“.

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა წინადადებაში წარმოდგენილ ერთგვარ შემასმენლებთან ქვემდებარე არ ჩანს, ივარაუდება ზმნის ფორმათა მიხედვით:

ლოშკინიპილხო ხორტა მუხტბეს **სკა ხაფხეჭ, ხაგიდ** ისარ ი **ჩუადაგარ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 257) „ბოლოს უმცროს ძმას სტაცა ხელი, მოარტყა ისარი და მოკლა“

ხუასყი, მისყა ი აჯახ **ოხსყენნე** (ჩოლ.) „ვაკეთებ, გამიკეთებია და კიდევაც გავაკეთებ“

ხრტუნწლა ი **ხოქაბნიელა** ამახტდ (ლშხ.) „გაქცევია და დამალვია მტერს“...

ერთგვარი შემასმენლები სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება. ისინი შეიძლება გამოხატავდნენ მოვლენათა ერთდროულობას, თანამიმდევრობას ან მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, მაგ.:

მერმა ლაღაღ **ანგაწან** ჟი ი **აჩაღხ** (ბზ., სვან. ქრესტ., 77) „მეორე დღეს ადგნენ და წავიდნენ“

ხაგიდხ ჯორს ი **ჩუაქუიციხ** ნესკა ლექტა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 250) „დაარტყეს ჯორს და გაჭრეს შუაზე“

ჟ'ეხკუაწმაწენ ი **ალჩედდ** ნათუარალთე (ლშხ.) „გაემზადე („გაიპრანჭე“) და წავიდეთ ნათესავებთან“

ჩიქ **ჟ'ოხლაწ** ი ლო ჩ'ოთბერგ (ჩოლ.) „ჯერ დავთესე და მერე გავთოხნე“

შემასმენელთა მიერ გამოხატული მოვლენათა თანამიმდევრობა იშვიათად ლექსიკური საშუალებითაც გამოიხატება. მაგ.:

მატყარ ბოფშ ჩიქე **ფშურკუწნი**, ლო **კილი** (ლშხ.) „ნამძინარევი ბავშვი ჯერ ფშუკუნებს, მერე კივის“

შურმან ტოლი-ტოლ **თხულდა**, ეჩანლო **ხერტნგდა** (ჩოლ.) „შურმანი კარგა ხანს ხვრინავდა, მერე ხროტინებდა“ და ა.შ.

ქვემდებარესა და ერთგვარ შემასმენლებს შორის ორმხრივი სინტაქსური ურთიერთობა ყალიბდება.

„ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში საერთო ანუ გამაერთიანებელი წევრია ქვემდებარე, რომელიც ორმხრივ სინტაქსურ ურთიერთობას ამყარებს შემასმენელთან: მართავს მათ პირს და ითანხმებს რიცხვში, ხოლო, თავის მხრივ, მართულია ბრუნვაში ერთ-ერთი შემასმენლის მიერ. ამგვარად, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ადგილი აქვს კოორდინაციას. თავის მხრივ, საურთიერთო მართვა შესაძლებელია გვექონდეს მხოლოდ უახლოეს შემასმენელთან“ (3, 17).

ამ მჭიდრო სინტაქსური ურთიერთობის განსახილველად საჭიროა ქვემდებარის განხილვაც ყველა შესაძლო პოზიციასა თუ წყობაში.

ერთგვარშემასმენლებიან წინადადებაში, ხშირ შემთხვევაში, ქვემდებარე ნაცვალსახელითაა გადმოცემული და პირის ნაცვალსახელები ყოველთვის მართავენ შემასმენლის პირს; ამავედროს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები აზრობრივად, ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელი აზრობრივადაც და ფორმალურადაც ითანხმებს შემასმენელს რიცხვში.

ნწ **ჟი ხტეთხნლიდ, ღურიდ** ათხე ეჩაჟ (ბზ., სვან პროზ. ტექსტ., 65) „ჩვენ მოვძებნით, წავალთ ახლა იქ“

აჩანდხ აღდარ ლამლთე, ხტანდ **ადვარხ**, ხტანდ **ანხტიტხ** (იქვე, 73) "წავიდნენ ესენი საბრძოლველად, ბევრი მოკლეს, ბევრი ამოწყვიტეს"

ნად ხტეფრებანლდ ი **ხტაწინდ** მედდ (ჩოლ.) „ჩვენ ვეფერებით და ვეპატივებით ყოველთვის“...

ქვემდებარე, რომელიც არსებითი სახელითაა გამოსატული, ერთგვარ შემასმენლებს III პირში მართავს:

ბწზი **ანვანდხ ქუთირანლ** ი **იჟნლიენლხ** ციცტი გტარდ (ბზ., იქვე, 348) „ამაღამ მოვიდნენ ქურდები და კნავიან კატებივით“

ზურლანლ **აშუჟდიელანლდახ** ი **არჩხენდახ** მეგბა ლერეჟტს (ჩოლ.) „ქალები რეცხავდნენ და ავლებდნენ დასვრილ ტანსაცმელს“.

რიცხვში შეთანხმების მხრივ, სულიერი და უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარეები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.

თუ ქვემდებარე სულიერი საგნის გამომხატველია, შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს:

მეჟტერწილ **ჩტახოშიდახ** ი **ჩტალდეხტუჟანშელის** აღმინ (ლნტ., სვან პროზ. ტექსტ., 251) „მეჟორწილეები ჩამოუყრიათ და შეუღლებულან ესენი“

ესღრის ი **სგა ლახხტიდახ** ბაბ (ლშხ., იქვე, 83) „მიდიან და შეხვდით მღვდელი“

ვეშდახ ი **კანკულუდახ** სოფლი **ბუწანკარ** (ჩოლ.) „ყევდნენ და წკავ-წკავებდნენ სოფლის ძაღლები“...

ხოლო, „უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის შემთხვევაში, რიცხვში შეთანხმება შეიძლება გვექონდეს და შეიძლება არა: **აშხტუ ჭტენდია ნაჯვლა მინდტერისგა კგლთხი მეგმარ ლგახ** ი **მასარდ ჟი ხეშანხ** „ერთ უმორეს მინდორში მაღალი ხეები დგანან და ბლომად ასხიან“ (3, 17).

ლელგტანი **ლეზტბარ ისყი** ი **ნმი** (ჩოლ.) „გასვენების საჭმელი კეთდება და იჭმევა“

ლოშკმე პალატისა **ნაჩფულუარ ხეპწკარაჟანს** ი **ხელაგან** (ჩოლ.) „უკანა ოთახში გაცვეთილი ფეხსაცმელები ჩამწკრივებულებიყვნენ და ელაგა“...

სვანურში ასეთი შეთანხმება და შეუთანხმებლობის შემთხვევები, როგორც არასალიტერატურო ენაში, უფრო ხშირია, ვიდრე ქართულში (3, 18).

ერთგვარშემასმენლებიან წინადადებაში წარმოდგენილ შემასმენელთაგან მხოლოდ ერთ-ერთს შესწევს უნარი ქვემდებარის ბრუნვაში მართვისა. იმის გასარკვევად, თუ, სახელდობრ, რომელი შემასმენელი მოქმედებს საერთო ქვემდებარეზე, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემდებარის პოზიციას. ქვემდებარისა და ერთგვარი შემასმენლების წყობა რამდენადმე თავისუფალია და გამოიყოფა სამი სახის ძირითადი შემთხვევა:

1. ქვემდებარე წინ უსწრებს ერთგვარ შემასმენლებს:

აღაჟრდ ჩჟუნნიკჟხ თხუმარ ი აჩანდ აგითე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 89) „ამათ ჩაქინდრეს თავები და წავიდნენ შინ“

აღმინს **ჟ'ახოთხანს** ედ მათხოჟჟარ ი **ჩჟათოდაგარანს** (ლნტ., იქვე, 252) „ამათ მოუძებნიათ ის მათხოვარი და მოუკლავთ“

ეჯმარს ლოხტჟლანს ი **ოხგინდანს** ქანთე (ჩოლ.) „მათ დაუძახიათ და გამოუყვანიათ გარეთ“

სგაჟ ხეპჟჟჟრჟელდად ი **ხენტჟნალდად** მეზჟბელარს (ლშხ.) „თქვენ ემაღე-ბოდით და გაურბოდით მეზობლებს“.

2. ქვემდებარე, რომელსაც მოსდევს ერთგვარი შემასმენლები, ბრუნვაში იმართვის პირველი მომდევნო შემასმენლის მიერ.

ქვემდებარე შეიძლება ერთგვარ შემასმენელთა შორის იყოს მოქცეული, შეიძლება მოსდევდეს პირველ შემასმენელს, დანარჩენ შემასმენლებს კი წინ უსწრებდეს, ასეთ შემთხვევაში საურთიერთო მართვით უკავშირდება არა უახლოეს, არამედ აუცილებლად წინამავალ შემასმენლებს, თუნდაც ის ტერიტორიულად უფრო შორს მდებარეობდეს, ვიდრე მომდევნო შემასმენელი:

სგენდე აღ ჟყინტდ აღ ლჟირ ჟიბთჟსგა, ანგგან ი აჩანდ ხელწიფი ხეხჟთე (ბზ., იქვე, 151) „ჩაიდო ამ ბიჭმა ეს წერილი ჯიბეში, ადგა და წავიდა ხელმწიფის ცოლთან“

ჩჟენტუფჟრე დაურხანდ აყბარ, ჟ'ესმორთხანს ძირს ი კინლ-კინლ აფაშე (ლშხ.) „ჩამოიხოკა დაურხანმა ლოყები, განერთხა ძირს და იკივლა („კივილად იქცა“)

ასყი ეჯი ზურანლ ფაყჟს, ქანჟჟონე ი სგონთილ ზონარ (ჩოლ.) „აკეთებს ის ქალი ქუდს, შემოაკრა და შემოუჭირა ზონარი“.

3. იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე მოსდევს ერთგვარ შემასმენლებს, მისი ბრუნვა უახლოესი წინამავალი შემასმენლის მიერაა მართული:

ათხე ქანჯაღ, თე ქანკიდ კოლეფხანქა, ანკიდ ხმალ, **ქოტკუპარ** კინჩხ დანტუს **ამირანდ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 66) „ახლა მოვიდა, თვალი ამოიღო კოლოფიდან, აიღო ხმალი, წაადრო კისერი დევს ამირანმა“

თელ ლეთ გაგზგდა ი უარტალდა, მამ **გუაყერ ლაჟუა** მაშტმარ **ჟასოდ** (ღმხ.) „მოელი დამე ბუზღუნებდა და ტიროდა, არ დაგვაძინა ვასომ“

ქა ლახტჟლე, ჩ'ოსრგან სგობინ ი კლანთხიდ **ოხბინე ბულარტდ** გარგლა (ჩოლ.) „დაუძახა, დაუდგა წინ და ხმამაღლა დაუწყო ღლაპმა საუბარი“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სინტაქსური ურთიერთობის მხრივ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში სავსებით ქართულისებური მდგომარეობაა.

რაც შეეხება მცირეოდენ სხვაობას უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ის გარემოება, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა, განაპირობებს მცირე განსხვავებას...“ (3, 18). აღნიშნული საკითხი ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობაზე მსჯელობისას წინა თავში ვრცლად მიმოვიხილეთ.

ბ) ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები

სვანურში საკმაოდ ხშირად იხმარება ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. აღნიშნულ წინადადებებში გამაერთიანებელი, საერთო წევრია შემასმენელი, რომელსაც შესწევს ძალა მართოს ერთგვარი ქვემდებარეების ბრუნვა და, შესაბამისად, ყველა ქვემდებარე ერთსა და იმავე ბრუნვაშია. მაგ.:

ყველა ქვემდებარე მართულია სახელობით ბრუნვაში:

მეგემ ი ლაღგიმალ **ბაჩ** ფედიას დემეგ წუა (ბქ, სვან. ქრესტ., 195) „მორი და საშენი ქვა არსად ჩანს“

ღემარდელის ეშხუ **ზურალ** ი მიჩა **გეზალ** (ღმხ.) „ყოფილან ერთი ქალი და თავისი შვილი“

აღეს მიჩა **დი** ი **მუ** დემ ლემჩჟემლის (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 137) „ამას თავისი დედა და მამა არ შერებოდნენ თურმე“

ემხტარე მგქარჟი ხეჭამ **ბოფშ** ი **ზურალ** (ჩოლ.) „ერთმანეთს ასწრებენ სირბილს ბავში და ქალი“.

ზმნა-შემასმენელი მართავს ყველა ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში:

ჰსბინეხ ლიზი შუკუტს **ხასანდ, მიჩა ეხტედ** ი **გეზელილდ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 167) „დაიწყეს გზაზე სვლა ხასანმა, თავისმა ცოლმა და შვილებმა“

ლოშინიპილს **ლანხუბუარალოდ** ი **ეხტემდ** ჩტედგტუნეხ (ლშხ.) „ბოლოსკენ საძმომ და ცოლმა დაიტირეს“

ქორა **მანტშიდ** ი მიჩა **ნათიარდ** მწარლ ლოხზგზეხ (ჩოლ.) „ოჯახის უფროსმა და მისმა ნათესაებმა კაცები მიუგზავენეს“.

ქვემდებარეთა ჯგუფი მართულია მიცემით ბრუნვაში:

ალმაისს ი მიჩა **ეხტეს** ლახატოდახ გეზალ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 140) „ალმაისს და თავის შვილს შესძენიათ შვილი“

ბექნუს ი მიჩა **ეხტეს** გუნ ხახიადხ გეზლა ლიჩიჟალ (ლშხ.) „ბექნუს და მის შვილს ძალიან უხარიათ შვილის დაოჯახება“

ჟახფეშახ ლაჭმაჟი **უჩას** ი **ბესას** (ჩოლ.) „დაღლილან თიბვისას უჩა და ბესა“

წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეების პოზიცია არ არის მკაცრად განსაზღვრული, შედარებით თავისუფალია. თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთგვარი ქვემდებარეები წინ უსწრებენ ან მოსდევენ საერთო შემასმენელს:

დემდტუ ი **მალ** ქ'როგანხ შუკუტს (ლშხ.) „დათვი და მელა გაუდგნენ გზას“

თენგიზ ი **გიგო** ბაჯლტუ ლახტბას ხეიშხან (ჩოლ.) „თენგიზი და გიგო ბაჯლტუს ძმებს ერქვათ“

ემსუ ლნდელ ძინარს დოსკ აჩტადდ ლათხუარხო **მი** ი **მიშკუტი ბუბა შოთა** (ლნტ., იქვე, 82) „ერთ დღეს დილას ადრე წავედით სანადიროდ მე და ბიძაჩემი შოთა“

ემსტნრჟი ჭილაიდ ესსყეხ **ჟისიბდ** ი **ამირანდ** დნტარ (ლშხ.) „ერთმანეთზე დააწყვეს უსუჰმა და ამირანმა დევეები“

ლალდაღს ხტნრდად **მი**, **გიგა ნადია** ი **მიშკუტი ბებია** (ჩოლ.) „სამწყემსავად ვიყავით მე, დეიდა ნადია და ბებიაჩემი“...

აღნიშნულ შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ ქვემდებარეებს საერთო წევრის გარდა, შეიძლება განზოგადებული წევრიც ახლდეთ. ამ წევრად გვევლინება სიმრავლის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები, რომლებიც შინაარსობრივად მოიცავენ ჩამოთვლილ ქვემდებარეებს:

ამშა ნაშგ-ნაყელ, **ამშა ლაფექ** ი **ამშა ნაცტდილალ** ჩიმე მაკახ ლი (ლშხ.) „ამისი ნაწველ-ამოყვანილი ყველი, ამისი საფქვილე და ამისი ნაცოდვილარი ყველასთვის გამოსადეგია“

ლეგ ლეჰე ლი **იშგნა ნაგერჯ, იშგნა ნატაბ** (ჩოლ.) „ცუდი მოსანელებელია სხვისი ნაშრომი, სხვისი წართმეული („ნათალი“).“

ზმნა-შემასმენელსა და ერთგვარქვემდებარეებს შორის სინტაქსური ურთიერთობა მართვით-შეთანხმებითია. როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარი ქვემდებარეების ბრუნვას მართავს საერთო შემასმენელი, ხოლო ეს ქვემდებარეები, თავის მხრივ, მართავენ საერთო შემასმენლის პირს. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ქვემდებარეებად გამოყენებულ I და II პირის ნაცვალსახელებთან (თუ ერთ-ერთი ქვემდებარე I პირის მხოლოდობითი ან მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელია, შემასმენელს I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა ექნება: ცხეკ-თე ოსღურდად **ნაი ი მიჩა ლაშთქაარ** (ჩოლ.) „ექსკურსიაზე წავედით ჩვენ და მისი თანატოლები“; ხოლო თუ II პირის მხოლოდობითი ან მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელია – ზმნა II პირის მრავლობით რიცხვში იქნება დასმული: **სნ** ქეთო **დინოლ** ეშხუდ ხარიდ ჩიგარ (ლშხ.) „შენ და ქეთოს გოგო ერთად ხართ სულ“).

ხოლო III პირის რიცხვში შეთანხმების საკითხის გარკვევისას გასათვალისწინებელია, თუ როგორი საგნის აღმნიშვნელი სახელები გამოიყენება ქვემდებარეებად და რომელი რიცხვის ფორმით არიან ისინი წარმოდგენილი.

სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეებთან ქართულისებური ვითარება გვაქვს, აღნიშნული ქვემდებარეები თუ მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, იმ შემთხვევაში აზრობრივად ითანხმებენ შემასმენელს რიცხვში, ხოლო თუ ერთ-ერთი მათგანი მრავლობით რიცხვში დგას, მაშინ შეთანხმება აზრობრივიცაა და ფორმალურიც:

ქანაჭემას აშხუმდ ლაყარდ **გაიოზ ი ბორის** (ლნტ.) „გამოკიდებიან ერთად საცემრად გაიოზი და ბორისი“

თენგიზ ი მიჩა ხოხრა მუხბოლ სურუს იზბის, საბა (ლშხ.) „გურამი და თავისი პატარა ძმა ბევრს ჭამენ, საბრალო“

მედად ილოთაჟანლხ **ჟორი პოკი** (ჩოლ.) „ყოველთვის ღოთაობენ ჟორი და პოკი“

ქვემდებარეები, რომლებიც უსულო საგნების აღმნიშვნელი სახელებითაა წარმოდგენილი, ხან ითანხმებენ აზრობრივად შემასმენელს რიცხვში, ხან არა:

აშხუმდ მად ანარიესხ **მიუ ი დოშდულ** (ლნტ.) „ერთად არ ანათებენ მზე და მთვარე“

ლარტამისა ხაჭიდ **ბერგ ი ლაფცხნირ** (ლშხ.) „ბოსტანში მიყუდებულია თოხი და ფარცხი“

ჩუქედაფხნიკანს **თხნრე** ი **მალ** (ჩოლ.) „დამეგობრდნენ მგელი და მელა“...

თუ რამდენიმე ქვემდებარეთაგან ერთ-ერთს მსაზღვრელად რიცხვითი სახელი ახლავს, თანაბარი სიხშირით დასტურდება აზრობრივი შეთანხმებისა და შეუთანხმებლობის შემთხვევები:

ქა ლზონვერდას ცხეკხო **აერბი ჭყენტ** ი მინე **აფხანიკ** (ლნტ.) „გაჰყვენ ტყისკენ ორი ბიჭი და მათი მეგობარი“

ქა ხნრხ **სემი მნრას** ი **მეთქის** ალე ინჯრა (ლშხ.) „ეყოფათ სამ კაცს და დუდაბის მკეთებელს ეს ულუფა“

აეშდაერუ ლგჩაუ ი **აეშდაერუ ლქჟეით** ხოშამ მუხუბა ხონვერდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 87) „თორმეტი ცხენოსანი და თორმეტი ქვეითი უფროს ძმას ახლდა“

ხუნა ლქაჩ მნრე შილდა ი **ხუნა ლღღარ ბოფშ** (ჩოლ.) „ბევრი დაჭრილი კაცი ეყარა და ბევრი მკვდარი ბავშვი“.

თავის დროზე მკვლევარმა ნ. აბესაძემ ყურადღება მიაქცია ტოლად-შერწყმულ ქვემდებარე-შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობას, რომლის მიხედვითაც სვანური სალიტერატურო ქართულისგან განსხვავდება: „სულიერ საგანთა სახელების შეერთებით მიღებულ ტოლად-შერწყმული რთული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან სვანურში, ქართულისაგან განსხვავებით, შემასმენელი უფრო ხშირად შეწყობილია მრავლობით რიცხვში“ (3, 22):

არდას ხელწიფ ი მიჩა ხეხუ (ბზ., სვან. ქრესტ., 167) „იყვენ ხელმწიფე და თავისი ცოლი“

პრის აშხუ ავის საბრალ **აეხუ-ჭაშ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 171) „არიან ერთ ადგილას საბრალ ცოლ-ქმარი“

ლმარღელის მეკდე **აეხუ-ჭაშ** (ლშხ., იქვე, 130) „ყოფილან უშვილო („ამომწყდარი“) ცოლ-ქმარი“

ქ'ოთოგანს უუკუს ეშხუდ **დი-გეზალ** (ჩოლ.) „გაუდგნენ გზას ერთად დედა-შვილი“ და სხვ.

თუმცა არის შემთხვევები, როცა აღნიშნულ სიტუაციაში შემასმენელი მსოლობით რიცხვშია:

ხოშა-ხორუა მავ აშხუმდ იტყაციელდა (ლნტ.) „დიდი-პატარა ყველა ერთად ჩხუბობდა“

ლიტხიელდა **დი-გეზალ** ლოქ ლახშტება ეშხუარ (ლშხ.) „ენის შებრუნების გამო დედა-შვილი მიწყდომიან ერთმანეთს“

მუმთილ-თელღრ ლიდეტუ დენურს არს ხასმა (ჩოლ.) „რძალ-მამამთილის კამათი იშვიათად თუ სმენია ვინმეს“.

ერთგვარდამატებიანი შერწყმული წინადადება

წინადადება შეიძლება შერწყმული იყოს ყველა სახის დამატების მიხედვით. გვაქვს ერთგვარბრუნვაცვალებადდამატებიანი, ერთგვარბრუნვაუცვლელდამატებიანი და ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადებები.

ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული გვაქვს მაშინ, როცა რამდენიმე პირდაპირი დამატება დაკავშირებულია ერთ საერთო შემასმენელთან. ყველა ერთგვარი პირდაპირი დამატება ან მიცემითში დგას, ან სახელობითში:

აღმჯრს **ციცტუ ი ფჷკუნა** ქა ლოხრდახ ამი მგქაფ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 76) „ამათ კნუტი და ლეკვი მიუციათ ამის ნაცვლად“

სკ'ანდერ მჷგ **ხოლა ი ხოხრა** (ლნტ., იქვე, 163) „დაიბარა ყველა ცუდი და კარგი“

ლალგმალჷი **ხრეშ ი ცემენტ** მიჩა სემუნდ რხვიდხ (ჩოლ.) „მშენებლობისას ქვიშა და ცემენტი თავისმა ქვისლმა მოუტანა“

სიმინდისგა აღშშის აღწიდ **ლებიას ი კოპეშიას** (ბქ., იქვე, 92) „სიმინდში თესავენ კიდევ ლობიოს და კვახს“

ყრრა მასალად **გუიჯრას ი გაკრას** იგმარის (ლშხ.) „კარის მასალად წაბლს და კაკლის ხეს ხმარობენ“...

ერთგვარ პირმიმართ დამატებებსა და ზმნა-შემასმენელს ერთმანეთთან სინტაქსურად საურთიერთო მართვა აკავშირებთ: ერთგვარი დამატებები მართავენ ზმნა-შემასმენლის პირს, ხოლო I და II პირის შემთხვევაში რიცხვშიც ითანხმებენ მას. თავის მხრივ, ზმნა-შემასმენელი პირდაპირ დამატებებს მიცემით ბრუნვაში მართავს დრო-კილოთა I სერიაში და სახელობითში მოითხოვს II და III სერიაში. მაგ.:

მი ხტითხენლენ **ანკესს ი ბადს** (ლშხ.) „მე ვიშოვი ანკესს და ბადეს“

გაიდაბნარხენ იმჯნახ ჩოლარ **მეგმარს ი ზექს** (ჩოლ.) „გაიდაბნარიდან ეზიდებოდნენ ჩოლურელები მორებს და შეშას“.

სვანურში რამდენიმე ერთგვარი ბრუნვაცვლელი დამატება შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელს. გარდამავალი ზმნით გამოსატულ შემასმენელს პირველსა და მეორე სერიაში ახლავს, ხოლო გარდაუვალი ზმნით გამოსატულ შემასმენელს –

სამივე სერიაში. ერთგვარი ბრუნვაუცვლელი დამატებები, ქართულის მსგავსად, ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას:

სგ'რთვიდ ლეჩქვიდ ნიშნარ **ლეწუნილლის** ი მიჩა **ხალხს** (ლშხ.) „შეუტანა სასიძომ დასანიშნი ნივთები გასათხოვარს და მის ხალხს“

ხაჯიდ იშთხუ **ხენწიფს** ი მიჩა **რაშუს** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 158) „დაარტყა წიხლი ხელმწიფეს და მის რაშს“

ხეჭემინალხ ადჰიდ **მალტუზარს** ი **თხეროლს** (ბქ., იქვე, 92) „დასდევენ კვლავ მელიებს და მგლებს“

ფინთიხ ათელაკან **ზურალს**, **ბეფშს** ი **ეშხუ მგწანაშს** (ლნტ., იქვე, 56) „ტყვია მოხვდა ქალს, ბავშვს და ერთ წანაშელს“

ბუთუ ხეფგრჩლაჟალ მიჩა **ჭყინტს** ი **მეზუბელს** (ლშხ.) „ბუთუ ეჩურჩულეა თავის ბიჭს და მეზობელს“.

პირმიმართი და პირმიუმართავი ერთგვარი დამატებების ადგილი წინადადებაში თავისუფალია. ისინი შეიძლება წინ უსწრებდნენ შემასმენელს, მოსდევდნენ მას ან შემასმენელი მათ შორის იყოს ჩართული. მაგ:

კუმაშს ი ქორა **კეთილს** ჩიგარ ალე აბარგე ოჯახხენქა (ლშხ.) „საქონელს და სახლის ქონებას ყოვეთვის ეს ანიავებს ოჯახიდან“

ეჯაზარს **ნაჩალიკ** ი იშგენ **ჟარგარ** ხონვერდჷხ (ბზ., სვან. ქრესტ., 81) „მათ მეთაური და სხვა ბატონები ახლდნენ“

ჩიგარ იწირქიელ მიჩა **ლამჟარალთე** ი **ნათუარალთე** (ჩოლ.) „ყოველთვის იწევს თავისი მამეულისკენ და ნათესავებისკენ“.

პირმიუმართავი დამატება, როგორც ცნობილია, თავისი ფორმითა და შინაარსით მრავალგვარია. ამის გამო უბრალო დამატებათა მიხედვით შერწყმული წინადადებაც მრავალგვარი შეიძლება იყოს.

ერთგვარუბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებაში ერთ შემასმენელთან დაკავშირებულია ერთგვარი შინაარსისა და ფორმის უბრალო დამატებები:

სწნცხტრარხენქა **ცგვემდშუ** ი **თოფშუ** ლაშიალ ხარენახ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 92) „სათოფურებიდან მშვილდისრით და თოფით საომარი ჰქონიათ“

ველედურაჷ ტუიბი ლიცისკა ხუჷა ცუხს ხტირმიდ **ანკეზშუ**, **ტუეტი ბაღშუ** ი **ლაფშტუა ბაღშუ** (ლნტ., იქვე, 16) „ხელედურას ხეობის წყალში ბევრ თევზს ვიჭერთ ანკესით, ხელის ბადით და სატყორცნი ბადით“

ღემშა მგწგხ ხარა, დე **კუმშიმ** ი დე **ნამშაჟიშ** (ლშხ., იქვე, 18) „არაფრის საჭიროება არ ჰქონია, არც საქონლის და არც მარცვლეულის“...

უთანდებულო ერთგვარი პირმიუმართავი დამატებები ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას:

მონანა ჯერად ისგუთი ი ისგუთა **დებუმიშ**, ისგუთა **ჯარიშ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 92) „მსახურები გეყოლებით („გექნებით“) შენი და შენი ცოლის, შენი ჯარის“

ეჯი ხეკუტეს ალლაგუნენლან **ლარგაუშუ** — **ლეთრაუშუ** ი **ლუზობუშუ** (ლშხ., იქვე, 13) „ის უნდა დაკრძალულიყო ჩამოსატარებლით — სასმელით და საჭმლით“

ამ ალე ხოჩა ლაკუმაშ ლახუ ლი **ჩოლარეშ** ი **კალარეშ** (იქვე, 195) „ისე ეს კარგი სასაქონლე მთაა ჩოლურლებისთვის და კალელებისთვის“.

იშვიათად ერთი და იგივე ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ერთგვარი დამატებები, შეიძლება რიცხვის მიხედვით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს:

ლუფუნანქა ი **თერალგნქა** ქა დესამა თერონ (იქვე, 12) „ცხვირის და თვალების გარდა არაფერი ჩანდა“

მექტერწლა ლივედნლდ ოთქახხ **ვანიშ** ი **ქათლარე** ლიძიენი (ჩოლ.) „მექორწილეების მოსვლამდე დაუგვიანდათ ხარის და ქათმების დაკვლა“...

სვანურში, თითქმის ყოველთვის, თანდებულებით წარმოდგენილ ერთგვარ უბრალო დამატებებს თანდებულები თითოეულს ცალ-ცალკე ახლავს:

ჩუპსუტენეხ ტუიტუელა მარე **ტეტისა** ი **შიხისა** ლუცურაუე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 82) „დაინახეს ტიტველი კაცი ნაცარში და ნახშირში ამოსვრილი“

დარ იყდგა **უშყუდალა** ი **ჭუინელლა** (ლშხ.) „არავინ ყიდულობდა გაურეცხავობისა და სიძველის გამო“

მამაგუეშ მეკუად **ლგენქა**, მახე **თაშენქა** ი **ხაჭოგნქა** (ბქ.) „არაფერი მინდოდა რძის გარდა, ახალი ყველის გარდა და ხაჭოს გარდა“

დესმალალ ხებდატანხ **კუაშინქა** ი **პრასენქა** (ჩოლ.) „არაფერი ებადათ მჭადის გარდა და პრასის გარდა“...

სვანურში იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც კავშირის წინ მდგომი ერთგვარი წევრები უთანდებულოდ გვევლინება და ერთი საერთო თანდებული ბოლოს მდგომ წევრს დაერთვის, მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს ტოლად შერწყმული უბრალო დამატებებიც:

ალდარს დესმა ხულუახ ქონხ **რგდინ-გურნა-ე ძუჰერანქა** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 152) „ამათ არაფერი აქვთ ქონება როდინ-ქვასანაყისა და საცრის გარდა“

დებუ ი **გეზალთე**||**დებუთე** ი **გეზალთე** ხაზუნი მალტარ ჭამს (ლშხ.) „ცოლ-შვილთან სურს წასვლა მოსიყვარულე ქმარს“

ბოფშიშ|ბოფშენქა ი **ზურაღენქა** მაგ ამსტალდ ესლრი ეჭ ლაჯტამთე (ჩოლ.) „ბავშვის და ქალის გარდა ყველა სულიერი მიდის იმ ეკლესიაში“

თელდ **ლიზობ-ლითრეუი|ლიზობუი** ი **ლითრეუი** ყარსბე (ჩოლ.) „სულ ჭამა-სმაზე ყაყანებს“ და ა. შ.

როგორც ცნობილია, პირმიუმართავი დამატებები, ძირითადად, ზმნა-შემასმენელს ახლავს, თუმცა არის შემთხვევები, როცა უბრალო დამატებები მიმდებარებით გამოსატულ წევრებსაც შეიძლება ახლდეს. მაგ.:

ქა ლახტემ თჳით ჰჳლ, **ლელაზ ოქტრშჳ** ი **ჳერცხლშჳ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 104) „მისცეს თითო ჯორი, დატვირთული ოქროთი და ვერცხლით“.

სვანურში ერთგვარ პირმიუმართავ (უბრალო) დამატებებსა და ზმნა-შემასმენელს შორის სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, ქართული-სებური ვითარებაა: უბრალო დამატება ვერ მართავს ზმნა-შემასმენლის პირს, ხოლო შემასმენელი უშუალოდ ან თანდებულის საშუალებით მართავს უბრალო დამატების ბრუნვას, ანუ მართვა ცალმხრივია.

დ) ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები

„რამდენიმე განსაზღვრება ერთგვარია, თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საზღვრულთან და ერთნაირად მიემართებიან მას, ერთმანეთს უერთდებიან მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ – მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით“ (19, 244).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება რომ: „სვანურში ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის“ (3, 15).

განხილულმა მასალამ აჩვენა, რომ სვანურში არცთუ იშვიათია ერთგვარ-განსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები.

როგორც ცნობილია, განსაზღვრება შეიძლება იყოს ატრიბუტულიცა და სუბსტანტიურიც. შესაბამისად, შერწყმული წინადადებაც ან ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა, ან ერთგვარ სუბსტანტიურ განსაზღვრებათა შემცველია.

როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, სვანურში ხშირია ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა შემცველი შერწყმული წინადადებები.

ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები ასახელებენ საზღვრულით გადმოცემულ საგანთა ერთი რიგის განმასხვავებელ ნიშნებს, ან ერთი და იმავე

საგნის სხვადასხვა ნიშან-თვისებას. ისინი უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულს და ერთნაირად მიემართებიან მას:

ემსუ **მაჩნენ** ი **მაშენ** დნა ქ'ნწიდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 92) „ერთი საუკეთესო და ყველაზე უფროსი გოგო გამოიყვანა („გამოიტანა“)"

ჩტასოხტიდახ მიჩა ლახტბა **მაფრალ** ი **მადღარ** (ლნტ., იქვე, 169) „დახვდნენ თავისი ძმები მწყურვალი და მშიერი"

ამსტ აგის ქ'ნწთხეხ ლერექტულ **ლტრეკაწე** ი ჩუ **ლუსოყე** (იქვე, 72) „ერთ ადგილას იპოვეს ტანსაცმელ დახეული და გაგიჟებული"

კანჯარ ხეკუეს ლწესეს მეპერ რაშ, **უკუწმა** ი **უფწმა** (ლწხ. იქვე, 259) „გარეული ვირი უნდა იყოს მფრინავი რაში, გაუტეხელი და დაუღალავი"

ფეტტრალ დიარ სურუ **მეშხე** ი **ბგგი** ლი ლეზობდ (იქვე, 188) „ფეტვიანი პური ძალიან შავი და მაგარია საჭმელად"

ლენტიელ ი **ლაჟად**, **ლეთორ** ი **ლემხალ** ლას ქაჟაჯ (ლწხ.) „სანატრელი და საოცნებო, ნასწავლი და მცოდნე იყო ქავაჯი"

ლემნაჟ ლესდი ლას: **კლანთხ'წ წყაზარ**, **ლგმაშ** ი **ლგმსგუწენ** (ჩოლ.) „კარგი შესახედავი იყო: მაღალი და მწყაზარი, ძლიერი და მშვენიერი"

გირკტან ხეკამ **წგრნი** ი **თუეთნე** ზოლარ (ჩოლ.) „ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა წითელი და თეთრი ზოლები"...

წინადადება შეიძლება შერწყმული იყოს რამდენიმე ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრების მიხედვითაც:

ჯ'წსერ მიჩა **ჟოსებიშ** ი **ბადრწ** მწსმე მუხტბე ხწრი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 92) „შენ ჩემი უსუპის და ბადრის მესამე ძმა იქნებიო („ექნება")"

ამ ლეთ მეზგა ხემზირხ **ნაღჟურგეზლწშ**, **ხაბწწშ**, **გიცრიშ**, **ფიკუწიშ** ამკაწლიბრე ლითნეს ი ლიფშირის (ბქ., იქვე, 233) „ამ ღამეს ოჯახი ლოცულობს ვაჟიშვილის, ხარის, ვერძის, ვაცის ასეთების გაჩენას და გამრავლებას"

ალ კოლექტიუს ხაყა მენგერე **კუმაწი** ფერმა ი **დავარეშ** ი **ხამარეშ** (ლნტ., იქვე, 17) „ამ კოლექტივს ჰყავს მსხვილფეხა საქონლის ფერმა და თხების და ღორების"

სვანურში იშვიათად ერთგვარ წვევრებად შეიძლება მოგვევლინოს ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები ერთად:

ღემ ლი ხოჩა **მეგრიან**, **გალბწრიან**, **მასლიან** ი **ხოჩა ლესგდიშ** ლწდღწ (ლწხ., იქვე, 251) „ვერ არის კარგი გაგებული, გონებიანი, მცოდნე და ვერც კარგი შესახედაობის აგრეთვე"

ფეთიან ი **ხოლა მანკი** ჩჷყ დემ იმარგ ამკალიბი ლაჩომჷი (ღმს., სვან. პროზ. ტექსტ., 160) „ფეთიანი და ცუდი ზნის ცხენი ვერ გამოდგება ასეთის კეთებისას“

ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სრული სახით მხოლოდ პირველ სუბსტანტიურ განსაზღვრებებს ერთვის, უკანასკნელს კი ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს:

ღჷტუ ყ'ანგჷნ ი ქანდ ჭყინტიმ ი მიჩა ლახტუბჷ ლაყურათე (ბზ., იქვე, 310)
„დევი ადგა და წავიდა ბიჭის და მისი ძმების საწოლისაკენ“

ლახანაჷმ, ქართაჷმ, ძაფანაჷმ, ხახუიმ ი **პატრიჯანი** ნერგს ჩუ ხუნენერგჷტიდ მერბ'ვის (ღნტ., იქვე, 15) „კომბოსტოს, თაღამის, წიწაკის, ხახვის და ბადრიჯანის ნერგს ვნერგავთ სხვა ადგილას“

პოსტპოზიციური წყობის ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებები სრულად დაირთავენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს:

ეჩემდ საბუთ ლახტემ **ლიმოლეჷმ** ი **ლიზგეჷმ** (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 14)
„მან საბუთი მისცა ტყის გაკაფვის და დასახლების“.

ერთგვარი განსაზღვრებები სახელით გადმოცემული ამა თუ იმ წევრის მსაზღვრელები არიან და მათ ისეთივე სინტაქსური ურთიერთობა აქვთ საზღვრულთან, როგორც – ცალკე აღებულ განსაზღვრებას მარტივ წინადადებაში, კერძოდ, ატრიბუტული ანუ შეთანხმებული ერთგვარი განსაზღვრებები ქართულის მსგავსად, ერთსა და იმავე ბრუნვაში უთანხმდება საზღვრულ წევრს, სუბსტანტიური ანუ მართული ერთგვარი განსაზღვრებები მართულია ნათესაობით ბრუნვაში ერთი და იმავე საზღვრული წევრის მიერ.

ე) გარემოებიანი შერწყმული წინადადებები სვანურში

განვიხილავთ გარემოებიან შერწყმულ წინადადებებს სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით, აქვე გათვალისწინებულია ჩოლურული მეტყველების ნიმუშებიც.

როგორც ცნობილია, გარემოება ხუთი სახისა არსებობს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა, შესაბამისად ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც ხუთი სახისაა.

სვანურში უფრო ხშირია ერთგვარი ადგილისა და ვითარებითი გარემოებიანი შერწყმული წინადადებები, ხოლო დროის, მიზეზისა და მიზნის ერთგვარი გარემოებები შედარებით ნაკლებად გვხვდება.

გარემოება, ძირითადად ზმნისართით გადმოიცემა. შეიძლება გადმოიცეს ბრუნვიანი სიტყვითაც – უთანდებულად ან თანდებულთა დართვით.

საკუთრივ ზმნიზედებით გადმოცემული ერთგვარი გარემოებები სვანურში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, უფრო ხშირია თანდებულიანი და უთანდებულო სახელებით გამოხატული გარემოებები. მაგ.:

ველედურას **ეჩეხ** ი **ამეხ** პრის მეზგალ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 13) „ხელედურაში იქით და აქით არიან ოჯახები“

ლოლჰჰქრე ჯოგარ დე **ეჩქად** ი დე **ათხე** დჰს ეს ხაყენა (ლშხ., იქვე, 22) „ცხვრების ფარა არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“

ეჩხენ-ამხენ ი **ჩუქუნ** წგრნი არშინაჲ ხეჰამ (ჩოლ.) „იქით-აქეთ და ქვევით წითელი არშია მოყვებოდა (მიჰყვებოდა ზოლად)“

ჰე **ლეჟა** იტრნტიელ ი მჰე **ლექუა** (ჩოლ.) „ხან ზევით აივლის („ირწევა“) და ხან ქვევით“.

ზმნისართები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მარტივადაც და თანდებულის დართვითაც.

სახელით გადმოცემული უთანდებულო ერთგვარი გარემოებები ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას:

ჩხარჰე **თანჯღს** ი **ზაგჯღს** ქმმეჩღელი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 377) „ცხრა უღელტეხიულზე და ზეგანზე გადასულა“

ჩი **ჰამს** ი **ნებოჯს** ხოფანეს (ბქ., იქვე, 5) „ყოველ დილას და საღამოს საკურთხ სუფრას უდგამენ“

იშკენ იზგახ **გულიდს**, **კახგრს**, **ლასკადარს**, **ლესემას** ი მერბე **სოფლჯღს** (ლნტ., იქვე, 6) „სხვები ცხოვრობდნენ გულიდში, ლასკადურაში, ლესემაში და სხვა სოფლებში“

კამილს **ლწდეღწჰ** იცხემ ალ ჰყინტ ი კამილს — **ლეთწჰ** (იქვე, 158) „მტკაველს დღისით იზრდება ეს ბიჭი და მტკაველს – ღამით“

საყოფ გიმ **ლეჩხუმს** ი **იმერწთს** გარ ხულუახ (ლშხ., იქვე, 187) „სამყოფი მიწა ლეჩხუმში და იმერეთში მარტო აქვთ“

ლწთშჰ ი **ლადწლშჰ** ჩიგარ ხაგედი (ჩოლ.) „ღამით და დღისით ყოველთვის სძინავს“

ერთგვარ გარემოებათა შეერთება შეიძლება კავშირიანიც იყოს და უკავშიროც. უკავშირო შეერთების დროს მთავარ საშუალებას წარმოადგენს ინტონაცია: ერთგვარი წევრები თანაბარმახვილიანია, მათ შორის კი თანაბარი პაუზებია, რომლებიც ძირითადად მძიმეებით გამოიყოფა:

ჯუინელდ სგობინჩუ, მუჭოდლექუა ლემრეკინს ჩაფრასტალს (ღშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 47) „ძველად წინ, მკერდზე იკიდებდნენ თურმე ჩაფრასტებს“

ღუაჟარ აუდრანლობუი, მცხხიერჟუხსა, ბუქუობუი ფაჟუცახან ლემგემინს ბაშლაყს (იქვე, 47) „კაცები ავდრისას („ავდრ-ობ-აზე“), სიცვეეებისას, ქარისას იხურავდნენ თურმე ყაბალასს“

ათხე კობდონწრუი ლემზგრწლს დწსგიდ, ლაწურწლუი, ლაჭერდემწლისგა, ყრალუი, გუალარუი, ლალოლდწქირუი, ლახმირუი (ბზ., იქვე, 10) „ახლა კიდობნებზე სეფისკვერებს ვდებთ, სარკმლებზე, ერდოზე, კარებზე, ბოსლებზე, ცხვრის სადგომზე, საღორეზე“...

კავშირთაგან გამოყენებულია მაჯგუფებელი და მაცალკეებელი კავშირები: ი „და“, სვან. ჰეჰჰაჰ „თუ“, ღშხ., ჩოლ., დეა — დეა||დე — დე||დეთჲ — დეთჲ, ბქ. დეა — დეა, ლნტ., დეთჲ, ბზ., ღშხ., ჩოლ. დო — დო „არც — არც“; სვან. დეა მოშ — დეა მოშ||დეა მოშ — დეა მოშ „ვერც — ვერც“, სვან. ნო — ნო „ნურ — ნურც“, ბქ. ნოა — ნოა „ნურ — ნურც“, სვან. მარე, ღშხ., ჩოლ. მარაშა „მაგრამ“, ქს. ბზ. დედ — დედ||ედ — ედ „ან — ან“, ბქ. ხედ — ხედ „ან — ან“, ღშხ., ჩოლ., ბზ. მრდეა „ან, ანდა“, ბქ. მადეა „ან“, ღშხ., ჩოლ. იეს — იეს|| მეს — მეს||ეს — ეს „ხან — ხან“, ღშხ. მაა — მაა, ჩოლ. მჲა — მჲა „ხან — ხან“, ბქ. მჲ — მჲ „ხან — ხან“. დავასახელოთ მაგალითები:

კოლექტიუს გულუე ლწჳემალ სოფელისკა ი ლახჟანარისკა (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 15) „კოლექტიუს გვაქვს სათიბები სოფელში და მთებში“

აღმარ ლუნთისა ი ლუფხჟისა ჩიგარ არიხ (ღშხ., იქვე, 24) „ესენი ზამთარში და გაზაფხულზე ყოველთვის არიან“

მმ მევღღლხჟი ლაშიანლდ ი ლაყარელდ (ჩოლ.) „არ მოვსულვარ საომრად და საჩხუბრად“

ლოლდწქრე ჟოგარ დე ერქად ი დე ათხე დწს ეს ხაყენა (იქვე, 22) „ცხვრების ფარა არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“

ჯანარს ხობენს საჟარს, დედ ლახჟთე ი დედ ცხეკთე ლწჳეი (ჩოლ.) „ხარებს შეაბამენ მარხილს, ან მთაზე და ან ტყეში წასვლისას“

სვანურში თანდებულებიანი სახელებით გადმოცემულ ერთგვარ გარემოებებს თანდებულები ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, ი „და“ კავშირის წინ მდგომი თანდებულებით გვევლინება:

სკჟებინჩუნ ჟიბწრუინ ი მეჯარწლუინ ფოლაქწრ ესეგემი (ღნტ., იქვე, 31) „წინიდან ჯიბეებზე და მკლავებზე დილები დაემაგრება“

ზოგჯერ აღნიშნული კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები სხვადასხვა თანდებულს მოითხოვს; ქართულის მსგავსად, სვანურშიც კავშირის წინ მდგომი წევრი თანდებულიანია:

ტუეტუი, ჭიმხუი თხუმუი ჩიჲგ ქა ლემიდ ხნდა (ლშხ.) „ხელზე, ფეხზე და თავზე ყველგან გამოყრილი ჰქონდა“

ჩ'ოთბინტა კუეცნა ფექ **კიხლექუა** ი **პოლუი** (ჩოლ.) „გაუფანტია ხორბლის ფქვილი კიბეებზე და იატაკზე“.

იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა თანდებული ზოგ გარემოებას დაერთვის და ზოგს არა:

ჩაფელისკა **ლინთუისკა** ი **ზაჟლადელ** წერაქუს ინხნახ წინდარე მქაფ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 7) „ფესხაცმელში ზამთარში და ზაფხულში თომს იფენდენ წინდების ნაცვლად“

აღ მარბ ნაგაზა ლადელისკა სემინ ხოფანეს: **ძინარს, სადლობუი** ი **ჟახშობუი** (ლნტ., იქვე, 63) „ამ ორ კვირას დღეში სამჯერ უდგამენ მიცვალებულებს საკურთხ სუფრას: დილას, სადილობისას („სადილობა-ზე“) და ვახშობისას („ვახშობა-ზე“)“.

სვანურში ხშირია ერთგვარ გარემოებებზე ი „ცა“ ნაწილაკის დართვა, რომელიც შეიძლება ყველა გარემოებას ცალ-ცალკე დაერთოს, შეიძლება უკანასკნელს:

ხათხელნახ **ცხეკარისა'ი კოჯარისაჲ** (ლშხ.) „ექებდნენ თურმე ტყეებშიც და კლდეებშიც“

მინე გუნლა მიზლალა **ღარალისა, კოჯარქა** ი **ლიცარქაჲ** (ჩოლ.) „მათი გულისთვის მივლია მინდვრებში, კლდეებში და წყლებშიც“.

წარმოდგენილ მასალაში, ძირითადად, განხილული იყო ადგილის გარემოებიანი შერწყმული წინადადებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანურში ასევე გავრცელებულია ერთგვარ-ვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადებებიც:

ლეთრას მაგ დედ **ლასგრუშ** ითრა, დედ – **ლაქქუშ** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 14) „სასმელს ყველა ან დამჯდარი სვამდა, ან – ჩაცუცქული“

დერხი ქაჲ ხაზელალტუნეს ჩაჟს, დედ **უბელ** ჩაჟს ი დედ **ლუჟუნგირს** (იქვე, 160) „ზოგი გაატარებენ კიდევ ცხენს, ან უნაგრო ცხენს და ან უნაგირიანს“

აგითე ლეკიდ მეგამს **მეწუინდ** ი **ფიკლ** აღაწყუეს (ჩოლ.) „სახლში მოტანილ მორს სწორად და მეჩხერად აწყობენ“...

ერთგვარი ვითარების გარემოებები სვანურში, ძირითადად წინ უსწრებენ შემასმენელს:

ლგპენტაჲე მატყ **ნეც-ნეცინდ** ი **მურგუალდ იდწყი** ბარდანჲი (ჩოლ.) „დაპენტილი მატყლი წვრილ-წვრილად და მრგვლად იწყობა ქსოვილზე“

ლათხუიართე ძინრუმ **ჲმად** ი **უთუნად** დეამ **ხეგნოლს** (ჩოლ.) „სანადიროდ დილაობით უჭმელად და უსმელი („უსმელ-ად“) არ გაუდგებოდნენ ხოლმე“

ჭიშხარ ხეკუეს **მეწუინდ**, **ტყუბდ ხულუენდეს** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 156) „ფეხები სწორად, მითქუპუკებულად უნდა ჰქონდეთ“...

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა აღნიშნული გარემოებები შეიძლება შემასმენლის შემდეგ აღმოჩნდნენ:

ვიცს ქა **ხუაბტყელაჲიდ დგთხელდ** ი **ჯოდიარდ** (ლნტ., იქვე, 33) „ცომს გაგაბრტყელებთ თხლად და გრძლად („გრძლებად“)"

ჲი ლახასკურდახ ხწლიჩას **ტყუიბდ** ი **კაკაღდ** (ლნტ., იქვე, 169) „შემოასხდნენ ხალიჩას ტყუპად და ცაღად“...

ისევე, როგორც სხვა შერწყმულ წინადადებებში, რამდენიმე ერთგვარი გარემოების შეერთება შეიძლება კავშირიანი იყოს ან უკავშირო:

მწრვილი ჭიშხარს ლაფრად **ფუკუი** ი **ლემიჲ** ადგილს ხუწჲედდ (ლნტ., იქვე, 22) „მარხილის ფეხებს გასაშრობად მშრალ და მზიან ადგილას მივაყუდებთ“

დარს ხასმა **ლაყურუმ**, **ლაგურანალუმ** ლიზგალ (ჩოლ.) „არავის სმენია წოლით, გორაობით ცხოვრება“.

რამდენიმე ერთგვარი დროის გარემოება წინადადებაში არცთუ იშვითობაა, თუმცა საკუთრივ ზმნიზედებით გამოხატული დროის გარემოებები ნამდვილად იშვიათობას წარმოადგენს და, შესაბამისად, შერწყმული წინადადების აღნიშნული წევრები თანდებულიანი ან უთანდებულო სახელებით გადმოიცემა:

ლოლჲჲქრე ჯოგარ დე **ეჩჲად** ი დე **ათხე** დას ეს ხაყენა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 22) „ცხვრების ფარა არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“

მაშენე იგერჯილის დორალე **ლაგდაჲი** ი **ლაღკირალჲი** (იქვე, 177) „ყველაზე უფრო მეტად წვალდებიან დირეების მოტანისას და კირის გამოწვისას“

ლგნთჲ ი **ლუფხჲ** ალ დელღლ ჩიგარ მეშხე ფერიშ ლი (იქვე, 194) „ზამთარს და გაზაფულს ეს დელე („დელჲუა“) ყოველთვის შავი ფერისაა“

კუეცენს ალწიხ **მანჲღორს** ი **მალფხს** (იქვე, 226) „ხორბალს თესავენ შემოდგომაზე და გაზაფხულზე“

ლუფხუისა წუარს ხუადინ კუმაჲს ხჷმნეხ **მეწუხუი** ი **თემიუი** (ლჷხ., სვან. პროზ. ტექსტ., 228) „გაზაფხულზე წველს ბევრჯერ საქონელს აჭმევენ საჭიროებისას და გაჭირვებისას“

ღრშიღი, **ცაში** ი **საფტინს** მეზგახანქა სციქუ ღემყინ ღვრდა (ბზ., სვან. ქრესტ., 29) „ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს ოჯახიდან საციქველი არაფრით გადიოდა“

ჩაფღლისკა **ლინთუისკა** ი **ზაულანდეღ** წერაქუს ინჷხნახ წინდარე მქაჲ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 7) „ფეხსაცმელში ზამთარსა და ზაფხულში თომს იფენდნენ წინდების მაგიერ“

ლიბურანლდ ი **ლადეღი** **ლიშტხანლდ** ხაკუ აგიოთე ლიწედ (ჩოლ.) „დადამებამდე და დღის დამთავრებამდე უნდა სახელში მოსვლა“

ლალრანლუი ი **ლაშუშპარუი** ქტინი ყუეფას მაგ იჷად (ჩოლ.) „სიმღერისას და ცეკვისას სიკვდილს („სულის ამოხდას“) ყველა ნატრობს“

სიმინდ **აულდრანლობუი** ი **მეცხიწრუუი** ღემ ხოჩუე ლიმეის (ჩოლ.) „სიმინდი ავდრიანობისას და სიცივეების დროს ვერ ასწრებს დამწიფებას“...

რამდენიმე ერთგვარი მიზეზისა და მიზნის გარემოება ისევე, როგორც სხვა გარემოებები, შეიძლება წინ უსწრებდნენ ან მოსდევდნენ ზმნა-შემასმენელს; წინადადებაში მათი ადგილი შეზღუდული არ არის:

მიჩა ყელი **ლაჯშდას**, მიჩა ჯანრე **ლაფშუნილს** ი მიჩა ხეხტუმი **ლანჯშიანლს** ესერ ლატუა მჷმა ლი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 310) „შენი ძაღლის ყევის, შენი ხარების ფშვინვის და შენი ცოლის ხვნეშის გამო ძილის საშუალება არ არის“

ღარ იყდღდა **უშყუდალა** ი **ჩტინელლა** (ლჷხ.) „არავინ ყიდულობდა გაურეცხავობის გამო და სიძველის გამო“

ლგეზბლა ი **ლგბანდალა** ღეამ ხტიწნატი, ძაღო (ჩოლ.) „დასვრილის გამო და გაკერილის გამო არ დავიწუნებ, აბა“

ემ ყუღდა **ჯანურხენქა** ი **მასტუნახენქა** (ლჷხ.) „ისე ყვიროდა ჯავრისგან და ტკივილისგან“

ლეღუს იჷმარის **ლეზობდ**, **ლორალდ**, **კონსერტუალდ** (ლჷხ., იქვე, 21) „ხორცს იყენებენ („ხმარობენ“) საჭმელად, შაშხებად, კონსერვებად“

ღერხი აგის ათხე ღროჲჲ ასყის გოგალს **მემყირად** ი **მგზად** (იქვე, 189) „ზოგ ადგილას ახლა აკეთებენ გოგალს დასანაყრებლად და გასაძღომად“

ღემერ იმგრგინეხ უჷალტა ლახუს **ლაკუმამდ** ი **ლაჷმად** (იქვე, 204) „ვერავინ ვერ იყენებს უჷალის მთას საქონლითვის („სასაქონლოდ“) და სათიბად“

ნაჯგურუნ-ნაფანუნდ ი **ლექორწილდ** მანწში დიარს დარ იგმარი (ღმს., სვან. პროზ. ტექსტ., 228) „სუფრის წასადგმელად და საქორწილოდ ჭვავის პურს არავინ ხმარობს“

ბაზრობხო ასხრის **ლადუაჭარდ**, **ლანქეიფდ** ი ამკაღლიბარე **ლასყეიდ** (ღნტ., იქვე, 45) „ბაზრობაზე მიდიან სავაჭროდ, საქეიფოდ და ასეთების გასაკეთებლად“

მედად ხეთხნლიხ მანჭკუარაღს **ლეგდად** ი **ლეზობდ** (ჩოლ.) „ყოველთვის ეძებენ სოკოს მოსატანად და საჭმელად“

მამ მეგდღლხტი **ლაშიანლდ** ი **ლაყარეიდლდ** (ჩოლ.) „არ მოვსულვარ საომრად და საჩხუბრად“.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ერთგვარი მიზეზისა და მიზნის გარემოებები გადმოიცემა -ღა „გამო“, -**ხენქა||-ხანქა** „გან“ თანდებულთა დართვითა, ან უთანდებულ ვითარებითის ფორმით.

აღრვევ იქნა შემჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა გარემოებები სვანურში ზოგჯერ სხვა ფორმით არიან წარმოდგენილი, ვიდრე ქართულში (მაგ.: **მიჩა უელი ლავშდას**, **მიჩა ვანრე ლაფშუინლს** ი **მიჩა ხენჟმი ლანჭშიანლს ესერ ლაჟუჟა მამა ლი** – (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 310) მისი ძაღლის ყეფის, მისი ხარების ფშინვის და მისი ცოლის ხენჟმის გამო ძილი არ არისო). სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, ერთგვარგარემოებიან შერწყმულ წინადადებებში სვანური ქართულის ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს (3, 25).

ნებისმიერი სახის გარემოება სინტაქსურ წყვილს ქმნის ძირითადად შემასმენელთან ან სახელზმნით (საწყისით, მიმღებობით) გადმოცემულ რომელიმე წევრთან და მირთვით უკავშირდება მას. სვანურშიც, ერთგვარი გარემოებები სინტაგმას ქმნიან შემასმენელთან და სინტაგმის წევრს მირთვით უკავშირდებიან.

§ 16. შერეული (ნარევი) სახის შერწყმული წინადადება. შერწყმულ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ერთგვარი წევრების არა ერთი, არამედ რამდენიმე წყება, ანუ ერთსა და იმავე წინადადებაში შესაძლოა გვქონდეს, მაგალითად, არა მხოლოდ ერთგვარი შემასმენლები, არამედ ერთგვარი ქვემდებარეებიც, ან ერთგვარი დამატებები და ერთგვარი შემასმენლები.

ისეთი წინადადება, რომელშიც მოიპოვება რამდენიმე წყება ერთგვარი წევრებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში შერეული (ანუ ნარევი) სახის შერწყმული წინადადების სახელითაა ცნობილი.

შერეული სახის შერწყმული წინადადებები სვანურ პროზაულ ტექსტებში უხვად დადასტურდა:

ა) **წინადადება შერწყმულია შემასმენლებისა და ქვემდებარების მიხედვით:**

აშხუნღღუნ ქუერწლარ ჩუაფხანჟხ ი ჩუასანდხ მანლ, გიერგ ი მიჩა ხეხუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 332) „მერე („ერთხელის მერე“) მექორწილეები დაიშალნენ და დარჩნენ მელა, გიერგი და თავისი ძმა“

მიჩა ხეხუ ჩუანდლანან ი ქანხეთენან ჟოქტრე ჭყინტ ი დენა (ლნტ., იქვე, 166) „თავისი ცოლი დაფეხმძიდა და გაუჩნდა ოქროს ბიჭი და გოგო“...

ბ) **წინადადება შერწყმულია შემასმენლებისა და განსაზღვრებების მიხედვით:**

ღჷ ჟ'ანგან ი ქანან ჭყინტი ი მიჩა ლახუბან ლაყურათე (ბზ., იქვე, 310) „დევი ადგა და გავიდა ბიჭის და მისი ძმების საწოლისაკენ“...

გ) **წინადადება შერწყმულია შემასმენლებისა და ირიბი ობიექტების მიხედვით:**

ხანღ იმთხუ ხენწიფს ი მიჩა რანჷს ი ჩუადაგარ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 158) „დაარტყა წიხლი ხელმწიფეს და მის რანს და მოკლა“...

დ) **წინადადება შერწყმულია შემასმენლებისა და უბრალო დამატებების მიხედვით:**

ლეიჭუე ტუფს ჭიშხე ნამეგუიდ ჟ'ალაცუბურიდ, ჟ'ალაშხებნედ ქანნ ნეონჷშ, მახათჷ ი თეტენჷშ (იქვე, 31) „დასაზელ ტყავს ფეხის ზომაზე გამოფტრით, შეგკერავთ კანაფის ძაფით, მახათით და სადგისით“

ლანდსკიდლან ი ნეზუჩუქან ჩუანწუენეხ ტუიტუელა მარე ტეტისა ი შიხისა ლუტურაჷ (ლნტ., იქვე, 82) „გაიხედეს და დაინახეს ნაძვის ქვეშ ტიტველი კაცი ნაცარში და ნახშირში ამოსვრილი“

გობჷი დედ ფიჩჷი ჯიმს ხაბდონეს ჟიქანქა ი ეფი არგაჷის ი იზბის (ლშს., იქვე, 233) „გობზე ან სამფესა მრგვალ მაგიდაზე მარილს აბნევენ ზემოდან და ისე ჩამოატარებენ და ჭამენ“...

ე) **წინადადება შერწყმულია შემასმენლებისა და ვითარებითი გარემოებების მიხედვით:**

სიმიდ ჟ'ამეკედ, ჩუათობარჯან ეშხუნ ი ღუე მერბან (ლნტ., იქვე, 108) „სიმიდი ამოსულა, დაუთოხნიათ ერთხელ და მერე მეორედ“...

ვ) წინადადება შერწყმულია ქვემდებარეებისა და დროის გარემოებების მიხედვით:

ამეჟი მეჰჰად ჟი ხნზ ჟოლ ი დერა ჟი უკრდად ლუნთ ი ლუფხჷ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 196) „ამაზე ყოველთვის ადევს ყინული და გაყინული თოვლი აუღებლად ზამთარ-ზაფხულ“

ლეთ ი ლადელ წანწალის ჰეფ ი მიჩა გეზლირ (ჩოლ.) „დღე და ღამე წანწალებენ თვითონ და თავისი შვილები“...

ზ) წინადადება შერწყმულია ადგილის გარემოებებისა და ქვემდებარეების მიხედვით:

მელილიშ ი კახრჷ ნესკა იზგეხ: ბსლიშერალ, ჰამთშერალ ი ნაკიდოშერალ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 11) „მელურას და კახურას შორის ცხოვრობენ: ბასლისაანნი, ჯამათისანი ი ნაკიდოსანები“...

თ) წინადადება შერწყმულია განსაზღვრებებისა და ირიბი დამატებების მიხედვით:

ამ ლეთ მეზგა ხემზირხ ნალჟურგეზლჷშ, ხაბნჷშ, გიცრიშ, ფიკჷშიშ ამკალიბრე ლითნეს ი ლიფშირის (ბქ., იქვე, 233) „ამ ღამეს ოჯახი ღოცავენ ვაჟიშვილის, მოზერის, ვერძის, ვაცის და ასეთების გაჩენას და გამრავლებას“...

ი) წინადადება შერწყმულია პირდაპირი დამატებებისა და უბრალო დამატებების მიხედვით:

ღიარს ვგდახ ხოშა ცხიკოლარშჷ ი კარიალშჷ ი ნაყუნჷარს — ცხუნადარშჷ (ლშხ., იქვე, 9) „პური მოჰქონდათ დიდი კალათებით და გოდრებით და საჭმელები — ქვაბებით“...

კ) წინადადება შერწყმულია მიზნის გარემოებებისა და განსაზღვრებების მიხედვით:

ღირალდ ი იშგენ ქორა მასალად ხოცხნდახ ედ ჯორა მეგმიშ ი ედ ცანარჷშ (იქვე, 52) „ღირებად და სახლის სხვა მასალად ერჩიათ ან მუხა მორის და ან თელის“.

განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შერწყმულმა წინადადებებმა სვანურში ქართულის ანალოგიური სურათი წარმოგვიდგინა, თუმცა რამდენადმე განსხვავებულია ცალკეულ სახეობათა გამოყენების სიხშირე. უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში მერყეობა შეინიშნება, რაც, ალბათ, არასალიტერატურო ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მცირეოდენი სხვაობა შეინიშნება

ტოლადშერწყმულ რთულ სახელებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის მხრივ, თუმცა შესაძლებელია პარალელების დაძებნა ცოცხალ დიალექტებში.

§ 17. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი სვანურში. სვანურში, ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, გვხვდება ერთგვარ წევრთა შეერთების სამგვარი შემთხვევა: „უკავშირო (ასინდეტური) და კავშირიანი (სინდეტური)" (20, 224) და ნარევი (ერთდროულად უკავშიროცა და კავშირიანიც).

უკავშირო შეერთების დროს მთავარ საშუალებას წარმოადგენს ინტონაცია: ერთგვარი წევრები თანაბარმახვილიანია, მათ შორის კი თანაბარი პაუზებია, რომლებიც ძირითადად მძიმეებით გამოიყოფა:

ჩჷადკარე მიჩა ხახჷემ სკიჷრ, ჟ'ანკიდ სკიჷრხანჷი მდღრანჷ, **ხანღ** რაჷანჷს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 378) „გააღო მისმა ცოლმა სკივრი, ამოიღო სკივრიდან მათრახი, მოარტყა რევაზს"

აჩანღ აღღარ ლაშიანღთე, ხჷანღ **ადგარხ**, ხჷანღ **ანხჷიტხ** (ბზ., იქვე, 73) „წავიდნენ ესენი საბრძოლველად, ბევრი მოკლეს, ბევრი ამოწყვიტეს"...

თუ ერთგვარი წევრები გავრცობილია მიმყოლი სიტყვებით, ჩამოთვლის ინტონაცია მოიცავს მთელ სიტყვათა ჯგუფს და წერისას წევრთა შორის პაუზების ადგილას მძიმე დაისმის:

ლიყჷანჷნიელ, ლიბგრიანღ, ლიმზგრ ხანახ (ჩოლ.) „გუნდაობა, ჭიდაობა, ლოცვა სჩევეიათ"

ათხე **კიბღონანჷი** ლემზგრანღს დრსგიდ, **ლაჯჷრანღი, ლაჷგრდემანღისგა, ყრარალჷი, გჷალარჷი, ლაღოღანჷი, ლანმირჷი** (იქვე, 10) „ახლა კიდობნებზე სეფისკვერებს ვღებთ, სარკმლებზე, ერღოებზე ასასვლელებზე, კარებზე, ბოსლებზე, ცხერის საღგომზე („საცხვარეზე"), საღორეზე"...

ერთგვარი წევრების რაოდენობა წინადადებებში არ არის შეზღუდული. თუ ერთგვარი წევრი ორზე მეტია, ხშირად, შეერთება შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც, ასეთ შემთხვევაში ერთგვარი წევრები თავიდან, ჩვეულებრივ, უკავშიროდ ერთდება, უკანასკნელის წინ კი კავშირი გამოიყენება:

ხომა ლაღლ ჭგრელ **მაყჷგუნანჷ, მალღაჷიშ** ი **ამკანღიშ** ძერ ხოცხახ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 237) „უფრო მეტად ჭრელი კოღალის, მოღღაღურის და ასეთების მძორი ურჩეენიათ"

კჷიცრა **ლახხჷინღა, ჩადგრმე, ჩადყაჷანღე, ჩაფიშჷღ** (ბზ., იქვე, 80) „ჯიხვი შეხვღა, დაიჭირა, აკოცა, გაუშვა"

მდგგლწრის, მგხმგრის ი ფურრე ანდატას ჩი ქ'ოთქწბ (ბქ, სვან. პროზ. ტექსტ., 47) „თხის მწყემსს (მეთხეს), მეღორეს და ძროხების მწყემსებს ყველას გვერდზე გაუარა“...

„ნარევი სახის შერწყმულ წინადადებაში, დაითუ კავშირებია გამოყენებული ან შესაბამისად გამოტოვებული, სხვა კავშირების გამოტოვება არ გვხვდება, რადგან ეს დაარღვევს ერთგვარ წევრთა შორის არსებულ ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებას“ (15, 1981).

უკავშიროდ შეერთებისას ერთგვარ წევრთა დაჯგუფებას აქვს ადგილი, იშვიათად ასეთი წევრებით შეიძლება დაპირისპერებაც გადმოიცეს:

ლიბტურეს მწ ხუითიწლ — ლირტურეს (ლწხ.) „დაღამებას არ ვნატრობ — გათენებას“

დაგრას ღწმ ხუიტვგრწლ — ლირღეს (ჩოლ.) „სიკვდილს არ ვიხვეწები — სიცოცხლეს“...

„ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთება ქმნის ღია, დაუხშავ კონსტრუქციას: ახლავს იერი ერთგვარ წევრთა ჩამოთვლის დაუმთავრებლობისა, ე. ი. ქმნის შესაძლებლობას, დაემატოს ახალი ერთგვარი წევრი. უკავშირო შერწყმულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, ჩამოთვლა-დაჯგუფებაა ერთგვარი წევრებისა, ამიტომ მათ შორის შეიძლება ჩავსვათ მაჯგუფებელი კავშირი და“ (19, 230).

კავშირიანი შეერთების დროს ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოიყენება მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი და მაცალკეებელი კავშირები: ი „და“, სვან. ჰქეჰა||ა „თუ“, ლწხ., ჩოლ., ღეღ — ღეღ||ღე — ღე||ღეთწღ — ღეთწღ, ბქ. ღეღ — ღეღ, ლწტ., ღეთწღ, ბზ., ლწხ., ჩოლ. ღო — ღო „არც — არც“; სვან. ღეღ მოშ — ღეღ მოშ||ღე მოშ — ღე მოშ „ვერც — ვერც“, სვან. ნო — ნო „ნურც — ნურც“, ბქ. ნოღ — ნოღ „ნურ — ნურც“, სვან. მარე, ლწხ., ჩოლ. მარა||მა „მაგრამ“, ქს., ბზ. მეღ — მეღ||ელ — ეღ „ან — ან“, ბქ. ხედ — ხედ „ან — ან“, ლწხ., ჩოლ., ბზ. მრღეღ „ან, ანდა“, ბქ. მადეღ||მადე¹ „ან“, ლწხ., ჩოლ. იეს — იეს|| მეს — მეს||ეს — ეს (ხან — ხან), ლწხ. მაღ — მაღ, ჩოლ. მწღ — მწღ „ხან — ხან“, ბქ. მწ — მწ „ხან — ხან“, ბზ., ლწხ., ჩოლ. ეჯა||ეჯი მწღეღ, ბქ. ეჯი მადეღ „ის კი არადა“, ლწხ., ჩოლ. ეჯი გარ

¹ ეცერულ ტექსტებში დადასტურებულია ორი შემთხვევა, სადაც მადე ნიშნავს „ან, ანდა“. ესენია მეღ ღუნ, მადე ღოლწქ — ან ხბო, ანდა ცხვარი, ჭოშთხუ, მადე ჭოხუშღ ღეზწ — ოთხი ან ხუთი წლისა. ასეთი მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, იხმარება ი დართული უარყოფითი ნაწილაკები, ი კი უდრის -ც, -ღს; მაშასადამე, მადე იქნება „არადა“, აქედან მეორე მნიშვნელობით „ანდა“, „ან“. -ის დაურთველად რომ უარყოფითი ნაწილაკი „ან“-ს აღნიშნავდეს, ამის მეტად არ გვხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეცერ. მადე-ში ი დასუსტებული და დაკარგულია და ამდენად იგი წარმომდგარია მადეი სახეობისაგან (45, 292).

მადლიევი გარ მამა, ბქ. ეჯი გარ დემედეგე „არა მარტო“, ბზ. ჰეიე მოდე, ლშხ., ჩოლ. ე მამა, ე მოდე „თუ არა“ და ა. შ. მაგ.:

ზეთუნახანდ ხაქუ მიჩა **დის ი მუს** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 234) „მზეთუნახანა უთხრა თავის დედას და მამას“

მი **დე** ზურალ მაკუჩ, **დე** ჟარხილ (იქვე, 226) „მე არც ქალი მინდა, არც ფული („ვერცხლ-ის“)"

ჩუ ნოსამა ათცუიდა: **ნო** იშუ, **ნო** ჯიჯუ ი **ნო** ხარშუ (იქვე, 325) „არაფერი გააფუტო: არც ხორცი, არც ძვალი და არც წვენი“

ზურალ ედ სი ჯადეს, ედ მი გარ (იქვე, 226) „ქალი ან შენ გყავდეს, ან მარტო მე“

ბოფშარს **დეთა** ხობრძალახ ი **დეთა** ხორალახ (ლშხ.) „ბავშვებს არც უძღვრიათ და არც უთამაშიათ“

კესარს **დე** მესუ ეთღანტან ი **დე** ჩაყ ეთაშთქან (ლშხ.) „კეისარს არც ცოლი დაუორსულდა და არც ცხენი დაუმაკდა“

დო ლეთ ხაგედ'ნ **დო** ლადელ (ჩოლ.) „არც დღე სძინავს და არც ღამე“

ქანტეხას ლოშტ ჩაყ **გარ მამა**, უნგიორ ი მადრაჯნ (ჩოლ.) „დააბრუნოს უკან არა მარტო ცხენი, უნაგირიც და მათრახიც“

ჟესთხელდეს **ზურალელ**, ე **მოდე** ბოფშარ ეშნ (ლშხ.) „დაძებნონ ქალებმა, თუ არადა ბავშვებმა მაინც“

ქა ლამდინახ დრუჟა, **მამა** ქა ლამეიდახ (ჩოლ.) „მათხოვონ სახერხი მანქანა, თუ არა და მომეიდონ“...

სვანურში ერთგვარ წვერთა შესაერთებლად, ძირითადად, გამოიყენება მაჯგუფებელი ი „და“ კავშირი, რომელიც შერწყმულ წინადადებაში აერთებს ორ ერთგვარ წვერს. მაგ.:

ისგანხენ **დინოლ ი სიმაქარ** გარ არიხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 232) „შიგნით მარტო გოგოები და ქალიშვილები არიან“;

რშთხემედ ლადალენ ხაკუჩ **ლამსა ი ჰარაყ** (იქვე, 232) „მეორმოცე დღეს უნდა საკლავი და არაყი“.

აღნიშნული კავშირი, აგრეთვე, წყვილ-წყვილად აერთებს ერთგვარ წვერებს. შესაბამისად, წყვილეულის წვერები ან ანტონიმებია: ხექაქბურალ **ხოშას ი ხოხრას**, **გიმს ი დეცს**, **თუეთნას ი მეშხას** (ჩოლ.) „ატყუებს დიდს და პატარას, ცას და დედამიწას, თეთრსა და შავს“, ან შინაარსობლივ ერთმანეთთან ახლოს მდგომი, რაიმე ნიშნის მიხედვით: **ლენტიელ ი ლაჟად**, **ლეთორ ი ლემხალ** ლას

ქაჭაჯ (ლშხ.) „სანატრელი და საოცნებო, ნასწავლი და მცოდნე იყო ქავაჯი“;
ლემნაჲ ლესდი ლას: **კლანთხ'ნი წყაზარ, ლგვამო ი ლგმსგუნენ** (ჩოლ.) „კარგი შესახე-
დავი იყო: მაღალი და მწყაზარი, ძლიერი და მშვენიერი“.

შერეული სახის წინადადებებში ი „და“ კავშირი შეიძლება რამდენჯერმე
იქნას გამოყენებული:

ზურალ ი ლტაჟმარე, ხომა ი ხოხტრა მზგ ისგურიტ: **ლეზტრალ ამტთე ი
ლეღტუმზრ მერმათე** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 47) „ქალი და კაცი, დიდი და პატა-
რა ყველა ჯდება: ქალები ერთ მხარეს და კაცები მეორე მხარეს“

ტაბზგს იგემხ ი ჩუ ილიარაზლხ, ჰარაწყს ითრეხ ი დიარს იზბიხ (ბზ., იქვე. 13)
„სუფრას იდგამენ და საჭმელს მიირთმევენ, არაყს სვამენ და პურს ჭამენ“

მალ ი თხერე ჩ'ოთდაგრა ი ჩ'ოთშტუხტა (ჩოლ.) „მელა და მგელი მოუკლავს
და დაუმარხავს“...

ამგვარად, სვანურ შერწყმულ წინადადებებში ერთგვარი წევრების შესაერ-
თებლად გამოყენებულია ყველა ის საშუალება, რაც ანალოგიურ ქართულ წინა-
დადებებში იხმარება, თუმცა, ქართულისაგან განსხვავებით, მცირედი სხვაობები
შეინიშნება ი „და“ კავშირსა და წინადადებების ერთგვარ წევრთა ურთიერთობას
შორის.

საინტერესოა თანდებულიანი ერთგვარი უბრალო დამატებებისა და
გარემოებების ი „და“ კავშირიანი შეერთების შემთხვევები.

უთანდებულო ერთგვარი დამატებები ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას (3,
24) განურჩევლად კავშირიანი და უკავშირო შეერთებისა:

დოლასჟიფიშ ი უშხჟანრიშ ნენსგა დარ იზგა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 2)
„დოლასვიფისა და უშხვანარის შუა არაინ ცხოვრობდა“

ჩი **ჰამს ი ნებოზს** ხოფანეს (იქვე, 5) „ყოველ დილას და სადამოს საკურთხ
სუფრას დგამენ“

ხოჩემიშ ი ხოლემი მესყის ეშხუ ტაფანისა ატყბი (ჩოლ.) „კარგის და ცუდის
გამკეთებელს ერთ ტაფაში წვავს“

ოხვად **ოქრშჟ, ქონებაჟშ, კეთილჟშ** ლუძლჟენ (ლშხ.) „მოუვიდა ოქროთი,
ქონებით, სიმდიდრით („კეთილით“) დამშვენიებული („დაძღვენებული“).

ქართული სალიტერატურო ენა ერთგვარ წევრებთან თავს არიდებს ერთი
და იგივე თანდებულთა გამოყენებას და „და“ კავშირის წინ ასეთი წევრი
უთანდებულოდ, ბრუნვის ფორმით გამოიყენება: „თუ მიცემითსა და ნათესა-
ობითში დასმულ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებასა და გარემოებას) ერთი

და იგივე თანდებული მოუდის, უშუალოდ და-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ უთანდებულოდ იხმარება: ნადირები მიიმალნენ თბილს ბუნაგებსა და სორობ-ში... როცა ერთგვარი წვერები ორზე მეტია, და-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ უთანდებულოა, დანარჩენებთან სჯობს თანდებულის განმეორება..." (19, 232).

სვანურში თანდებულებით წარმოდგენილ ერთგვარ წვერებს, თანდებუ-ლები, ძირითადად, ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, ი „და“ კავშირის წინ მდგომიც თანდებულებით გვევლინება:

ალა მიჩა **ქორთე** ანვიდ, **ხეხუთე ი მუხუბათე** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 378) „ეს თავისი სახლისკენ წაიღო, ცოლისკენ და ძმისკენ“

ღარ იყდგდა **უშყუდალა ი ჭუინელლა** (ღმს.) „არავინ ყიდულობდა გაურეცხავობის გამო და სიძველის გამო“

აღმარს **ღარელისა ი ლახუარისა** ლირღე ხაზნახ (ღმს., იქვე, 24) „ამათ მინდვრებში და მთებში ყოფნა სჩვევიათ“

ტალახს დეჰმ ხუცტურად **ყორჷ ლაგაგიუი** (ჩოლ.) „ტალახს არ ვარჩენდით კარზე და ზღურბლზე“

ლუძძურე ესღრის **ლაშტუხუთეჷა ი წლისთაუთეჷა** (ჩოლ.) „ძაძებით მიდიან სამარემდე და წლისთავამდე“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში ნათლად ჩანს, რომ კავშირის წინ მდგომი ერთგვარი წვერები თანდებულდართული გვევლინება, მიუხედავად მათი ერთგვარობისა.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღნიშნული კავშირით შეერთებული ერთგვარი წვერები სხვადასხვა თანდებულს მოითხოვს, სვანურში კავშირის წინ მდგომი წვერი თანდებულიანია:

ჟესთხიფ ნაკირტულა **მუჭოდჷა, მეკრალჷა ი თერალუი** (ღმს.) „დააფარა ძონძი მკერდზე, მკლავეებზე და თვალებზე“

კიხხმოყ, ლაგაგიმოყ ი სვა **ღაზისა** მეჰდ ჰუ ხოშიდ ნაჩფულუარ (ჩოლ.) „კიბესთან, ზღურბლთან და შესასვლელში მუდამ უყრია ძველი ფეხსაცმელები“

ჭუინლიმ-ჭუინელ გაზნთარ ხოლფარან **სტოლუღჷი შკაფარჷა** (ჩოლ.) „ძველისძველი გაზეთები ეფარა მაგიდასა და კარადებზე“

სვანურში ხშირად ერთგვარ წვერებს გაძლიერების მიზნით ი „ცა“ ნაწილაკი დაერთვის, თუმცა მეტნაკლებად განირჩევა შემთხვევები, როდის შეიძლება დაერთოს ყველა ერთგვარ წვერს და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაწილაკიანი ერთგვარი წვერი კავშირის წინ მდგომი.

თუ ზემოთ ხსენებულ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებებსა და გარემოებებს) ჩამოთვლის ხასიათი არა აქვთ, ი „და“ კავშირის წინ მდგომი შეიძლება ნაწილაკიანიც იყოს და უნაწილაკოც:

ხათხელნახ **ცხეკარისა'ნი კოჯარისაჲ** (ლშხ.) „ექებდნენ ტყეებშიც და კლდეებშიც“

ემსჭურ ხორხან მაგ **ნალიაჟ'ნი კირაჟჟ'ნი** (ჩოლ.) „არეული ჰქონდა ყველაფერი ნალიაზეც და საბძელზეც“

იყოპლდა **ბალკუნარქა ი ხილარჟ'ნი** (ჩოლ.) „ეპოტინებოდა აივნებზე და ხეებზეც“...

ერთგვარ წევრებს თუ ჩამოთვლის ხასიათი აქვთ და ზმნა-შემასმენელს მოსდევენ, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ადგილი თავისუფალია, შეიძლება ცალ-ცალკე დაერთოს ყველას, ან ბოლოს მდგომ წევრს:

ხეთხელდა ფეჟი **კიბღონისაჲ, ტაფანისა'ნი კასრუკალისაჲმაგ** (ჩოლ.) „ექებდა ფეჟილის კიღობანშიც, ტაფაშიც და ქვაბებშიც“

ჟესთხიფ ნაკირტულა **მუჭოდქა, მეჯრალქა ი თერალჟ'ნი** (ლშხ.) „დააფარა ძონძი მკერდზე, მკლავეებზე და თვალებზეც“.

ხოლო, თუ ასეთი წევრები ზმნა-შემასმენელს წინ უსწრებენ, ნაწილაკი კავშირის უკან მდგომ ბოლო წევრს დაერთვის:

სოფელისა, მეზუბელარისა ი ოჯახისა'ჲ კნჩხს იქტცა (ჩოლ.) „სოფელში, მეზობლებში და ოჯახშიც კისერს იჭრიდა“

კიჩხმოყ, ლაგაგიმოყ ი სგა ლანისა'ჲ მეძაღ ჩუ ხოშიდ ნაჩფულუარ (ჩოლ.) „კიბესთან, ზღურბლთან და შესასვლელშიც მუდამ უყრია ძველი ფეხსაცმელები“

ქართულში **ც** ნაწილაკი უშუალოდ ყველა სახის ერთგვარ წევრს შეიძლება დაერთოს შემასმენლის გარდა, ერთგვარ შემასმენლებს **ც**-ს ნაცვლად **კიდეც** უძღვის წინ (19, 232).

სვანურში აღნიშნული **ი „ც“** ნაწილაკი უშუალოდ შემასმენლებს დაერთვის **კიდეც** ნაწილაკის სემანტიკით და ხშირად მათ შორის **ი „და“** კავშირიც გამოიყენება:

ხუიშიაღლადი, ხუაჯნადი ი ხუაბერადი (ლშხ.) „ვიბრძოდით კიდეც, ვხნავდით კიდეც და ვთოხნიდით კიდეც“

ზურლარ **ხუაჭმადი ი ხუაფცხადი** (ჩოლ.) „ქალები ვთიბავდით კიდეც და ვვარცხავდით კიდეც“

მიწერაღმაგ, მიჩქოჲღმაგ ი მიფრებღმაგ (ჩოლ.) „მიხვეწია კიდეც, დამიჩოქებია კიდეც და მოვფერებივარ კიდეც“.

სვანურის დიალექტებში საკუთრივ სვანური მაცალკეებელი კავშირების რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა: ქს. ბზ. **ჲედ — ჲედ||ედ — ედ** „ან — ან“, ბქ. **ხედ — ხედ** „ან — ან“, ლშხ., ჩოლ., ბზ. **მღდეჲ, ბქ. მადეჲ||მადე** „ან, ანდა“, ლშხ., ჩოლ. **იეს — იეს||ეეს — ეეს||ეეს — ეს** „ხან — ხან“, ლშხ. **მაჲ — მაჲ**, ჩოლ. **მჲჲ — მჲჲ** „ხან — ხან“, ბქ. **მჲ — მჲ** „ხან — ხან“. ჩამოთვლილი კავშირები, ქართულის მსგავსად, ზოგადად, გამორიცხვის, განცალკეების, გამონაწევრების მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ მათ შორის ნაირგვარი სტილური ელფერი შეინიშნება; ხან — ხან (ვარიანტებითურთ) გამოხატავს მოქმედების მონაცვლეობასა და რიგრიგობას დროში; „ან — ან (ვარიანტებითურთ) მიუთითებს, რომ ერთიმეორის გამომრიცხველ შესაძლებლობათაგან შესრულდება ერთ-ერთი, ან არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთზე, ან კიდევ ჩამოთვლათა ისეთი საგნებისა და მოვლენებისა, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს“ (19, 234). მაგ.:

ჟ'იჲ ესერ ანფიშტღხ, **ჲედ** ემნ იმ ადსიკთი, **ჲედ** იმ ადღჲშინე? (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 106) „ამოუშვითო, ან რას გააკეთებს, ან რას დააშავებს?“

ლახხჲას ხოჯღეხ კესარს: დარჲ ი სამ, **მღდეჲ** ხომამ (იქვე, 14) „ცოლებს მოუყვანენ კეისარს: ორს და სამს, ანდა მეტს“

ჲედ ჩუ სგჲრდა ი იზბღდა, **ჲედ** ჩუ ყჲრდა ი **მაჲ** ეშხუ ლესგთე ედსიპნღლ, **მაჲ** — მჲრმათე (ლშხ., იქვე, 97) „ან იჯღდა და ჭამდა, ან იწვა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე“

ამჲა მესგღი-მგკრტანის **ეეს** ხედღ'ნ **ეეს** ხეფნი (ჩოლ.) „ამის მაყურებელ-მჭერეტელს ხან ეშიება და ხან ეწყურება“

ნაზგრმაცუჲჲ ლაყჲრჲ ლერეჲჲს **მჲჲ** ლეჲჲა აბრღნჩუნე, **მჲჲ** ლეჲჲა (ჩოლ.) „სიზარმაცით ლოგინის ქვეშაგებელს ხან ქვევით გადაარჩევს, ხან ზევით“.

მაპირისპირებელ კავშირთაგან საკმაოდ ხშირად დასტურდება საკუთრივ სვანური მაპირისპირებელი კავშირი **მარე||მარა||მა** „მაგრამ“:

მერბა ლეთიში პნდერ ლელატ, **მარე** ლჲაჲჲრ აგხო ანჯადხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 262,3) „მეორე ღამესაც იხმო საყვარელი, მაგრამ კაცები მოვიდნენ შინ“

ჩუ მასარღ ითხი ლეჲჲმე, **მარა** ლიჯღე ლი გარჯ ეჩხენ (ლშხ.) „ბლომად იშოვება სათიბი, მაგრამ იქედან მოტანათა ძნელი“

უშყჲდა ი უბრღლა, **მა** ლეთორ ლას (ჩოლ.) „გაურეცხავი და დაუბანელი, მაგრამ ნასწაველი იყო“

სვანურში ქართული მაპირისპირებელი კავშირებიც გამოიყენება:

ქა ჯადიწნი, **ოღონდ** შიშდ ემიტხ ღომდ (ღშხ.) „გათხოვებ, ოღონდ მალე დამიბრუნე უკან“

ლუხჭომრანდ, **ოღონდ ნუმ** ეხკანდენდ (ჩოლ.) „ირბინეთ, ოღონდ არ წაიქცეთ“

სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც, „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით სხვადასხვა კავშირებია გამოყენებული, ესენია: (ერქ, **ლახ||ლახ**, **ჰექქ**, **ემა||ემო**, **ესა**, **აღჟე||ელჟე||ეჟე||აჟე** (ღნტ.) **აღო||ელო||ოღო||აღჟე** (ჩოლ.), ჩამოთვლილთაგან მაჯგუფებელი და მაცალკეებელი კავშირის მნიშვნელობით მხოლოდ **ჰექქა||ა** ვარიანტები გამოიყენება:

მარე ირა ა ზურალ ლიმეზირს ხაშტბა (ღნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 106) „ქალი იქნება თუ კაცი ღოცულობს“

ზურანლ ა მარე, ხომ'ა ხობრა მაგ ეშხუდ ამშაე (ღშხ.) „ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ყველა ერთად მუშაობს“

ქა ლრხუატხ სემი ა ტრშთხტ მექტ (ჩოლ.) „დავუბრუნე სამი თუ ოთხი ზვინი“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურ შერწყმულ წინადადებებში ერთგვარი წევრების შესაერთებლად, ძირითადად გამოიყენება მაჯგუფებელი **ი** „და“ კავშირი, რომელიც შერწყმულ წინადადებაში აერთებს ორ ერთგვარ წევრს, ხოლო შერეული სახის წინადადებებში აღნიშნული კავშირი შეიძლება რამდენჯერმე შეგვხვდეს. სვანურში თანდებულებით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს, თანდებულები, ძირითადად, ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, **ი** „და“ კავშირის წინ მდგომიც თანდებულებით გვევლინება, განსხვავებით ქართულისაგან, სადაც **და** კავშირის წინ მდგომი, ჩვეულებრივ, უთანდებულოდ იხმარება. სვანურში **ი** „ცა“ ნაწილაკიან ერთგვარ წევრებთან განირჩევა შემთხვევები, როდის შეიძლება დაერთოს იგი ყველა ერთგვარ წევრს და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაწილაკიანი ერთგვარი წევრი კავშირის წინ მდგომი: თუ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებებსა და გარემოებებს) ჩამოთვლის ხასიათი არა აქვთ, **ი** „და“ კავშირის წინ მდგომი შეიძლება ნაწილაკიანიც იყოს და უნაწილაკიც; ერთგვარ წევრებს თუ ჩამოთვლის ხასიათი აქვთ და ზმნა-შემასმენელს მოსდევენ, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ადგილი თავისუფალია, შეიძლება ცალ-ცალკე დაერთოს ყველას, ან ბოლოს მდგომ წევრს; ხოლო, თუ ასეთი წევრები ზმნა-შემასმენელს წინ უსწრებენ, ნაწილაკი კავშირის უკან მდგომ ბოლო წევრს დაერთვის.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სვანურში

§ 18. სვანურში განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები აზუსტებენ ან ავრცობენ წინადადების რომელიმე წევრს, ან მთელ წინადადებას.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (სიტყვათშენაერთები) არ წარმოადგენენ წინადადების უშუალო ნაწილს, მათ განკერძოებული ადგილი უჭირავთ „ამათ თავიანთი ადგილი უჭირავთ წინადადებაში, თავიანთი ინტონაცია აქვთ, განსხვავებული მთელი წინადადების ინტონაციისაგან, და წინადადებაში გამოიყოფიან მძიმით" (13, 286).

გამოიყოფა განკერძოებულ სიტყვათა შემდეგ ჯგუფები: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოებები, დანართი, ჩართული, მიმართვა, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული.

წარმოვადგენთ განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფებს: მიმართვა, ჩართული და დანართი, სვანურის ყველა დიალექტის მონაცემების გათვალისწინებით.

§ 19. მიმართვა. მიმართვა ეწოდება განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შენაერთს (შესიტყვებას), რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს, ან საგანს. ის სინტაქსურად წინადადების წევრებთან არ არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ქართულში მიმართვას საკუთარი ფორმა აქვს – წოდებითი ბრუნვა.

სვანურში მიმართვის ფორმები ემთხვევა სახელობითის ფორმებს: „სვანურში წოდებითი ფორმა არ არის. იგივეა გარეგნულად, რაც სახელობითი. განსხვავება შეინიშნება ინტონაციასა და საძახებელ შორისდებულებში: ინტონაცია იმდენად ძლიერია, რომ სიტყვა მარცვალს კარგავს" (13, 286).

მიმართვა არსებითი სახელით გადმოიცემა. ძირითადად, მოუბარი პირის ადრესატი ვინ ჯგუფის სახელებია და, აქედან გამომდინარე, მიმართვად ძალიან ხშირია ადამიანთა საკუთარი სახელები, აგრეთვე სქესისა და წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგ.:

გიე! ალ ბჷჩ ესერ ქჷჷ ხასჩჷარე მიჩ (ბზ., სვან. ქრესტ., 92) „გიე! ეს ქვა მაჩუქეო მე"

გიერგ, სი ეჯღალბა მგთრალად (ჩოლ.) „გიორგი, შენ გადაგიხდია სამაგიერო მსმელთათვის"

მწლდიან სოლომნ! ალ ქორ ბედნიერ ჩჷემნ (ბზ., იქვე, 111) „მადლიანო სოლომონ! ეს სახლი ბედნიერი ქენი"

მუჭუნარა, ძარ ლი ამარლოსა მაშენე ხომა (ბქ., სვან. ქრესტ., 212) „მსმენე-
ლებო, ვინ არის ამათში ყველაზე უფროსი“

ფუსნ, ისტუან ხოჩა მიშტუაჲ დანმა ხოყრა (ლშხ., იქვე, 258) „ბატონო, შენზე
მეტი სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებია“

მიშგუ ხეხუ, მი ლჷქმათე ოღრინე (ბზ., იქვე, 163) „ჩემო ცოლო, მე
საშოვარზე წავალ“.

სვანურ ზღაპრებსა და ლეგენდებში მიმართვა არცთუ იშვიათად გვხვდება
რა ჯგუფის სახელების მიმართაც, როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებისადმი:

ჰე, **საბრალ ყურშაჲ!** მიჩ ესერ ღალ მამ ხაყა მიჩა მენჯრიდ (ბზ., იქვე, 91) „ე,
საბრალო ყურშაჲ! მე არ ვარგივარო შენ გამყოლად“

წიფრა, ჯა ბედნიერ, ლღდგარ ქ'ანუ ლახტის (იქვე, 168) „წიფელავ, შე
ბედნიერო, მკვდარი დამიბრუნეო“

ა **ხალიჩა, სი ბედნიერ**, ზითინახანტცახან ემსგური (ბქ., იქვე, 22) „ა ხალიჩავ,
შე ბედნიერო, მზეთუნახავთან დამსვი“

ბატო, მიჩა ჟორმო, კოჭოლ ფეტულუ ლახომ (ლშხ., იქვე, 274) „საყვარელო,
ჩემო ორმოვ, ცოტა ფეტვი მომეციო“

არიქა, **ჯირა**, კოჭოლ შგუბილ ლოქ ლახომ (იქვე, 274) „არიქა, მუხავ, ცოტა
რკო მომეციო“ და სხვ.

დალოცვისა და ხვეწნა-მუდარის გამომხატველ წინადადებებში მოუბარი
პირი მიმართავს ღმერთსა და წმინდანებს:

ჰე, **ჯგერანგ!** მიჩა მემზირ მესტდას ესერ ლატლარს ჩუ ჰე ხანზე ლეჯცად, ერქას ესერ
მიჩ ჟ'ანჯუმე (ბზ., იქვე, 63) „ე, წმინდაო გიორგი!, შენ მლოცველ მესტიას თუ
დაანებებ ლატალელებს ამოსაწყვეტად, მაშინ შენ დაგამხობო“

მიჩა დედე კულფხარ ესერ ნომანუ აღსტუნენე, **მალდიან ლამარია**, ი ლახშადუ
(იქვე, 85) „დედაჩემის ძუძუს კერტები არ აატკიო, მადლიანო ღვთისმშობელო,
და შეეწიეო“

ჰა, **მალდიან ჯგერანგ** ბოგეშ, ლდდ ესერ ამიშ დაშნაში ლიყერ ქ'ოტუ ხანტიე (ბქ.,
იქვე, 189-190) „ჰა, მადლიანო ბოგრეშ წმინდა გიორგივ, დღეს ამისი დაშნის
ჩარტყმა მაცალეო“

ღერბეთ, ეშხუ ტოტ ბარდ ლამო (ლშხ., იქვე, 277) „ღმერთო, ერთი ხელი
ბარდა მომეციო“ და ა. შ.

თუმცა, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ხშირია მიმართვის სხვა მეტყ-
ველების სახელებით გადმოცემის შემთხვევებიც. ამ მოვლენას ადგილი აქვს იმ

შემთხვევაში, თუ არსებითი სახელი გამოტოვებულია და, შესაბამისად, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი არსებითი სახელის სემანტიკით გვევლინება:

მა ჯულტე, **ბედნიერ?** (ლნტ., სვან. ქრესტ., 292) „რა გაქვს, ბედნიერო?“

ნომენტუ ესქინად ხოშა ი ხობრა, **მადლიანუ** (ლშხ.) „არ გაქცეულიყავით დიდი და პატარა, მადლიანებო“

ტიშარუ, შომად ჯაკუხ ცუიდდ ლირდე? (ჩოლ.) „ტილიანებო, როდემდე გინდათ უქმად ყოფნა?“

დალოცუილუ, ჩუტ ათგენედ გაგდარ (ჩოლ.) „დალოცვილებო, გაგქერებინათ პირი („ნიკაპები)“

სვანურში ცალკე აღებული ნაცვალსახელები მიმართვის როლში იშვიათობაა, უფრო ხშირად მათ ახლავს მიმყოლი სიტყვები, რომლებიც იძლევიან ადრესატის თვისობრივ დახასიათებას. მაგ.:

მინ ესერ **ღარიბ**, **მინ** ესერ ეჯყი ი **მინ** ამყი (ბქ., სვან. ქრესტ., 188) „თქვე ღარიბებო, თქვენ ისე და თქვენ ასეო“

მინ ტიშარუ, **მინ ზისყარუ**, ქანტ ენსგიდდახ ყორქა! (ლშხ., იქვე, 273) „თქვე ტილიანებო, თქვე რწყილიანებო, გამოიხედეთო გარეთ!“

ჟი, **ჯ'ესერ ყანბა**, ჩუტ ღენ ესერ ესგენე, ამნიანდ ესერ მანტ ხწყრის მიჩა ჭაშტემ! (ბზ., იქვე, 65) „უი, შე კახპაო, დამაცადე, რას გიზამსო ჩემი ქმარი!“

ჯა, ზურალ, მან ქაჯარ ესერ ახტუნდა? (იქვე, 65) „შე, ქალო, რა ღმერთი გაგიწყრაო?“

მიმართვა ერთი სიტყვისაგან შედგება, თუმცა არცთუ იშვიათად იგი შეიძლება გავრცობილი იყოს მიმყოლი სიტყვებითურთ, მაგრამ როგორც ერთსიტყვიანი, ისე სიტყვათშენაერთით წარმოდგენილი მიმართვა განკერძოებულია და წინადადების წევრად არ ითვლება. მაგ.:

მანტში, მიჩანტ მანზიგ ლახვედა, ბაჩარ ესერ მან ლიხ ლესჩქტარო (ბზ., სვან. ქრესტ., 92) „უფროსო, შენი ჭირიმე, ქეები არაა საჩუქებელიო“

კესარ, უჯბაშ ი უტყბაშ მუზტებ! (ბქ., იქვე, 211) „კეისარო, მოუხარშავ-მოუხარაკავის მჭამელო!“

ფუსლ გელაშა, ჩუტ ესერ ადსყანხ (ბზ., იქვე, 62) „გელაანთ ბატონო, შევრიგდეთო“

ბატო **მიჩა შდუგულ**, ჟორმოსტ ეთყაჩ! (ლშხ., იქვე, 274) „საყვარელო ჩემო თაგვო, ორმოს შეეშვიო!“

მასტუში ყიფიან, ქანტ ეთყაჩ ი ნომანტ ხაჭიმ! (ჩოლ) „უფროსო ყიფიანო, თავი დამანებე და ნუ მომდევო!"

გავრცობილ მიმართვასთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვა, ჩვეულებრივ, განსაზღვრებაა. დასტურდება როგორც ატრიბუტული, ისე სუბ-სტანტიური განსაზღვრებით გავრცობილი მიმართვა, მაგ.:

ჰე, **ხოჩა მარე**, ჟრტ ესერ ანწჷნენ მინე ნაშდაბტ (ბზ., სვან. ქრესტ., 83) „ე, კარგო კაცო, მოინახულე ჩვენი ნამუშევარიო"

ჰატ, **ხოლა ყურშაჲ**, ჟრტ აჩად აგითე! (იქვე, 93) „ჰატ, ცუდო ყურშაჲ, ადიო სახლში"

მინ ტიშარუ, **მინ ზისყარუ**, ქანტ ენსგიდღახ ყორქა (ლშხ., იქვე, 273) „თქვე ტილიანებო, თქვე რწყილიანებო, გამოიხედეთო გარეთ!"

ჯა **ჟელი გეზალ**, ძს ესერ ლოხტორნა მიჩემდ მიჩა ჩწჷ ლისგტრე? (ბზ., იქვე, 102) „შე ძაღლის შვილო, ვის უსწავლებიაო მისთვის ცხენზე ჯდომა?"

ჰა, **მალღიან ჯგერანგ ბოგეშ**, ლადდ ესერ ამიშ დაშნაშ ლიყერ ქ'ოტ ხანტე (ბქ., იქვე, 189-190) „ჰა, მადღიანო ბოგერეშ წმინდა გიორგივ, დღეს ამისი დაშნის ჩარტყმა მაცალეო".

მიმართვასთან ერთად ხშირად გამოყენებულია მთქმელის ამა თუ იმ ემოციის, გრძნობის გამომხატველი შორისდებულიც, რომელიც მთელ წინადადებას გარკვეულ (აღერსობით, ზიზღის, დაცინვის, თანაგრძნობის, შიშის, თხოვნა-მუდარის) ექსპრესიულობას მატებს. მაგ.:

ჰე, ფარონ, ანგმბატეუტ ჯინემ! (ბქ., იქვე, 227) „ე, ფარონო, მოყვეო შენ!"

ჟი, ჯ'ესერ ყანბა, ჩწჷ ლენ ესერ ესგენე, ამნიანდ ესერ მწჷ ხწყრის მიჩა ჰაშტემ (ბზ., იქვე, 65) „უი, შე კახპაო, დამაცადე, რას გიზამსო ჩემი ქმარი"

ა, საბლუ შტანარ, ლიზი ხოჩა აგითე! (ლშხ., იქვე, 260) „ა, საბრალო სვანებო, წასვლა სჯობია სახლში"

ჰადტ, ხოლა ფეკტნად, ჩწჷ ათჷაფ აშიშტ (ჩოლ.) „ჰატ, ცუდო ფინიაჲ, ახლავე დაიკარგეო"

აჰ, საბა, მიჩა კერძმარე ზისყღლ, აჩაღუ ხამთე (ჩოლ.) „ა, საბრალო, ჩემო მოყვარე რწყილო, წადიო ღორთან" და ა. შ.

სვანურში მიმართვის ადგილი არ არის მყარი და განსაზღვრული, იგი შეიძლება იყოს წინადადების თავში ან ბოლოში, ან კიდევ წინადადებაშია მოქცეული, თუმცა სვანურში უპირატესობით სარგებლობს თავში დასმული მიმართვა:

ფუსდ გელაშა, ჩუტ ესერ ადსყანს (ბზ., სვან. ქრესტ., 62) „გელაანთ ბატონო, შევრიგდეთო“

ჰა მალდანგჯ აფსათ, ქაგჯ ლამმარჯუინ მალდანგ?! (ბქ., იქვე, 180) „ჰა მადლიანო აფსათო-მეთქი, მომეხმარეთქო მადლიანო?!“

ფუსნ, ისგუან ხოჩა მიშგუაჟ დანმა ხოყრა (ლშხ., იქვე, 258) „ბატონო, შენზე მეტი სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებია“

ჟნუ ესერ ანგვან, **ლგფკელ!** (ბზ., იქვე, 161) „ადექიო, ბანოვანო!“

ქნუ ესერ ადთგრ, **ხოლა ნაპილწურ**, ადო მიჩა ცხტიცგემდი ბედიშდ ანსყენე! (იქვე, 154) „გაეთრიეო, ცუდო ბილწო, თორემ მშვილდისრის წერად გაგხდო“

ნაჭტლაშს როქტ მოლე ხაყერხოტ, **ხოჩა მაროლ!** (ბქ., იქვე, 176) „ურვადს რამე უქენითო, კარგო კაცებო!“

იმშა უბედურ ანგედ სი, **ჟასილ**, მაგ ნაუბედრი სი ჯაჰიმ (ლშხ., იქვე, 263) „რა უბედური გამოხვედი შენ, ვასილ, ყველა უბედურება შენ მოგდევს“.

მიმართვას იშვიათად შეიძლება დაერთოს სხვათასიტყვის ნაწილაკიც:

იმთე ეთიყურ კონჩხ, **დნაიჯ** (ჩოლ.) „სად წაიტეხე კისერი, გოგოფ-მეთქი“

აა, **ბოფშიჯ**, ჩუ დრუ ეთტყუემფენ! (ჩოლ.) „აა, ბავშვო-მეთქი, გაილახები!“

სვანურში, როგორც არასამწერლობო ენაში, მიმართვის გამოყენების სფერო არ არის მრავალფეროვანი, იგი, ძირითადად, გვხვდება დიალოგებში, მისალმება-გამომშვიდობებისა და დალოცვის ფორმულებში.

§ 20. ჩართული. ჩართულია განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა შენაერთი, რომლითაც მთქმელი გამოხატავს თავის შეხედულებას წინადადებაში გამოთქმული აზრისა და თვით გამოთქმის ფორმის შესახებ, ან ასახელებს წყაროს.

ჩართულ სიტყვას არა აქვს სინტაქსური კავშირი წინადადების წევრებთან და ინტონაციურადაც გამოყოფილია, მეტწილად ეხება მთელ წინადადებას და გადმოგვცემს მოსაუბრის ემოციას: სწყინს მას, ახარებს, დარწმუნებულია თუ საეგებიოდ მიაჩნია წინადადებაში გამოთქმული აზრი.

სვანურში გამოიყოფა ჩართული სიტყვების ჯგუფები, რომლებიც მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია.

ჩართულით შეიძლება გადმოიცეს მოსაუბრის შეხედულება, რომ იგი დარწმუნებულია ნათქვამის უტყუარობა-უეჭველობაში. ამისათვის გამოიყენება ისეთი ჩართული სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა: **მან ტკიც ლი** „რაც

მართალია", **გაცხად** „მართლა“, **მა** **საკურელ ლი** „რა საკვირველია“, **მა** **ლექუის ლი** „რა სათქმელია“, **მა** **ნარი მიზეზ** „რა იქნება მიზეზი, აუცილებლად“...

ჩუადმდუხუტებს, **მა** **საკურელ ლი**, ეჩე, ნიცეპილუი (ღმს., სვან. ქრესტ., 261) „დაკრძალეს, რა საკვირველია, იქ, წყლისპირას“

ღეამ ხუაპირე ლნის, **მა** **ტკიც ლი** (ჩოლ.) „არ ვაპირებ წასვლას, რაც მართალია“

ნალგუარი, **გაცხად**, ხუა ლეზობი ლიმდენქა მამ ანდრი (ჩოლ.) „სიმსუქნე, მართლა, ბევრი ჭამიდან არ მოდის“

ეჯ სოფლი ხალხს ხოჩამდ ხეშუდის, **მა** **ლექუის ლი** (ღმს., სვან. ქრესტ., 239) „ეს სოფლის ხალხს კარგად ემახსოვრებათ, რა სათქმელია“

აღმარს, **მა** **ნაროლ მიზეზ**, სოლთანიმდ ათყალტინდახ (ბზ., იქვე, 67) „ამათ, რა გასაკვირია („რა იქნებოდა მიზეზი“), სოლთანის შეეშინდათ“ და სხვ.

თუძცა, არცთუ იშვიათად, ჩართული სიტყვით მთქმელი გამოხატავს წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ ვარაუდს ან დაეჭვებას, ასეთი ჩართულებია: **ალბათ**, **მგრეს** „ალბათ“, **დრუშ|დრუშე** „ალბათ, მგონი“, **მაბუა||მზაბუა** „მგონი“, **ხეთირი** „ეცყობა“, **იმეი თერა** „როგორც ჩანს“...

ხეკუადხ, **მგრეს**, ქორთე სგა ლიდროტი (ღმს.) „უნდოდათ, ალბათ, სახლში შეტყუება“

დრუშ, ეჩა ლიჩიჟალ ლოხსაყუდრან (ჩოლ.) „ალბათ, იმისი ცოლისმოყვანა უსაყვედურა“

ქა მალროტინი, **მაბუა**, ლიყერს (ღმს.) „გამომტყუებ, მგონი, ცემას“

ხოჩილ თელდრას ხეთხელი, **იმეი ხეთირი** (ჩოლ.) „უკეთეს რძალს ეძებს, როგორც ეცყობა“ ...

ჩართულით გადმოიცემა მთქმელის ის გრძობა, რომელსაც ნათქვამის შინაარსი იწვევს, და ამავდროულად ხდება ფაქტის შეფასებაც, მაგ.: **ლაღლა-ლალდ||ლეღლალალდ||იღლალდ** „იღბლად“, **ლესიადდ** „გასახარად“, **ლედგრთი-ანდ||დერთიანდ** „საბედნიეროდ“, **ლაჟბედრალდ** „საუბედუროდ“:

ამ **დერთიანდ**, გიე ნიშგუემს აგით'ონტტინახ (ბზ., სვან. ქრესტ., 67) „საბედნიეროდ, გიე ჩვენებს სახლში დაუბრუნებით“

მიჩა **ლაიღლალალდ**, ქერ მრდ აშყად (ღმს.) „მის ბედად („საიღბლოდ“), რომ არ გადავარდა“

ლესიადდ, ეჩქად ოხბაჟ, უოდ ეთბიდნრლ (ჩოლ.) „სასიხარულოდ, მანამდე გავიგე, სანამ დაიწვებოდა“

ლაუბედრად, ნაფ ოგხტიდა ამკაჲ უმჟერა მასძელ (ჩოლ.) „საუბედუროდ, ჩვენ შეგვხვდა ასეთი უნდილი, ხეპრე („გაუგებარი“) მასპინძელი“.

ჩართულით შეიძლება გადმოცემული იყოს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყარო, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის აზრი. მაგ.: **მიშგუა მახალუშ** „ჩემი ცოდნით“, **მიშგუა მაშყადუშ** „ჩემი მახსოვრობით“ **ხოშენლე ნამბაჟუშ**||**ხოშალე ნაქტუშ** „უფროსების მონაყოლით|ნათქვამით“, **იმჟი ტულის** „როგორც ამბობენ“, **იმჟი მასმა** „როგორც ვიცი“...

მიშგუა მახალუშ, გიმარს ლემცილტინს ი სგა ლახკედახ ეშხუნარ (ჩოლ.) „ჩემი აზრით („ცოდნით“), მიწებს ცილაობდენ თურმე და მიაწყდნენ ერთმანეთს“

ღატი ნაჭთუნ ლოქ ლიხ აღდარ, **ხოშენლე ნაქტუშ** (ლშხ.) „დევის დანაწყევლი არიანო ესენი, უფროსების თქმით“

თამფა ცაშია ლეთ, **იმჟი ტულის შტანარ**, მნ ლოქ ხაყა იშგნგ ლისედს (ჩოლ.) „აღდგომის ხუთშაბათ საღამოს, როგორც ამბობენ სვანები, არ შეიძლებაო სხვაგან დარჩენა“...

ხშირად ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ მიმართვას თანამოუბრისადმი; მიმართვა, ძირითადად, ეხება მეორე პირს და შეიცავს დამოძღვრის, ჭკუის დარიგებისა და გაფრთხილების სემანტიკას, მაგ.: **ჩუემჟირაჟუ**||**ჩუნმაჟირაჟუ** „დამიჯერე“, **ჩუემგმნარ** „მომისმინე“, **ლესიმენ** „გაიგონე“, **მნქტუნდეს** „მეთქვას“, **ჯინლდეს** „იცოდე“, **ჯაშყიდდეს**||**ჯეშყეს** „გახსოვდეს“:

ჩუემჟირაჟუ, მნ ჟეხლლი ამზუმ ნაწუარი ლიეს (ლშხ.) „დამიჯერე, არ გეკუთვნის ამხელა შესაწევარის მიტანა“

ლადი ლადდარალჟი, **ჯეშყეს**, ჟა მრდ იშგმენას თაშ (ლშხ.) „დღეს ჭამისას, გახსოვდეს, თუ არ ითხოვოს ყველი“

ღემ ჯაცურე, **ჯინლდეს**, მიშგუა ნაცტუდილალს (ჩოლ.) „არ შეგარჩენ, იცოდე, ჩემ ნაწვალებს“

ეჯარე ჭკუაჟი ნომა პუნტრუკე, **ჯა მნქტუნს** (ჩოლ.) „იმათ ჭკუაზე ნუ დარბიხარ, მეთქვას“ და სხვ.

მოქმელი ჩართული სიტყვების საშუალებით ხაზს უსვამს და ადასტურებს, რომ მოქმედ პირს წინადადებაში გამოხატული მოქმედების შესრულება ნამდვილად სურდა, **ცხაჟ**||**ცხაჟეშ** „ცხადად, აშკარად“, **ლნჟ**||**ლაჟდნშ** „აგრეთვე“:

ცხაჟ, ლემწუთრინს მინე ასუმს (ლშხ.) „ა, თურმე, რატომ ათხოვებდნენ თავიანთ ასულს“

ცხადეშ, ხაკფენა მიჩი ლიზი, ეჯლა იკირმეულადა (ჩოლ.) „აი თურმე აშკარად, სდომებია მასაც წასვლა, იმიტომ ჩაჰკირკიტებდა“

მიჩ, **ლად**, ხაკტედა ლეგტერხო ლიზი (ლნტ.) „მასაც უნდოდა თურმე წისქვილში წასვლა“

ლაიდლიშ, ხოჩმდ ასუი (ჩოლ.) „მართლაც რომ, აგრეთვე, კარგად აკეთებს“...

ჩართულ სიტყვებთან ერთად განიხილება საალერსო სიტყვა-გამოთქმები, წუხილის, ხვეწნა-მუდარისა თუ ფიცისა და დალოცვის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის სემანტიკა აქვთ: **ისგუთი მაზიგ ლამკედა** „შენი ჭირიმე“, **მადილ ჯერა** „გთხოვ“ („მადლიმც გქონოდეს“), **ისგუთი ლუნანე** „შემოგველე“, **ისგუ ნაცა** „შენ გენაცვალე“, **სი ნოსაჟ ამდაგრა** „შენ არ მომიკვდე“, **სრჟ მაყახი იჟას** „შენ მყავდე მუდამ“, **ხიად||ხიად||ხიად** „სიხარულო, გემუდარები“, **ხიადჟულ** „ნეტა“, **მიშგუთი ცოდ** „ჩემი ცოდვა“, **ჩუ ჟარ ამდაგრე** „ჩემი სიკვდილი“ („ნეტა მომკლა“), **ქჟინ ნოსაჟ მინე** „სული არ მედგას“:

მადილუ ხერახ, ჰაჯუ ახკიდ ი ნომუ ახლტიჰ (ბზ., სვან. ქრესტ., 62) „მადლი გექნებათ, თავი დამანებე და ნუ მომდევო“

ისგუთი მაზიგ ლემკად, ბეჩარ მჰ ლიხ ლესხუქრი (ლშხ.) „შენი ჭირიმე, ქვები არაა გასაჩუქებელი“

ქა ვიდეს ჯგვრჶგ ბოგეშს, **დიდზბოჟ ათკედა**, ი ჩუნძსგუტხ ლგცთე (ბქ., იქვე, 191) „გამოიტანენ ბოგრეშ წმინდა გიორგის ხატს, დიდება მის სახელს („დიდებამც მისვლია“), და ჩაიტანენ წყალზე“

ქემცადენ, **ისგუთი ლუნანეჟ ხუთი** (ჩოლ.) „გამეგზავნე, შემოგველე“

ჟი დო ესბაჯუთ ძირს, **ხიადჟულ**, მჰჶ ემნდრლ?! (ჩოლ.) „რატო არ დაასკდა ძირს, ნეტა („გასახარად“), როგორ გამიხარდებოდა?!“

ჟჶ, მიჩა ცოდ! მჰჶ ნაჟბდჟურ'ესერ ხჶყრა? (ბზ., იქვე, 103) „უი, ჩემი ცოდვა, რა უბედურება დაგემართაო?“

ჩუ ჟარ ამდაგრე, ალე მაჶ ჯაყრახ?! (ჩოლ.) „ნეტა მომკლა, ეს რა დაგმართნიათ?!“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ჩართული, სვანურში მრავალფეროვანია გადმოცემის საშუალებათა მიხედვითაც; მის გადმოსაცემად გამოყენებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილები. გამოიყენება საკუთრივ სვანური ჩართული სიტყვები და მათი გამოყენების სფეროც მრავალფეროვანია. დასტურდება ასევე, ქართულიდან შესული ჩართული სიტყვა-გამოთქმები, რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ ასეთი განკერძოებული სიტყვები, ძირითადად,

სამწერლობო ენისთვისაა დამახასიათებელი, ვინაიდან მათი წინადადებაში ჩართვა უფრო ხატოვანს ხდის სათქმელს.

სვანურში ჩართული სიტყვებისა და სიტყვათ-შენაერთების ადგილი წინადადებაში არ არის მკაცრად განსაზღვრული, იგი შეიძლება იწყებდეს წინადადებას, შუაში იყოს მოქცეული, ან ბოლოში დაერთოს სათქმელს.

§ 21. დანართი. განკერძოებულ სიტყვებსა და სიტყვათა ერთობლიობას, რომელიც აზრობრივად უკავშირდება სახელით გამოხატულ წინადადების რომელიმე წევრს და იძლევა მის შემავსებელ ცნობას დაზუსტებისა თუ ახსნა-განმარტების სახით, დანართი ეწოდება.

„დანართი, როგორც გრამატიკული ტერმინი, სხვა მნიშვნელობითაც არის ნახმარი. ასე, მაგალითად, ზოგჯერ დანართშია გაერთიანებული განკერძოებული განსაზღვრება და განკერძოებული გარემოებაც, ან კიდევ ამ ტერმინით აღინიშნება არსებითი სახელის ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც არსებითი სახელითვე არის გადმოცემული" (19, 269).

განკერძოებულ განსაზღვრებას დანართი უახლოვდება იმდენად, რამდენადაც იგი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს ახლავს. იგი შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, დამატებას (პირდაპირს, ირიბს, უბრალოს), შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს და მიმართვას.

სვანურში გავრცელებულია **ქვემდებარის მსლებელი დანართი:**

აღწარ, რიჩიანწარ, მინე ყორჩუ დწს ლემფიშუდინხ (ბქ., სვან. ქრესტ., 184)
„ესენი, რეჩიანები, თავიანთ კართან არავის უშვებდნენ"

ეჩე ლექჭუ'ანდრი ლიც, **ჭალწ** (იქვე, 187) „იქიდან ჩამოდის წყალი, მდინარე"

ესრენ ეჯი, ეჩა **აფხნიკ**, ესო ქრისდე ლემწარ (ლწს., იქვე, 287) „თურმე ის, იმისი ამხანაგი, იესო ქრისტე ყოფილა"

ჩუ ხუისკუტრიდ მწგ აშხუმდ, **თელ ლანხუბ** (ლნტ., იქვე, 291) „და ვსხდებით ხოლმე ყველანი ერთად, მთელი საძმო"

ესლრი ალე, **ნალჟუჟურ**, შუკუჟი (ხოლ) „მიდის ეს, ბიჭი, გზაზე"...

დანართი ახლავს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს:

მერბა ლწდედ აჯახ ხოლა **ტარწს** ლემწარ, **უჩხა** (ლნტ., სვან. ქრესტ., 294)
„მეორე დღეს კიდევ ცუდი ამინდი ყოფილა, წვიმა"

ხოჩა **მინდჟარწარ** ლიხ, **ლაროლ** (ბქ., იქვე, 187) „კარგი მინდვრებია, სათითები".

დანართი ახლავს პირდაპირ დამატებას:

ხუად ჯარ ოთენჯერანა, **თაჟადიშუთილარ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 248) „ბევრი ჯარი წაუყვანია, თავადიშვილები“...

დანართი ახლავს ირიბ დამატებას:

ეჯმარს ხოვდე ჟეზირ ლეზობს, **რაშალს** (ლშხ., იქვე, 277) „იმათ მოუტანს ვეზირი საჭმელს, რაშებს“

დანართი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი სიტყვით:

ეჩა ღვრ ლეჟა იზგეს ბერვრ, **რუსჟვარ** (ბქ., იქვე, 194) „იმ ხეობაში („იმის დარქს} ზემოთ“) ცხოვრობენ ბერები, რუსები“

ეჯი ლადედ ხუემშუგუარდ ემხჟვარ ნთიარ, **ზურლანლ** (ჩოლ.) „იმ დღეს ვსტუმრობთ ერთმანეთს ნათესავეები, ქალები“

ლალდელთე ესყანდა კუმაშ, **ჯანარ** (ლშხ.) „სამწყემსად მიყავდა საქონელი, ხარები“...

თუძცა დანართი ხშირად შეიძლება წარმოდგენილი იყოს **სიტყვათშენა-ერთითაც (შესიტყვებითაც)**, მაგ.:

ღარიად, **ბექნუშა თელღრად**, ქა ლახცჟირ ჭაშიგეზალ (ჩოლ.) „ღარიამ, ბექნუ-საანთ რძალმა, მიატოვა ქმარ-შვილი“

მაე ჯიჭირხ სგად, **ამზუმ შგლდღე ღუაჟარს**, ქა ლახწადედ მეჩი ბებეს? (ლშხ.) „რა გიჭირთ თქვენ, ამხელა სიმაღლის კაცებს, მიეხმაროთ მოხუც ბებოს?“

ვინაიდან დანართი სახელით გამოხატული წევრის ამხსნელია და მას ახლავს, იგი ასახსნელ-დასაზუსტებელ სიტყვას ანგარიშს უწევს და ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში, მაგ.:

ეჩე ლექჟანდრი ლიც, **ჭალან** (ბქ., იქვე, 187) „იქიდან ჩამოდის წყალი, მდინარე“

გუშგუე ბოჩკარ ჩუადგლაჯაჟეხ ჟელარდ, **ციოყუა ბუწანკარდ** (ჩოლ.) „ჩვენი საქონელი დაგლიჯეს ძაღლებმა, ციოყაანთ ძაღლებმა“

ლეზობორა **ზურალღლს**, **მუმურჯალას** ოთყაჟნედ (ლშხ.) „საჭმელი ქალებს, დამხმარეებს გავატანეთ“...

ქართულის მსგავსად, სვანურშიც თუ ასახსნელი წევრი თანდებულიანია, იმ შემთხვევაში მისი მხლებელი დანართიც თანდებულით გვევლინება:

ხუად ხოქირდაჟნლა მიჩ **თინაშუი**, **თერღლაჟი** (ჩოლ.) „ბევრი ულაპარაკია („უჭორავია“) მას თინაზე, რძალზე“

გიორგეშლა ი **დანელიშლა**, **გეზღორღა** გარ ხაჯგრღლნა ღვრბათს (ჩოლ.) „გიორგიზე და დანიელზე, შვილებზე მარტო ვვედრებოდა თურმე ღმერთს“...

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა **-ემ-დ** „თვის“ თანდებუ-
ლიანი სახელებია დანართის მიერ ასახსნელი. **-ემ-დ**, როგორც ცნობილია, ნანა-
თესაობითარი ვითარებითა, რომელიც სემანტიკურად ქართულის „თვის“ თან-
დებულის ეკვივალენტია. ამ შემთხვევაში სვანურში არც დანართს და არც ასახ-
სნელ სიტყვას თანდებულის ფორმა არა, მაგრამ სემანტიკა კი „თვის“ თანდებუ-
ლისა აქვს. სვანურში „თვის“ თანდებულის მნიშვნელობის გამოსახატავად დას-
ტურდება როგორც ნანათესაობითარი ვითარებითის, ისე ვითარებითის ფორმა:

ნიშგემდ, შჷანრ-ემ-დ||შჷანარ-დ, ეჟ ლადელ ლიმდაბ დემეგ იმარგ (ბქ.)
„ჩვენთვის, სვანებისთვის, იმ დღეს მუშაობა არ შეიძლება“

გუშკუტუტ, ზურელალ-ემ-დ||ზურელალ-დ, მად შიდ ეჩოხ ლიზი (ლნტ.)
„ჩვენთვის, ქალებისთვის არ შეიძლება იქ წასვლა“

ილტჷარლა **ეჟმარემდ, მიჩა გეზლირემდ** (ჩოლ.) „გაჭრობდა იმათთვის,
თავისი შვილებისთვის“...

როგორც ცნობილია, დანართი, რომელიც აზუსტებს წინადადების წევრის
მნიშვნელობას, უშუალოდ უკავშირდება მას (პაუზით, უკავშიროდ) ან დაკავში-
რება წინადადების წევრთან შესაძლოა მოხდეს საგანგებო სიტყვების მეშვეობით.

სვანურის მასალის განხილვამ ცხადყო, რომ სვანურში გავრცელებულია
დანართისა და ასახსნელი სიტყვის უკავშირო ურთიერთობა.

დანართის ადგილი წინადადებაში მყარია, იგი ყოველთვის ასახსნელი
სიტყვის მომდევნოდ გვხვდება სვანურში. ასახსნელი წევრი დანართითურთ ხან
იწყებს წინადადებას, ხან ბოლოში გვხვდება და, არცთუ იშვიათად, დანართი
წინადადების შუაგულშიც დასტურდება, მაგ.:

მარჩიელარს, ალიარს გარგლანქა დესმა ხაჷკგრახ (ჩოლ.) „ლაპარაკის მეტი
არაფერი ადარდებთ ამათ, მარჩიელებს“

საკენ ლი ლახტ ადგილ, **ცხეკ** (ბქ., სვან. ქრესტ., 187) „საკენი არის მთა
ადგილი, ტყე“

ლალღტაჷალჷი ბობშ ერ ითნი, **ჷყინტ**, ჩუ ლგე გგრმენ თოფრემ (ლშხ., იქვე,
236) „მშობიარობისას ბავშვი რომ იბადება, ბიჭი, არის თოფების გრიალი“

გუშკუტუტ, **ზურელალემდ**, მად შიდ ეჩოხ ლიზი (ლნტ.) „ჩვენთვის,
ქალებისათვის არ შეიძლება იქ წასვლა“

განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სვანურის
განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებში, ძირითადად, გავრცელებულია ქვემდებარის
მხლებელი დანართი, თუმცა იგი შეიძლება ახლდეს შედგენილი შემასმენლის

სახელად ნაწილს, ბრუნვაცვალებად და ბრუნვაუცვლელ დამატებებს. სახელით გამოხატული წევრის ამხსნელი დანართი ასახსნელ-დასაზუსტებელ სიტყვას ანგარიშს უწევს და ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში, ხოლო, თუ ასახსნელი წევრი თანდებულიანია, იმ შემთხვევაში მისი მხლებელი დანართიც თანდებულთა გვევლინება. სვანურში -**ემ-დ** ნანათესაობითარ ვითარებით გამოხატული დანართი სემანტიკურად ქართულის „თვის“ თანდებულის ეკვივალენტია. ამ შემთხვევაში სვანურში არც დანართს და არც ასახსნელ სიტყვას თანდებულის ფორმა არა, მაგრამ სემანტიკა კი „თვის“ თანდებულისა აქვს.

IV თავი

რთული წინადადება სვანურში

მოძღვრებას რთული წინადადების შესახებ საკმაოდ დიდი ისტორია აქვს: „XVIII საუკუნის დამლევისათვის საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივია ტერმინები „მთავარი და დამოკიდებული წინადადება“, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოძღვრება პარატაქსსა და ჰიპოტაქსზე უფრო სრული და თანმიმდევრული ხდება“ (19, 310).

სამეცნიერო საზოგადოებაში იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა იყო და ზოგიერთი მკვლევარი მოძღვრებას რთულ წინადადებაზე ეჭვქვეშ აყენებდა (მ. პეტერსონი), ამავდროულად მეცნიერთა ნაწილი (ა. პეშკოვსკი) დამაჯერებლად ასაბუთებდა ჰიპოტაქსური და პარატაქსური წინადადებების არსებობას და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობას.

ქართული რთული წინადადების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ანტონის სკოლის გრამატიკებში გვხვდება (ს. დოდაშვილთან), ხოლო რამდენადმე სრულყოფილი აზრი ჰიპოტაქსური წინადადებების შესახებ არ. ქუთათელაძისა და თ. უორდანიას გრამატიკებშია წარმოდგენილი; რაც შეეხება ტერმინებს **თანწყობა**, **ქვეწყობა**, **თანწყობილი** და **ქვეწყობილი** წინადადება პირველად ა. შანიძის მიერ იქნა გამოყენებული ავტორისეულ სასკოლო გრამატიკაში.

მეცნიერთა ვარაუდით, რთული წინადადება ენაში გაცილებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე მარტივი წინადადება და ამ ფაქტს, ძირითადად, ადამიანის აზროვნების განვითარებას უკავშირებენ „რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია, იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია. ... ამასთანავე, მეცნიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ თანწყობა უფრო ადრინდელია და წინადადებათა ერთმანეთთან

გადაბმა-დაკავშირების უფრო პრიმიტიული საშუალებაა, ვიდრე ქვეწომა, რომელიც განვითარებულია პირველისაგან მისი გართულების გზით თვით აზროვნების ფორმის განვითარება-გადრმაგების შესაბამისად" (19, 209).

სიტყვათა ისეთ ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც მიღებულია ორი ან მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებებისგან რთული წინადადება ეწოდება. ეს წინადადებები შეიძლება გაერთიანებული იყვნენ უკავშიროდ (მხოლოდ პაუზით), ან სხვადასხვა სახის კავშირით.

რთულში გაერთიანებულ წინადადებებს შორის დამოკიდებულება თანწყობითია ან ქვეწობითი. თუ რთულში გაერთიანებული წინადადებები ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორია, ასეთი წინადადება თანწყობილია ანუ პარატაქსულია, ხოლო, თუ რთულში გაერთიანებულია ერთმანეთის მიმართ არათანასწორი წინადადებები, ასეთი წინადადება ქვეწობილი ანუ ჰიპოტაქსურია. ქვეწობილში ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ასეთი კონკრეტული დეფინიციისა, მკვეთრი ზღვარის გავლება პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებს შორის ზოგჯერ ძნელდება. მათში შემავალ წინადადებებს შორის აზრობრივი მიმართება ზოგჯერ იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ სინონიმური მნიშვნელობის წინადადებებ გვეძლევა.

რთულში შემავალ მარტივ თუ შერწყმულ წინადადებებს ერთ მთლიან ერთეულად აქცევს: ინტონაცია, კავშირები, მიმართებითი სიტყვები, საკორელაციო სიტყვები, წინადადებათა წყობა, ზმნის დროისა და კილოს ფორმები.

სვანურ სინტაქსში, ქართულთან მსგავსების მიუხედავად („სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინტაქსურ საკითხებში. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუდგება სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი..." (13, 254), ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა გამოწვეული.

წარმოვადგინოთ სვანურის რთული თანწყობილი და რთული ქვეწობილი წინადადებების სინტაქსური ანალიზი.

რთული თანწყობილი წინადადება

§ 22. პარატაქსული წინადადების შემადგენელ თანასწორ წინადადებებს შორის სხვადასხვა აზრობრივი მიმართება არსებობს. რთული თანწყობილის კომპონენტ წინადადებათა ზმნა-შემასმენლებით შეიძლება გამოიხატოს ერთ-

დროული მოვლენები, თანამიმდევრული მოვლენები, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა ან დაპირისპირებულობა.

მოვლენათა ერთდროულობა:

თხუმარ ჭუნდისგა ხეყხანს ი კაცხარ გუნალჟინ არდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 36) „თავები კედელში იყო გარტობილი („გაყრილიყვნენ“) და წვერები ბაგაზე იყვნენ“

სგუნებინ ხეხუნარ ხოჟონხუნ ლაკილეღუნ ი ლალჭალშუნ, ეჯარს მიჩა ნათი ღუნაჟარ ესჭიმს ლატმურალშუნ (ბქ., იქვე, 182) „წინ ქალები მიუძღვით კვილით და მოთქმით, მათ თავისი ნათესავი კაცები მიჰყვებიან სახის სოკვით“

ნად ლეჯის ხუნარიდ ი ონღუნარიდ აგითე (ლშს., იქვე, 252) „ჩვენ ლუჯიში ვართ და მოვდივართ სახლში“

ხოლა ტაროს ლემარ ი შუკუნს ბერი ასოდა (ლნტ., იქვე, 294) „ცუდი ამინდი ყოფილა და გზაზე ნისლი ჩამოწოლილა („გზას ნისლი დაუღვია“)

ამხე მეგუნისა ლეძიე ხამ ხოგურანანს ი ეჩხენ ლექარ ვანს ხონანდახ (ჩოლ.) „აქეთა ეზოში დაკლული ღორი წამოეგორებინათ და იქით დაჭრილ ხარს უვლიდნენ“...

მოვლენათა თანამიმდევრობა:

ამ ლეთ ლიმზირს იჩომდა, აწიჰდა მეხუნბარარს ი ხოჩამ ლეთს იჩომდა (ბზ., იქვე, 113) „იმ ღამეს ლოცვას ჩაატარებდა, პატიუებდა თანამომძებებს და კარგ ღამეს ატარებდა („იქმოდა“)

ალი ჟ'ომჰედ უბრალად ი ალმარდ ში ლოჰოდა ი ხოჩა ლადედ ხოქუნა (ლხმ.) „ეს ამოსულა დაუბანლად და ამათთვის ხელი ჩამოურთმევია და მისალმებია“

ეხჭამს ლოშინ ფადეს, სგ'ეთიდახ შგედი ლახუნისა, ჟ'ანხუიტხ ლეკარ (ლშს., იქვე, 247) „გამოეკიდათ უკან მღევარი, დაეწივნენ შგედის მთაში, ამოწყვიტეს ლეკები“

მალფხარ ჩუ შიდეს სიმინდს ი ქ'აცხუნეს, ჩუ იშხუნის ბელელისა ლეწმინდუნეს (ლნტ., იქვე, 296) გაზაფხულზე დაყრიან სიმინდს და დაბეგვავენ, ინახავენ ბელელში გაწმენდილს“

ყორს სტელ ათადა ი სგანშყად მაშტმარ გაიოზ (ჩოლ.) „კარი გაიღო („კარს მჭექარე ხმა გაუვარდა“) და შემოვარდა მთვრალი გაიოზი“...

მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა:

ღუნ ი ნაჭა ჩუნესცუნირს რუსალდ ი მინ აგით'ანგვანდს ლახუნალშუნ (ბზ., იქვე, 82) „ხბო და ჯაჭვი დაიტოვეს რუსებმა და თვითონ სახლში დაბრუნდნენ სიხარულით („გახარებულები“)

ჯაშაუდ ისლამ ჩუ ადგარ ამეჩუ ი აყმურზად ხანჯარ ხანგერ ჯაშაუს (ბქ., სვან. ქრესტ.,185) „ჯაშაუმა ისლამი მოკლა აქ და აყმურზამ ხანჯალი გაუყარა ჯაშაუს“

ეფინენ ახფიშუდ ბუბადი თოფ ი ჩ'ოთდაგრა ნათხუიარე (ლშხ., იქვე, 253) „ასე ესროლა ბიძიამაც თოფი და მოუკლავს ნანადირევი“

ეშხუინ სანურ ლოქ ამევედს ამეჩუ ამშა ლანქუთარდ ი თერალ ლგენე ლოქ ასახუიას სოფელს (ლნტ., იქვე, 293) „ერთხელ ოსები მოსულანო აქ ამის მოსაპარად და დაბრმავებულები („თვალეზმდგარი“) დახვედრიათ სოფელს“

გუშეუეარს ქა ლეტუ ხარას ი ჩუალზიგელის ზაგალოდს სერ ერანლო (ჩოლ.) „ჩვენებს გასაქცევი გახდომიათ და დასახლებულან ზაგალოდში მერე“...

მოვლენათა დაპირისპირებულობა:

იმგნგი მამ ლანსუნ ხოჩა შუკუნარ, მარე წიბარარშუ ი მიჯურალშუ ხუიგჭად თხუმ ი ერუინ ესღურდად (ბზ., იქვე, 149) „სხვაგანაც არ იყო კარგი გზები, მაგრამ წრიაპებით და ძალაყინებით ვიჭერდით თავს და ისე მივდიოდით“

ხეჭუდელ ამის ჩიგუნაშუ, მარე პასხუიხუნს დემეგ ტიხე (ლხმ.) „ეკითხება ამას ყველაფერს, მაგრამ პასუხს არ აბრუნებს“

ოჩადლ ნათოფუნ, მარა ერშუნენ ზისხ დესა არდა (ლშხ., იქვე, 253) „აველით თოფის ნასროლამდე, მაგრამ იქ სისხლი არ იყო“

ხენწიფი გეზალ ლოქ ლი, მარე ეში ჩუ ლოქ ლეჭათუნე ხარ (ლნტ., სვან. პროზ. ტექს., 145) „ხემწიფის შვილი ხარო, მაგრამ მაინც დასაწყევლი მყავხარო“

ბოფშარ აგის ოთცუნირა ი ჯან გინ ეშ ლახკინა ლანყაშალთე (ჩოლ.) „ბავშვები სახლში დაუტოვებია და თვითონ კი წასულა გასართობად“...

რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული მარტივი და შერწყმული წინადადებები ერთმანეთს შეიძლება უკავშირდებოდნენ მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, წინადადებათა კავშირიანი შეერთება უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე უკავშირო. „ვარაუდობენ, რომ მარტივ წინადადებებს პირველ ხანებში სვამდნენ ერთმანეთზე მიყოლებით რაიმე საგანგებო სიტყვებით დაკავშირება-გადაბმის გარეშე, ე. ი. უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი“ (19, 309).

სვანურის პარატაქსულ წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად ი „და“ კავშირი გამოიყენება:

ემხუ ბეფშუ ჩუ იგნი ლუკუნკუად ბაჩუცახან ი შიყ ტემგმანუ ხარ (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „ერთი ბავშვი მოკაკული დადგება ქვასთან და ზურგი უკან აქვს“

ჩი ტაბავს მიჩა-მიჩა მეღტინ ხაყა ი ეჯმინდ ხეკტეს ჩიძს ჩუ ლახაშახ ლეთრე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 54) „ყოველ სუფრას თავ-თავისი მეღვინე ჰყავს და მათ უნდა დააღვინონ ყველას სასმელი“

ალის მახე ლერქტუბრ ქ'ობცადა ი სვა ხოწს' ეჯჷი ქორთე ი ნებოზდ ქეიფ ხარენახ ი ეჯჷი პანტიოსანდ ჩ'ობფიშუდა (ლხმ.) „ამას ახალი ტანსაცმელი გამოუცვლია და ისე შეუპატიუებია სახლში და სადამომდე ქეიფი ჰქონიათ და ისე პატიოსნად გამოუშვია („ჩამოუშვია“)"

ალე ხმალი ლიხტიე მეტარ ხახადღნდა ი ლასი ეზარ ალ ხმალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 275) „ამ ხმლის მოგება („ხვედრება“) ძალიან უხაროდა და კარგიც იყო ეს ხმალი“

ლიცთე მესტფელნჲ ანჯად ი ეჯდარხენქა ენმეკრე ალ გტემ (ჩოლ.) „წყალზე სოფლელებიც მოვიდნენ და იმათგან გაიგო ეს საქმე“...

ხშირად მაჯგუფებელ-კავშირიანი თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში გვხვდება ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობა გასაგები ხდება პირველ ნაწილში დასახელებული წევრის მიხედვით:

ლაყუბალჲ ზანგლჲჲ ქა ხოთრინდახ ი ეჩი ჰერს მჲგ გულ ჯედენდა (ბზ., იქვე, 95) „შეკრების ზარი გაირჩოდა და მის ზარს ყველა ხვდებოდა“

მინ ესერ ბჲჩარს სგალჲხჲჲჲჲ ი ეჩინჲქა'ესერ ეზერ ლადგარ ხოჯდენიხ (იქვე, 96) „თქვენ ქვებს მოეფარეთო და იქიდან კარგი მოსაკლავი გაგიხდებათო“

მამტილ დემის ილგტუბრი ი ამიშ ლელტ დადტლიშრიგ დემ ლი (ბქ., იქვე, 206) „მამალი არ გასუქდება და ამისი ხორცი დედალის ხორცისთანა ვერ არის“

ბაპს ქტერწილ ლოქ ხარ ი ეჩოხ ლოქ ასაყა ლეზენიდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 147) „მღვდელს ქორწილი აქვსო და იქ მიმყავსო დასაკლავად“

ლგჲბიდად ხაყახ ლუნ ი წანის ხმნეხ ი ეჯნოტუშ ხამთქვეხ ლიზობხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 265) „დამწყვდეული („დამწყვდეულად“) ჰყავთ ხბო და ცუდბალახას ატმევენ და იმით აჩევენ ბალახს“

ალე მეზტბელურ ვარჯს დემ პგწკეხტი ი ათხჲჲ ამშა ლიმნარი მაკუა? (ჩოლ.) „ამ მეზობლის გარეშე პირს ვერ ვადებ („ვაპობ“) და ახლაც მისი მოსმენა მინდა?“...

თუშცა აღნიშნულ შემთხვევაში დასტურდება უკავშირო შეერთებაც: ამნემ სემი ლადელ ქ'ოთხანე, ეჩანლო ხაბგერ ხანჯარ ი ქ'ანცგლგრე (ლშხ., იქვე, 282) „ამან სამი დღე დააცადა („დაახანა“), მერე ატაკა ხანჯალი და გამოფატრა“

სგ'ონჯტედ სალიგტერდთე, ეჩეჩუნე ეშხუ მეღუქნე ემხტინდა (იქვე, 263) „შემოვედი სალიგვერდში, იქ ერთი მეღუქნე დამხვდა“

სგა ლამხტინდას მოსე'დ მიჩა ეხტუ, ქა ლემბტი მნდა მიშეტი ჯაცა (ჩოლ.) „შემომ-ხვდენ მოსე და მისი ცოლი, მოსაყოლი გამიხდა ჩემი დაღუპვა („დაქცევა“)“...

როგორც ცნობილია, თანწყობილ წინადადებაში მოვლენათა დაპირისპირე-ბულობის გამოსახატავად გამოიყენება **მაგრამ, ხოლო, კი** მაპირისპირებელი კავშირები.

„**კი**“ და „**ხოლო**“ კავშირები სვანურში თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან **ი** „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება. თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს **ი** „და“ კავშირის ადგილს, ის არ დაისმის თან-წყობილის რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „**კი**“ კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა, როგორც **ი** „და“ კავშირი და მაერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება:

ჰე, ლგჰჰჰჰ ისგუ ბედ, სი სტოლ ჯიგ **ი** მი მწიღშუ ხტიდგარო! (ბქ, სვან. პროზ. ტექსტ., 42,26) „ჰე, ნეტავი შენ, შენ სუფრა გიდგას და მე **[კი]** მშიერი კვდები!“

კუმშს ჩჰნზენდას **ი** მარალს ქა ჟედღას (ლნტ., იქვე, 110) „საქონელს კლავდენ და ადამიანებს **[კი]** ყიდდენ“

მი ლამფას ხტემკადენ **ი** ალიარ აჯალ გეჩს ატინღას (ლშხ.) „მე ჭერს მიშტერებოდი და ესენი **[კი]** ისევ დანას ათვალიერებდენ“

მედად ჩუბო კუმამ ისგდი **ი** მარად ესიეს დეცს ხეკტეს ლახრეკას თე (ჩოლ.) „მუდამ ქვევით საქონელი იყურება და კაცმა **[კი]** ზოგჯერ ცას უნდა ახედოს („ჰკიდოს თვალი“)“

აშხტნ ლეზტბემი ლამარად თანაშემწე ადგენეს, მინ ლათხელთედ აჩანღს (ბზ., სვან. ქრესტ., 102) „ერთხელ საჭმლის გასამზადებლად თანაშემწე დააყენეს, თვითონ კვლავ საძებნელად წავიდნენ“

მი ეშხუ ზაჲ ოხტეკტედ ჟოხუმდ მანთი ლათხელის, დოხტურდ ეშხუ მინუტისა ითხე (ლშხ., იქვე, 286) „მე ერთი წელი მოვუნდი ხუთი მანეთის შოვნას, ექიმმა კი ერთ წუთში იშოვა“

ამხენ ბოფშარ ივგრანღდას ლეზობს, მერბახენ ზურღარ ითმარიელდას (ჩოლ.) „აქედან ბავშვები იხვეწებოდნენ საჭმელს, მეორე მხარეს ქალები წვალობდნენ“.

ეს წინადადებები მოვლენათა დაპირისპირებელ სემანტიკას შეიცავს და **ი** „და“ კავშირი მაპირისპირებელ „**კი**“ და „**ხოლო**“ კავშირების მნიშვნელობას ითავსებს.

ასეთი შემთხვევა ქართულშიც დასტურდება, იშვიათად შეიძლება დათი შეერთებულ თანწყობილ წინადადებათა შორის მოვლენათა დაპირისპირებულობაც გამოიხატოს: „ამისაგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო. მნიშვნელობით იგივეა რაც: ამისაგან შენ ისწავლე, შენ კი მე მასწავლეო" (19, 315).

სვანურ პარატაქსულ წინადადებაში კი კავშირის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს გინ- ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს (იხ. ნ. შავრეშიანი „ერთი ექსპრესიული ნაწილაკისათვის ქვემოსვანურში", საენათმეცნიერო ძიებანი, 2011).

ეჭიარ აჩადხ ცხეკთე, ჯეე გინ აგის ასად (ჩოლ.) „ისინი წავიდნენ ტყეში, თვითონ კი სახლში დარჩა"

ჯაშ კუმაში ლაჰდათე ემჩედ, ეხჷ გინ აგის ოთცტჷრა (ჩოლ.) „ქმარი საქონლის მოსაყვანად წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია"

მი ე'ობხტეკტედ ლეზობი ლამწრას, ალე გინ ჩტალპრანჭყელი ლაყტრაჷი (ჩოლ.) „მე მოვუნდი საჭმლის მზადებას, ეს კი წამოკოტრიალებულა ლოგინზე".

ყურადღება უნდა მივაქციოთ სვანურში ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილ ისეთ წინადადებებს, რომლებიც ფორმალურად პარატაქსული წინადადებების მსგავსია და სადაც ორი წინადადების ერთმანეთთან დასაკავშირებლად წარმოდგენილია ი „და", კავშირი:

ჯამზგრახ ღერთემ ი არი ეშხუ მეთხუიარ (ღშხ., სვან. ქრესტ., 283) „დაგლოცოთ ღმერთმა და არის ერთი მონადირე"

ლემზგრჷჷ ხიშდ ი ალა ლი ეშხუ მარე (ბზ., იქვე, 163) „დალოცვილიმც ყოფილიყავით და ეს არის ერთი კაცი"

აცცამზგრახ ღერთემ ი ეჯმინეშ ლიგედალუ ხორდგუნად ღერბათჷ! (ღნტ., იქვე, 345) „დაგლოცოთ ღმერთმა და იმათ მოსვლამდე გაცოცხლოთ („უმყოფებიხართ") ღმერთმა („ღმერთს)!"

თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს წინადადებები ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას (მიმართვას ცალკე, თუ მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, წინადადებაში სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს) და, ჩვენი აზრით, არც ეს ი (თითქოსდა კავშირი) არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. აქ საქმე გვაქვს გაბმული მეტყველების დასაწყისთან, კერძოდ, თხრობის დასაწყისში გონების კონცენტრაციის დროს შეყოვნებასთან და ეს ი სწორედ

ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველი უნდა იყოს. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ლენტეხურ ტექსტებში დადასტურებული ილუსტრაციები, სადაც მსგავს წინადადებებთან დაცულია ორთოგრაფიული კანონზომიერება და პირველ წინადადებასთან (მიმართვასთან) ჩვეულებრივ წარმოდგენილია ძახილის ნიშანი და მომდევნო წინადადება იწყება ხსენებული ი - თი, რომელიც კავშირი არ უნდა იყოს:

ჯამეზრას ღერთემ! ი სრი ეშხუ გარდატყუჲ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 216) „დაგლოცოს ღმერთმა! და არის ერთი მატყუარა“

ჯამეზრას ღერთემ! ი სრი ეშხუ მღლეჩხტიმ ღსრიბ (იქვე, 227) „დაგლოცოთ ღმერთმა! და არის ერთი ლეჩხუმელი ღარიბი“

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად ლენტეხურში (სხვა დიალექტებშიც) მსგავსი სემანტიკის შემცველი წინადადებები ცალ-ცალკე წინადადებებად არის გამოყოფილი და ი-ს გარეშე იხმარება. ასეთი პაუზის გამოსახატავად გაბმულ მეტყველებაში, საუბრისას, სვანურში ხშირად ი-ს ენაცვლება გ, თუმცა სვანურის ქრესტომატიასა და პროზაულ ტექსტებში აღნიშნული ბგერა არ გვხვდება.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მიმართვა მომდევნო, ბოლო წინადადებას წარმოადგენს ზღაპრის დასასრულს, მაგ.:

ბაბა დჷღუდ ხოჩა ლირდე-ლიზგე ადვიდ ი ახსამეზრას ღერთემ! (ლნტ., იქვე, 125,15) „ბაბუა დევმა კარგი ცხოვრება-ყოფა გალია და დაგლოცოთ ღმერთმა!“

ხოჩა ლირდე ედვიდ ი ჯიმეზრას ღერთემ! (ლშხ., იქვე, 85,1) „კარგი ცხოვრება გალიეს და ღმერთმა დაგლოცოთ!“

სვანურში მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **მარა||მარე||მა**, რომელიც ფუნქციით ქართული **მაგრამ** კავშირის შესატყვისია:

დადჷში ჯაფრანს ემდ ღეთ ხნრა ლგდგჷრ ლატლჷრ, **მარე** გტი ღემდ ხნრა ლგჷტუე (ბზ., სვან. ქრესტ., 76) „დადაშის ჯაფრანს ათამდე ლატალელი ჰყოლია მოკლული, მაგრამ გული კვლავ არ ჰქონია მოოხებული“

ღესამა ენმეკრე ალ მნრად, **მარა** ჩაფლარს ლახსინჯტუე ი ჩტათირ მიჩა გეზალ (ლშხ., იქვე, 289) „ვერაფერი გაიგო ამ კაცმა, მაგრამ ფეხსაცმელებს გახედა და იცნო თავისი შვილი“

ეჩქა დჷტუ ჟ'ნმეჩედელი ლარმიდ, **მარე** ჩუ მნჩმ ათორმა (ლნტ., იქვე, 141) „მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია“

ძღვდ შუკუტს ოთრგან ლეჭოჭდ, **მა** ეშნ დესა ხამურჯდა დემე ლიშტმეს (ჩოლ.) „დიდ გზას გაუდგა ოჯახიანად („ოჯახის ყველა წევრიანად“), მაგრამ მაინც არ აპირებდა არსად შესვენებას“...

სვანურში, როგორც მასალამ აჩვენა, **მარა** „მაგრამ“ კავშირი იწყებს ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს მას პირველთან. ზოგჯერ აღნიშნული კავშირი მომდევნო წინადადებას აპირისპირებს სხვა ჯგუფის მაერთებელი კავშირებით შეერთებულ წინადადებებთან:

ლწთი-ლწჰმათეიდ ოჩტადდ ი ჟორა ი ჟულაბ ტიტტულ აჭმას, **მარე** ლეჭმად ხოლა ლემგრხელ ანწთიდ ეჭ ლადედ (ბქ., სვან. ქრესტ., 209) „სამკალ-სათიბად წავედით კვლავ და ჟორა და ჯულაბი ტიტველი თიბავდნენ, მაგრამ სათიბად ხრიოკი ადგილი შეგეხვდა („ცუდი საჭინჭრე“) იმ დღეს“

მან მადდარ გუნდა ლეზი, მან მადნარნ ხუასდ, **მარა** ლომდ ნაქიმურ დარ იშგდახ ლიტესს (ლშხ.) „ხან მშიერს გვიწვედა წასვლა („გექონდა სასვლელი“), ხან მწყურვალიც ვიყავით, მაგრამ უკან ხელცარიელი („ნამატის გარეშე“) არავინ კადრულობდა („კადრულობდნენ“) დაბრუნებას“

მოცქტილს მოცქტილჟი ხოზზგდა, ქტეყანაჟი ლგთიმ ლტაჟარს ხათშგდა, **მარა** ეშნ დემ ოთლიგტ გტი (ჩოლ.) „შუამავალს („მოციქულს“) შუამავალზე უგზავნიდა, ქვეყანაში გამორჩეულ კაცებს არჩევდა, მაგრამ მაინც ვერ მოუღბო გული“...

რამდენიმე წინადადებისგან შემდგარ თანწყობილ წინადადებათაგან ზოგჯერ **მარე** „მაგრამ“ კავშირი შუაში მოქცეულ წინადადებას აკავშირებს და აპირისპირებს პირველთან, ხოლო მისი მომდევნო წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი წინადადების სემანტიკის გაგრძელებაა:

მგრზას ლალ შიბ ათქეცა ი სახშტირ ქტთულარქა ლახჭონენა, **მარე** ეჭლაი ჟახწინენა ი დწჟ ჩ'ოთდაგრა (ლხმ.) „საწყალ მურზას ზონარი გასწყვეტია და შარვალი მუხლებზე შემოჰხვევია, მაგრამ მაინც მორევია და დევი მოუკლავს“

ხტანდ ხოთხელნა, **მარე** დემე მომ ითხე ი ლოშკინპილს ჟ'სსაგან ეშხუ მარა მოჯამაგირდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 389) „ბევრი უძებნია, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა და ბოლოს დაუდგა ერთ კაცს მოჯამაგირედ“

ქ'ესპირეს სგობნე მეზგემი ლიტული, **მა** ჟ'რტდ ენიედრეს აჯახ ფადანსობ ი ქ'ანტდ ოთრგანნ შუკუტს მუსი ლაჭბუტუმ (ჩოლ.) „დააპირეს წინა მოსახლის დაძახება, მაგრამ ისევ გადაიფიქრეს სტუმრობა („შეკრებულობა“) ახმაურება და კვლავ გაუდგნენ გზას თოვლის გაკვალვით“.

როულ თანწყობილ წინადადებებს შორის დაპირისპირებულობას, ხშირ შემთხვევაში, აძლიერებს მარა „მაგრამ“ კავშირთან ერთად ეში||ეში||ეჯღა||ეჯღა „მაინც“ ნაწილაკი, რომელიც ხან უშუალოდ მოსდევს კავშირს, ხან სხვა წევრებით არის კავშირისაგან გათიშული, მაგ.:

შიყი ურწუნად ხტამშაედ მ'ნ მიშგუტი ჭამ, მარე ეში დესამა გულტა (ლშხ.) „თავდაუზოგავად („ზურგის გაუმართავად“) ვმუშაობთ მე და ჩემი ქმარი, მაგრამ მაინც არაფერი გვაქვს“

შიმშ ლწყუფჳს ჳხტაჳ ამირან, მარე ჟი დეშ ახყუიფ ეჯღა (ბქ., იქვე, 214) „ამის ამოდრობას შეეცადა ამირანი, მაგრამ ვერ ამოაძრო მაინც“

ხტაჳიმის ხალმომ მედმედან, მარა ჭიშხმაზგარ დეშ ლოხტრდენ ეში (ჩოლ.) „მივდევი რაც შემეძლო, მაგრამ ფეხმტკივანი ვერ დავეწიე მაინც“

ღარ ესჳმ მისკეთე, მარა ეჯღა ლემოჯმაგარ მარ ქორ-მეზგად (ჩოლ.) „არავინ არაფერს მიკეთებს, მაგრამ მაინც უნდა ვემსახურო ოჯახს („სამოჯამაგირეო მაქვს სახლ-ოჯახისთვის“)“...

პარატაქსულ წინადადებებში ხშირად გამოიყენება მაცალკევებელი კავშირები: ბხ. ეედ – ეედ||ედ – ედ „ან – ან“, ბქ. ხედ – ხედ, ლხმ. ჰედ – ჰედ „ან – ან“, ლშხ., ჩოლ. იეს – იეს||ედს – ედს||ეს – ეს „ხან – ხან“, ლშხ. მაჳ – მაჳ, ჩოლ. მჳჳ – მჳჳ „ხან – ხან“, ბხ. მჳჳ – მჳჳ, ბქ. მჳ – მჳ „ხან – ხან“ ხშირია მათი გამეორების შემთხვევები ხშირია თანწობილი წინადადების ნაწილებში.

მაჳ „ხან“ მაცალკევებელი კავშირი, ძირითადად, განმეორებულად იხმარება და ზოგჯერ მასთან ერთად წარმოდგენილია ი „და“ კავშირიც. ასეთ თანწყობილ წინადადებაში აღნიშნული კავშირი ხან თავშია მოქცეული, ხან წინადადების შუაში, ხან კიდევ მთლიანი წინადადება უსწრებს წინ:

მჳ ბეფშუიმ ლიგუნი ისმიტ, მჳ ზურაღჳშ კილ შეედნიტ (ბქ.) „ხან ბავშვის ტირილი ისმოდა, ხან ქალის კივილი („კივილი ვარდებოდა“)“

მჳ დეცთე ისგდინიტ ლემბჟე, მჳ გიმიშ ლიძტუებს იტდიტ შგტირტშ (ლხმ.) „ხან ცისკენ იყურებოდა გაკვირვებული, ხან მიწის გასკდომას ნატრობდა სირცხვილით“

მჳჳ მაედარ გტჳდა ლეზი, მჳჳ მაფნარხ ხტასდ, მარა ლომდ ნაქიმურ ღარ იშგდახ ლიტესს (ლშხ.) „ხან მშივრებს გვიწევდა წასვლა („გვქონდა წასასვლელი“), ხან მწყურვალე ვიყავით, მაგრამ უკან ხელცარიელი („ნამატის გარეშე“) არავინ კადრულობდა („კადრულობდნენ“) დაბრუნებას“

ამკა ხოლა ლინთუ ხობა ამჩუ, **მან** მუსს ოსლტად **ი მან** ბიქტ გტიტყორე კურხტუნლისა (ჩოლ.) „ასეთი ცუდი ზამთარი იცის აქ, ხან თოვლი წაგვლეკავს ხოლმე, („თოვლს მიყვარო“) და ხან ქარი გვწეწავს („გვიწევს ყინვებში)“

მეს მერტყუელიაჲშუ ალგნძლაჲდა, **მეს** ეჩა ფას დარ ხნდა (ღმს.) „ხან მატყუარათი ლანძღავდა, ხან მისი ფასი არავინ ჰყავდა („ჰქონდა)“

მეს ნაუყებას ხაბრალდა მიჩა ნაგლახაის, **მეს** ლეგლირდას იმზეზდა (ჩოლ.) „ხან მოუცლელობას აბრალებდა თავის სიგლახეს, ხან ავადმყოფობას იმიზეზებდა“...

სვანურში **ჰედ|მედ|ედ** „ან“ კავშირი, ძირითადად, განმეორებით იხმარება (თუმცა გვხვდება ცალკეც) და გულისხმობს თანწყობილი წინადადებების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის არჩევას, ან ერთ-ერთის შესრულების შესაძლებლობას სხვების გამორიცხვით, აღნიშნულ კავშირთან ერთად შესაძლებელია შეგვხვდეს **ი „და“** კავშირიც:

ჰედ თხეროლრე ლეგლრად ისყი, **ჰედ** დაშდტარ ადტრაკატუნეს ცხეკლისგა (ღმს.) „ან მგლების დასაგლეჯად გახდება, ან დათვები დატორავენ ტყეში“

მედ ლაშდაბთე ხელკოლ მიშტა ბუბას **ი მედ** ეშხუდ ღვრდახ ნებოზს კუმაში ლახოლთე (ღმს.) „ან საქმეზე გამოუვლიდა ბიძაჩემს და ან ერთად მიდიოდნენ საღამოს საქონლის დასახვედრად“

ალე ტიშნრე **მედ** მაიდტუმ ანკდენის, **მედ** მახნრა ლენჟოლტუნნეს ქა (ღმს.) „ეს ტილიანები ან შიმშილით ამოწყდებიან, ან მუნი გაიყოლებო“

დემ იცტრე ლეთუმ ლექტემს, **მედ** საბანს იშყუფე ქა (ჩოლ.) „არ იტოვებს დამე ჩასაცემლს, ან საბანს გადაიხდის ხოლმე“

მახტუმის ხოწუგნდა ქორა ლითხტუმი **ი** ლრქტუნსგ მან **ანს** ხნდ ლეჩტმე **ი მედ** იმე ხნდს ლეშდაბ (ბზ., სვან. ქრესტ., 24) „ოჯახის უფროსს უწევდა სახლის მართვა და თქმა, ვის რა ჰქონდა გასაკეთებელი და ან სად ჰქონდათ სამუშაო“...

რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, აქ **ხედი** „ან“ კავშირს ენაცვება სემანტიკით იდენტური **მადე** „ანდა“ ფორმა, რომელსაც, ასევე, წინ შეიძლება **ი „და“** კავშირი უძლოდეს, მაგ.:

ხედი მი ლური, **მადე** სი ადერ ალბრცახან (ბქ.) „ან მე წავალ, ან შენ წადი ამათთან ერთად“

ხედი დშდტუ ადცვრგლისგ **ი მადე** თხერემი ბედიშდ ენსყი (ბქ.) „ან დათვი დაგლეჯს, ან მგლის კერძი გახდება („მგლის ბედისად გაკეთდება)“...

სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **ა „თუ“** მაცალკეებელკავშირიანი პარატაქსული წინადადებები:

გაცხადდ ჩოთთჳიფ Ⴑ ხირტყჳელჳლდ ლჳთაშჳჳლ? (ღჳხ.) „მართლა დაუკარგა, თუ იტყუებით გუშინდელივით?“

ჳენტიხახ კოჯხენჳი ნამდაგარჳას Ⴑ დეამ ანიესნახ სერდეს? (ჩოღ.) „ამო-იტანდნენ კლდიდან მკვდარს, თუ არა იდარდებდნენ?“

აღნიშნული კავშირი თანჳყობილის ნაწილებს კითხვითობის სემანტიკას ანიჭებს.

ქვემოსვანურში ხშირია ქართულის გინდ მაცალკევებელი კავშირის გამოყენება რთული თანჳყობილი წინადადებების დასაკავშირებლად, თუმცა პარაფლელურად გვხვდება საკუთრივ სვანური ჯაკუ „გინდა“ ვარიანტიც:

გინდ ბოღლექჳა ენყიმას თხუმ, **გინდა** სგ'ნთსკინას ლჳშხურთე (ღჳხ.) „გინდ ხიდიდან ჩამოიხრჩოს თავი, გინდა ჩახტეს ცხენისჳყალში“

ლაგჳანთე **გინდა** სი ადერ ნთუარალცახან, **გინდა** მი ოთჳემნი ძინარს სოფლი ხალხს (ჩოღ.) „გასვენებაში გინდა შენ წადი ნათესავებთან ერთად, გინდა მე გავყვები დილას სოფლის ხალხს“

ჯაკუ ლერექჳი ლაყიდ თეთრს ჳნჳდი, **ჯაკუ** ქა ჳუფშჳდე ექსკურსიათე (ღჳხ.) „გინდა ტანსაცმლის საყიდ ფულს მოგცემ, გინდა გაგიშვებ ექსკურსიაზე“

კნჩხჳჳ ჳიშგნბა, **ჯაკუ** ალთას ადე ი **ჯაკუ** ლომტუტახს ხომგრ (ჩოღ.) „კისერიც გიტეხია, გინდა ალთას წადი და გინდა უკანმოუსვლელს ეტკერე“.

პარატაქსულ წინადადებაში უკავშირო შეერთების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. სვანურში ხშირია რამდენიმე თანასწორი წინადადების უკავშირო შეერთების შემთხვევები, მაგ.:

ჩჳნბე ლახმგლს ლი ნენსგალისგა სჳფ, სჳფლისგა ლგ ჳესხ, მიჩა გგრკდიშენ ჩიზგ ლასგჳრა ბაჩნრ ლგვ (ბქ., სვან. ქრესტ., 185) „ქვედა ლახამულაში არის სოფლის მოედანი, მოედანზე დგას ცაცხვი, მის ირგვლივ ყველგან დასაჯდომი ქვებია („დგანან“)"

ქ'ონჳამდ კოჳქა, ხიარ ოშყჳადდ კოჯჩუ, ჳედ გარ ოჩჳადდ ქა, თგმი ანჳად სურუ (ღხმ.) „გამოვედევნეთ კლდეზე, კინაღამ გადავვარდით კლდეზე, ძლივსღა გავედით, ძალიან გაგვიჭირღა („თმენა მოვიღა“)"

დესო ქრისტე ლექჳაშხენ აღმანჳლი, ჳორჳი ხასკჳრენა, ქვეყანას ლგმანჳენანჳლი, დეშმან ლეჳაშხენ აღმანჳლი ქჳეყანანჳ ლანჳენანჳთიხენ (ღნტ., იქვე, 295) „იესო ქრისტე ქვემოღან მოდიოღა თურმე, ჳორზე მჳდარა, ქვეყანას ანაშენი-ანებღა, ეშმაკი ჳემოღან მოდიოღა თურმე ქვეყნის აშენებიღან“

ხოშა ნალაღდ ჭიჭუჭაჟს გჟაჟა ლანხუბ, თბილისს არიხ, ქუთაშ, ხონს (ხოლ.)
„უფრო მეტად ჭიჭუჭავში გეყავს საძმო, თბილისში არიან, ქუთაისში, ხონში“...

სვანურში ხშირად გვხვდება ისეთი პარატაქსული წინადადებები, რომლებიც სამ და მეტ თანასწორ წინადადებას შეიცავს და ამ წინადადებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა კავშირები, თუმცა ზოგჯერ ბოლო წინადადებასთან გვხვდება უკავშირო შეერთების შემთხვევებიც:

დედე დესა ხაშყიდლა ი მიჩა მუს დეშომა ხოჟბენ, **მან** ლაბერგათე აზზგდახ, **მან** ლაფაცხთე აკუნანახ ჟმად (ხოლ.) „დედა არ ახსოვდა, მამამისს კი არასდროს ეცალა, ხან სათოხნელად აგზავნიდნენ, ხან საფარცხავად აგდებდნენ უჭმელად“

შუკუტისგა ესნარილდშე ჩჟე ესთახან მოლაგჟაშე, ლნდბინე ლიბრელ ი ლიქინე, იმახათს ჰინგირ ჟ'ანსიპუნან, ქ'ანშყად, **მარე** ეშხუ ჭიშხ აჟჟენდისგა ლანხად (ბქ., სვან. ქრესტ., 192) „გზაში თურმე ცხენი მოედო რაღაცას, დაიწყო ხტუნაობა და სირბილი, იმახათს უნაგირი შემოუტრიალდა, გადმოვარდა, მაგრამ ერთი ფეხი ავეჯანდში შერჩა“

აშხუ დჟრეჟჟა ეზერ თემ ლემარხ, **მარე** აშხუნდო ჟ'ამხუეტელიხ, ეშხუ მეზგე გარ აშხედელი (ბზ., იქვე, 98) „ერთ დროს კარგი თემი ყოფილან, მაგრამ კარგა ხნის მერე ამოწყვეტილან, მარტო ერთი ოჯახი დარჩენილა“...

რაც შეეხება ზღაპრებს, ვინაიდან აქ გაბმულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ცხრა და მეტი თანასწორი წინადადების შემცველი რთული თანწყობილი წინადადებები სვანურში:

დედჟ ლოქ წიწილს ლანრდი, წიწილს ლოქ ვანჟუს ოთვიდე, ვანჟუ ლოქ ჯირას ათყარ, ჯირა ლოქ შგუნიბს ლანრდი, შგუნიბს ხამს ოთვიდე, ხამ ლოქ ქულას ლანრდი, ქულას ლოქ ჟ'ანშტგრნი, სგა ლოქ ოთკუნენე მიჩა კერძმარა ტიშილს ი ჟი ლოქ ენენე ნიცხენჟი (ლშხ., იქვე, 274) „დედალი წიწილას მომცემსო, წიწილას ჩხიკვს წავუდებო, ჩხიკვი მუხას შეეშვებო, მუხა რკოს მომცემსო, რკოს ღორს წავუდებო, ღორი ჯაგარს მომცემსო, ჯაგარს დავეგრეხო, ჩავუგდებ ჩემ ძმობილ ტილსო და ამოვიყვანო წყლიდან“

ნიც ოხფიშედ ლარას, ლარად ჭემ ლანრმ, ჭემ ფურს ოთვიდ, ფურდ შჟელ ლანრმ, შჟელ ციცჟს ოთვიდ, ციცჟ შდუგჟს ეთყარ, შდუგჟ ჟორმოს ეთყარ, ჟორმოდ ფეტჟ ლანრმ, ფეტჟ დედჟს ოთვიდ, დედჟდ წიწილ ლანრმ, წიწილ ვანჟუს ოთვიდ, ვანჟუ ჯირას ეთყარ, ჯირად შგუნიბ ლანრმ, შგუნიბ ხამს ოთვიდ, ხამემ ქულა ლანრმ, ქულა ჟ'ანშტგრნე ბანრდ ი სგ'ოთკუნარ ნიცთჟესა მიჩა კერძმარა ტიშილს (ლშხ., იქვე, 274) „წყალი მიუშვა მინდორს, მინდორმა თივა მისცა, თივა ძროხას მიუტანა, ძროხამ შრატო მისცა, შრატო კატას წაუღო, კატა თაგვს შეეშვა, თაგვი

ორმოს შეეშვა, ორმომ ფეტვი მისცა, ფეტვი დედალს წაუღო, დედალმა წიწილა მისცა, წიწილა ჩხიკვს მიუტანა, ჩხიკვი მუხას შეეშვა, მუხამ რკო მისცა, რკო ღორს წაუღო, ღორმა ჯაგარი მისცა, ჯაგარი დაგრიხა თოკად და ჩაუგდო წყალში თავის მოყვარე ტილს".

რთულ თანწყობილ წინადადებებში უმეტესწილად ერთიდაიმავე დროისა და კილოს ფორმებია გამოყენებული, ერთი და იმავე მწკრივის, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა ეს იდენტობა დაირღვეს და წინადადების ნაწილებში სხვადასხვა დროის გამომხატველი ზმნა-შემასმენლები შეიძლება დადასტურდეს, მაგ.:

აშხტნ ლეზტბემი ლამწრად თანაშემწე **ადგენეს**, მინ ლათხელთედ **აჩწდხ** (ბზ., სვან. ქრესტ., 146) „ერთხელ საჭმლის მოსამზადებლად თანაშემწე დააყენეს, თვითონ კვლავ საძებნელად წავიდნენ"

ალი **წდკჷიჰ** ა დინად ი **წთგვრან** მიჩა ბაბას (ბქ., იქვე, 157) „ეს გაიგო ამ გოგომ და შეეხვეწა თავის ბაბუას"

ოხტაბე კიბდონ ი **აშმე** ამეისგა ალი ი ამთეისგა მეკდეს **ჩუაჷჷჷჷ** ჩი (იქვე, 226) „გამოუთალა კიდობანი და უკრავს ამაში ეს და ამაში შემოსულს აძინებს ყველას"

მი დოხტურდ **ღური**, ქორს ი ლირდეს **ქა ჷოდი** ი დოხტურიშ ლერეჰტს **ჟი ხტიყდი** (ლშხ., იქვე, 286) „მე ექიმად წავალ, სახლს და ცხოვრებას გავეყიდი და ექიმის ტანსაცმელს ვიყიდი"

დემ **იჩმგდა** ალ ჰყინტ, მარა **ძალა ხაყერ** ი **სგა ეხბგვრანდა** ი **ჩუენნახე** მეჩი მწრე (იქვე, 281) „არ შვრებოდა ეს ბიჭი, მაგრამ დააძალა და დაეჭიდა და წააქცია („მოიტნია ქვეშ“) მოხუცი კაცი"

ალიარდ ლასკნალუმ **ადიეს** ნებრლა ღალე ი **ქრსცჷიეს** ლგჰაჩქა ლახხოტიდ (ჩოლ.) „ამათმა ხტუნვით წაიდეს ჩიტის ფრთა და მოუსვეს ჭრილობაზე მოსარჩენად"

ძინარჷნლო **ხეჰაბნიელ** მგთრწლას, მარა მგჰაფ ნებოზს მუშგჷრალცახან **ლეფთგრე** (ჩოლ.) „დილიდან თავს არიდებს მსმელებს, მაგრამ სამაგიეროდ საღამოს დაღევს სტუმრებთან ერთად".

თანწყობილი წინადადებების ნაწილებს მოეპოვებათ საერთო სიტყვა, რომელიც წარმოდგენილია პირველ ნაწილში, მეორეში კი გამოტოვებულია და იგულისხმება იმავე ან სხვა წევრად:

დაფის მორსაღე მღშდემიმღ ალ მორსალ შგყ ლეჟა ლოხმნდა ი ლაყერუმ
ოხტუნრა ყრქა (ღშხ.) „დაფის ნამცეცების შემყრელისთვის ეს ნამცეცები ზურგ-
ზე მიყურია და ცემით გამოუგდია კარში“

ხეფრებლდახ ლალ **გიგალუ** ლამბაშლას ი ღწრბათს ხეგწრალდახ ალიარე ხოჩამღ
ლირდეს (ხოღ.) „ეფერებოდნენ მამიდები შვილიშვილებს და ღმერთს ევედრე-
ბოდნენ მათ კარგად ყოფნას“.

თუმცა არის შემთხვევები, როცა აღნიშნული საერთო წევრი მეორე წინა-
დადებაშიც მეორდება:

ალე ხმალი ლიხტიე მეჟარ ხახდაღწნდა ი ლასი ეზარ **ალ ხმალი** (ღშხ., სვან.
ქრესტ., 275) „ამ ხმლის წილად ხვდომა („ხვედრება“) ძალიან უხაროდა და
კარგიც იყო ეს ხმალი“

ესრენიმ ლემარ შტეჟმაზგარ **დაშტუ** ი ქახოლუძა **დაშტუს** ბესოიშხო (ღწტ.,
იქვე, 307) „თურმე ყოფილა კბილმტკივანი დათვი და გამოქცეულა დათვი
ბესოსკენ“

ღინა-გეზღორ გარ ლემოდან ი ჟი ალე **ღინაგეზღორღ** ემზნანეს (ხოღ.)
გოგოები მარტო შემეძინა და მოვლითაც ამ გოგოებმა მომიარეს“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის პარატაქსულ წინადა-
დებებში საკავშირებელ საშუალებად, ძირითადად, გამოიყენება ი „და“ მაჯგუფე-
ბელი კავშირი, რომელიც ხშირად ითავსებს მაპირისპირებელი კავშირის ფუნქ-
ციასაც, ვინაიდან „კი“ და „ხოლო“ კავშირები სვანურში თანწყობილ წინადადე-
ბაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან ი „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვ-
ლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამო-
იხატება. თუმცა აღნიშნული კავშირი არ დაისმის თანწყობილის რომელიმე
წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „კი“ კავშირს ახასიათებს, არა-
მედ სწორედ ისე იქცევა, როგორც ი „და“ კავშირი და მაერთებელი კავშირის
ადგილას გვხვდება. სვანურ პარატაქსულ წინადადებაში კი კავშირის ფუნქციით
გამოიყენება **გინ-** ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის
დამახასიათებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ
ექსპრესიულობას ჰმატებს. სვანურში, სევე, ხშირია მაცალკეებელ კავშირებთან
ი „და“ კავშირის ხმარების შემთხვევებიც, მსგავსი მოვლენა დასტურდება
ქართულშიც, თუმცა არა ასეთი ინტენსივობით.

სვანურ ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც
ფორმალურად ი „და“, კავშირიანი პარატაქსული წინადადების მსგავსია,

ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი და, შესაბამისად, თანწყობილ წინადადებად არ განიხილება, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას და არც ი არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. იგი ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველია.

§ 23. განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსისათვის სვანურში.
დამოკიდებული წინადადებების ერთი ჯგუფი ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს და, შესაბამისად, დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია და სახელდებაც ამ წევრთა იდენტურია, განსხვავებით მეორე ჯგუფისაგან (სხვა სახის დამოკიდებული წინადადებანი), რომელთა სინტაქსური ფუნქციაც არ შეესაბამება წინადადების წევრებს.

წევრთა შესაბამისი დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, მის მიერ ასახსნელი წევრის კითხვაზე პასუხობს.

ნაშრომში განვიხილავთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში სახელთ გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს აღნიშნულ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარს. მაგ.:

გაცხჷდღ, ამჷ'სგა მჷდ ჳრია ეჯი დიწ'ჷ, ხედჷჷჷდი ლათხჷლს მინს ხჷრხ დეჷდსემი ჳჷჷ (ბზ., სვან. ქრესტ., 169,31) „მართლაც, ამაში არ არის ის გოგო, ე, რომლის ძებნაშიც მათ ცამეტი წელი გაატარეს“

კალთჷთეთესგა ხოდისგ მურგჷჷლ მანჷთს, ხედჷჷჷდს ხაჷხა ცხჷიმიჷ მგჷჷჷჷ ი ჭა ხაჷჷდი ჭიქ გჷჷჷში ჳრჷჷს (ბქ., იქვე, 175,2) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს, რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა არაყს“

ეჩეჩუ ორდი ეჷკაი მეგემ, ხედსი თხუმ ლგაკჷულე ხჷრი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 36,7) „იქ იქნება ისეთი ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება“

მელჷხჷთიჷ ხაჷხა ეჯ მარას, ხედჷჷჷდ ლჷჷხლოი სკჷებინ ჩემიჷდ ხუნკჷთი (ლნტ., იქვე, 76,1) „შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, რომელიც პირველი შეგხვდება წინ“

მეზჷბელდ ეჷკჷჷ მჷდენა ლახსაჷჷდრე, მჷჷ მიჩჷნის გარ ხოხნლდა (ჩოლ.) „მეზობელმა იმისთანა რაღაცა წამოაძახა, რაც მხოლოდ მისიანმა იცოდა“...

ქართველურ ენებში განსახილველი დამოკიდებული წინადადება არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება“, რაც, არნ. ჩიქობავას აზრით, სავსებით გასაგებია, ვინაიდან „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული წინადადება ქართულშიც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს (49, 184). ნაწილობრივ მსგავსი ვითარებაა სვანურშიც, თუმცა ამ მხრივ ზემოსვანურსა და ქვემოსვანურ დიალექტებს შორისაც არსებითი სხვაობა შეინიშნება.

როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. განსხვავებაა თვით ზემოსვანურ დიალექტებს შორისაც. უნდა ითქვას, რომ **ხედუმა** „რომელიც“ წევრ-კავშირის გამოყენებას დამოკიდებულ წინადადებაში ბალსქვემოური აშკარად თავს არიდებს (იშვიათად გამოყენებისას კი უნაწილაკოდ გამოხატავს მიმართებითობას), რითაც იგი მკვეთრად ემიჯნება სხვა დიალექტებს, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებასაც, სადაც დასახელებული წევრ-კავშირი გაბატონებულია:

მი ეჭვალბ ჰუმ მირდა, **ხედი** სამ ზაჟ ხეკუეს ერე ჟ'ოხტინგლოჟა (ბქ.) „მე ისეთი მეუღლე მყავდა, რომელიც სამი წელი უნდა ვიგლოვო“

მგლქუერის ესერ ალ ნალჟუჟურ ეჯ ჟისგხენქ'ესერ ახწესენა, **ხედი** ესერ ლგლჰანთედსგა ომშყედელი (ბქ.) „მეწისქვილეს ეს ვაჟი იმ ვაშლისგან ეყოლაო, რომელიც რუში ჩავარდაო“ და სხვ.

თუმცა სვანური ენის ქრესტომატიასა და პროზაულ ტექსტებში ნაწილაკდართული **ხედუმა** წევრ-კავშირის გამოყენების იშვიათი შემთხვევები ბალსქვემოურშიც დადასტურდა. ესენია::

კალთაძეთედსგა ხოდისგ მურგუშულ მანანთს, **ხედუმა**ს ხაჟხა ცხტიმიშ მგქაფ ი ქა ხაჰტლი ჭიქ გუეში არანყს (ბქ., სვან. ქრესტ., 175) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს, რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა არაყს“

ეჯ უსგარ ჩუაჟ ოხშიდ, **ხედუმა** ესერ ლგცთ'აშყეს, ეჯი ნომოჟ ანკიდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 55,34) „ის ვაშლები ჩამოყარეო, რომელიც წყალში ჩაიყრება, ის არ აიღოო“

ნიშნდ ეჯი ბადლჟ ლახთონე, **ხედუმა**თე ჯი გატს შიდა (იქვე, 44,32) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“.

„საითკენაც“, **შომა|შომნა||შომტნა||შომატნა||შომას||შომასნ** „როცა“ და მაქვემდებარებელი კავშირი – **ერეერე** „რომ“...

სანიმუშოდ დაგასახელოთ რამდენიმე მაგალითი:

მაჩნენ ნაკუარტ **ემტნაშ** ლსტუ, ქა მესრე ეჯ კათ ლსტუ ი ლესრა ჰარაყ ხნდ ლეყდი (ბზ., სვან. ქრესტ., 35,25) „ყველაზე კარგი ნასროლი ვისიც იყო, გამარჯვებულისც ის ხალხი იყო და წაგებულს არაყი უნდა ეყიდა“

მეტნაშტა ესერ მიჩემდ პტტუ ხადენა, **ერთან** ესერ მიჩა გეზალსნ ტრუ ესდე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 274,3) „როგორ პატივშიც შენ მყავდიო, ისეთი პატივი ჩემს შვილსაც ეციო“

მინე ქორს ესერ ეჯკალიბ კტამუ ესრზის ლეზგერჟინ, **იმტნაყი** ალ ი ალ ლგფმირ მეზგ'ესრზი! (ბზ., სვან. ქრესტ., 28,20) „თქვენს სახლს იმისთანა კვამლი აუვიდეს სახურავზე, როგორც ამა და ამ მრავალრიცხოვან ოჯახს ასდის!“

შუკტუი ალ დნტ ლახხტიდდახ, ა, **ერთად||ერთნად** მინე მუ ადდატშე (ბქ.) „გზაში ეს დევი შეხვდათ, აი, ვინც მათი მამა დაღუპა“

მიშტა დედედ ემტნანას ეჯი ლტთილნარ, **მნა** ლტთარ ოთრუტხტას (ჩოლ.) „დედაჩემმა დამატიროს ის დღეები, რომელი დღეებიც გავათენე“

ეჩნლო ანვად ეჯი ჰყინტ ი ჩტადგე ეტკაიბ ქორალ, **იმკაიბნ** მეფესნ მრ ხულტან (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 71,21) „მერე მოვიდა ის ბიჭი და ააშენა იმისთანა სახლი, როგორიც მეფესაც არ ჰქონდა“

ჟოშა ჟედ ლოქ ალ წერექტს ხაბდენა, ეჩშელდ ზაჟუ ლოქ ხარი უმზიგარად! (იქვე, 38,13) „რამდენი წვეთიც ამ თომს დასხმია, იმდენი წელი გეცოცხლოსო ტკივილის გარეშე“

დეშმნ ლეჟაშხენ აღმზლი ქტეყანა ლშენატიხენ, **ხედტნა** კერეტნაყი ხსკურენა (ლნტ., სვან. ქრესტ., 295,36) „ეშმა ზემო მხრიდან ბრუნდებოდა თურმე ქვეყნის აყვავებიდან, რომელიც ზღაპრულ ტახტზე მჯდარა“

საქართულოღსა დემე არი ჯინიხდ ამზუმ პდგილჟი, **მაზუმტნა** ლენტეხას (იქვე, 290) „საქართველოში არსად არის ერთად იმდენი ხე-ტყე, რამდენიც ლენტეხში“

ეჯშელდს აჯტიხუნის ეჯნ ლომტ, **მახტნაშტნა||მახტნა** ხაგდგნხ ისგტეარს (ჩოლ.) „იმდენს დაგაბრუნებინებთ ისიც უკან, რამდენიც თქვენებს ემართათ“ და ა. შ.

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში წევრ-კავშირებად იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიხედები. მაგ.:

აჩად, იმგუა ითხტარ, ეჯ ვდგილთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 102,9) „წავიდა, სადაც ნადირობს, იმ ადგილას"

ეშიეში ეჯი ლეცხეკს ლახნგან, იმეა დესა ითხროლ გუიჯრა (ლშხ.) „მინცდამინც იმ ტყეს მიადგა, სადაც არ იშოვებოდა წაბლის ხე"

ეჩქას ჭიმკარ ღერის ლოქ ჯოდიან ლახტარხო, ეჭკალი ვგიხო, იმანჩუ მარე დემ სიპ (ლნტ., იქვე, 70,29) „მაშინ ჭინკები წავლენო ხოლმე შორეულ მთაში, ისეთ ადგილას, სადაც ადამიანის ნასახი არ არის"

შომაჟანა მაშენე მაწგხ თეთრ, ეჯ ზაა მეყრენი ჩინენ კუანტ (ჩოლ.) „როცა ყველაზე მეტად მჭირდება ფული, იმ წელს მემართება ყველა მხრიდან ცუდი"

ხალმოშ ესჭომდახ 'ეჯი' ქორთე, ბეფში ლიკილი იმხენი ისმოლ (ჩოლ.) „ჩქარა გარბოდნენ იმ სახლისკენ, ბავშვის კვილი საიდანაც ისმოდა"...

განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ქვეწყობილის მთავარ წინადადებაში მისათითებელ სიტყვებად გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც საზღვრული წევრის თანხლებით დასტურდება: ეჯი|ეჯ|ეა|ეჩი|ეც „ის, ამ", ალე|ალა|ალ „ეს, ამ", ეჯკაა|ეჯკაა|ეჯკალი|ეჯკალი|ეკალი|ეკალი|ეჯ-გუარ|ეჯგუარ|ეჯთან|ეჯჟიში|ენთან „ისეთი, იმისთანა", ეჯიმა|ეჯიმგ|ეჯმაგ „იმდენი", ეჯზუ|ეჯზუმი|ერზუმი|ეჯზუმში|ეჯშელდ|ერშელდ „იმდენი, იმხელა":

სგა ლახხტინდხ ალ მარა, ხედტანან მიჯნემ ალ გუმე პნთონე ი ლოხბინე ამნემ ლილტუჭარალ (ბზ., იქვე, 224,27) „შეხვდნენ ამ კაცს, რომლისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა და დაუწყო ამან ვაჭრობა"

ხედტანა ფეკუნა ლიცს ჟელშალ ფეთრე, ეჯ ფეკუნას ჩუადგარი, ხედტანა ერე მანგარშალ ფეთრე, ერის (ეცს) ჩუ იცურე ი ჟი ირდი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 80,4) „რომელი ბოკვერიც|ლეკვიც წყალს ძაღლივით სვამს, იმ ლეკვს კლავს, რომელიც საქონელივით სვამს, იმას იტოვებს და ზრდის"

საქმე გარჩეათე ხეთხელიხ ეჯკაა მარას, ერე ხედისი ერე სისწორე ხოხალ, იშგენ — დესმა (ჩოლ.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია, სხვა — არაფერი"

ეჯზუმში გიმარ გულტა შთანს, ერე დესა ხტიდ ქა მუცურე (ჩოლ.) „იმხელა მიწები გვაქვს სვანეთში, რომ არ ვაპირებთ მიტოვებას"

ეჯჟიშ ხილ ანღრდა ეჩეჩუ, ხედტანა დალს დემეგ..., ეჯ ხილი გამი ჩუ მაშყიდ, ათხეა ჩუ მაშყიდ ეჯ ხილიშ გამ (კოდ. ტექსტ.) „ისეთი ხილი ხარობდა იქ, რომელიც კოდორის ხეობაში არ {ხარობდა}..., იმ ხილის გემოც მახსოვს, ახლაც მახსოვს იმ ხილის გემო"

ქუეყანაჲი დნრ იზბი **ეჯიმაგ ნაქსმ ბალხარს, მძაზუმსტუა** შტანარ თერხ ი იზბის (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 247,23) „ქუეყანაჲი არავინ ჭამს იმდენ გარეულ ბალახს, რამდენსაც სვანები ცნობენ და ჭამენ" და ა. შ.

სვანურში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარ წინადადებაში არაა წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ნაცვალსახელები, რომელთაც კორელაციის ფუნქცია აქვთ, თუმცა ისინი იგულისხმება და მათი აღდგენა კონტექსტის მეშვეობით სავსებით შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება განმარტავს, განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემულ რომელიმე წევრს, რომელსაც საზღვრული წევრის ფუნქცია აქვს:

ახგანს სვა **ეჯ** მეზგალს, **ხედუა** ხეზგახ დაბდერს ჰოკერქა (ბზ., იქვე, 33,20) „მიადგენ {იმ} ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დაბდერის ძირას"

მიშლადლ ქსნტლტაჭრედ ქალქისვა **ეჯზუმ** ჩაფელ ი ბარდან, **მაზუმტუა** ძს ნაწხენ (იქვე, 80,26) „კვირას ვიყიდეთ ქალაქში იმდენი ფესხაცმელი და ქსოვილი, რამდენიც გვჭირდებოდა"

ეჯ ზექროლ ლოქ, **ხედუა**სა ლგმარდელის, ჩუ ლოქ ამეხტერ (ლნტ., იქვე, 323,19) „{ის} ხის სახლიო, რომელშიც ყოფილან, დაინგრაო" ...

სვანურის დიალექტებში განსახილველ ჰიპოტაქსურ წინადადებაში, უმეტესწილად, გამოიყენება **ხედ** (ლშხ., ჩოლ.)/**ხედახედი** (ბქ.)/**ხედუა** (ბზ., ჩოლ.)/**ხედიუა** (ჩოლ.)/**ხედუა** (ლნტ., ლხმ.)/**ხედუა** (ლშხ., ჩოლ.) „რომელიც" მიმართები ნაცვალსახელი, ძირითადად, მაშინ, როცა მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს, ან იგულისხმება **ეჯიქეჯიქე** „ის, ამ", **აღეაღაღ** „ეს, ამ" ჩვენებითი ნაცვალსახელები (ბალსქემოურსა და ლახამულურ კილოკავში იშვიათად):

ამჩიქქა **ეჯ** მნრე ანვად, ე, **ხედუა**დ ბაპ ამჩუ აცტორ ი ხწქტ ბერალს (ბზ., იქვე, 354,29) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა"

ნიშნდ **ეჯი** ბადლტ ლახთონე, **ხედუათე** ჯი გატს შიდა (იქვე, 44,32) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა"

ხოლამდ ლოქ ხახლახ **ეჯ** ტოჯახს, **ხედიხენქა** აგის ერ ასდენი, ჟი ლოქ აყრეხ (ლშხ., იქვე, 75,30) „ცუდად ექცევიანო იმ ოჯახს, რომელი ოჯახიდანაც შინ რომ დარჩება {ვინმე}, გადაასახლებენო"

ალ სოფელალ, **ხედუა** სკუტებნატ ალშელდნენდ, მავ ემხუ საზოგადოებახოდსკა ასხგრახ (ლნტ., იქვე, 11,6) „ეს სოფლები, რომლებიც წელან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ"

ქმა ალ დინად ოთტიხ ღომტ ნიშან, **ხელიდნ** ოთბელტაჟე ლეჩჷგრი (ჩოლ.) „დაბრუნებითაც ამ გოგომ დაუბრუნა უკან ნიშანი, რომელმაც დაუწუნა სასიძო“.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემოსვანურში იშვიათად მიემართება **ექკაი** „ისეთი“ კორელატის შემცველ მთავარ წინადადებასაც:

ეჩეჟუ ორდი **ექკაჲ მეგემ, ხელსნ** თხუმ ლგკანკულე ხერი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 36,7) „იქ იქნება იმისთანა ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება“

ექკალი (**ექკალი**) მეგამარს გარ იმაჯახ, **ხელჷჲჲ** ლიც ხენწროლ ი ლაცურატუმ აესდა (ლნტ., იქვე, 25,31) „ისეთ ხეებს ეზიდებოდნენ მხოლოდ, რომელსაც წყალი ერეოდა და მიაცურებდა“ და სხვ.

განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში **ხელი** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით გვხვდება. დავასახელოთ მაგალითები:

სახ. ბრ.: ქანგანდ ეჯი მარე, **ხელი||ხელჷჲჲ** სგობინ ხოჟოლტდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მიუძლოდათ“

მოთხრ. ბრ.: შუკჷჷჷნ ალ დანჷ ლახხტიდნ-ა, **ხელჷჲჲანჷმ** მინე მუ ადღანჷმჷ (ბზ., 407,6) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც მათი მამა დაღუპა“

მიც. ბრ.: უქმი მუკჷჷმე მეზგე ... ქა ივლა ზედმეტს აედ ლაძმას, აედ ეშხუ საწურთან არაყს, **ხელისნ** ქანჷჷმნახ ლეთუნად ჩის (ლშხ., სვან. ქრესტ., 244,2) „უქმე დღეების გამტეხი ოჯახი იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარეჟა არაყს, რომელსაც ჩამოატარებდნენ და ყველას შესთავაზებდნენ ხოლმე“

ნათ. ბრ.: ქანტჷლუხ მარას, **ხელიმიშ** ხოშა ხაჯრატჷნ (ჩოლ.) „დაუძახეს იმ კაცს, რომლისაც უფრო სჯეროდა“...

ხშირად დასახელებული მიმართებითი ნაცვალსახელი გვევლინება თანდებულდართული, ვინაიდან იგი ხსნის მთავარში თანდებულიან საზღვრულს, თუმცა იშვიათად საზღვრული შეიძლება არ იყოს თანდებულიანი. მაგ.:

სგ'ანდ **ეჯ ქორთესგა, ხელჷჲჲათესგა** ხელწიფ ლასჷ მჷზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 220,33) „იმ სახლში შევიდა, რომელშიც ხელმწიფე უნდა შესულიყო“

ბიქჷ **ხელჷჲჲანჷნ** მომ'ანლრი, **ეჯ ფოყხან** ხომამ ჯრდი ჰერს დესგის ითქიმ ი ტევი ლწყულად (ბზ., სვან. ქრესტ., 119,27) „საიდანაც ქარი არ შემოდის, იმ მხრიდან უზარმაზარ გრძელ ფიცარს დებენ მარცვლის და ბზის გასაყოფად“

ნიშნად **ეჯი** ბაღლჷ ლახთონე, **ხელჷჲჲათე** ჯი გატს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ეჭ მურყუამი, ე, **ხედუწახსა** სგა ლწხსაჲ მარე ი თათრალდ ლალუმ ოხდებ, ლაჲდნ ზუ ლგ ლახრი ლექჷჲ პილს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1,23) „ის კოშკი, ე, რომელ- შიც კაცი შერჩა და თათრებმა ნადმი შეუდეს, დღესაც დგას ლახირის ბოლოს“...

სხვადასხვა ბრუნვის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს **მანუმინ||მანუმჷნა||მან- ზუმჷნა||მანუმინ||მანუმინ** „რამდენიც, რამხელაც“ **ჟოშაჲ||ჟოშჷნა||ოშა** „რამდენიც“ მიმართები ნაცვალსახელები, რომელთა გამოყენების თვალსაზრისით თითქმის ერთნაირი სურათი გვაქვს სვანურის ყველა დიალექტში:

მანუმჷნა ხეკუბღბ ღჷინაჲლ, **ეჩზუმს** ვიდახ ქამენჩჷნ (იქვე, 82) „რამდენიც უნდოდათ ღვინო, იმდენი გამოჰქონდათ გარეთ “

ეჩანლო **ეჯზუმ** ხეკუბღს ალაქუცად ზუქანქა, **მანუმჷნაჲ** ლალათერდ ფაყუმაქდ (ბზ., იქვე, 32,23) „მერე იმდენი უნდა მოვაჭრათ ქვემოდან, რამდენსაც შევატყობთ საქუდედ“

კირი მგგნალა **მანუმინ** ხუაჲს აჩღნინის კირი თგქს, **ეჯზუმჷნა** ხოშა წიად თგქ ხეფსი (ღშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 177,19) „კირის დამყენებლები რამდენსაც უფრო ზელდნენ კირის დუღაბს, იმდენად უფრო კარგი დუღაბი გამოდიოდა“

ჟოშჷნა ღენ ქუნ ამსტალდ ქორს ჟეყენოლ, ქა ხექტინინ მორგატას ი **ეჩშელდ** დერუ სეფსკუტერს ი ხუნსგა ჩარექაჲ ლეთრას ლაჯროდნა ი ათდესინ აგითე (იქვე, 10,4) „რამდენი ადამიანიც გეყოლებოდა ოჯახში, ეტყოდი ჩამომრიგებლებს და იმდენ ორ სეფისკვერს და ნახევარ ჩარექა სასმელს მოგცემდა და წაიდებდი სახლში“

ფურალე ლისეღლჷე **ჟოშაჲშ** ხამედახ, **ეჩშელდს** გარ ირღუნებ (ღშხ., სვან. ქრესტ., 265) „რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ“

ალ მურყუამთეჟი **ჟოშჷნად** მოშ მარე ხასკგდა, **ეჩშელდს** ჟი ღგრიხ... (იქვე, 215,14) „ამ კოშკზე რამდენი კაციც ეტეოდა, იმდენი ავლენ“

კარტოფილი ფათქს აბგრჯახ **ეჯზუმს**, **მანუმჷნაჲ** ხებჷანხ ქა მარად (ჩოლ.) „კარტოფილის ორმოს თხრიდნენ იმხელას, რამხელაც სამყოფად მიაჩნდათ“

მანუმჷნადღი მარემი ქტინ ხოჯემხ, ეჯზუმს იშგოხ წორსნ (ჩოლ.) „რამდენადაც უღირთ კაცის სული, იმდენს ითხოვენ სისხლის საფასურსაც“

ჟოშასნ ლემედნა, ეჯშელდ მემოკ გატს ხაცჷემდა ჟი (ჩოლ.) „რამდენსაც შეძლებდა, იმდენ ტომარა ქატოს აჰკიდებდა ხოლმე“ და სხვ.

მიმართებითი ნაცვალსახელების (ასევე, მიმართებითი ზმნიზედების) ფუნქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ მაქვემდებარებელ კავშირთა ფუნქციით, ისინი დამოკიდებული წინადადების წევრებსაც

წარმოადგენენ და, ამასთანავე, სინტაქსურ კავშირს ამყარებენ წინადადების სხვა წევრებთან.

წევრ-კავშირად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაგმას ქმნის ზმნა-შემასმენელთან და მასვე უწევს ანგარიშს ბრუნვაში (ანუ იმართვის ბრუნვაში დამოკიდებული შემასმენლის მიერ). მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაქსურ კავშირშია, ასევე, მისამართ სიტყვასთან, მიმართებითი ნაცვალსახელი კი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი. აღნიშნული სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და ამავე დროს სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და შესაბამისად მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

აღნიშნული სინტაქსური ურთიერთობის შესახებ სვანურში სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული იყო ნ. აბესაძის მოსაზრება, რომ სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს და ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხი მოხსნილია. რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის... (1, 115-145).

როგორც ცნობილია, მკვლევრის ამ მოსაზრებას შემდგომში არა ერთი მეცნიერი (არ. მარტიროსოვი, ლ. კვანტალიანი, ა. კიზირია...) იმეორებდა, თუმცა სვანური მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალის კვლევამ აჩვენა, რომ მიმართებით ნაცვალსახელებს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება მრავლობითი რიცხვი ექვსივე ბრუნვაში. მათ შორის ბალსქვემოურ დიალექტებშიც კი, სადაც იშვიათობაა ხედუა „რომელიც“ წევრ-კავშირი, თუმცა ბალსქვემოური მიმართებითობას უნაწილაკოდ გამოხატავს.

დიალექტურ მასალაზე დაყრდნობით ვაჩვენებთ, როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმება.

თუ მთავარ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით განსასახლვრი სახელი მხოლოდით რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდითშია:

ათხ'ამეჩუნ ანწაღ **ალ ჭყინტ, ხედუწა** ერე ლი მიჩა გეზლჷ ჭწმ ი ქ'რხონბტე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 219,24) „ახლა ადგა ეს ბიჭი, რომელიც არის მისი შვილის მეუღლე და მოუყვა“

ალ ლაგუწმისკა არი ეშხუ **ჟოქჟრე ხანტ, ხედუწახა** ხახატაჟა იესო ქრისტე ი მიქელ გაბრიელ თაჟარანგელოზან (ბზ., სვან. ქრესტ., 295) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები“

ეჯკალიბ პპტიჟ ხწყერ, მწკალიბ ჟწრგს ხეშგდიჟ (ბქ.) „იმისთანა პატივი სცა, როგორიც ბატონს ეკადრებოდა“

ეჭკა ლეზობ ანმარე, **მაკაიბი** ხამქადგნ ნამგზწრაჟ ლჟაჟარდ (ჩოლ.) „ისეთი საჭმელი გაამზადა, როგორიც ემეტებოდა ნამგზავრი კაცებისთვის“ და სხვ.

თუ განსასახლვრი სახელი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია და მრავლობით რიცხვში გვაქვს, მაშინ მრავლობითში ჩადგება მიმართებითი ნაცვალსახელიც სვანურის თითქმის ყველა დიალექტში. მართალია, გამოქვეყნებულ სვანურ ტექსტებში მსგავსი მაგალითები რამდენიმე დადასტურდა, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში სხვა იშვიათი ნიმუშები მაინც დაფიქსირდა:

აჩად ღემღტ **ეჯი დავლართე, ხედიარბ** თხწრედ ხათონე (ლშხ.) „წავიდა დათვი იმ თხებთან, რომლებიც მგელმა მიასწავლა“

ჩ'ოსწტენ **კოჭოლ ბოფშინლარ, ხედაწრსი** ნაქტთარ ჟისკულარ ხოყდწწწწ (ჩოლ.) „დავინახე პატარა ბავშვები, რომლებსაც მოპარული ვაშლები ეჭირათ“

ხოჩა **სიმაქწარ** ი **მწხედჟაჟწარ, ხედოლუ** ხომილ თერგნხ სოფელისგა, მწგ ლეწსე ლწსტხ ქტერწილთე (ბქ.) „კარგი გოგო-ბიჭები, რომლებიც უფრო გამოირჩეოდნენ სოფელში, ყველანი დაპატიჟებული იყვნენ ქორწილში“

ხოჩა ჳანწარ, **ხედოლუ** ხომა თაჟწარ ლიხ, ღემგმაჟ აგნეხ მაჰენ ჳანილდწარს (ლხმ.) „კარგი ხარები, რომლებიც მთავარი არიან, უკან აყენებენ უმცროს ხარებს“...

სვანურის ყველა დიალექტში, თუ უსულო საგნის აღმნიშვნელი განსასახლვრი წევრი მრავლობითშია, მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლოდითში იქნება:

ამჟინ ახჰიმხ **ეჰ მეზგაწლს**, ე, **ხედუწაძანქა** ნაქუთარ ბარე ხულტუხ (ბზ. სვან. ქრესტ., 19,1) „ასე დაყვებიან იმ ოჯახებს, ე, საიდანაც მოპარული ნივთები აქვთ“

ჩუადგე **ეჰკაიბ ქორალ**, **იმკაიბი** მეფესი მრ ხულტუნ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 71) „მერე მოვიდა ის ბიჭი და ააშენა იმისთანა სახლი, როგორც მეფესაც არ ჰქონდა“

ალ სოფელაწლ, **ხედუწა** სკუებნათ აღშელდანედ, მავ ემხუ საზოგადოებახოძსკა ასხერდახ (ლნტ., იქვე, 11,6) „ეს სოფლები, რომლებიც წედან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ“ ...

დასტურდება შემთხვევები, როდესაც უსულო საგნით გამოხატული განსასაზღვრი წევრი რიცხვში ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს:

ამჟი ახჰიმდახ **ეჰ მეზგოლს**, **ხედოლუხენქა** მოლაგუაშ ენჰინდახ (ბქ.) „ასე მოყვებოდნენ იმ ოჯახებს, რომლებსგანაც რაღაცას მოელოდნენ“

ქა ლეცურე ხნდახ **ეჰ სოფლარ**, **ხედარსი** ჟაფობ ხენტუტებ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზეგვიანობა ემუქრება“

ქა ტგხე **ეჰ ნაგერგაწლარს**, **ხედარუში** ემხუნარ ხარცხუე ხალხს (ჩოლ.) „გაამხელს იმ ნაღაპარაკეგებს, რომლითაც ერთმანეთს მიაწყვეტს ხალხს“...

როდესაც მთავარ წინადადებაში განსასაზღვრ წევრს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (**ხუნა** „ბევრი“, **მანხუნა** „ცოტაოდენი“, **ქუეყანა** „უამრავი“, **ქოყანამაგ** „მრავალი“...), ძველი ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლოდობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო სვანური მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის მრავლობით რიცხვში იქნება:

ჩ'ოსწუტენ **ქოყანამაგ ბოფშარ**, **ხედარსი** ნაქუთარ ჟისკულარ ხოყდანანხ (ჩოლ.) „დავინახე უამრავი ბავშვები, რომელთაც მოპარული ვაშლები ეჭირათ“

ამჟუდლუდახ **მანხუნა ზურლალ**, **ხედარდუწა** ოთბაცეხ მანკუტი ლიმურჯი (ჩოლ.) „რამდენიმე ქალი რეცხავდა, რომლებიც შეპირდნენ პირველად დახმარებას“

ჟი ლუხურე ლას **ხუნა ზურალ**, **ხედარდი** ხოლა მნმან ანსყეხ (ჩოლ.) „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ხმაური ატეხეს“.

ბალსქვემოური ამ შემთხვევაშიც არღვევს რიცხვში შეთანხმების საკითხს [შდრ. ბქ. ჟი ლუნჰურე ლასუხ **მასარდ ზურალარ**, **ერჟად** ხერმე სობ ანსყეხ „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს“.

ხშირად განსასაზღვრი წვერი კომპოზიტს (ე. წ. ტოლადშერწემულ სახელს) წარმოადგენს, ამ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვი დაბილურია: ხან მრავლობითშია, ხანაც – მხოლოდით რიცხვში:

მაგ ხეტბიდალ ეჯი ასჟიმ-ნიბაშილს, ხედიარნ ნათი-მენათას ხედლებს (ლშხ.) „ყველა ეფერება იმ გათხოვილ ქალებს და მათ შვილებს, რომლებიც ნათესაობის სახელზე ლოცულობენ“

არდახ ეშხუ მეჩი ეხჟ-ჭაშ, ხედუაშ მინე ბედჟი მადმა ხებადაუნდახ ეშხუ ქათალსერ (ლნტ., სვან. ქრესტ., 328,34) „იყვენ ერთი ცოლ-ქმარი, რომელთაც ერთი ქათმის მეტი არაფერი გააჩნდათ“

ჟი ლოქ ახითხ გუშჟე დედე ი მამა, ხედუაშდ ერე ნა მაშენე კლათხი სემი კოჯინ ატუტირხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 305,1) „მოძებნეო ჩვენი დედა და მამა, ვინც ჩვენ ყველაზე მაღალ სამ კლდეზე დაგვტოვა“

ლახმუშგურენახ ეჯ დი-გეზალ, ხედიარსუაშდ ლოშინ ხალხ ხაჭმა (ჩოლ.) „ესტუმრათ თურმე ის დედა-შვილი, რომელთაც უკან ხალხი მოყვებოდათ“.

განსაზღვრებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი არ შემოიფარგლება მხოლოდ კავშირის ფუნქციით, ის შეიძლება წინადადების სხვადასხვა წვერის ფუნქციით მოგვევლინოს, ყველაზე ხშირად ქვემდებარისა და უბრალო დამატების ფუნქციით დასტურდება:

ქვემდებარის ფუნქციით:

ათხ'ამეჩუნ ანვად ალ ჭყინტ, ხედუაშდ ერე ლი მიჩა გეზლა ჭაშ ი ქ'რხონბჟე (ბზ., იქვე, 219) „ადგა ეს ბიჭი, რომელიც მისი შვილის მეუღლეა, და უამბო“

ლახჟისგა ეჯი მეთხუარს ხეწად, ერჟად მიჩა თჟეფ ედჟით (ბქ.) „მთაში ის მონადირე დაინახა, რომელმაც მისი თოფი მოიპარა“

შუკუტუნ ალე დანუ ლახხუნდახ, ხედიინემ მინე მუ ადდაგრე (ლშხ.) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, რომელმაც მათი მამა მოკლა“

ემდეშ ეჯი ყარს ხობგარ, ხედო დემ იკრენოლ (ჩოლ.) „მაინცდამაინც იმ კარს დაეტაკა, რომელიც არ იღებოდა“...

პირდაპირი დამატების ფუნქციით:

აჩად დანტუ ეჯ დავარხო, ხედუაშდ თხერედ ხათონე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 123,8) „დათვი წავიდა იმ თხებთან, რომლებიც მგელმა მიასწავლა“

ამ დტრეს ბეფშ, ხედუაშდ ლიცხოძსა ადაკუარხ ფუსტე ხოშა ლათელეღრდ, ჟ'ახახეიდა მულეგტერის ი ჟ'ანიორდე (ლნტ., იქვე, 259,7) „ამ დროს ბავშვი, რომელიც წყალში ჩააგდეს ბატონის უფროსმა რძლებმა, მეწისქვილემ იპოვა და გაზარდა“.

ირიბი დამატების ფუნქციით:

ყორქა ლაზუი დადა ხეწად ხემწიფემ **ხეხუს, ხედუნძა** ერე მანგ ნაშხუს ხატბენა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 49,32) „გარეთ გასვლისას მოხუცმა ქალმა დაინახა ხელმწიფის მეუღლე, რომელსაც ყველა აფურთხებდა“

ათხე ალე **ქაქაოზ მეფედ** ენმეგრე, **ხედისი** როსტომ ხემსახურდა (ლშხ., იქვე, 118) „ახლა ეს {იმ} ქაქაოზ მეფემ გაიგო, რომელსაც როსტომი ემსახურებოდა“...

უბრალო დამატების ფუნქციით:

ამუნ ახჰიმხ **ეჯ მეზგაწლს**, ე, **ხედუნძახანქა** ნაქუთანარ ბარგ ხულუხ (ბზ., სვან. ქრესტ., 19,1) „ასე მოყვებიან იმ ოჯახებს, საიდანაც აქვთ მოპარული ნივთები“

სგ'ანძ **ეჯ ქორთესგა, ხედუნძათესგა** ხელწიფ ლასუ მუზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 220,33) „შევიდა იმ სახლში, რომელშიც ხელმწიფე უნდა შესულიყო“

ალ ლაჭუნძამისკა არი ემხუ **ჟოქჟურე ხანტ, ხედუნძახა** ხახატაჟა იესო ქრისტე (ბზ., სვან. ქრესტ., 295,13) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე“

კიბლონისა ხაშხუნენა **ეჯი ხანჯალ, ხედინრუში** ჟარგს ოხხანეს ყია (ჩოლ.) „კიბობანში ჰქონია შენახული ის ხანჯალი, რომლითაც ყელი გამოლადრეს ბატონს“...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებითდამოკიდებულიან ქვეყნობილ წინადადებაში ზემოსვანური დიალექტები **ეგრუნძა||ეგრუნძა||ერუნა||ესუნძა||ესუნძა** „ვინც“ მიმართებით ნაცვალსახელს ანიჭებენ უპირატესობას (რომელიც სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმით დასტურდება), განსხვავებით ქვემოსვანური დიალექტებისაგან, სადაც განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში, აშკარად, დომინირებს **ხედუნძა** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ილუსტრაციას სვანურის დიალექტების მიხედვით:

ქუნარ, **ერუნძა** ლგჯირ ჟერჟინ ხემდლუნხ, დემ ესერ იხნის იმგან ქუნს (ბზ., სვან. ქრესტ., 40,12) „ის სულები, ვინც ნაკურთხ მიწაზე იყვნენ დასაფლავებული, არ უშვებენო იქ სხვის სულს“

ესუნძა ლაღობ ხრგ, ეჯ მეზგა წაქაშ, წერქუნაშ ი მუგული ლიჰტიდი მანდ ხოშიდ (ბზ., იქვე, 30) „ვისაც ფუტკარი ჰყავს, იმ ოჯახს წაქას, თომის და კვარის გაცემის უფლება არ ჰქონდათ“

მეხოდ ხაყხა ეჯ მარა, **ერტა** ლეჯხოლი სგტებინ ჩიმიშდ ხონკტი (ბქ.) „მეხოდ ჰქვია იმ კაცს, ვინც ყველაზე პირველი შეგხვდება წინ“

ესლრი, ესლრი ი სგადდ ლახხტიდდ ალ მარე, **ერტაშდ** მიჩა მუხტბეს ოთლორტე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ვინც მისი ძმა მოატყუა“

თანაფ ჰამს ქორაშ ხომა ზურალ, **ესტა** ხოლა თემი ლიმზგრ ჩუ ხონალ, ჟი იგნალ მამლანშ ლიყვალაჟი უშკუშუნდ (ბქ.) „ადდგომა დილას ოჯახის უფროსი ქალბატონი, ვინც ავი თვალის საწინააღმდეგო შელოცვა იცის, ადგება მამლის ყივილისას უხმოდ“

არდახ ეშხუ მეჩი ხეხტ-ჰანშ, **ესტაშდ** მამაგტეშ ხაბადგნდახ ეშხუ ქათალგნქა (ბქ.) „იყვნენ ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც არაფერი გააჩნდათ ერთი ქათმის გარდა“

სგა ლახხტიდხ ეჯ მარა, **ესტაშდშენქა** ჯინემდ ალ გტეშ ენთონე (ბქ.) „შეხვდნენ იმ კაცს, ვისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა“

ტკისდ ამედსგა მად არია ეჯი დინა, ე, **ესტაშდშ** ლანთხელის სემი ზან ხარხ (ბქ.) „მართლაც ამაში არ არის ის გოგო, ე, ვისაც სამი წელი ექებენ“...

როდესაც წევრ-კავშირის ფუნქციით **დერტაშდ** „ვინც“ მიმართებითი ნაცვალ-სახელი გვხვდება, სვანურშიც აღნიშნული წევრ-კავშირი ერთნაირად მიემართება მსოფლობითსა თუ მრავლობით რიცხვში დასმულ განსასაზღვრ წევრს:

ნეჯდარშტ დაბარისგა დგრმედდახ **ეჯ ნანპოლარს**, ე, **ერტაშდ** მეგამჟინ დემ ხეგნის (ბზ., სვან. ქრესტ., 125,40) „კაკანათებით ყანებში იჭერდნენ იმ ჩიტებს, ე, რომლებიც ხეებზე არ დგებიან“

ამკალიბ მესმინალა **ლუაჟარსი** ხეყანდ, **დერტაშდ** ხომა მენშტე ლანტხ, ეჯარს (ბზ., იქვე, 26,33) „ასეთი დამბეზღებლები მამაკაცებსაც ჰყავდათ, ვინც უფრო სუსტი ნებისყოფის იყვნენ, იმათ“

მანკუ **ეჯი ბეფშტე** ანთიშნე, **ერტა** არჩეტანს რექინე (ბქ.) „პირველად ის ბავშვი აირჩევს, ვინც არჩევანს იტყვის“

აშხტ ლადედ ლეხშყადხ **მიჩა ჯტინელ აფხნეგარს**, **ერტა** ლითურის ქათყეჩახ, ეჯარს, ი ომჩედელიხ მინე ჯტინელ აფხნეგიშ ლანთხელითე (ბქ.) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც სწავლას თავი დაანებეს, იმათ, და წასულან თავიანთი ძველი ამხანაგის საქებნელად“

ჟანხორიელანხ **ლგთიშ ჰკუშდერ ლუაჟარ**, **ეჯკალდარ**, **ერტაშდ** ფედიანშ ლასხ გიორგიდშ ი დანტითი ოჯახარეშ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 50,18) „შეიკრიბნენ

გამორჩეული ჭკვიანი კაცები, ისეთები, ვინც გიორგის და დავითის ოჯახის ახლობლები არიან"...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში წევრ-კავშირად დასტურდება **მწა** (ბზ.) **მწ** (ბქ)/ **მწა** (ლშხ.-ჩოლ.) „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელიც, რომელიც ბალსქვემოურ დიალექტში მიმართებითობას უნაწილაკოდ გამოხატავს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში **ჟწა||ჟწა||ჟწი||წ** „ც“ ნაწილაკის სხვადასხვა ვარიანტით დასტურდება:

აღმჯრს ჩი ქოხომბჟე ალ წერილ, ა, **მწა** პასუხ ოხჟჭირეხ მინემთე (ბზ.) „ამათ ყველას უამბო ამ წერილის შესახებ, აი, რა პასუხი შემოუთვალეს“

ესლრი, ესლრი ი ალიე ეჯ სოფელს ათასდა, ე, **მწ** სოფელისგა ხტეჯე იზგა (ბქ) „მიდის, მიდის და ესეც იმ სოფელს გადააწყდა, ე, რომელ სოფელშიც ხვეჯე ცხოვრობდა“

ქაჩად ეჯ ლიცთექა, ე, **მწ** ლიცს გჟელერშაპ ხანთქჟანდა (ბქ) „იმ წყალთან გავიდა, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული“

ეჯი ბეჩარნ ჩ'ოთლაფრა ნიცს, **მწა** ჟიხიქა არდა (ლშხ.) „ის ქვებიც დაუფარია წყალს, რაც ზემოდან იყო“

შჟანს მარტისაჲ ექკაჲ ყაფრანობ ლი, **მაჲჟწა||მაჲჟწი** დეკემბერისა ხოხალ (ჩოლ.) „სვანეთში მარტშიც ისეთი ყინვებია, რაც დეკემბერში იცის“

ჩიგარ ალე მუჭხჟიორას ხიყდი, **მწა||მწი** მაშენე მასისკ (ჩოლ.) „ყოველთვის ამ ტკბილეულს ყიდულობ, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება“...

განსაზღვრებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში სვანურ მაქვემდებარებელ კავშირთაგან გვხვდება **ერეერე** „რომ“ კავშირი, რომელიც ყველა დიალექტში საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება. მისი ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული, იგი უმეტესწილად დამოკიდებული წინადადების დასაწყისში გვხვდება, ხან კი შუაშიც არის მოქცეული:

ეჯგჟწარ რწჟჟ ესერ ამჩედელი ალ აჯთესგ'ერე ღჟაშჟჟმ ესერ ლიზ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 432,3) „იმისთანა კურდღელი შევიდაო ამ ზვინში, რომ ჯიხვის-ხელა არისო“

ეჩქანღჟე ეხჟამ ხოლა დარ, ეჯკალი უჩხე ლი, **ერე** ქჟეყანა ესღჟა ზულჟას (ბქ., იქვე, 98,30) „მერე ამას მოყვა ცუდი ამინდი, იმისთანა წვიმაა, რომ ქვეყანა წყალს მიაქვს“

ეერეხი ექკალი ლახჟ ლი, **ერე** კუმშს ლილდედ მნდ ხაკუხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 301,6) „ზოგი იმისთანა მთა არის, რომ საქონელს მწყემსვა არ უნდა“

კარტალისა ეჭკა ხოჩა ლარდა ლას, **ერე** სიგრილე ლას ი მაგ (ღმს.) „კარგებში იმისთანა კარგი სამყოფი იყო, რომ სიგრილე იყო და ყველაფერი“

ეჭკა ჩაჟ ესტადე, დეცე მწფხაქა **ერ** ისკნალ (ღმს.) „ისეთი ცხენი ინატრა, ცის კამარაზე რომ დაფრინავს“

ეჯტარ ლესგდი ლემპრ, **ერე** მაგ ეჯის ხანტიელნა (ჩოლ.) „ისეთი შესახელი ყოფილა, რომ ყველა იმას შენატროდა თურმე“

ეჭკამ ლირღეჟ ეჯახ, ცხუადისა **ერ** მერხელს ხარ! (ჩოლ.) „ისეთი ცხოვრება გაგეტარებინოთ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს!“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მაქვემდებარებელი კავშირი, ძირითადად, გვაქვს მაშინ, როცა მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს ან ივარაუდება **ეჯკა||ეჭკამ||ეჯკა||ეჯკალიბ||ეჯგუარ||ეჯგუარ||ეჯტან||ეჩინთან** „ისეთი, იმისთანა“ ჩვენებითი ნაცვალსახელები.

სვანურის დიალექტებში, განსაკუთრებით, ქვემოსვანურში (ბალსქვემოურში მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები არ შეგვხვედრია.) განსაზღვრებით-დამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში კავშირად განსაკუთრებული სიხშირით ერთდროულად დასტურდება წევრ-კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელები **ეჯრუამ, ხედრუამ**) და **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირი. საწყის პოზიციაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმეტესწილად მიმართებითი ნაცვალსახელია და მას მოსდევს მაქვემდებარებელი კავშირი:

ნამდუილდ **ერე** აშამ მაკუ ლტეჟე ეჯი ღტუაჟრე მიმართ, **ერრუამდ ერე** ამკა სიძლიერე გამოიჩინა (ბზ.) „ნამდვილად მინდა მადლობა გადავუხადო იმ მამაკაცებს, ვინც ასეთი სიძლიერე გამოიჩინა“

სგად ლახხტრდ ალ მარე, **ხედრუამდ ერე** მიჩა მუხტუბა ოთლორტე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 223,21-22) „ისევ შეხვდა ეს კაცი, რომელმაც მისი ძმა მოატყუა“

ალე ქათასგმდა ეჯ მარას, **ხედრუამდ ერე** მეშკარს გარგალს ხომნარდა (ღნტ., იქვე, 201:29-32) „ეს მოესმა იმ კაცს, რომელიც ჭიანჭველების საუბარს ისმენდა“

ეჯი ფეკტნას ჩტადგარი, **ხედრ ერ** ჟელმალ ითრე ნიცს (ღმს.) „იმ ლეკვს კლავს, რომელიც ძაღლივით სვამს წყალს“

ეჩქა მოსოტდ ქა ლახტულე ეჯ მარას, ლესთე **ხედრ ერ** ისგდგდა (ჩოლ.) „მაშინ მოსოტმა დაუძახა იმ კაცს, გვერდზე რომელიც რომ იყურებოდა“

საქმე გარჩეუათე ხეთხელობი ეჯკად მარას, **ერე ხედისი ერე** სისწორე ხოხალ, იშგენ — დესმა (ღმს.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია, სხვა — არაფერი“

ლაგუნიდ აიესხ ეჭკაძე სიმინდი კაკალს, **ერე ხედ** ფეჩმოყ ხუტახ ლგფრე (ჩოლ.) „დასაფქვავად მიაქვთ ისეთი სიმინდის მარცვალი, რომელიც ღუმელთან აქვთ გამხმარი“...

აღნიშნულ **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც საანალიზო მასალამ აჩვენა, მთავარში უმეტესწილად დასტურდება **ეჯთან||ეჯჭუნარ||ეჯკალიბ||ეჭკაძე||ეკაძე** „ისეთი“ მისათითებელი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, დამოკიდებული წინადადება ერთგვარ შედეგს გადმოგვცემს, რითაც ის მთავარი წინადადების თვისობრივ დახასიათებას იძლევა:

ეჯკალიბ ზურალ ანვიდ ქორთედს'ერე ჟიბოტიშხუბოტ ხწყერ ჩიგტაშ (ბქ.) „იმისთანა ქალი შემოიყვანა ოჯახში, რომ ყირაზე დააყენა ყველაფერი“

ლადი ამნემდ **ეჯჭუნარ** ხოლა ლადედ ემგენე ცტიდდიშმეთარ, ერე თხტიმ მიხბენი ათხედ (ბქ.) „დღეს ამან იმისთანა დღეში ჩამაგლო ტყუილუბრალოდ, რომ ახლაც თავი მისკდება“

ეჭკაძე ლგჭტიარ ეშშიდ ჟიქანხუ, ერე ჩტახშიდტნე მახე ლგკნდ აშხლარ (ლშხ.) „ისეთი ლოდები დააყარა ზემოდან, რომ ჩამოაყრევინა ახალი გამოტანილი ტოტები“

ცტიდუმქადნად **ეჯთან** ლადედ ემგენე, ერე ეშხუ ნაგზი ლი დესა მიტჟა (ჩოლ.) „ტყუილუბრალოდ ისეთი დღე მაყარა, რომ ერთი კვირაა არ მიძინია“ და ა. შ.

განსაზღვრებით დამოკიდებულებიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება შეიძლება იყოს უკავშიროც. ასეთ შემთხვევაში ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. დიალექტებიდან მკვეთრი ინტონაციით გამოირჩევა ზემოსვანური კილოები, განსაკუთრებით ბალსქვემოური, რომელიც უკავშირო ქვეწყობას ანიჭებს უპირატესობას და მკვეთრი ინტონაციით აშკარად გვაგრძნობინებს დამოკიდებულში კავშირის კონპენსირებას:

ამეჩუ ეჯკალი ზურალ არი, '**ერე**' მიჩა თერალს ამნთან დარ ხოწტა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 115,12-13) „აქ იმისთანა ქალი არის, მის თვალებს ამისთანა არავინ უნახავს“

ჯი ეჯ თეწშუ გარ ისგიდრალიტ, ე, '**ხელა**' ნებტაჟი ხადდა (ბქ.) „თვითონ მსოლოდ იმ თვალით იყურებოდა, ე, შუბლზე რომ ჰქონდა“

ლეღტხას ლგმარდ ეშხუ მეზგე, '**ხელას**' დათუმერ ხწყხენახ (ბქ.) „ღენტესში ყოფილა ერთი ოჯახი, დათვისანი რქმევიათ“

ზურალ ევგენზარ ლემარ, **ერე** ხოჩილ წესდე ლი (ბქ) „ქალი იმისთანა ყოფილა, უკეთესი შეუძლებელია“

ლახახტიდახ სკუბინ ეჭკალი მარე, **ესტა** დაგელ ასაყა ლენელემტ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 171,38) „შეხვდათ წინ იმისთანა კაცი, თხა მიჰყავს თიკნებიანად“

ეჭკაიბ სეჟ ანტაბე, **ერე** ქტეყანა ემს ხენქტაღლა (ლშხ.) „ისეთი მარხილი გამოთალა, ქვეყანა გააკვირვა“

ეჭკაჲ ათტიერჟ ეხჷამ თანაფს, **ერე** სგ'ნთბიღლა ჩნს (ჩოლ.) „ისეთი სიცხეები მოჰყვა აღდგომას, ცეცხლი წაეკიდა ყველაფერს“...

ჰიპოტაქსური წინადადების განხილვისას ყურადღებას იქცევს ე და ა დეიქტიკური (მითითებითი, გაძლიერებითი) ნაწილაკები, რომლებიც კავშირიანი ან უკავშირო დამოკიდებული წინადადების საზღვარზე დასტურდება და მახვილიანია. აღნიშნული ნაწილაკები ყოველთვის მთავარი წინადადების საზღვრულზე მიუთითებს და საზღვრულს ყოველთვის თან ახლავს ესა თუ ის ჩვენებითი ნაცვალსახელი. სვანურის დიალექტებში მათი გამოყენების თვალსაზრისითაც არაერთგვაროვანი სურათია, ვინაიდან, განსხვავებით ზემოსვანური დიალექტებისაგან, ისინი ქვემოსვანურში ნაკლებად დასტურდება:

აჩად ალ'ან, ჰყინტ, ი ათასდ **ალ ბამბი კარაჟს, ა, ხედუშაგა** დნა აცტირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 330,19) „წავიდა ეს, აი, ბიჭი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, აი, რომელშიც გოგო დატოვა“

ამჩიქქა **ეჷ მარე** ანვად, **ე, ხედუშად** ბაჲ ამჩჟ აცტირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 354,29-30) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა“

ქ'აჩად **ეჷ ლიტთეჷა, ე, მან** ლიცს გტელერშან ხანთქთანდა (ბქ) „გავიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი ყო დაპატრონებული“

ათხე ამხაჟ ანვად **ეჷ ნალჟურ, ე, ერჷა** ლი მიჩა გეზლანჷ ჰანჷ (ბქ) „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“ და სხვ.

განსახილველი ნაწილაკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხშირად იხმარება მიმართებითი ზმნიზედების შემცველ ქვეწყობილ წინადადებებში“ (1, 128). უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრებით-დამოკიდებულებიან ქვეწყობილ წინადადებაში, ე და ა მითითებითი ნაწილაკები დასტურდება არა მარტო მიმართებითი ზმნიზედის შემცველ ქვეწყობაში, არამედ მიმართებით ნაცვალსახელიან და მაქვემდებარებელ კავშირიან ჰიპოტაქსურ წინადადებაშიც:

აჩად **ალი**, **ა**, **ნაღჷჷურ**, ი ათასდა ეჯ ბამბიშ კარაჷს, ე, **იმედსა** დინა აცჷირ, მარე ალ სიმაქ დემეგ ესხტიდლა ამედსა (ბქ.) „წავიდა ეს, აი, ვაჟი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, ე, რომელშიც გოგო დატოვა, მაგრამ ეს ქალიშვილი არ დახვდა ამაში“

ნიშნდ ეჯ **ბადლჷ** ლახთონე, ე, **იმთე** ჯი გატს შიდა (ბქ.) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა“

ეჯ **სოფელს** ათასდ, ე, **ხედჷწა** სოფელისგა ხტეჯე იზგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 169) „იმ სოფელს გადააწყდა, ე, რომელ სოფელშიც ხვეჯე ცხოვრობდა“

მარკუზან ხაჷხა ეჯ **ჭინჭილს**, ე, **ხედჷწა** შამფუირს ხაჷრნა ჟი ლგწლაჷე ი შგილ ჩუქუნქა ხჩხინა (ბზ., სვან. ქრესტ., 10:19-20) „მარკუზანი“ ჰქვია იმ ნაწლაგს, ე, მოწალული შამფურზე რომ არის დახვეული და სხვენს ქვემოთ რომ არის გაჩხერილი“

ქაჩად ეჯ **ლიცთეჯა**, ე, **მან** ლიცს გტელერშპ ხმთქტანდა (ბქ.) „მივიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული“

ეჯ **ზურანლს** ოსხუნწლე ე, მიჩა გეზალ **ერ** ოთტყეცნა (ლშხ.) „იმ ქალს დაემუქრა, მისი შვილი რომ უცემია“

ლამწრაჷთე ეჯ **კაბა მარას** ხეთხწლიხ ე, ტკიც-სამართელს **ერ** ხაჷიმ (ჩოლ.) „სამედიატოროდ ისეთ კაცს ეძებენ, ე, სიმართლეს რომ მისდევს“ ...

აღნიშნული ნაწილაკები, ძირითადად, კონკრეტულად ასახსნელ (საზღვრულ) წევრს მოსდევს:

ათხე ამხაჷ ანვად ეჯ **ნაღჷჷურ**, ე, **ერჷა** ლი მიჩა გეზლწშ ჳწშ (ბქ.) „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“

ესღრი, ესღრი ი სგაიდ ლახხუნდდ ეჯ **მარე**, ე, მიჩა მუხტბეს **ერ** ოთლორჷე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევე შეხვდა ის კაცი, ე, თავისი ძმა რომ მოატყუა“...

ზოგჯერ კი დასახელებული ნაწილაკები მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს ახლავს, თუმცა მიუთითებს საზღვრულზე:

სერ ხარხ ხოლა მიჰმან ი ამჩიქქა ეჯ მარე **ანვანდ**, ე, ხედჷწად ბაპ ამჩუ აცჷირ ი ხწქტ ბერაღს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 354,29) „მოკლედ აქეთ ერთი ამბავი და ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა“

შუკუჷრწ ალ დწტ **ლახხუნდს**, **ა**, ხედჷწანწმ მინე მუ აღდწტშე (იქვე, 407,7) „გზაში ის დევი შეხვდათ, ე, რომელმაც თავიანთი მამა დაღუპა“ ...

იშვიათად ნაწილაკი საზღვრულ წევრს უსწრებს წინ და დაერთვის მისათითებელ სიტყვას:

ანჯანდ მია ლახუბა აგითე ი ლახჭუედდა აღ'ნ, ხობურა მუხუბე, ხედუნი ტეტს ხასგურდა (ბზ., სვან. ქრესტ., 171,32) „მოვიდნენ თავისი ძმები სახლში და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარს ეჯდა“...

განსახილველი ნაწილაკები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი მიუთითებენ ისეთ ასახსნელ წევრზე, რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი და ეს უკანასკნელი ისედაც მიუთითებს საზღვრულ წევრზე. აშკარაა, რომ დეიქტური ნაწილაკები გახაზავენ, აძლიერებენ და მეტ ექსპრესიულობას ანიჭებენ წევრს, რომელზეც მიუთითებენ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მახვილს ტონის მოძრაობის საფუძველზე გარკვეული სინტაქსური შენაერთის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული (30, 104), რაც ზემოწარმოდგენილი დეიქტური ნაწილაკების შემცველი ილუსტრაციებიდანაც ნათლად ჩანს, თუმცა ბალსქვემოურში ინტონაციას იმ შემთხვევაშიც აქვს ადგილი, როდესაც განსაზღვრებით დამოკიდებულებიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება უკავშიროს და არც დეიქტური ნაწილაკები დებულობენ მონაწილეობას ქვეწყობაში. მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე ინტონაცია, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, მკვეთრად გამოიხატება უკავშირო დამოკიდებული წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული წინადადების ნებისმიერ წევრზე, რაც აშკარად გარკვეულ სინტაქსურ მთლიანობას ქმნის და ამით ბალსქვემოური მკვეთრად ემიჯნება სვანურის სხვა დიალექტებს.

სვანურ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად დასტურდება ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) შემთხვევები, ვინაიდან აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კავშირის ფუნქციას, ძირითადად, მიმართებითი ნაცვალსახელები ასრულებენ და ეს სინტაქსური მოვლენა, სწორედ, მიმართებით ნაცვალსახელებთან არის დაკავშირებული.

სინტაქსური ასიმილაციის დროს მისამართი სიტყვა კავშირს წყვეტს თავის შემასმენელთან და დამოკიდებულის ზმნა-შემასმენელს უწევს ანგარიშს. მთავარში მისამართი სიტყვის ნაცვლად ჩნდება ნაცვალსახელი („კომპრომისული ფორმა“), რომელიც ბრუნვაში იმართვის მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. აბესაძე მიუთითებდა: „სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტ-

ყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემას-
მენელთან არის შეწყობილი. **ეჟ მარე, ღერუწა** ცხეთ'ნჩად, **ეჯას** ქაჯ სვა ლახხუნდდა
„ის კაცი, რომელიც ტყეში წავიდა, იმას ქაჯი შეხვდა" (1, 114).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალი
კომპონენტების განლაგების სამ ძირითად სახეს გამოყოფენ: დამოკიდებული
მოსდევს მთავარ წინადადებას, წინ უსწრებს მას ან შუაშია ჩართული.

მეგრულში (და ქართულის ზოგიერთ დიალექტში) დასახელებული სამი
სახის გარდა, გამოყოფილია თავისებური განლაგებაც მიმართებითნაცვალსა-
ხელიან ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც კორელატი ქვეწყობილი წინადადების
ბოლოსაა და დამოკიდებული მთავარ წინადადებასა და კორელატს შორისაა
მოქცეული (24, 53).

სვანურშიც, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების განლაგების სამ
სახეს ვხვდებით, თუმცა იშვიათად მეოთხე რიგის კონსტრუქციაც დასტურდება.

დამოკიდებული შეიძლება იწყებდეს განსაზღვრებით დამოკიდებულ
წინადადებას:

ერუწა მარემი ნადგარუ ლანსუ ი ამსტალდნ ზისხ ხეცუმწნ, ეჟ მარე აშხუ ზაჟ
დემ აბდუნდა ლაჯუნმთე ლწის (ბზ., სვან. ქრესტ., 40,18) „ვინც მკვლელი იყო და
ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ის კაცი ერთი წელი ვერ
ბედავდა ეკლესიაში შესვლას"

ნწხუედი მაზუმმა გუაკუ, ეჯუმს ცტირედ (ლწხ., იქვე, 22,27) „სიგრძე რამ-
დენიც გვინდა, იმდენს ვტოვებთ"

ფურალე ლისელჟე ჟოშუწამშ ხწამედახ, ეჩმელდს გარ ირდუნეს (იქვე, 265,5)
„რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ"

ხედწ ხოჩილ ლექს ლწქუნა, ეჯი ბოფშს ხაბშა ტისკუს (ჩოლ.) „რომელიც
უკეთეს ლექსს იტყოდა, იმ ბავშვს აწვდიდა ვაშლს"

დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაგულშია მოქცეული:

წგრნი გჟელდერშაპ, **ხედისწ ამირან ვადისა ხეყნდა**, ჩჟედრტუნწ (ლწხ. სვან.
პროზ. ტექსტ., 127,15) „წითელი გველეშაპი, რომელსაც ამირანი მუცელში ჰყავდა,
გაიქცა"

მუჟუნდ ზურალ, **ერუწა ესამა ლდგარ ჩუ ხაშყიდ სოფელისგა**, ჩწ ქა იმგლდწნი
(ბზ., იქვე, 7,33) „წინამძღოლი ქალი, სოფელში ვინც მკვდარია ყველა ახსოვს,
ყველას ჩამოთვლის ხოლმე"

აშხუ ლადელ, **შომჷა ლანდირთ'ესღერდახ**, ამნემ ხეჲე მიჩა მუხტუბა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44,32) „ერთ დღეს, როდესაც სანადიროდ მიდიოდნენ, ამან უთხრა თავის ძმას"

ეჲი გუელეშაპ, **ხედნემი ამირან აღუნტყუე**, ხოლამდ აჲად ი ქ'ედბელან (ჩოლ.) „ის გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ცუდად გახდა და გაიბერა".

დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას და ეს პოზიცია სვანურშიც დომინანტია:

სგა ლახხტიღბ ალ მარა, **ხედუწახან მიჯნემ ალ გუეშ ანთონე** (ბზ., იქვე, 224,27) „შეხვდათ ეს კაცი, რომლისგანაც მან ეს საქმე ისწავლა"

ნიშნდ ეჲი ბადლუ ლახთონე, **ხედუწათე ჲი გატს შიდა** (ბქ., იქვე, 44,32) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა"

ეჩუნლო მიჩა ეხტს ქა ლეხტოდან ჲყინტ ეჲკაიბ ღონდერ, **ერე თელდ ქუეყანადას ამკალიბ დარ არდა** (ლშხ., იქვე, 71,13) „მერე მის მეუღლეს შეეძინა იმისთანა ღონიერი ვაჟი, რომ მთელ ქვეყანაზე ამისთანა არავინ იყო"

ჩიანტ ეჲკალი ლოქ ნომამაუ ლექტ, **ერე მერბას მად ლახასიამგდეს** (ლნტ., სვან. ქრესტ., 321) „ყველგან არ თქვაო ისეთი რამ, რომ სხვას არ ესიამოვნოსო"

ლარბიელ ჲიც ეჲკამ დგთხელ აცუირხ, **იკაიბ მერბიელად იკუდუნეს** (ჩოლ.) „გამოსაცხოზი ცომი ისეთი თხელი დატოვეს, როგორიც მცხობლებმა ისურვეს".

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ „მეოთხე რიგის კონსტრუქციას", როდესაც დამოკიდებული მოქცეულია მთავარ წინადადებასა და კორელატს შორის, მსგავსი შემთხვევები სვანურშიც დასტურდება:

ეჲარს შუკუთისგა სგა ლახხუახ ბეტა, **ესტუწაშ ლთხელითე ოლმანხს, ეჲი** (ბქ.) „იმათ გზაში შეხვედრიათ ბევა, ვის საძებნელადაც მიდიოდნენ თურმე, ის"

ამკალიბ მგსმინლა ღტუაჲარსი ხეჲანდხ, **დერტუწა ხოშა მენშგუე ლანტხს, ეჲარს** (ბზ., სვან. ქრესტ., 26,33) „ამისთანა დამბუზდებლები მამაკაცებსაც ჲყავდათ, რომლებიც უფრო სუსტი ნებისყოფის იყვნენ, იმათ"

აშხუ ლადელ ლანხეშყადხ მიჩა ჲტინელ აფხანკარს, **ხედუწა ერ ლითუერის ქათაყეჩახ, ეჲმინს** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 183,6) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც სწავლას თავი დაანება, იმათ"

ფანაგას ხატულის სოფელს, **ხედნ ლეჲუშერი ლაიღუერჲი არი, ეჲის** (ლშხ.) „ფანაგას ედახიან სოფელს, რომელიც ლეჲუშერის საზღვარზეა, იმას"

ეჯიარს ლახხუინახ გუელეშაპ, ხედში ლადგართჲ დინაცადს ოთზუნა, ეჯი (ჩოლ.) „მათ შესვედრიათ გველეშაპი, რომლის მოსაკლავადაც დედინაცვალს გაუგზავნია, ის“...

ამრიგად, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურის ყველა დიალექტი მდიდარია განსაზღვრებით დამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებებითა და მათი გამოსატვის საშუალებებებით (საკორელაციო სიტყვებითა და წევრ-კავშირებით), თუმცა დიალექტთა შორის არსებითი სხვაობა შეინიშნება ამა თუ იმ წევრ-კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით. ხედუნა „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის იშვიათად გამოყენებითა და უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციის უპირატესობით ბალსქვემოური დიალექტი უპირისპირდება სხვა დანარჩენ დიალექტებს. გარდა ამისა, აღნიშნულ დიალექტს სხვა დანარჩენთაგან განასხვავებს მკვეთრი ინტონაციაც, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში.

§ 24. ჰიპოტაქსის კავშირთათვის სვანურში. სვანური რთული ქვეწყობილი წინადადება მდიდარია მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებითა და კავშირებით. ზოგიერთ მათგანზე უკვე იყო სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარი (ბუნებრივია მათ აქ არ შევეხებით), ჩვენი მიზანია სხვა დიალექტების პარალელურად წარმოვადგინოთ ჩოლურული მეტყველების ნიმუშებიც, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

აღუე||ალო მაქვემდებარებელი კავშირი, რომელიც ქართული „თუ“-ს ფუნქციურ-სემანტიკური შესატყვისია, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საგანგებო კვლევის ობიექტი არ ყოფილა.

აღუე კავშირი მაქვემდებარებლის ფუნქციით გამოიყენება ლენტეხურსა და ჩოლურულში, შესაბამისად დასტურდება სხვადასხვა დიალექტური ვარიანტები: **აღუე||ელუე||ეუე||აუე** (ლნტ.), **ალო||ელო||ოლო||აღუე** (ჩოლ.), ეს უკანსკნელი (**აღუე**), ძირითადად, გამოიყენება საყდრულ მეტყველებაში, რომელიც ტერიტორიულადაც ახლოს არის ლენტეხთან.

ცნობილია, რომ სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით სხვადასხვა კავშირებია გამოყენებული, მაგ.: **ერ||ე**, **ლახ||ალახ**, **ჰე||ე**, **ნმა||ნმო**, **ნსა** და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ზოგ მათგანს (**ერ||ე**, **ლახ||ალახ**) პარალელურად „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს. რაც შეეხება **აღუე||ალო** კავშირს, ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ

„თუ“-ს მნიშვნელობით დასტურდება და ყოველთვის მაქვემდებარებლის ფუნქციით გამოიყენება.

ელჟეიელი კავშირი ხმარების სისწორით ლენტეხურსა და ჩოლურულში თითქმის ერთნაირ სურათს გვიჩვენებს და პარალელურად წინადადებაში შეიძლება ჩაენაცვლოს „თუ“-ს მნიშვნელობით გამოყენებულ **ლახ, ერქე, ემო, ესა** კავშირებს:

აჯახ ლოქ (**ერქე**)ელი ქა ხეჭუნე, ცოდ მიჩ ლოქ ხერი (ჩოლ.) „კიდევ თუ ეტყვიო, ცოდვა შენზე იყოსო („ცოდვა მასო ექნება“)"

ლეზობდ (**ლახ**)ელი მრ ხაყა, დარ იზბი (ჩოლ.) „საჭმელად თუ არ ვარგა, არავინ ჭამს"

აღე ლოქ (**ემო**)ელი მრ ხაკუჩ, ჯე ლოქ ადეს ეხუდ (ჩოლ.) „ეს თუ არ გინდაო, თვითონ (მე) წაგიყვანო ცოლად"

(**ემო**)ეზე ლოქ ხოცხა, ლდედიტ ადდე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 178) „თუ ურჩევნიაო, დღესვე წაიყვანოსო"

(**ესა**)ელი ეხმეგრი, ეზარ, (**ემო**)ელი მრდე კინჩხუ ჯიყუნიფა! (ჩოლ.) „თუ გაიგებ, კარგი, თუ არადა კისერიც გიტეხია!"

ესაელი მერ ჯაკოკმან ჩუაქუც (ჩოლ.) „თუ გეეჭვება („ყოყმანობ"), გაჩუმიდ" ადნიშნული კავშირი, ძირითადად, გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

ელჟეიელი კავშირის შემცველი წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას. თუ წინ უსწრებს, მაშინ **ელო** იწყებს, ან მოქცეულია დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო თუ მოსდევს, **აღზე**, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების შუაშია, შემასმენლის წინ, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას ადნიშნული კავშირი იწყებს.

მაგალითად, დამოკიდებული წინ უსწრებს მთავარს და **ელო** კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას შემდეგ ილუსტრაციებში:

აღზე მენგერე ლი, ჩუ ხუატაბედ (იქვე, 22) „თუ მსხვილია, ჩამოვთლით"
აზე ჟი დემ ხუახრაკუთიდ, ერქა ქა ხუაქუცურედ ნწილბლს (იქვე, 39) „თუ არ ვხრაკავო, მაშინ ვაჭრით ნაწილებს"

აზე ქათაქბდნე, ერქა იშენ ხაფშუტე (იქვე, 42) „თუ ააცილებს, მაშინ სხვა ესვრის"

ეწიველზე პატრენ მარას ქა დემ უწყინა, ეჩქა ქა ტედდახ ჯოდიახო (იქვე, 89) „თუ პატრონი კაცს ვერ გამოისყიდდა, მაშინ გაყიდნენ შორს“

ელო ხაკაფხ დინა ლიტურე, ეჩქა ჩუ ცურეხ (ჩოლ) „თუ სურთ გოგოს დატოვება, მაშინ ტოვებენ“

დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, **ელო** კავშირი კი ყოველთვის დამოკიდებული წინადადების შუაშია (ზმნის წინა პოზიციაში). მაგ.:

მიჩა ცხარალს ლოქ **ელო** ქა ხათონნეხ, ეჩქა ჩუ ლოქ ხანნე ლელუს (ჩოლ) „ჩემ ფრჩხილებს თუ მიმასწავლითო, მაშინ გაჭმევთ ხორცს“

ნაუკედას ლოქ **ოლო** დემ იხო, ლადელ ნარიდ ეში ლოქ ანვად (ჩოლ) „მოსვლას („მოუსვლელობას“) თუ არ იშლიო, დღის სინათლეზე მაინც მოდიო“

ჰყანტ თაშ **ალზე** მად გულტა, ჩუ ხუაბქტედ ლეჯიმ თაშს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 35) „ჭყინტი ყველი თუ არ გვაქვს, ვაღბობთ მარილიან ყველს“

ლეგდ ლოქ **ალზე** არი, დოხდტირს ლოქ ვიდეხ (იქვე, 49) „ავად თუ არისო, ექიმს მოვიყვანთო“

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია მოქცეული:

ზურალ ჟი ხეკტეს ალგენელას, დტაჟმარეს **ეწი** ადამიაშოლ (ლნტ., იქვე, 59) „ქალი უნდა ამდგარიყო, თუ კაცს უხსნიდა ხელს“

მიშკტაშხო იჯ ანვეხ, ჩუ **ელზე** იმე-იჯ არიხ (იქვე, 74) „ჩემთან მოვიდნენ-თქო, თუ სადმე არიან-მეთქი“

ქა ლოქ ხაუდი დინას, მინე ჰყინტ ლოქ **ელო** ახსერნე (ჩოლ.) „მოგცემო ქალიშვილს, თუ თქვენი ბიჭი აჯობებსო“

აჯახუ ლოქ ატახ, ნწყირ ლოქ **ელო** ხაკუ (ჩოლ.) „კიდევ დაბრუნდიო, თუ გინდაო ცემა“

მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას იწყებს **ელო** კავშირი:

ეჩქა შიე გტიგტქა ზისხ ლოქ ახოვედენი, **ალზე** ლოქ მიჩა ჯუმბილს მანმა ხეყერენი (იქვე, 167) „მაშინ ხელის გულიდან სისხლი წამომივაო, თუ ჩემ ძმას არაფერი დაემართებაო“.

დიემ ი მუე გეზალს, **ალზე** ჰყინტ ლი, ჰყინტ გეზალ ხაჟახა (იქვე, 19) „დედ-მამის შვილს, თუ ბიჭია, ვაჟიშვილი ჰქვია“

ჩუ ლოქუ ანვად, **ალზე** ლოქ ხოჩა დტუ ლეს (იქვე, 135) „ჩამოდიო, თუ კარგი დევი ხარო“

იმთე ლოქ ხაჰმა, ელო ლოქ მრ ხათრონა? (ჩოლ.) „სად მიყვებოდით, თუ არ იცნობდით?"

არის შემთხვევები, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული:

ენანლონენ, ელო ჯეკუდნ, ჟ'ეხკედხი (ჩოლ.) „მერე, თუ გენდომება, აიღებ"

ამენლო, ელო ლოქ ხაკუ, აჯახუ ლოქ ატახ (ჩოლ.) „აწი, თუ გინდა, კიდევ დაბრუნდით"

ათოჰკუტარა, ერე ეზე (||ალზე) ქადასკინოლ, ქა ხჩეშნა სკუტებინ ღუაშარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 87) „უფიქრია, თუ გადავხტები, გაუსწრებო წინ ჯიხეებს"

რიგ შემთხვევაში ალზე||ელო კავშირი შეიძლება ჩართული იყოს პრევერბსა და ზმნას შორის. პრევერბისეული ხმოვნისა და მაქვემდებარებელი კავშირის ხმოვნების (ა, ო, ე) შეხვედრა ჩოლურულში ხმოვნის დაგრძელებას იწვევს:

ქ'ელო ხნუდი, ქა ხალრის (ჩოლ.) „თუ აძლევ, აღირსე"

ქ'ელო ხატულდა ეშნ, ეჩქა იმ მაბოდაუნა (ჩოლ.) „თუ დაუძახებდა მაინც, მაშინ რას მაბოდილებდა"

ლენტესურში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ალზე-ს ახლავს ერე „რომ" კავშირი, თუ იგი წინ უსწრებს ერე-ს, ალზე კავშირის ხმოვნის შეხვედრა ერე კავშირის ხმოვანთან ჩვეულებრივ ელიზიას იწვევს:

ალზე'ერე (||ელზე'ერე) ზისხ გარ ლი, ეჩქა ჯიმს ხანწიდხ (იქვე, 61) „თუ სისხლია მხოლოდ, მაშინ მარილს ურევენ"

ალზე'ერ ასლანბექ მესემე ლადელ დემ ანვედენ, ეჩქა აღმასის ჟანაჯაბნანხ (იქვე, 140) „თუ ასლანბექი მესამე დღეს არ მოვიდოდა, მაშინ აღმასის მოხარშავდნენ"

ალზე ლოქ ერე სამართლიან ლესეს, ეჩქა ხოჩამდ ლოქუ ამეტეხლი! (იქვე, 153) „თუ სამართლიანი იყო, მაშინ მშვიდობით („კარგად") დაბრუნებულიყავით!"

მიხ ათოჰკუტარა, ერე ეზე (||ალზე) ქადასკინოლ ქა ხჩეშენა სკუტებინ ღუაშარს (იქვე, 87) „თვითონ უფიქრია, თუ გადავხტები, გაუსწრებო წინ ჯიხეებს".

სვანურში უ+ე კომპლექსი იშვიათად იქმნება. იგი შესულია კომპლექსთა ისეთ ჯგუფში, რომელთათვისაც უცხოა ელიზია (41, 196). სვანურ პუბლიკაციებში მ. საღლიანის მიერ დაძებნილია უ+ე ხმოვანთკომპლექსის რამდენიმე მაგალითი, რომელშიც იქმნება -უ ბოლოხმოვნიან და ე თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრისას. აღნიშნულ პოზიციაში მომდგნო ე ხმოვანი თითქმის ყოველთვის გრძელია, თუმცა ხმოვანთა კომპლექსი იშლება დიფთონგიზაციის გზით და, აქედან გამომდინარე, კომპლექსის მეორე საფეხური იქნებოდა ი+ე,

საიდანაც უნდა მიგველო ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე **ჴ'ე** კომპლექსი, რომლის პირველი კომპონენტი, ავტორის აზრით, არის **ო** ხმოვნის ნაუმლაუტარი **ჴ** [მაგ., შდრ. **მწკჴ'ეჯლ'ერე** ← **მწკჴი ეჯლა, ერე უ+ე = ჴ'ე**] (33, 176). ვფიქრობთ, მსგავსი პროცესების გავლით უნდა მიგველო ლენტესური **აღჴ'ერე** ფორმაც.

ელო'ს აქვს „თუ კი“-ს მნიშვნელობაც, ზოგ შემთხვევაში დამატებით შეიძლება დაირთოს **ესა, ემა** კავშირებიც, თუმცა დამოუკიდებლადც გადმოსცემს „თუ კი“-ს სემანტიკას:

ჩუ **ელო** [ესა] ამშიხნეს, ფერფლ ნოსა აშგდა (ჩოლ.) „თუ კი დამწვავენ, ფერფლი არ გადაყარო“

ჩუ **ელო** [ემა] ეხრეკი, ეჩქა ხაკუ ლიმურჯი (ჩოლ.) „თუკი ჩამოეკიდება, მაშინ უნდა მიხმარება“

ხშირად პირობით დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებაში წარმოდგენილია საკორელაციო სიტყვა **ეჩქა** „მაშინ“, თუ გამოტოვებულია, მისი აღდგენა ადვილად შეიძლება:

აჴე მწგს ქაშდე, **ეჩქა** ჴ'ანკედ გაკარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 42) „თუ ყველას გადაყრის, მაშინ კაკლებს აიღებს“

ეჯი **აჴე** ქაშდე, **ეჩქა** ჴ'ანკედ გაკარს (იქვე, 42) „ის თუ გადაყრის, მაშინ აიღებს კაკლებს“

გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველ წინადადებათა ქვეწოებაში **ელო** კავშირი შეიძლება კითხვით სიტყვებთან ერთად დადასტურდეს:

ელო ემე ხემგენი გეზალ, ჩიანგ ხეთხელი (ჩოლ.) „თუ სადმე ეგულება შვილი, ყველგან ეძებს“

ელო ემხენ ხარ ანლელს, ლეთი-ლადედ ხემარალ (ჩოლ.) „თუ საიდანმეა მოსალოდნელი, დღედაღამ ემზადება“

მიშკჴაშხოიჯ ანგებს ეჯმინ, ჩუ **ელჴე** იმე-იჯ არიხ! (ლნტ., იქვე, 74) „ჩემთან მოვიდნენ-თქო ისინი, თუ სადმე არიან-თქო“.

აღნიშნული კავშირი დაირთავს უარყოფით ნაწილაკებს და გვაქვს შემდეგი ფორმები: **ელო დოშ** „თუ არ“, **ელო მრდ** „თუ არ“, **ელო დრმ** „თუ არ“, **ელო დეშ** „თუ ვერ“, **ელო მანდ** „თუ არ“ (ჩოლ.), **აღჴე მანდე** „თუ არადა“, **აღჴე მანდშჴე**||**აღჴე მანჩ** „თუ ვერ“ (ლნტ.):

აღე **ელო მრდ** ჴ'ეკჴად, ჩუ დო ესგუ აგის?! (ლშხ.) „ეს თუ არ გინდოდა, რატო არ დაჯექი სახელში?“

ძინარს ალე ლოქ **აღუე მანიჩ** ახტუგადლება, ეჩქა მარე ნომალოქუ ხტი (ლნტ., სვან. ქრესტ., 306) „დილას ეს თუ ვერ გამოვიცნო, მაშინ არ ვიყო კაცი“

ქაჟ მქჟ სგობნაჟ, **ელო დრმ** კედნრლ გუშტუცახან (ჩოლ.) „ეთქვა წინასწარ, თუ არ მოდიოდა ჩვენთან ერთად“

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ლენტეხურიც და ჩოლურულიც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში „თუ“ კავშირის მნიშვნელობით **აღუე|ელო** კავშირს ანიჭებს უპირატესობას.

ელო მაქვემდებარებელი კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალია, ასევე თავისუფალია **ელო**-ს პოზიცია თვით დამოკიდებულ წინადადებაშიც (ან იწყებს, ან შუაშია მოქცეული), თუმცა ყოველთვის წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი კავშირი ყველა დიალექტში (ხშირ შემთხვევაში ლენტეხურშიც) ფორმობრივად ემთხვევა **აღლო|აღუე** „აბა“ შორისდებულს, მათი გარჩევა ლენტეხურში კონტექსტის მიხედვით ადვილად შეიძლება.

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ **ელო** კავშირის გამოყენება საკმაოდ სისტემურია, უფრო მეტიც, განსხვავებით ჩოლურულისგან, ლენტეხურის პირობით დამოკიდებულ წინადადებას სხვა მაქვემდებარებელი კავშირი თითქმის არც გააჩნია (ერთადერთი ე კავშირიანი მაგალითი შეგვხვდა პროზაულ ტექსტებში).

§ 25. უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებისათვის სვანურში. ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს შემთხვევები, როცა დაქვემდებარების გარეგანი ნიშნები (მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები) ფორმობრივად გამოსატყული არ არის, მიუხედავად ამისა, წინადადებათა ურთიერთმიმართება მაინც დაქვემდებარებითია. ასეთ ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. აქედან გამომდინარე სინტაქსში ინტონაცია სიტყვათა და წინადადებათა შეერთების ისეთივე მნიშვნელოვანი საშუალებაა, როგორც არის კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა.

ქართულ გრამატიკებში (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, ნ. ბასილაია, ი. ახალაია) უკავშირო რთული წინადადება გამოყოფილია, თუმცა არა როგორც კავშირიანი რთული წინადადებისაგან ცალკე აღებული სინტაქსური მოვლენა, არამედ როგორც დაპირისპირებულ მოვლენათა ერთიანობა. რთული წინადადების ეს ორი სახე წარმოდგენილია ერთმანეთთან კავშირში.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „უკავშირო რთული წინადადება უმთავრესად ისეთი წინადადებაა, სადაც კავშირი გამოტოვებულია და წინადადებათა შეერთების საპირისპირო ფორმათა წარმოსადგენად მისი აღდგენა შეიძლება. სწორედ ამით ვლინდება უკავშირო და კავშირიან რთულ წინადადებებს შორის ორგანული კავშირი, რადგანაც კავშირი და ინტონაცია წინადადების გარკვეულ სინტაქსურ ტიპში შემავალ ნაწილთა შეერთების ორი ერთმანეთის შემცვლელი საშუალებაა: რთულ თანწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება მაერთებელი ინტონაცია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი – მაქვემდებარებელი კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის ნაცვლად – მაქვემდებარებელი ინტონაცია" (8, 13).

როგორც კავშირიან, ისე უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს გამოხატული ერთი და იგივე აზრი და ერთნაირი დამოკიდებული წინადადება. უკავშირო და კავშირიანი წინადადებები ადვილად ცვლიან ერთმანეთს. ამ წინადადებებს რომ აზრობრივი ერთიანობა არ ახასიათებდეს, შეუძლებელი იქნებოდა კავშირიანი წინადადებების შეცვლა უკავშიროთი ან უკავშირო წინადადებებისგან კავშირიანის მიღება შესაფერისი კავშირის გამოყენებით (8, 14).

ნაშრომის ამ განაკვეთში განვიხილავთ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებას სვანურში, რომელიც ქვემოსვანურ დიალექტებში იშვიათად დასტურდება. სხვადასხვაობაა ინტონაციის თვალსაზრისითაც, უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვაგრძნობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით. უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში გამოყენებული მაქვემდებარებელი ინტონაციისათვის დამახასიათებელია ხმის ამალღება დამოკიდებული წინადადების შემასმენელზე, ხმის დადაბლება მთავარზე და პირველის გამოყოფა მეორისაგან პაუზით². მაგ.:

ლარლარჩუნ ესლრ'ეჩქას ლიზგრზე ლაბინე (ბზ., სვან. ქრესტ., 69)
„მინდორზე {რომ} ჩადიოდა, მაშინ ბუტბუტი დაიწყო“

ლიგემს ქა ილიესგხ, ეჩქანღტე სგა ხომუნემხ ლემასგტუ (ბქ., სვან. ქრესტ., 198)
„აშენებას {რომ} მოიღვეს, მერე შეუნთებენ ცეცხლს“

² აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალსქვემოურში ინტონაცია კეთდება, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების ბოლოში მიუხედავად იმისა, წინადადების რა წევრია წარმოდგენილი.

ალე ბესის ქა ხასენდ, ჟენკიდ ჟაჳ (ლშხ., იქვე, 249) „ეს ბესის {რომ} შემოესმა, აიღო ტიკი“

ზა ქამეჩედ, ხომკომნა ეჩქა მიჩა გასამრჯელო (ლნტ., იქვე, 321) „წელიწადი {რომ} გასულა, უთხოვია მაშინ თავისი გასამრჯელო“

ლგჯას ეჯლა ხათრეხ ამზუმ ხანს, **ხოჩამდ ლოქ იცხემ** (ჩოლ.) „რძეს იმიტომ ასმევენ ამდენი ხანი, {რომ} კარგად გაიზრდებაო “...

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ, ხოლო დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებთ, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობისა და დაძაბულობის შთაბეჭდილებას (18, 207) განსაკუთრებით კარგად ჩანს ზემოსვანური დიალექტების მაგალითზე, სადაც ინტონაცია აშკარად ექსპრესიულ ხასიათს ატარებს, ამიტომაც, როცა უკავშირო ჰიპოტაქსზე ვსაუბრობთ, ძირითად აქცენტს ვაკეთებთ ზემოსვანურ დიალექტებზე, ვინაიდან ქვემოსვანურ დიალექტებში, მათ შორის ჩოლურულში, უკავშირო დამოკიდებული წინადადება არ არის ხშირი, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ.

სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, ძირითადად, გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები, ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. ერთ-ერთი ასეთი მაქვემდებარებელი კავშირია **ერე** „რომ“, რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ აღნიშნული **ერე** კავშირი იგულისხმება და აღსდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში:

ჟინალ დის ქა ხეყულენი, ეჩქას დარბაზთ'ანგნეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 24) „ბატკანი {რომ} დედას სცილდება, მაშინ სათივეში შეუშვებენ ხოლმე“

დამდტუს ეჩჟინ ოხთუგლგრა გუნენემდ, **ვადტისგა ჩუოთფრეშგა** (ბზ.) „დათვს ისე მოუჭერია გვენესთვის, {რომ} მუცელზე გაუხსნია“

ჟ'ანფტინი, ეჩქას პერს ჟი ხოკედდ ყეშშუ (ბქ., იქვე, 206) „{რომ} ადულდება, მაშინ ქაფს უღებთ კოვზით“

ემხუ ნაგზი ქა ლახნდა, ეჩანდონენ აჯალ აჩად ლათხტიართე (ლშხ., სვან. ქრესტ., 275) „ერთი კვირა {რომ} დაყო, მერე კიდევ წავიდა სანადიროდ“

დერხი ფურალ ეჭვი ლუმიტქუ ხაყახ, ამსტალდი გარგლა ხესმის (ჩოლ.) „ზოგიერთი ძროხა ისე ჰყავთ შეჩვეული, {რომ} ადამიანის ლაპარაკი ესმით“...

მეორე მაქვემდებარებელი კავშირი, რომელიც ასევე ხშირად დასტურდება სვანურში, არის **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი. იგი თითქმის არ გვხვდება ლენტეხურში, იშვიათობაა ჩოლურულსა და ლაშხურში და, ძირითადად, გამოიყენება ზემოსვანურ დიალექტებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იშვიათად, უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში გამოტოვებულია **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი. მაგ.:

ლუგჷწარ ლანხჷ, ერქას ღენმწრჷისგა ჩჷმდსენდახ (ბზ., იქვე, 23) „მსუქნები {თუ} იყვნენ, მაშინ დღესასწაულებზე დაკლავდნენ“

ალი ლი, **ჷართე ხეგნი გჷემჷ**, ერქას (ბქ., იქვე, 175) „ეს არის, როცა უარი ითქმება საქმეზე, მაშინ“

ალ ქჷერწლწარ დინამ ლამჷართესგა ჯედნის, ერქას მწნკუტი ეჯწარს გარ ხოგემხ ჰწში ტაბაგს (ბქ., სვან. ქრესტ., 176) „ეს მექორწილები გოგოს ხალხში {რომ} მოდიან, მაშინ პირველად მხოლოდ მათ უშლიან მცირე სუფრას“ და სხვ.

სხვა დროს, როგორც წესი, ზემოაღნიშნული კავშირი ქვეწყობილში დასტურდება:

ფიტკირჷმჷ ლილგიმწლს **ლახა** იდრწლხ, ერქას ჩიდ მწნკუტი კირ ი ქჷიშე ხეკჷეს აწმარახ (ბქ., იქვე, 197) „ქვით მშენებლობას როცა აპირებენ, მაშინ თავდაპირველად კირი და ქვიშა უნდა მოამზადონ“

ქალქეთე ლიზის **ლახ** ხწპირეხ, ერქას მწნკუ ხწრჯს ამარეხ ჷი (ბქ.) „ქალაქში გამგზავრებას როცა აპირებენ, მაშინ პირველად საგზალს გაამზადებენ ხოლმე“...

სვანურში დადასტურდა უკავშირო ქვეწყობილ წინადადებათა შემდეგი ტიპის დამოკიდებული წინადადებები: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, დროის გარემოებითი, ადგილის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული. ჩამოთვლილი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებებიდან, სვანურ დიალექტებში, ყველაზე ხშირად დასტურდება დროის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ლენხუმს ლახჷბ'ათსედა გულედანს, ეჯწარს ახმაჭრინწნახ შტწანთე ლიგედ (ბზ., სვან. ქრესტ., 77) „ლენხუმში {რომ} ძმები დარჩენია გულედანს, იმათ დაზარებიათ სვანეთში წასვლა“

ჯუნილიშჯუნიელ მურყუმპარდ თერახ, ეჯდარ სემი სართულიან ლიხ (ბქ. იქვე, 200) „ძველისძველ კოშკებად ჯრომქ ითველებიან, ისინი სამსართულიანია“

ამხენქად ქა თერა, **ხოლა ი ხოლემიშ მესყი ლასჷ ფუსდ**, ეჯი (ბქ.) „აქედანაც ჩანს, ჯრომქ ცუდი და ცუდის გამკეთებელი იყო ბატონი, ის.“

ბრუნვაცვალებადობიქტიანი დამატებითი დამოკიდებული წინადადება

ბექნუდ აცხირ, **მესტახას უამ ამვედელი** (ბზ.) „ბექნუმ გაიგო, ჯრომქ მესტიაში უამი მოსულა“

ხოჩილ ნამჷუნ ხუდჷა, ეჯის ხოშილს ამზგრის (ბქ.) „უკეთესი ნალოცი ჯრომქ აქვს, მას უფრო ლოცავენ“

ამნემ ხაქჷე ეჯის, **აღდ ესერ მიჩა ხახჷდ ლოჰოდა მიუს** (ბქ.) „ამან უთხრა იმას, ჯრომქ ეს ცოლად მომცაო მზემ („ესო მის ცოლად მიუცია მზეს“)

ეჯის ოხრმბჷედ, მაშენე ამეჩუ ლოქ ხაშთხტა (ჩოლ.) „მას მოეუყევით, ჯრომქ უფროსი აქ მარხიაო“.

ბრუნვაცვალებადობიქტიანი დამატებითი დამოკიდებული წინადადება

ამეჩუ ლევჷერიშ შიროლ მიზ, ეჯარს ოტხე ქა (ბქ.) „აქ ჯრომქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ გავწევ“

ამეჩუ ლევჷერიშ შიროლ მიზ, ეჯარს ოტხე ქა (ბქ.) „აქ ჯრომქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ გავწევ“

გუიანდ გუდ ონჯუად, **ნანდჷილდ ხორდელაღ ლი** (ლშხ., სვან. ქრესტ., 261) „გვიან მივხვდით, ჯრომქ ნამდვილად ხორველა იყო“.

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება:

ჩოლირ კუბ ოხტახას, ეჩხაჷთესგ'ესჷდახ ჯიჯუარ (ბზ., იქვე, 106) „ჩოლურში ჯრომქ კუბო გამოუთლიათ, იმაში ჩაუდიათ ძელები“

ელგუჯა ეჩეჷი ენხირნან, **სოფლიშ ხალხ დემ ენაზორან** (ბქ.) ელგუჯა იმაზე გაბრაზდა, ჯრომქ სოფლის ხალხი არ შეგროვდა“

ბაგრმეჷი ოხვად ხოლა კუიჭ, **ამშა ლაცჷდ ლოქ აღსყელი** (ჩოლ.) „ბაგოზე გაბრაზდა („მოუვიდა ცუდი კუჭი“), ჯრომქ ამისი დასაცინი გავხდით“

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

ღინა ექკალიბ ლემპარ, **თეს დარმოშ ხაყულინა ქა** (ბქ.) „გოგო იმისთანა ყოფილა, ჯრომქ თვალს ვერავენ აშორებდა“

ექკალი ხალიჩ ლი, **ქამაპენე იმახხო მეკჷედი** (ლნტ.) „ისეთი ხალიჩა არის, ჯრომქ გამაფრენს სადაც მინდა“

ფუხდ ეჯკალიბ ურჯულო ლემარ, ბეგარდ ბოფშარ ესეენა (ლშხ.) „ბატონი ისეთი ურჯულო ყოფილა, {რომ} ბეგარად ბავშვები მიყავდა"

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული:

ლახუნშ სანთიმ ლილჯი ჩის დემე ხოხალ, მოშ ლილჯი ხაკუ (ბქ.) „მთის მარხილის შეკვრა ყველამ არ იცის {იმიტომ}, {რომ} სხვანაირი დატვირთვა უნდა"

სერ ამანლო ალ უქმი მუკუმას მამა ხაყლუნდა, ქა ლუხუნუნე ნადა თხუმ (ლშხ., სვან. ქრესტ., 244) „ამის მერე უკვე ამ უქმეების გამტეხს არ ეშინოდა {იმიტომ}, {რომ} ცოდვა მონანიებული ჰქონდა"

ალ დენაცუდ ხოლამდ ნახელუნენა მიჩა გეზალუთაღს, მად ხეკუადა ეჯმინცახენ ლირდე (ლნტ., იქვე, 315) „ეს დედინაცვალი ცუდად ექცეოდა თურმე თავის გერს {იმიტომ}, {რომ} არ უნდოდა მათთან ყოფნა"

ეჯმინს ხოშკურს ლოქ, ტიტუნელლ ლოქ ლის (ლნტ., იქვე, 315) „იმათ სრცხვენიათო {იმიტომ}, {რომ} შიშვლები არიანო"

ერბო ლისყი მამ ხაზნახ, ერბო ქა ლგბნო თაშ მამ ხასამხ (ჩოლ.) „ერბოს გაკეთება არ სჩვევიათ {იმიტომ}, {რომ} ერბო გამოცლილი ყველი არ მოსწონთ".

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული:

ერხი ეჯყი ადუნშის ბოფშარს, ხომოლუე ნარგად დემე ხესმის ეჩქანლტე (ბქ.) „ზოგიერთი ისე აფუჭებს ბავშვს, {რომ} უფროსების ლაპარაკი არ ესმით"

თუნეფ ჟი მკანხ ნარ, ამუნ ესნარ შენ დერე ლოხტუდირდა (ბზ., სვან. ქრესტ., 78) „თოფი {რომ} მომართული აქვს, {ისე} ვიდაცამ ხელი მოკიდა"

ჟაგარ ოხტიკ მიშგუაშურად, ხაზინარს მამა ხუნექარ (ლშხ., იქვე, 262) „წამალი ავიდე ჩემებურად {ისე}, {რომ} მასპინძლებს არ ვუთხარი"

ალე ხელმწიფს ეჯყი ლახლატუნდა, გეზალშალ (ჩოლ.) „ეს ხელმწიფეს ისე შეუყვარდა, {რომ} შვილივით"...

დროის გარემოებითი დამოკიდებული

ნესშტარს ქა ხაყულურახ დავარს, ეჩქას ნესშტარს ბოფშარ ხელდნდახ (ბზ., იქვე, 23) „თიკნებს რომ მოაშორებდნენ თხებს, მერე თიკნებს ბავშვები მწყემსავდნენ"

თხუმჟიქანქა ბანხ ლიკუნანეს ხემურჯალს, ეჩქას აშხუ ადგილს ჩუნუნანის (ბზ., სვან. ქრესტ., 34) „თავს ზემოთ ქვის სროლას {რომ} აპირებენ, მაშინ ერთ ადგილს მონიშნავენ"

ქუნილგმგენეს ჩუ ოთზეჰნისგდ, ეჩქას დგრს ნწკდ ხოკედდ ქა (ბქ., იქვე, 203) „საქონელს {რომ} დავკლავთ, მაშინ დვრიტას ცალკე გამოვუღებთ ხოლმე"

ალეუ ლოქ მეცუჰლ, **დებუდ ლოქ მრდ ეჭუბე** (ღშს., იქვე, 279) „ეს გამიწყრესო {მაშინ}, ცოლად {რომ} არ გამოგყვეო"

კუმში ნაძიენს ხელკის კუმაშ, იბნეს ლაგუჰანია კალიბ ლიბლჰლის (ჩოლ.) „საქონლის დანაკლავს {რომ} გადააწყდება საქონელი, {მაშინ} იწყებენ გასვენების მაგვარ ბლავილს" და მისთ.

აღნიშნული უკავშირო რთული წინადადების სინტაქსურ მთლიანობას, როგორც წესი, განაპირობებს მისი ნაწილების სტრუქტურული აგებულება და აზრობლივი მიმართება.

სვანურში, არცთუ იშვიათად, გვხვდება **უკავშირო ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები**, განსხვავებით ქართულისაგან, სადაც „არა გვაქვს ადგილის გარემოებითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებები" (8, 43):

ნაჰს განხან ლამტუარჰრ ხორიკ, ეჩეჰინ ლჷთჷმ მუგუჰლს ხადჷსგის (ბზ., იქვე, 115) „ჯაჰკვს გვერდიდან სანათური {რომ} ჰკიღია, იმაზე ღამით კვარს დებენ („ნაჰა-ს გან-იდან სანათურები ჰკიღია, იმაზე ღამით კვარს ა-დ-ებ-ენ)"

მეჰი ლეხლერ მახად ლამღუჰის ხეტხეს, ეჩეჰოღჷ ლი ისგუჷ ლაქუნ (ბქ., სვან. ქრესტ., 174) „მწიფე ხილნარი {რომ} ხელახლა ყვაოდეს, იქ ყოფილიყოს თქვენი სასუფეველი"

ჰამაშარ, **ათხე გელა იზგე**, ეჩეჷი ლგმზიგლის სემი მეზგე (ბქ., იქვე, 188) „ჰამაშარში, ახლა {რომ} გელა ცხოვრობს, იქ ცხოვრობდა თურმე სამი ოჯახი"

მაგ ქა იკუშე ნაჩომ ცოდობს ეჩეჩუ, ჟ'ნზორის სკალდისა (ჩოლ.) „ყველა {რომ} გაამხელს ჩადენილ ცოდვას იქ, {მაშინ} შეგროვდებიან ხოლმე სკალდის {ეკლესიაში}"...

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კონტექსტის მიხედვითაც კი ძნელდება გარჩევა იმისა, უკავშირო წინადადება თანწყობილია, ქვეწყობილი, თუ შერწყმული. ხანდახან მათი გამოცნობა ძნელდება იმის გამო, რომ მაქვემდებარებელი ინტონაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ისეთი სიძლიერითა და სიზუსტით ვერ გამოხატავს ერთი წინადადების მეორეზე დაქვემდებარებას, როგორც, მაგალითად, მაქვემდებარებელი კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა. მაგ.:

შვილს ჩუქტუნ არტან ხონ, ეჩუენ უტელფი ნაჭა ხოწიბ (ბზ., სვან. ქრესტ., 115) „სხვენს ქვევით ძელი არის გადებული, იმაზე კერიის ჯაჭვი არის ჩამოკონწიალებული“

აფხზარ ოლმანზ ჯგერაგიშ ლაპგრტანითე, მოკილ ლემარ ბეტამერ ხომა (ბქ., იქვე, 186) „აფხაზები მიდიოდნენ წმინდა გიორგის ასაოხრებლად, ეკლესიის მცველი ყოფილა ბუტასაანთ წინაპარი“

ქა ადვად ყორტუნლხოქა, ხავიდ ბურთ ჭყეროდ ყორტუნლს (ლნტ., იქვე, 324) „გავიდა კარში, მიატყა ბურთი კვარცის კარებს“...

ქართულში, როგორც ცნობილია, გამოცნობის სიძნელე არა მარტო უკავშიროს რთულ წინადადებას ახლავს, არამედ კავშირიანსაც, „მსგავსი გაურკვევლობისგან ზოგჯერ არც კავშირიანი რთული წინადადებაა დაზღვეული“, მაგალითად, ცნობილია, რომ „თორემ“ კავშირიანი წინადადება ზოგჯერ რთული თანწყობილია, ზოგჯერ – ქვეწყობილი: თანწყ. კაცს კაცობა უნდა, **თორემ** უღვაში კატასაც კი აქვსო (ანდ); ქვეწყ. ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა, **თორემ** ის ბიჭი განანებს ბევრსა („კაკო ყაჩაღი“) (8, 32).

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ქვემოსვანურ დიალექტებში, კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი. კავშირთა ასეთი თავმოყრა დასტურდება ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც, ეს ქვემოსვანურშია. მაგ.:

ეჩქას მიჩა ნახახუს, **ხედუნაჲ ერე** მიჩნემ პნთხე, ეჩის ხაქტე (ბზ., სვან. ქრესტ., 171) „მაშინ თავის ნაცოლარს, რომელიც რომ მან მოძებნა, იმას უთხრა“

აღე დემ ემსყე, **შომას ერე** მი ჟი ლგჰნე ხუნსტუ (ბქ.) „ეს ვერ გამიკეთა, როცა რომ მე გადაყოლილი ვიყავი“

სერ **შომაჲ ერ** ჟი ხებდერ, ეჩქას ჟი ხეგნი ნებრლილ (ლშხ., იქვე, 257) „მოკლედ, როცა რომ ამოწევს, მაშინ დააჯდება ხოლმე ჩიტი“

შომუნაჲ ერე ლიხჩოტუნლ ლახთირხ, გეზღორ ჩაჟიმ ლავდად აღზგზეს ჯილგყთე (იქვე, 262) „როცა რომ გამოკეთება შეატყვეს, {მაშინ} შვილები ცხენის მოსაყვანად გააგზავნეს ჯოგში“

ლახ ერე ლიტუნლ ჩუედვიდხ, „თხუმს ლოქ ხოწად“, – მუქტუხ (იქვე, 263) „როცა რომ სიცილისგან გული იჯერეს, „თავს უშველეო“, – მითხრეს“

შომაჲ ერე ხოჩა მალგფხ ლი, ეჩქა მუს ლაჲ იჩუეფი ხუნკუტი (ლნტ., სვან. ქრესტ., 301) „როცა რომ კარგი გაზაფხულია, მაშინ თოვლიც მალე დნება“

სომეხ ანკად ქარაუანშუ, **ხედუამს ერ** ხეყად სემი აშირ აქლემ (იქვე, 322) „სომეხი მოვიდა ქარავნით, რომელსაც რომ ჰყავდა სამასი აქლემი“

ეჭვი ესყედნე ტტეტისა, **იმჟაჟი ერე** მიჩა მეხედ აღშეტურანე (ჩოლ.) „ისე დაიკავა ხელში, როგორც რომ თავისმა ცოლმა დაარიგა“

ჩ'ოთშდუხუბახ ეჩეჩუ, **იმჟაჟ ერ** ათხე ბაპშა ნალზიგს ხატულის (ჩოლ.) „დაუკრძალავთ იქ, სადაც რომ ახლა ბაპიანთ ნასახლარს ეძახიან“...

ჰიპოტაქსური წინადადებების ნაწილებს შორის დაკავშირება ხშირად ცალმხრივია. მთავარში არ არის წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვები, თუმცა მათი აღდგენა ადვილად შეიძლება. სვანურ დიალექტებში ამ სახის წინადადებებში არაერთგვაროვანი სურათია. ქვემოსვანურისთვის (განსაკუთრებით ჩოლურულისათვის, და, ასევე, ლაშსურისათვის) აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა საკორელაციო წევრთა გამოტოვება, და შეიძლება ითქვას, რომ უკავშირო წინადადებებს გაცილებით სჭარბობს უკორელაციო მთავარი; ერთსა და იმავე წინადადებაში საკავშირებელი წევრი ხან წარმოდგენილია და ხან არა:

სემი ზაჟ დეშ ირი, მი ერ ლითხუდარ ოხბინ (ლშხ., სვან. ქრესტ., 252) „სამი წელი ვერ იქნება {მას მერე}, მე რომ ნადირობა დავიწყე“

მიჩ ლოქ ე ხონჭრინაღუნინხუტი, **ლითხუიარსნ სგა ლოქ ამმითქუნე** (იქვე, 252) „ჩემთან ერთად თუ ივლიო, {მაშინ} ნადირობასაც შეგახვევო“

ჩ'ტერ ახოფანის, **ჩუ ხომონდობის ლდგარუს** (ლნტ., იქვე, 291) „რომ წაუდგამენ მიცვალებულთა სულებს საკურთხეს, {მაშინ} ჭიქას წაუქცევენ მიცვალებულებს“

სგ'ერ ონჭუადდ ფანაგა შუკუთე, **ჟ'ოგხუიდა ლეშხი ბოჩიკ** (ჩოლ.) „რომ შემოვედით ფანაგის გზაზე, {მაშინ} ვიპოვეთ დასაწვავი საქონელი“

ხალ ქა ხუეწდ, **შიშდ თოფს ხუაფხიჭ** (ჩოლ.) „როგორც კი დავინახე, {მაშინვე} თოფს წავავლე ხელი“ და სხვ.

ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, მთავარ წინადადებაში ეს დანაკლისი არ არის ხშირი, თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა საკორელაციო სიტყვა აკლია. მაგ.:

ჯუინაღდ ხეჯრაჟუნს, ერე თოფრე ჰერ ესერ საფლანტუთესგა სგა ხესმი ლეწურისი (ბზ., იქვე, 24) „ძველად სჯეროდათ {ის}, რომ თოფების ხმა საფლავში ესმისო მიცვალებულს“

ლერსგუტენ თაღაფა ლახე ხოქტოჲნ მარა, **ნათი ხოჩემი ლიკუჲე როქუ ხოხა** (ბზ., სვან. ქრესტ., 24) „მარჯვენა წამწამი როცა უთამაშებს ადამიანს, {მაშინ} ნათესავზე კარგი ამბის გაგება იცისო“

ისგე ლაშგდჲშ პატიჲ ე დემ ჯაყრიდ, **ნომა ნანდროჲად, მალდიანუ** (ბქ., იქვე, 186) „თქვენი საკადრისი პატივი თუ ვერ გეცით, არ დაგვემდუროთ, მადლიანებო“

ლაღვიმალჲი ჩუბე სართულ ლახა ქა ილიდ, **დგრარ ლიხ ლედისგ** (ბქ., იქვე, 196) „მშენებლობისას როცა ქვედა სართული დამთავრდება, დირეები არის გასადები“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოსვანურის ყველა იმ ილუსტრაციაში, სადაც გამოტოვებული იყო მისათითებელი სიტყვა, ბალსქვემოურმა თითქმის ყველგან აღადგინა იგი, თუმცა გამოტოვა დამოკიდებულში მაქვემდებარებელი კავშირი. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამ პარალელურ შედარებებს:

ჯეი ჟ'ესგურდა სეჲჲი ი სგ'ერ ადჲე სოფელთე, ამეჲუ ჩის ჟ'ახყალჲუნდა... (ლშხ. იქვე, 91,24) „თვითონ დაჯდა მარხილზე და რომ შეიტანა სოფელში, {მაშინ} აქ ყველას შეეშინდა“

შდრ. ბქ.: ჯი ჟ'ახსგურდა საჲჲი ი სოფელთე სგ'ადიე, **ეჩქას** ამეჲუ ჩის ათყალინდა „თვითონ დაჯდა მარხილზე და სოფელში {რომ} შეიტანა, მაშინ აქ ყველას შეეშინდა“

ამჲი ანჯადხ დაჲარ, გიორგის **ერ** ქა ხეწადხ, ჟ'ახყალჲუნდახ (იქვე, 91,31) „ასე მოვიდნენ დევეები, გიორგი რომ დაინახეს, {მაშინ} შეეშინდათ“

შდრ. ბქ.: ამჲი ანჯადხ დაჲარ ი გიორგის ქა ხეწადხ, **ეჩქას** ათყალინდახ „ასე მოვიდნენ დევეები და გიორგი {რომ} დაინახეს, მაშინ შეეშინდათ“

შის **ერ** ეხბიშდა დაჲ, გიორგიდ ეჲჲი ოხთგლგრე ტოტისა, ერე დაჲჲ ყულ-ყულდ აფაშგ (ლშხ., იქვე, 91,34) „ხელი რომ ჩამოართვა დევემა, {მაშინ} გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა“

შდრ. ბქ.: დაჲჲ შის ეხბიშდა, **ეჩქას** გიორგიდ ეჲჲი ოხთგრლე ტჲეტისგა, ერე დაჲჲ ყულ-ყულდ აფაშგ (ბქ.) „დევემა {რომ} ხელი ჩამოართვა, მაშინ გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა“...

თუ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულში კავშირად გამოყენებულია წევრ-კავშირი, მაშინ, როგორც წესი, მთავარშიც დასტურდება მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, და დაკავშირებაც ორმხრივია, თუმცა იშვიათად შეიძლება გამონაკლისიც დაფიქსირდეს და საკორელაციო სიტყვა გამოტოვებული იყოს:

მუწყუნწლ'ერტუა ლსტუ, ეჯას მიჩა ჭაწმიმდ ხალსარტუნ ნწყუნ (ბზ., სვან. ქრესტ., 26) „მზარეული ვინც იყო, იმას თავისი მეუღლისთვის ემეტებოდა კერძი“

იმგუა ძტირ ლი ბაჩ, **ეჩეჩუ** სგებნათ ხარხ ბაჩტემ ლამარასი (ბქ., იქვე, 198) „სადაც ქვა ძვირი არის, იქ წინდაწინ შეუდგებიან ხოლმე ქვის მომზადებასაც“

არაყ **იმჟუა** ეს ხეკუად, **ეიჟი** ხულტუნ ჩის (ლშხ.) „არაყი ვისაც როგორ უნდოდა, ისე ჰქონდა ყველას“

ქა **იმთჟა** ღგობ, **ჩინგ** კინჩხს იქტუცხ (ჩოლ.) „სადაც წავლენ, ყველგან კისერს იჭრიან“

იმჩუტა ხრახენი, **ეჩეჩუ** ლანშანს იღეს მერმალ (ჩოლ.) „სადაც დაეცემა, იქ სანიშნეს დებენ სხეები“

სოფლის ყიბე ძვიდს ღგ კლას, **ხედას** ჭტინელ მგ ჩუ ლულტაშე ხარ (ლხმ., იქვე, 185) „სოფლის თავში დგას {ის} სკოლა, რომელსაც ძველი ყველაფერი გაფუჭებული აქვს“

შომტა თენგიზ ლეჩხუმთ'ამჩედ, ალ ლარტყ შუნ ლრხტია (ბზ., იქვე, 60) „როდესაც თენგიზი ლეჩხუმში წასულა, {მაშინ} ეს ქამარი თან წაუღია“

შომასი ხორჩრება ესამა ხულტახ ლეზტბორა, მახა ღგდგარტს ქა ხოგემხ კოტრლ ტაბგნლს ნაფანდუნდ (ლშხ., იქვე, 242) „როდესაც კარგი საჭმელი აქვთ, {მაშინ} ახალ მიცვალებულებს პატარა საკურთხეს დაუდგამენ ხოლმე“

შესწირს **ერტა** ვიდე, ხატიედი საროსტას (ლნტ., იქვე, 295) „შესაწირს ვინც მოიტანს, {ის} აძლევს მლოცველს“...

სვანურშიც დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დამოკიდებულ წინადადებას კავშირი აკლია, ხოლო მთავარს – საკორელაციო. მაგ:

სერ ამანლო ალ უქმი მუკტუშას მამა ხაყლუნდა, ქა ლუხტაშენ ხნდა თხუმ (ლშხ., იქვე, 244) „ამის მერე უკვე ამ უქმის გამტეხს არ ეშინოდა {იმიტომ}, {რომ} ცოდვა მონანიებული ჰქონდა“

ღემ გუფტუდეს, ხტაჟ ოხხურიელანდ (ლშხ., სვან. ქრესტ., 260) „არ გვიშვებენ {იმიტომ}, {რომ} ბევრი მოვგროვდით“

ლახტუ მარჯილი ლილჯი ჩიის მანდ ხოხალ, მერბენაირ ლილაჯი ხაკუ (ლნტ., იქვე, 301) „მთის მარხილის შეკვრა ყველამ არ იცის {იმიტომ}, {რომ} სხვანაირი შეკვრა უნდა“

ალ დიენაცანდ ხოლამდ ხახელნენა მიჩა გეხალუთალს, მად ხაკუტედა ეჭმინცხენ ლირდე (იქვე, 315) „ეს დედინაცვალი ცუდად ექცეოდა თურმე თავის გერს {იმიტომ}, {რომ} არ უნდოდა მათთან ყოფნა“

კუმში ნაძიენს ხელკის კუმაშ, იბნეს ლაგუანია კალიბ ლიბლულის (ჩოლ.) „საქონლის დანაკლავს {რომ} წააწყდება საქონელი, {მაშინ} იწყებენ გასვენების ნაირ ბღაგილს“...

სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ, გავრცელების თვალსაზრისით, უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი იშვიათად დასტურდება. სხვადასხვაობაა ინტონაციის თვალსაზრისითაც: უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით კი ბალსქვემოურში (იშვიათად, მაგრამ მაინც ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვაგვრძობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით.

უკავშირო ჰიპოტაქსზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი, ცხადია, კეთდებოდა ზემოსვანურ დიალექტებზე, ვინაიდან ქვემოსვანურ დიალექტებში, და მათ შორის ჩოლურულშიც, როგორც მრავალგზის ითქვა, უკავშირო დამოკიდებული წინადადება შედარებით იშვიათად დასტურდება, რაც იმით აიხსნება, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ.

ვინაიდან სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, ძირითადად, გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები (ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები) **ერე** „რომ“ (რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში) და **ლახ** „რომ, თუ“, ვფიქრობთ, რომ სწორედ აღნიშნული კავშირები იგულისხმება და აღსდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში; უფრო ხშირად – **ერე** „რომ“ კავშირი, იშვიათად, მაგრამ მაინც **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი.

ქვემოსვანურ დიალექტებში კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი (მაგ.: **ხედუჭა ერე** „რომელიც რომ“, **შომას ერე** „როდესაც რომ“...). კავშირთა ასეთი თავმოყრა დადასტურდა ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ქვემოსვანურ დიალექტებში.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემოსვანურის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში ფიქსირებული ვითარება, უახ-

ლოდება სხვა ქართველურ მონაცემებს, რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურ დიალექტებზე, რომლებმაც, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, დამოკიდებულ წინადადებათა განვითარების უფრო ადრინდელი საფეხური შემოინახეს, ვინაიდან, საზოგადოდ ცნობილია, რომ „ასიდენტური შეერთება უფრო ადრინდელი საფეხურია და უსწრებს კავშირიანს“ (7, 70).

ნაწილაკთა სინტაქსური დახასიათებისათვის ქვემოსვანურ დიალექტებში

§ 26. სვანური ენა მდიდარია ნაწილაკებითა და მათგან წარმოებული სიტყვებით. სვანურში ნაწილაკთა სიმრავლეს დიალექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს.

გამოიყოფა ნაწილაკთა გარკვეული ჯგუფები, ხოლო ამ ჯგუფებში შემავალ ნაწილაკთა გავრცელების არე და მნიშვნელობა მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარია სვანური დიალექტების მიხედვით.

სვანურში კითხვით სიტყვებს მიმართებითად **-ჟნა, -ი(ცა)** ნაწილაკი აქცევს, ხოლო, ქართულისაგან განსხვავებით სვანურში თითოეული მიმართებითი სიტყვა რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება: „**-ჟნა** ნაწილაკი შემდეგ დიალექტურ ნაირსახეობებს იძლევა: **-ჟნა, -ჟნა, -ჟაი, -ჟნა, -ჟა, -ჟა...** ვარიანტების რიცხვს ზრდის ისიც, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები იბრუნვის: ბრუნვის ნიშანი ხან მთლიანად მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის, ხან კი მის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე. ამის გამო სახელობითში არსებული ერთი ვარიანტის ნაცვლად სხვა ბრუნვებში სამ-სამი ვარიანტი გვაქვს (1, 145).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ნაწილაკის საშუალებით მიმართებით ნაცვალსახელთა წარმოება სვანურში შედარებით ახალი წარმოქმნილი ჩანს, რის გამოც მათი ხმარება რამდენადმე შეზღუდულია... ამჟამად სვანურისთვის უფრო დამახასიათებელია მიმართებითის გადმოცემა უნაწილაკოდ“ (26, 211).

ბალსქვემოურ დიალექტში დღესაც ნაწილაკიანი ფორმების გვერდით ხშირია უნაწილაკო მიმართებითი ნაცვალსახელები, რომლებიც ფორმოზრივად ერთხვევა კითხვით სიტყვებს:

ხედად||ხედჟად||ხედჟნად მიჩა მუწხჟნაჟი გჟელერშაპ ჩუადგარ (ბქ.) „რომელმაც მისი შემაწუხებელი გველეშაპი მოკლა“

იმე ხჟარდ ი, **იმეგ** ათხელდ მირდჟნა (ბქ.) „სად ვიყავი და, სადაც აქამდე ვყოფილვარ“

ეჭვი ახასყ, **იმჟი||იმტუაჟი** ათხელდ ჳისყა (ბქ). „ისე გააკეთე, როგორც აქამდე გიკეთებია“

ერტა ღტეშგინბილს ესდენი ტაბზგისგა მეტრედ, ეჟი ირი ჩიმი მესრე (ბქ) „ვინც ბოლოს დარჩება სუფრასთან მსმელად, ის იქნება ყველას მჯობი“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ჩოლურულ ტექსტებში ნაწილაკის გარეშე მიმართებითი წევრ-კავშირების გამოყენების შემთხვევები არ ვლინდება.

-ტუა (ცა) ნაწილაკი ყველაზე პროდუქტიულია ბალსზემოურ და ლენტესურ დიალექტებში, მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება სხვა დანარჩენებში, მათ შორის, ჩოლურულშიც.

-ტუა||ტა რთული ნაწილაკის გვერდით ლაშსურში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ **-ი** ნაწილაკდართული ფორმებიც.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს **-ტუა||ტუა**, **-ტულ**, **-ი** ნაწილაკები ჩოლურულში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ უკანასკნელში თავმოყრილია თითქმის ოთხივე დიალექტის ვარიანტები და ამასთანავე გვხვდება თავისებური წარმოებაც.

ლაშსურის მსგავსად, ჩოლურულშიც გაცილებით დიდი უპირატესობა ენიჭება **-ი** ნაწილაკიან ფორმებს:

ქანჯად ეჟი მარე, **ხედ-ნ||ხედტუა** სგობინ ხოჟოლტუდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მოუძლოდათ“

ლაგტანთე ანღრიხ ჳრღიახენ, **ღარ-ნ||ერტუა** ხაყახ (ჩოლ.) „გასვენებაში მოდიან შორიდან, ვინც ჰყავთ“

ეჩე ეხიკ, **იმჟ-ა||იმტუა** ათხად ჳიკრღა (ჩოლ.) „იქ აიღე, სადაც აქამდე აგიღია“

სი მარე, **იმჟი||იმტუაჟი** მაკფგნ, ეჭყი ოთმუშგტუნ (ჩოლ.) „შე კაცო, როგორც მსურდა, ისე გავისტუმრე“

იმჩტა||იმჩტუა სგტრღახ, თელდ ეჩა პილქა ოთღა მანქანა (ჩოლ.) „სადაც ისხდნენ, სწორედ იმის ნაპირას გაუტარებია მანქანა“

განსხვავებით სხვა დიალექტებისაგან, ჩოლურულში ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც **-ტუა** ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანს დაერთვის **-ი**, რომელიც ხშირად გრძელდება.

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული (ხმოვანი) -ი („ცა“) ნაწილაკია და ორმაგ ნაწილაკდართულ ფორმებს ვიღებთ, თუმცა მისი ფუნქცია -**ტაძ**-სთან შედარებით შესუსტებული ჩანს, რადგან პარალელურად -ი-ს გარეშეც დასტურდება და მიმართებითობას სწორედ -**ტაძ** ნაწილაკი ანიჭებს საკავშირებელ სიტყვებს:

ერტაძლ||ერტაძლ-ი ჯენმევერე ღოშტ ლიტეს, მ ათუიფ ეჯნემ? (ჩოლ.) „ვინც გაიგო („მოიფიქრა“) უკან დაბრუნება, რა დაკარგა მან?“

მაძტაძს||მაძტაძს-ი ხიშგომ, მვგ ისგუი ორი (ჩოლ.) „რასაც ითხოვ, ყველაფერი შენი იქნება“

ღოშკინპილს ქა ხაღრისეხ ეჯის, **ხედტაძშ||ხედტაძშ-ი** ლას ნადიან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსებენ იმას, ვისიც იყო გოგო“

ჟეჯი ლოქ ალფგრელი, ე **ხედტაძშლ||ხედტაძშლ-ი** ლოქ ოსგოშა საპნარ ლიც (ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, ე, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი“

ეჯი თაკუს ხათხელნა, **ხედტაძშუ||ხედტაძშუ-ი** ოთგრმა დანუ (ჩოლ.) „იმ თოკს ექებდა თურმე, რომლითაც დაუჭერია დევი“

ესტაძს||ესტაძს-ი ალე ისგუათ ქახოქტენს, ეჯის ნოსათ ახენა ზატდაზაე (ჩოლ.) „ვისაც ეს შენთვის ეთქვას, მას არ მოსწრებოდეს გაისი“

თანდებულების შემდეგ -ი ხმოვანი დაერთვის მიმართებით ზმნიზედებსაც: **იმტაძხენ||იმტაძხენ-ი** ჯეკტეს, ეჩხენ ემივ! (ჩოლ.) „საიდანაც გინდოდეს, იქიდან მომიტანე!“

იმტაძთე||იმტაძთე-ი ქოთსგი, ჩიანე ალე ემხტინდა (ჩოლ.) „საითკენაც გავიხედე, ყველგან ეს დამხვდა“

იმტაძჟი||იმტაძჟი-ი ისგუი ბაბა ჯაშგურანა, ეჯჟი ჩომ (ჩოლ.) „როგორც ბაბუაშენი გარიგებდა, ისე მოიქეცი“

ისგუი ჭკუაჟი დემ ხტიპერიელ ეჯშელდინ, **ჟოშტაძდინ||ჟოშტაძდინ-ი** ლეჯშყედნი ეჩხანუ ლიტეს (ჩოლ.) „შენ ჭკუაზე ვერ ვიხტუნავებ იმდენჯერ, რამდენჯერაც გაგახსენდება იქ დაბრუნება“

ვინაიდან ჩოლურულისათვის უფრო ბუნებრივი და ინტენსიურია -ი ნაწილაკდართული თანდებულიანი მიმართებითი ზმნიზედები -**ტაძ** ნაწილაკის მონაწილეობის გარეშე, შესაბამისად, გვაქვს შემდეგი ფორმები: **იმხენ** „საიდანაც“, **იმთე** „სადაც“, **იმჟე** „როგორც“, **იმხენჟე** „საიდანაც“, **იმხენქაძ** „საიდანაც“...

ცნობილია, რომ **ტნ/ალე** კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს განუსაზღვრელობას ანიჭებს: **იმტნლე** „სადღაც“, **ფერტნლე** „ვიღაცა“ (13, 206), ხოლო **-ტნა** ნაწილაკიანი საკავშირებელი სიტყვები განსაზღვრულია.

ჩოლურულში **ტნლე** ნაწილაკი ბოლოკიდური (**ე**) ხმოვნის გარეშე საკმაო სიხშირით გამოიყენება განსაზღვრულ მიმართებითებთან. მათი პარალელური ხმარება ადრევის შედეგი ჩანს და ქრონოლოგიურად გვიანდელ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს:

აღნიშნულ დიალექტში **-ტნლ** ნაწილაკს, **-ი** ნაწილაკიც დაერთვის:

ერტნა||ფერტნლ||ფერტნლ-ი ჩუასდენიდ, ეჯნემ ეხჟოლტნედ (ჩოლ.) „ვინც დარჩებით, იმან მოიტანეთ, გამოიყოლეთ“

მაფტნა||მაფტნლ||მაფტნლ-ი მიხალდა, ეჯი ჩტამშტნე (ჩოლ.) „რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყა“

შომტნა||შომტნლ||შომტნლ-ი ორი, ქა ლევედ დერ ხერი? (ჩოლ.) „როცა იქნება, გამოსვლა ხომ მოუწევს?“

იმტნაჟი||იმტნლჟი||იმტნლჟ-ი მიცხან, ჩუ მამ ემჯირტედ (ჩოლ.) „როგორც მეჩინა, არ დამიჯერეთ“.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ განსაზღვრულ მიმართებითებში **ტნლ** ნაწილაკი განუსაზღვრელი საკავშირებელი სიტყვების ანალოგიით გაჩნდა და ამის გამო ფუნქციაც დაკარგული აქვს.

საინტერესოა წევრ-კავშირებში **-ტნა||-ტნა, -ტნლ, -ი** „ცა“, ნაწილაკთან წარმოდგენილი **მანგმაგ** „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, რომელიც სისტემატურად დასტურდება ჩოლურულში და მსგავსი შემთხვევა სვანურის სხვა დიალექტებში არ შეგვინიშნავს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩოლურული კითხვით სიტყვათაგან მიმართებით ნაცვალსახელთა საწარმოებლად უპირატესობას **-ი** „ცა“ ნაწილაკს ანიჭებს და აღნიშნული ნაცვალსახელი სწორედ ამ ნაწილაკთან თანშეზრდილ სახეობად დასტურდება, თუმცა მნიშვნელობა „ყველა, ყველაფერი“ დაჩრდილულია და მისი დართვა-დაურთველობით აბსოლუტურად არაფერი იცვლება, ასეთი ფორმები ნაწილაკის გავლენით მხოლოდ მიმართებითობას გამოხატავენ ჩოლურულში:

ხედ-ი-მაგ „რომელიც“, **იმჟ-ი-მაგ** „როგორც“, **ძარ-ი-მაგ** „ვინც“, **ეჯძარ-ი-მაგ** „ისინიც“, **მნ-მაგ** „მეც“, **სგან-მაგ** „თქვენც“...

ქაბთიშ, **ხედ-ი-მაგ** ჯაკუ „ამოარჩიე, რომელიც გინდა“

ძარ-ბ-მაგ ჟენკედნა ალე ბაჩს, ხანჯალსი ეჯის ხანტულდახ „ვინც აიღებდა ამ ქვას, ხანჯალსაც იმას აძლევდნენ“

ჯრდიახენისა ლეღტულე, **სგა-ბ-მაგ** ლოქ ანჯადლ „შორიდან დაიძახა, თქვენც წამოდიოთ“

ქეთბლანან, ეჯლა ი ამლა **მბ-მაგ** ლოქ ჳუნდნი „გადააჯინდა, გინდა თუ არ გინდა („იმისთვის და ამისთვის“) მეც წამოვალო“

ტკიცდ ეჯჟი ოხსუნენე, **იმჟ-ბ-მაგ** მაკაფ „სწორედ ისე გავაკეთებ, როგორც მსურს“

მექტერწლაცახან **ეჯძარ-ბ-მაგ** მეჯედ ლასხ „მექორწილებთან ერთად ისინიც მომსვლელები იყვნენ“...

ვლინდება ისეთი შემთხვევებიც, როცა აღნიშნული ნაცვალსახელი დასტურდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმაზე დართულ **-ჟნა||-ჟნა, -ჟნლ** და **-ი** ორმაგ ნაწილაკდართულ მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთადაც და მეტად დახუნძლულ ფორმებს ვღებულობთ:

ხედ-ჟნა-მაგ „რომელიც“, **ესჟნას-ბ-მაგ** „ვისაც“, **იმჟი-ჟნა-მაგ** „როგორც“, **ხედ-ჟნა-დ-ბ-მაგ** „რომელმაც“, **ხედ-ჟნა-შდ-ბ-მაგ** „რომლისთვისაც“...

ესჟნას-ბ-მაგ ხეხლ, ეჯისუ ათხტიეხ, ნაი იმ გჟაჩმასტნახ?! „ვისაც ეკუთვნოდა, იმისთვის მიეკუთვნათ, ჩვენ რას გვერჩოდნენ?“

ხედ-ჟნა-დ-ბ-მაგ ჩუნდსერე ლეყერდ, ჩჟი ეჯნემდ ლეღშხუნე ეჩნდლო მეცტულა-ხენქა „რომელმაც გაიმეტა საცემად, სწორედ იმან დაიფარა („შემოინახა“) მოჩხუ-ბართაგან მერე“

ეჯის მწ ლახტიხ თეთრ ე, **ხედ-ჟნა-შდ-ბ-მაგ** ხაგდგნ „იმას კი არ დაუბრუნა ფული, ე, ვისთვისაც მართებდა“...

მაგ ნაცვალსახელი დაერთვის თანდებულიან მიმართებით ჳმნიზედებსაც:

იმხენ-ბ-მაგ||იმჟნახენ-ბ-მაგ მი მაკაფ, ეჩხენ ეხჟოლტუნ „საიდანაც მე მსურს, იქიდან გამოიყოლე“

ჟი ლერ ესტემნბი, **იმჟ-ბ-მაგ||იმჟნაჟ-ბ-მაგ** მიჩ ხაკუ, **ეშ-ბ-მაგ** ეჯჟი ასუი „რომ დააკვდე („დააკვდები“), როგორც თვითონ უნდა, მაინც ისე აკეთებს“

ჟოშელდინ-ბ-მაგ||ჟოშჟნადინ-ბ-მაგ ში ქა მირიწტუნს, ეჯშელდ ხინი-ხიად მიშგტა ჳაშს ი გეზალს „რამდენჯერაც ხელი გამემართოს, იმდენი ლხინი და გახარება ჩემ ქმარ-შვილს“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, აღნიშნული ნაცვალსახელი გვხვდება ყველანაირ მიმართებებთან, სადაც კი შეიძლება **-ი** ნაწილაკი იყოს

და ყველა შემთხვევაში ნაწილაკი წინ უსწრებს მას. იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **მაც||მაგ** „ყველა, ყველაფერი“ ნაცვალსახელი მხოლოდ **-ჟანა||-ჟანა, -ჟანა** დართულ მიმართებითებს ახლავს.

ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიებზე დაკვირვებისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩოლურული თითქოსდა გამარტივებულ ფორმებს უჭერს მხარს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მეტად დახუნძლულ ფორმებს ენიჭება უპირატესობა. ასახსნელია, თუ რაში დასჭირდა ენას ასეთი გართულებული ფორმები, მით უფრო მაშინ, როცა ნათლად ჩანს რომ **მაგ** ნაცვალსახელის დართვა-დაურთველობა სრულიად არაფერს ცვლის და მას დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და სემანტიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანურის ნაწილაკთა ჯგუფები და წარმომავლობა არაერთგზის იქნა განხილული, თუმცა, როგორც ვ. თოფურია შენიშნავს „ზოგის მნიშვნელობა ნათელი არაა: ღენ, ენგი, გომნ, მირ, ჭურ...“ (13, 208).

ამავდროულად სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი **გინ** ნაწილაკის შესახებ, რომელიც ხშირად დასტურდება სვანურ მეტყველებაში, კერძოდ, ლაშხურსა და ჩოლურულში.

გინ ნაწილაკი შეიძლება მივაკუთვნოთ ემოციურ-გამომსახველობითი (ექსპრესიული) იერის გამომხატველ ნაწილაკთა ჯგუფს (ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე განცვიფრებით ნაწილაკებს), ვინაიდან სარკაზმით გახაზავს და მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს მთელ წინადადებას, აგრეთვე რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი უშუალოდ წინადადების იმ წევრსაც ანიჭებს გარკვეულ ნიუანსს (კერძოდ სარკაზმს, დაცინვას უსვამს ხაზს), რომელსაც ახლავს.

გინ ნაწილაკის ადგილი წინადადებაში არ არის მყარი, შეიძლება წინ უსწრებდეს სიტყვას ან მოსდევდეს მას. აღნიშნული ნაწილაკი წინადადების ნებისმიერ წევრს შეიძლება დაერთოს:

ქენთიშე ლაგჟანთე ლექჟემდ **წგრნიალ გინ** (ლშხ.) „წითლები აირჩია გასვენებაში ჩასაცემლად“

ხოკგრაღლა მიჩა **დიეშდ გინ** (ლშხ.) „უხვეწნია დედამისისთვის“

ხატჟლდა დედეს **ლემწრად გინ** (ჩოლ.) „ეძახდა დედას გამწარებული“

მეზუბელარე **დინოლ გინ** იშგმინ (ჩოლ.) „მეზობლების გოგო ითხოვა“

ხენათ **ეჯარს გინ** (ჩოლ.) „იმათ ენათესავება“ და სხვ.

შემასმენელთან მიმართებაშიც ხსენებული ნაწილაკი შეიძლება წინ უსწრებდეს, მოსდევდეს ან თიშავდეს ზმნა-შემასმენელსა და ზმნისწინს ერთმანეთისგან:

კაბარ **გინ ოხყიდა** ლეზობორან მგქაფ (ჩოლ.) „კაბები უყიდია საჭმელების მაგივრად“

ღვრდა გინ შტანშტუ ლაკურთხელთე (ჩოლ.) „მიდიოდა მარტოდმარტო საწანწალოდ“

ჩუ გინ ოხტინა მართენ (ლშხ.) „ჩამოუწვევია ტოტი“

ქა გინ ოთქუითა კალათ (ჩოლ.) „მოუპარია კალათა“ და სხვ.

ხშირად **გინ** ნაწილაკი უარყოფით ნაწილაკებსაც ახლავს:

იმგნა ლასგდიდ **გინ დემ** იბნა ლიგუნის (ლშხ.) „სხვის დასანახად არ იწყებდა ტირილს“

ჟითომ **დემ გინ** აბლაჟი ლიფეჯგანლს (ჩოლ.) „ვითომ ვერ ბედავს თავის მართლებას“

ჟითომ **გინ დეთაძ თეს** ხნდა ლასგიდ (ჩოლ.) „ვითომ ვერც თვალეში იხედებოდა“.

განსახილველი ნაწილაკი ახლავს შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებსაც და ბოლო ადგილზე მყოფ წევრს დაერთვის:

ხექქანლდა **ქათლარს** ი **ხამარს გინ** (ჩოლ.) „ქაქანით დევნიდა ქათმებს და ღორებს“

ხოჩა მუზიკანტშნლ აჩად **ლალრანლთე** ი **ლაშუშპართე გინ** (ლშხ.) „კარგი მუსიკოსივით წავიდა სამღერად და საცეკვაოდ“

აფთხენე ი **იხტრიელე გინ** იმგნა გაკარს (ლშხ.) „ფერთხავს და აგროვებს სხვის კაკლებს“ და ა.შ.

აღნიშნული ნაწილაკი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შეიძლება ახლდეს მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნიზედებსაც. მაგ.:

ჟახფერბენახ ეჯიარ, **ხეღიარდნი გინ** ხაყულნნა (ჩოლ.) „მოფერებიან ისინი, ვისიც ეშინოდა“

ხოტენტანლახ ალიარს, **იარსნი გინ** მნ ხნდა ქუნე ლაკად (ლშხ.) „თავში დაუშენით ხელები ამათ, ვისაც არ ჰქონდა ხმის ამოდების უფლება („ხმა ამოსაღები“)"

ხოკამანდრდა, **იმთჟა გინ** ხაკფენ მიჩ, ეჩხნუ (ჩოლ.) „მბრძანებლობდა, საითაც თვითონ უნდოდა, იქით“...

ქვეწოხობილ წინადადებაში **გინ** ნაწილაკის ადგილი სრულიად თავისუფალია და შეიძლება დამოკიდებულ წინადადებასთან ერთად მთავარსაც დაერთოს:

სგა **გინ** მეკჩროლ ლაშგმანნოლ, **შომმა გინ** ლეხშყედნოლ (ჩოლ.) „მომადგებოდა სამათხოვროდ, როცა გაახსენდებოდა“

ეჯი **გინ** დეამ ლგმკილინ ქუინს, **ეშმა გინ** ლგმარ ფაყუ (ჩოლ.) „ის არ იღებდა ხმას, ვისიც ყოფილა ქუდი“...

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა **გინ** ნაწილაკი დაერთვის, წინ უსწრებს ან მოსდევს **დო** „არ, არც“ უარყოფით ნაწილაკსაც, რომელიც ჰიპოტაქსურ წინადადებაში საკავშირებელ წევრ-კავშირს ახლავს:

ჩიგარ იხტრუნა იშგნა ხილარს, **შომმა დო გინ** ლეხშყედნოლ (ჩოლ.) „ყოველთვის კრეფდა სხვის ხეხილს, როცა არ უნდა გახსენებოდა“

ჩნთე ეჯდარს ინვერნა, იმთჲ **გინ დო** ესღრნან (ღშხ.) „ყველგან იმათ იახლებდა, სადაც არ უნდა წასულიყო“ და ა. შ.

ზოგჯერ, პარატაქსულ წინადადებაში შეიძლება კავშირის ფუნქციითაც მოგვევლინოს და ამ შემთხვევაში **გინ**-ს მაპირისპირებელი **კი** კავშირის სემანტიკა აქვს, თუმცა, ამავე დროს ინარჩუნებს სარკაზმის მნიშვნელობას და რთულ თანწოხობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს:

ეჯიარ აჩაღხ ცხეკთე, ჯე **გინ** აგის ასად (ჩოლ.) „ისინი წავიდნენ ტყეში, თვითონ კი სახლში დარჩა“

ჭაშ კუმაში ლავდათე ემჩედ, ეხუტ **გინ** აგის ოტცუბრა (ჩოლ.) „ქმარი საქონლის მოსაყვანად წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია“

მი მიჩა გუნდა ხუიყარიელის, ჯე **გინ** ეჯდარს ახწადა (ღშხ.) „მე მისი გულისთვის ვჩხუბობდი, თვითონ კი იმათ დაუდგა გვერდში“...

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც **გინ** ნაწილაკის დართვით წინადადება მოქმედების შეუსრულებლობას, უკუთქმითობას გამოხატავს, ანუ, ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედება რეალურად არ სრულდება, და **გინ**-ს ამ შემთხვევაში დაახლოებით **ვითომ** ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს დაახლოებით იმიტომ, რომ **ვითომ** ნაწილაკისაგან განსხვავებით კატეგორიულ უარყოფას გამოხატავს და ამავე დროს ძირითადი სარკასტული სემანტიკური ნიუანსი შენარჩუნებული აქვს:

ლირტყუელარჟი **გინ** ჯიღტრინე? (ღშხ.) „ტყუილებზე გიფიცებ თუ? (ანუ არ გიფიცებ ტყუილებზე?)“

ლადრნლთე ოდე **გინ** (ღშხ.) „სათამაშოდ (არ) წავედი“

ეჩა მეჯმაგორ გინ ხტი (ღმს.) „მისი მოჯამაგირე (არ) ვარ (ზუსტად იმისი მოჯამაგირე ვარ, რა!)“

ისგტი ლედროჟუნღნე ლათა ბოფშინღ გინ ლოქ ხტი (ჩოღ.) „შენი მოსატყუებელი გუშინდელი ბავშვი (არ) ვარ“

მასისკღ გინ (ჩოღ.) „(არ) მძულხართ“ და მრავ. სხვ.

მსგავსი ტიპის ილუსტრაციებში წარმოთქმის ინტონაციას თუ გავითვალისწინებთ ბოლოში შეიძლება ძახილის ნიშანი დაისვას.

სვანური გინ ქართული განა-ს მატერიალურ-ფუნქციური შესატყვისი უნდა იყოს. მათ შორის გარკვეული სემანტიკური მსგავსებაც შეინიშნება, ვინაიდან ორივე ნაწილაკი ნიშნისმოგებით სემანტიკას ატარებს, თუმცა განა-სგან განსხვავებით გინ ნაწილაკი კითხვა-გაკვირვებას არ გამოხატავს.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ჰიპოტაქსურ წინადადებებში წევრკავშირთა გამოყენებისას, სვანური დიალექტები მიმართებითობის გამოსახატავად ნაწილაკიან წარმოებას ანიჭებენ უპირატესობას. ჩოღურულ მეტყველებაში ნაწილაკის გარეშე მიმართებითი წევრ-კავშირების გამოყენების შემთხვევები არ ვლინდება და თავმოყრილია -ჟჷმ, -ი ნაწილაკთა თითქმის ოთხივე დიალექტის ვარიანტები და ამასთანავე გვხვდება თავისებური წარმოებაც. უნაწილაკო წევრკავშირები დამახასიათებელია მხოლოდ ბალსქვემოური დიალექტისათვის, სადაც პარალელურად დასტურდება ნაწილაკიანი ფორმებიც.

ჩოღურულ მეტყველებაში -ი „ცა“, ნაწილაკთან წარმოდგენილია მჷგ||მჷგ „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, რომელიც ნაწილაკთან თანშეზრდილ სახეობად დასტურდება, თუმცა მნიშვნელობა „ყველა, ყველაფერი“ დაზრდილია და მისი დართვა-დაურთველობით არაფერი იცვლება, ასეთი ფორმები ნაწილაკის გავლენით მხოლოდ მიმართებითობას გამოხატავენ და მსგავსი შემთხვევა სვანურის სხვა დიალექტებში არ ფიქსირდება.

ღაშხურსა და ჩოღურულ მეტყველებაში დასტურდება გინ ნაწილაკი, რომელიც სარკაზმით გახაზავს და მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს მთელ წინადადებას. მისი ადგილი წინადადებაში არ არის მყარი, შეიძლება წინ უსწრებდეს სიტყვას ან მოსდევდეს მას. აღნიშნული ნაწილაკი წინადადების ნებისმიერ წევრს შეიძლება დაერთოს.

V თავი

ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური დახასიათებისათვის სვანურში

§ 37. სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება ფრაზეოლოგია. სხვადასხვა დროს იგი განიხილებოდა ლექსიკოგრაფიაში, სტილისტიკასა და სინტაქსში.

ფრაზეოლოგიზმებს სინტაქსური პოზიციებიდან არაერთი მკვლევარი განიხილავდა: „ბოლო ხანებში ფრაზეოლოგიურ მასალას შეხედეს ლინგვისტური თვალსაზრისით. ... იგი შესიტყვებას წარმოადგენდა და ამდენად სინტაქსის შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო“ (14, 127)

საკითხისადმი ინტერესი დღესაც აქტუალურია. საყურადღებოა გ. ცოცხანიძის განმარტება, რომელიც ყველა ასპექტში ახასიათებს აღნიშნულ საკითხს: „ფრაზეოლოგიზმი ენის ლექსიკური დონის ერთეულია, რომელიც ფორმით შესიტყვების (წინადადების) ტოლია, მნიშვნელობით სიტყვის ექვივალენტია – წინადადებაში წინადადების წევრის ფუნქციას ასრულებს, ახასიათებს: ფორმალური დანაწევრების ფონზე მნიშვნელობის მთლიანობა, ხატოვანება, კონოტაციურობა, მნიშვნელობის უნიკალურობა“ (54, 223).

კვლევებმა ცხადყო, რომ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული და ფრაზეოლოგიურ კომპონენტებს ცოცხალი სინტაქსური კავშირი ახასიათებთ და წინადადებაში ასრულებენ ერთ-ერთი წევრის ფუნქციას. ფრაზეოლოგიზმებით შეიძლება გამოიხატოს წინადადების წევრები, სინტაქსური ერთეულები, მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, რთული წინადადების ნაწილები და თვით რთული წინადადებებიც.

სვანური მდიდარია ფრაზეოლოგიზმებითა და მასთან მნიშვნელობით ახლოს მდგომი იდიომებითა თუ მყარი ლექსიკური გამონათქვამებით, დალოცვისა და წყევლის ფორმულების გადმომცემი წინადადებებით. ამ სიუხვეს დიალექტური ნაირსახეობები და ვარიანტები განაპირობებს.

1) დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი შერწყმული წინადადებები სვანურში

ამ თავში ვეცდებით, შედარებით სრულად წარმოვადგინოთ სვანურში დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებები. აღნიშნული საკითხი სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ლახამულურ და ჩოლურული მეტყველებათა) გათვალისწინებით, სპეციალური კვლევის ობიექტი დღემდე არ ყოფილა.

აქამდე ფიქსირებული მასალისა და ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წინადადებები უხვად გვხვდება სვანურის ყველა დიალექტში.

საკუთრივ ფრაზეოლოგიური შესიტყვებების შემცველი დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ წინადადებებთან ერთად ასევე განხილული იქნება, აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი სხვა ფორმულებიც.

გამოიყოფა შერწყმული წინადადებების შემდეგი ჯგუფები:

ა) ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადებები:

განსახილველ მასალაში უხვად გვხვდება ერთგვარშემასმენლებიანი წინადადებები, რომლებიც შერწყმულია მარტივი შემასმენლების მიხედვით:

დჷნ ლატლიწ თერჷრსუ ჯიგნე ი ჯიცხკგრე ი ქ'ანჷ ჯიწლრკე ობურ თერჷრს! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,20) „ლატალის წმინდა იონას სახელობის ეკლესიამ დაგაბრმავოს და დაგთხაროს და დაგაკაწროს ეშმაკური თვალები!"

ღერბეთ, სი ლანჷეშდ, აგჷსანგ მჷჷრი-მანჷედდ (||მჷჷრიდ ი მანჷედდ), ლანჷლეჩ ხოლა დჷრეხენ, ხოჩა ზან ლაგუ!" (ლნტ., იქვე, 295) „ღმერთო, შენ გვიშველე, დაგვიდექი მწყალობლად და მაშველად, დაგვიცავი ცუდი დროისგან, კარგი წელი მოგვეცი!"

ისგუ შდგქარ ხოლან მანჷიგშუ ლაჯამმენახ ი მგტრე ბედიშდუ აჯსენახ! (იქვე, 56,12) „შენი კბილები ცუდი ტკივილითამც შეჭმულიყვენ და მატლების ბედისადამც გამხდარიყვენ!"

ესფანეხუ ი ალ კეთილჷი ნრმჷ ხენდროჷხ მინს (ლშხ., იქვე, 242,34) „მიიღეთო ეს საკურთხი და ამ მცირედ კეთილზე არ დაგვენდუროთო!"

რაც შეეხება წინადადებას, რომელიც შერწყმულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის მიხედვით, ასეთი შერწყმული წინადადებები დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ ფორმულებში შედარებით იშვიათია:

ეჩა დაგრობ ი ვაცობჷ ლი! (ხოლ.) „მისი სიკვდილი და დაქცევა იყოს!"

ამშა ნაჩმჷრ ლეშხი ი ლეგტაჷი ხი! (ხოლ.) „ამის გაკეთებისთვის დასაწვავი და დასაფერფლი ხარ!"

ხჷეტა ი კელანჷ ხარ მიშგჷა უსმართჷილს (ხოლ) „ხოცვა და წყვეტა ჰქონდეს იმას, ვინც ჩემს მიმართ უსამართლოა!"

ბ) ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები

სულიერ საგანთა აღმნიშვნელი სახელით გადმოცემულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას:

აფსაო ი **სოლომნ** მინე ნალჟგროსჷ ნრმჩიქჷსჷ **ისრეხ** ისგრჷ იტალადლ! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,21) „აფსათი („გარეულ ნადირთა ღმერთი“) და სოლომონი თავიანთ წყალობას ნურასდროს გაიმეტებენ შენთვის!“

ჩუჷ ალბედნიერეხიდ მარე ი **კუმანშ!** (ლნტ., იქვე, 292,11) „გაბედნიერებულხართმცა კაცი და საქონელი!“

ნოსანჷ ჯალრისენახ თანფიერჷ **სნ ისგუა ლემკახას!** (ჩოლ.) „არ გღირსებოდეთ აღდგომის დადგომა შენ და შენ საიმედოს!“

როცა რამდენიმე ქვემდებარეს ახლავს განმაზოგადებელი **მაგ** „ყველა“ სიტყვა, ქვემდებარეცა და შემასმენელიც მხოლოდით რიცხვში გვხვდება. მაგ.:

მუშუნდჷები, ლაშდილჷ ჷერ, ხორემი მქჷტინსე ი **მკკეთ მანგ** **ჟ'ნჷ აჯშდესა** სი! (ბზ., იქვე, 56,19) „ჭიქის დამქცევი, დასამარხი მიწა, კარგის მოქმელი და ყველა მოკეთე ამოგიწყდეს („ამოგწყდომია“) შენ!“

მხოლოდითში დასმულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლოდითშია:

ჩარინგიშ მწლდშოჷ **ლგმზგრე ლი ალ მეზგე** ი ალ მეზგემ **ერდგუილ** ი ამეჩჷ მერდე **მანგ!** (ბქ., იქვე, 177,28) „ჩარინგის მადლითამც დალოცვილი იყოს ეს ოჯახი და ამ ოჯახის ერთგული და აქ მყოფი ყველა!“

ხოლემ მგჩემს ი **მგგნეჷის** წელიშ პანკდშჷ ლიჭემ ესერ **ხაკუ** (ლხმ.) „ცუდის მქმნელსა და მომგონს ვირის კუდით გადევნება უნდაო“

ჟელ ი **ხამჷ ხატყრგნე** ისგუა ლითჷლს! (ჩოლ.) „მადლი და ღორი ანაგვიანებდეს შენ გაჩენას!“

შაჷჷ ლანშგდა ეჩა **მუთჷენის** ი **მგრდის!** (ლშხ.) „მიწა დაეყაროს მის გამჩენს და გამზრდელს!“

გ) ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადებები

დანჷსჷ ოთჷათუნა სნ-ღ ისგუ **ლემკახე** ი **ქორან მერდე მარე მანგ!** (ბზ., იქვე, 55,15) „დეგმა დაწყველოს შენი საიმედო და ოჯახის წევრი კაცი ყველა“

მინე ლაშში-მალაშას **ხორჩა ბედ** ი **ბარაქ ლახრმას!** (ბზ., იქვე, 121,27) „მათ თესლეულობას კარგი სვე-ბელი და ბარაქა მისცეს!“

დახა ზურალს **ხოლა ნინ** ი **ლიწრალ ხამურჯჷა** ესერ (ბქ.) „დახა ქალს ცუდი ენა და გინება ემარჯვებო“

შხამ ი **თიაქარჷ** ლოქ **ლოხმამა!** (ლშხ.) „შხამი და თიაქარი გეჭამოსო (დაუპატიჯებელ ან არასასურველ სტუმარზე იტყვიან, როცა მიირთმევს)!“

სუთე ი გამარჯუთ ნოსათუ ჭალრისუნა! (ხოლ.) „სვე და გამარჯვება არ გლირ-სებოდეს!"

მწუთას ი მანცხიასუ ოთბაქანი! (ხოლ.) „სიცხეს და ციებ-ციხელებას გაელიე!"

დ) ერთგვარირიბდამატებიანიშერწყმული წინადადებები

სუნლუქუ დეცემ მიჩა მეფშუდა მწიგს ქა ნომთუ ქაქაბუნე სი ი ისგუა ქორს! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,17) „ცის ღვთაება („სკივრი") თავის გაშეებულ ავადმყოფობას („ტკივილს") არ გაცილებდეს შენ და შენს ოჯახს!"

ისგუა თერწრს, ნიჩუნწრს ი ტანს დელა მელამუ ხეკერუნლე დოსგ! (იქვე, 56,3) „შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ალი ევლებოდეს მალე!"

ე) ერთგვარგანსახდვრებიანიშერწყმული წინადადებები

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში გამოიყოფა სუბსტანტიური განსახდვრების მიხედვით შერწყმული წინადადებები:

უქმი ი საქმი ნამუა მაგ სალხინდ ლეწმარი ხაყრის მინს! (ლშხ., იქვე, 244) „უქმე და სადაგი დღეების ნამუშევარი ყველაფერი ღხინში სახმარად ექცეთ მათ!"

ფისემი ტომბხანქა ნომმანუ ამვედელი **ისგუა ლითუნლეშ ი ლიწსალე ლეთ!** (ბზ. იქვე, 56) „კუპრის ტბიდან არ გამოსულიყოს შენი დაბადებისა და გაჩენის ღამე!"

ასევე დასტურდება ერთგვარატრიბუტულგანსახდვრებიანი შერწყმული წინადადებებიც:

სგაა წუთირალუ, სგაა ლგწერუ, იმუი მიბდათიდ ესამა? (ლშხ.) „თქვე ჭუჭყიანებო, თქვე აყროლებულებო, როგორ მიბედავთ რამეს?!"

ისგუა მაურენე ი მაჩენე გეზალუ ლაჯვედა ლაკოდუმ! (ხოლ.) „შენი უმცროსი და საუკეთესო შვილი მოგსვლოდეს მკედარი („ატოტებული")!"

ვ) ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადებები

ამ ტიპის შერწყმულ წინადადებაში ერთ შემასმენელთან დაკავშირებულია რამდენიმე ერთგვარი შინაარსისა და ფორმის უბრალოდამატება:

თანლი თარინგზელ **ჭუტეკიშ, კოჯანუ ი ლიცი** ბელიმდუ ასყი ისგუა გზანტრობს! (ბზ., იქვე, 55,20) „უღელტეხილის მთავარანგელოზი საცალფეხო ხიდის, კლდისა და წყლის ბედისწერად ხდიდეს შენს მგზავრობას!"

მწლიან ჯგერაგ მიჩა **ცხუნიში** ი ხანგრი ბელიმდუ ჯასყენე მეკუმდად! (ბზ. იქვე, 56,10) „მადლიანი წმინდა გიორგი თავისი ისრისა და მახვილის ბედისწერად გაქცევს ადრე და მალე!"

ყერ მაროლს **მინე** ი **იშგენ** მზგ ესერ **მინეშდ** ხაკუხ (ლხმ.) „ნეზე კაცებს მათი და სხვისი ყველაფერი მათთვის უნდათო“

ზისხ ი **პერდუ** ალგენელი გუშგუტე ხოლემი მეთიანლ! (ლშხ.) „სისხლად და ქაფად ქცეულიყოს ჩვენი ცუდის მსურველი!“

ისგუტი **კუბუქ’ი** **ლეშთხრი** **საფლაჟუჟიჟ** ხტიჟუმარანლდ! (ხოლ.) „შენ კუბოზე და გასათხრელ საფლაგზემც გვერბინოს“

ზისხლ ი **თარდუ** **ეჯტინა!** (ხოლ.) „სისხლად და ჩირქად გერწყიოს!“

გარემოებათაგან დასტურდება რამდენიმე ერთგვარდროისგარემოებიანი, ერთგვარ ადგილისგარემოებიანი და ერთგვარვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადებები:

ზ) დროისგარემოებიანი

ძინარს ი **ნებოზს** მიჩა ბალე ჩიგარუ **აფგრდგნე!** (ხოლ.) „დილას და საღამოს მისი ფოთოლი მუდამ კანკალებდესო!“

ისგულანჟ მარ ლაკილი **ლეთ** ი **ლადედ!** (ხოლ.) „შენზემც მქონოდეს საკიე-ლედი დღე და ღამე!“

თ) ადგილისგარემოებიანი

კონჩხე ყუეფათე ი ლომტ **უტახთე, ეჩა ბუნასთეჟ** ხომზგრა შუკუტ! (ლშხ.) „კისრის ტეხაში და უკან მოუსვლელში, საიქიოში დაელოცოს გზა!“

კუბთე ი **ჟერთე** ლეჟუმდლჟ ეჯწგნენა ალე კირტალ! (ხოლ.) „კუბოში და მიწაში ჩასაცმელად დაგჭირვებოდეს ეს კონკები!“

ი) ვითარებისგარემოებიანი

ჩიგარ **შტიქურ** ი **პილურ** ხანანჟუნე (ლშხ.) „ყოველთვის ცუდს ლაპარაკობ („უტუჩოდ და უკბილოდ იდეჟები)“

ქიმურ ი **ძაძურ** მუგუნნი დანს ხაბჟა მეზგემი ერთგუილ (ხოლ.) „უცრემლოდ და უძაძებოდ მტირალი („ფარისეველი“) არავის მიაჩნია ოჯახის ერთგულად!“

საკმაოდ ხშირად გვხვდება ნარევი სახის რამდენიმე შერწყმული წინადადებაც:

კ) ერთგვარშემასმენლებიანი და ერთგვარდამატებებიანი შერწყმული წინადადება

ისგუტა **გუის** ი **ყუიჟა-პერშუდას** მანდულუ **ახგუარენა** ი **ქანუ** **ოხუშდინა!** (ბზ., სვან. ქრესტ., 57,4) „შენს გულსა და ჯიგარს სენი შეეყაროს და გამოედიოს!“

ქრისდე ფუსდ ქა **ლგთანჟს** ჟ’იჟუ **ჩიშთხეს** ი **ლეთჟენის** **ნონანჟ** **ჩიწსეს!** (იქვე, 56,7) „ქრისტე მაცხოვარმა დაბადებული ამოგიწყვიტოთ და დასაბადებელი არ

გააჩინოს („ქრისტე ბატონი დაბადებულს ამოგიწყვეტდეთმცა და დასაბადებელს ნუმცა გიწესებდეთ!")"

ჩ'უჲ აჭჭუჭენა ი აჯღეთხლენა ლესგი ქებარ ი კუთხულნა ხოლამდ ხოლამდ ზგის! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,36) „დაგინაოჭდეს და გაგითხელდეს ნეკნები („გვერდიქს) ძაფები“) და მუხლები ცუდად ცუდ ადგილას!“...

ღ) ერთგვარქვემდებარებიანი და ერთგვარადგილისგარემოებიანი შერწყმული წინადადება

ხოლა უჯარ ი მებუღარუ ჯაცხგრბანახ ამაბუნად ი ეჩაბუნად! (იქვე, 56,15) „ცუდი გველები და ქვეწარმავლები გეხვეოდეთ სააქაოშიც და საიქიოშიც!“

მ) ერთგვარქვემდებარებიანი და ერთგვარუბრალოდამატებებიანი შერწყმული წინადადება:

ისგუ დაბარ ი ნაჯანჲ-ნალნუჲ ხოლამდ მეტრეშ ი მულჲლარე ბედიშდუ ლიხ! (ბზ., იქვე, 56,16) „შენი ყანები და ნახნავ-ნათესი საშინელი მატლებისა და ჭიაღუების საჯიჯგნად ქცეულიყონ!“

ისგუ ი ისგუ ნათანშ მარცხ ი მაჲინ ამჲი როქოჲ ოლშიხელი ლემასგუისგა! (ბქ., იქვე, 183) „შენი და შენი ნათესავების მარცხი და მანე ასე დაიწვასო ცეცხლში!“...

ნ) ერთგვარქვემდებარებიანი და ერთგვარდამატებებიანი შერწყმული წინადადება:

სოლომნ ფუსდ ი ჯგერჯ სი ი ისგუა ქჲინლგმენა ჭტერ-ღუამლი ბედიშდუ ჯსყიხ! (ბზ., იქვე, 55,20) „სოლომონ ბატონი („უფალი“) და წმინდა გიორგი შენ და შენს საქონელს ყვაგ-ყორნის საჯიჯგნად გაგხდით!“

ამჲი ლოქუ ათაბრგნახ მიჩა დედეს ი მამას მინე გუჲი ი მუჭოდ! (ლნტ., იქვე, 333,31) „ასემც გაუხმეთო მის დედას და მამას მათი გული და მკერდი!“

ო) ერთგვარდამატებებიანი და ერთგვარვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადება:

ჯგერჯ წინალდ ი წირკამანდლუ ჯაბლრკენ სი ი ისგუა ლიზგე-ლირდეს! (ბზ., სვან. ქრესტ., 56,5) „წმინდა გიორგი სამუდამოდ და ნასახად გსპობდეთ შენ და შენ ცხოვრება-ყოფას“

გაანალიზებულ მასალაში მრავლად შეგვხვდება წინადადების მთავარი წევრების მიხედვით შერწყმული წინადადებები, ხოლო არამთავარ წევრთაგან შედარებით იშვიათად გვხვდება დროისგარემოებიანი, ადგილისგარემოებიანი და ვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადებები (მიზეზისა და მიზნისა არ

დაფიქსირებულა). რაც შეეხება უბრალო დამატებიან შერწყმულ წინადადებებს. მთავარი წევრების მსგავსად, ისინი საკმაო რაოდენობით დასტურდება.

სვანურში, მიუხედავად ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებათა მრავალფეროვნებისა, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებებში მათი უმეტესობა არ დასტურდება.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა იძლევა შემდეგი დასკვნის საშუალებას, რომ გაბატონებულია ი „და“ კავშირი, რომელიც, ძირითადად, ორზე მეტ ერთგვარ წევრთან ბოლო ორ წევრს დაერთვის:

ისგუა **თნ̄რ̄ანს**, **ნიჩუნ̄ანს** ი **ტანს** დელმ̄ მელმ̄უ ხეკერტუნლე დონსგ! (ბზ., სვან. ქრესტ., 56) „შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ცეცხლი ევლებოდეს მალე!“

მაგ ხოლნ̄რებანუ ლოხონმა ეჩა **ყიას**, **კადს** ი **კუჩს**! (ხოლ.) „ყველაფერი ცუდი ეჭამოს მის ყელს, მუცელს და კუჭს!“

დასტურდება შემთხვევები, როცა აღნიშნული კავშირი წინა ორ ერთგვარ წევრს აკავშირებს:

კონჩხე **ყუეფათე** ი ლომტ **უტახთე**, ეჩა **ბუნსთეუ** ხომზგრა შუკუ! (ხოლ.) „კისრის ტეხაში და უკან მოუსვლელში, საიქიოში დაელოცოს გზა!“

ხან კი თითქმის ყველა წევრთან მეორდება:

დნ̄ ლატლნ̄ო **თერანსუ ჭიგნე** ი **ჯიცხკარე** ი **ქანუ ჭიწლოკე** ობურ **თნ̄რ̄ანს**! (ბზ. იქვე, 55,20) „ლატალის წმინდა იონას სახელობის ეკლესია თვალებს გიბრმაგებდეს და გითხრიდეს და გიკაწრავდეს ეშმაკურ თვალებს!“

ლემზგრნუ ლი ალე **ოჯახ** ი ალე ოჯახი **მოსკეთ** ი **ერთგულ მარე** მაგ! (ხოლ.) „დალოცვილი იყოს ეს ოჯახი და ამ ოჯახის მოკეთე და ერთგული კაცი ყველა!“

ნარევი სახის შერწყმულ წინადადებებშიც ი „და“ კავშირი ასევე რამდენჯერმე შეიძლება იქნას გამოყენებული. მაგ.:

ისგუ **დაბან** ი **ნანანუ-ნალანუ** ხოლნ̄მ **მეტრემ** ი **მულულარე** ბედიმდუ ლიხ! (იქვე, 56,16) „შენი ყანები და ნახნავ-ნათესი საშინელი მატლებისა და ჭიადუების საჯიჯგნად ქცეულიყონ!“

იშვიათად თუ გვხვდება მაჯგუფებელი **დემლო** „არც“ და **ნომ** „ნურც“ კავშირები:

ყორქა ლექგუინად **მან ჭაყა** ი **ნომ ჭაყანუ** იუალადან! (იქვე, 56,42) „კარში გასაშვებად არ ვარგისარ და არც („ნუ-მცა“) ვარგებულისყავი მისდღემში!“

ქმმთე ლეკრტანიდ **დემ ჭაყენა** ი **ნომ ჭაყა** ამუნლო! (ხოლ.) „გარეთ გასაჭვრეტად არც ვარგებულხარ და ნურც ივარგო აწი!“

ისგანე მამინას **დო ლიდრალუ** ხალრისენა ი **დო ლიბრიანო!** (ლშხ.) „თქვენს საუკეთესოს არც თამაში ღირსებოდეს და არც სიმღერა!“

დასტურდება უკავშირო შეერთების შემთხვევებიც:

ღერბეთ, **სი ლანგუემდ, აგუსანგ** მგჟრი-მანშედდ, **ლანგულეჩ** ხოლა დტრეხენ, ხოჩა **ზანა ლაგუ!** (ლნტ., სვან. ქრესტ., 295,1) „ღმერთო, შენ გვიშველე, დაგვიდექი შემცოდებელ-შემწედ, დაგვიცავი ცუდი დროისგან, კარგი წელი მოგვეცი!“

ჟნუ ოხსტიტად, ოხტკიჟად, ოხტიკირბოლდად მიშგტა სამგრთალს! (ჩოლ.) „ამოეხოცეთ, ამოეწყვიტეთ, ამოეძირკვეთ ჩემ სიმართლეს!“

ჩიმე ლანხარ, ჩიმე ლაფთან, ნოსა **ეაწუტენა** მიშგტი ლესგხენ (ლშხ.) „ყველას სათრეგო, ყველას სათელო, არ დაგინახო ჩემ გვერდზე!“

ხშირად ერთგვარ წვერებს თან ახლავს განმაზოგადებელი, გამაერთიანებელი **მაგ||მანგ** „ყველა“, **ჩის** „ყველას“ სიტყვა (განსაზღვრებითი ნაცვალ-სახელი), რომელიც ხან მოსდევს და ხან წინ უძღვის ერთგვარ წვერებს:

ჩარინგიშ მანლდმოტ ლემზგრე ლი **ალ მეზგე** ი **ალ მეზგემ ერდგუილ** ი **ამეჩუ მერდე მანგ!** (ბქ., სვან. ქრესტ., 177,28) „ჩარინგის მადლით დალოცვილი იყოს ეს ოჯახი და ამ ოჯახის ერთგული და აქ მყოფი ყველა!“

ნოსანტ ჯალრისენახ თანფინტრუ **სი ისგტა ლემკახას ჩის!** (ჩოლ.) „არ გღირსებოდეთ აღდგომის დადგომა შენ და შენ ყველა ახლობელს („საიმედოს“)!“

მაგ ჟნუ აჯკელა: **ხოჩემი მენქტინს, მემშენალ** ი **მეფრებან!** (ჩოლ.) „ყველა ამოგწყდომოდეს: კარგის მოქმელი, გამომქომაგებელი და მომფერებელი!“

როგორც ვხედავთ, განხილული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია; ძირითადად დასტურდება წინადადების მთავარი წვერების მიხედვით შერწყმული წინადადებები და ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადებები. მრავლად გვხვდება ერთგვარშემასმენელებიანი წინადადებები, რომლებიც შერწყმულია მარტივი შემასმენელების მიხედვით, ხოლო შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის მიხედვით შერწყმული დალოცვისა და წყველა-მუქარის გამომხატველი წინადადებები შედარებით იშვიათია ყველა დიალექტში.

ერთგვარ ქვემდებარეებიან შერწყმულ წინადადებაში მხოლობითში დასმულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლობითშია. ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებთან ერთად მხოლობითშია მაშინაც, როცა რამდენიმე ქვემდებარეს ახლავს განმაზოგადებელი **მაგ** „ყველა“ სიტყვა. ხოლო, სულიერ საგანთა აღმნიშვნელი სახელით გადმოცემულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას.

2) დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ქვეწიქობილი წინადადებები სვანურში

საანალიზო მასალაში გამოყვავით: ქვემდებარულდამოკიდებული, პირდაპირდამატებითდამოკიდებული და განსაზღვრებითდამოკიდებული, გარემოებითდამოკიდებული (დროისა, ადგილისა, ვითარებისა, მიზეზისა) წინადადებები. რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების დანარჩენ ჯგუფებს, შემასმენლურდამოკიდებული, ირიბდამატებითი დამოკიდებული, უბრალოდამატებითი დამოკიდებული და მიზნის გარემოებითდამოკიდებული წინადადებები არ დასტურდება.

ა) ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებები:

ამაბასდ ქა მწ აჯკწლწწწწ, ეჯი ეჯაბასდ ხოჩამწწწწწ ლაღტეხას! (ბქ., სვან. ქრესტ., 174,12) „ამ ქვეყნად თუ რამე დაგაკლდათ („დაგაკლებოდეთ“), ის იმ ქვეყნად („საიქიოს“) აგნაზღაურებოდეთ („კარგი თმცა დაგბრუნებიათ)!“

ქესერ დერღწდ მოღე ლახტეხეს, კუბწწ ესეროღწ ლატაბა ხარ! (ღხმ.) „ვინც არ დამიბრუნოს, კუბოს სათლელი ჰქონდესო!“

ერტწდ ჯწრს ჯაყახ, ეჯი შუღებღუ აჯავედას! (ღწტ., იქვე, 292,11) „ვინც ჯარში გყავთ, ის მშვიდობით დაგბრუნებოდეთ!“

ეჩის ხედწწ ათწღეხა ლადელ, დერტწდდ აღე სგაღ ქა ჯწქწხს! (ღწწ., სვან. პროზ. ტექსტ., 125,7) „ისემც მას გამოლოღეს დღე, ვინც თქვენ ეს გითხრათ!“

დერტწდს ეჩა მაწინ ხეკტეს, ეჯრწ ლახიწწა მიჩა მაჩწწას (ჩოღ.) „ვისაც მისი ცუდი („ვნება“) უნდოდეს, ის მისწოდეს თავის საუკეთესოს (იგულისხმება მიცვალებული)“

ბ). ბრუნვა-ცვალებად დამატებითი დამოკიდებული წინადადებები:

ქა მწ აჯკწლიღეს ნიშგტეწწწწწქა, ეჯი ქრისღესოღწ ოთტიხა ხოჩამწწწ (ბქ., სვან. ქრესტ., 174) „ჩვენგან რაც დაგაკლდეთ, ის ქრისტეს აენაზღაურებინოს სიკეთით“

მაჩწწწე შტიღბდწწ, ბწრქდწწ ი ყწწღდი ქოწწ ლიგემ ჩტწწ ხამურჯწწწ, ეჯა მწრმწმდ წწდ წწმწწრჯტ! (ბზ., იქვე, 111) „ყველაზე უფრო მშვიდობიანი, ბარაქიანი და მყუდრო სახლის აშენება ვისაც გამართლებოდეს, ის მეორედ ჩვენ გაგვიმარჯვე!“

გ) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები:

ეჯკწლიბ ბედ ი ლირღწწ აჯკწწწწწწე ისგტა ჯიჯტწწრს ისგოტწწ ხიჯწდწწწდღდ! (ბზ., იქვე, 56,14) „ისეთი ბედი და ცხოვრება მოგესწროს, რომ ძველებს შენით ისრავდე!“

მინე ქოწრს ესერ ექკწლიბ კტწმწუ ესწწწიხ ლეზგგრწწწწ, იმტწდყი აღ ი აღ ლგფმირ მეზგწწწწწწი! (ბზ., სვან. ქრესტ., 28,20) „თქვენს სახლს იმისთანა კვამლი აუვიღეს სახურავზე, როგორც ამა და ამ მრავალრიცხოვან ოჯახს ასდისო!“

ამჟი თემით ახვედა მიჩა დედეს, მი ერ თემნედ ხტი! (ლშხ.) „ასეთი ტანჯვა ჰქონოდეს („მოსვლია“) თავის დედას, მე რომ გაჭირვებულად ვარ!”

ჟომა ჟედ ლოქ ალ წერექტს ხაბდენა, ეჩშელდ ზადუ ლოქ ხარი უმზიგარად! (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 38,13) „რამდენი წვეთიც ამ თომს დასხმია, იმდენი წელი გეცოცხლოს უმტკივნეულოდ!”

დ) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

ისგუ ლაქტუმის როქტ ჟოდ ოხჟანდე, ეჩქად ისგუ ლირდეს დერმეთ ი მარე ნომა როქოჟ ახჟარა! (ბქ., სვან. ქრესტ., 177) „სანამ შენტვის ჭიქის გადმოლოცვა მომბეზრდებოდეს, მანამდე შენი ცხოვრება დმერთს და ადამიანსაც არ მობეზრებოდეთ!”

ჟოდ ლოქ ალ ფგრი ბნდრახ დო ედზესყენდეს ი ბალარ მრდ ენვგდის, ეჩქად ლოქ ეჩა საშუელ ნრსნჟ ლი! (ლშხ., იქვე, 212,17) „სანამ ეს ხმელი ბაირახი არ განედლდება და ფოთლებს არ გამოიდებს, მანამ მისი საშველი არ იყოსო!”

ჩუნსა ოსგურდე ისგუე ლესკხენ, ეჩქანჟ ემკეთხნა ჰიშხარ! (ჩოდ.) „თუ დავჯდე თქვენ გვერდით, მაშინ გამეჭიმოს ფეხები!”

ეჩქანჟ ალგწგრდელი მიშგუი ზისხ, სგად ერ ჩუ ჯილატა! (ჩოდ.) „მაშინ დაწრეტილიყოს ჩემი სისხლი, თქვენ რომ გიდალატოთ!”

ე) ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

იმდხო ქაჩეხი, ჩიზგუ ხოჩემი სტე ი გამარჯუ ლაჯაოდა! (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 57,18) „სადაც წახვიდე, ყველგან სვე და გამარჯვება მოგცემოდეს!”

იმგუა ზეთშუ უჩხადეს ი ბამბაშუ შდუადეს, ეჩეჩოლჟ ჯარხ ლაქუნ! (ბქ., სვან. ქრესტ., 174,12) „სადაც ზეთით წვიმდეს და ბამბით თოვდეს, იქ იყოს თქვენი სასუღეთი!”

იმთე ქათგა შაგ, ჩინენ ლაკრდუშუ ოხყახი! (ჩოდ.) „სადაც გაადგა ნაბიჯი, ყველა მხრიდან („ატოტებული“) გარდაცვლილი მოჰყავდე!”

ლიჟიბალ ერ ჟიბნი, მნ ხეფსი ეშჩუ ლიქორ-ლიმნარ (ჩოდ.) „ჩხუბი რომ დაიწყება, არ გამოდის იქ ცხოვრება („სახლობა-კაცობა)”

ვ) ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

ბარუნან ლიზგეჟ ესერ ოხსყა მიჩ, ეჩჟინუ ესერ ოთმზრა დერბათ მიჩა ლიზგე ი ლირდე! (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 93,34) „ბარვანის {ნაირი} ცხოვრება მოგეწყოსო შენ, ისე დაელოცოსო დმერთს შენი ყოფა-ცხოვრება!”

ათხე ერ ჳისკიდიხტი ხოჩამდ, ამჟი აშირ ათჳს ზატ ხოჩამდლუ აჯადა! (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 57,18) „ახლა რომ გიყურებ კარგად, ასე ასი ათასი წელი კარგად მოგსწრებოდეს!"

იმჳჟი ლოქ ალე ლი გტეში, ალ გაკ, ამჟი ლოქუ ანაგომლე მიჩა ოჯახ ქონებატშ (ლნტ., სვან. ქრესტ., 310,16) „როგორც ეს არისო სავსე, ეს კაკალი, ასე გაავსეო ჩემი ოჯახი ქონებით!"

ამჟრტ ლაჯშტეხახ ხოჩემი მქტის, მი ერ მეფრებალ ლემშტახ! (ჩოლ.) „ასე შემოგლეოდეთ კარგის მოქმელი, მე რომ მომფერებელი შემომელია!"

ზ) მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

შლიმ ესერ ეჯლა დემ იცხემ, ერე ჩიგარ მერმე-მერმ'ესერ ხესმი (ბქ.) „ჟური იმიტომ არ იზრდებაო, რომ ყოველთვის სხვადასხვა ესმისო"

მადილუ ლოქ ხარ ღერბათს, შიდობდ ერ ანღრიდ! (ლშხ., იქვე, 252,4) „დიდება ღმერთს, მშვიდობით რომ მოდიხართო!"

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად გამოყენებულია: მაქვემდებარებელი კავშირები **ერეწრწერე** („რომ"), **ალჟე** „თუ" **წსა** „თუ" და საკავშირებელი სიტყვები – მიმართებითი ნაცვალსახელები **მჳ** „რაც", **იმჳჟი||იმჟინწნი** „როგორც", **ხედწ** „რომელიც", **ძარწ** „ვისაც" და მიმართებითი ზმნიხედები **იმჳძხო**, **იმგჟა** „სადაც", **იმთწა** „საითაც", **ჟოდ||ოდ** **დო** „სანამდეც".

ხშირად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ არის წარმოდგენილი მაქვემდებარებელი კავშირი **ერე** „რომ" და **ჟოდ||ოდ** **დო** „სანამ" საკავშირებელი სიტყვა, შესაბამისად, გვაქვს უკავშირო შეერთება, თუმცა მათი აღდგენა ადვილად ხერხდება.

უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებულისა და მთავარი წინადადების ურთიერთობა არაფრით განსხვავდება კავშირიანი ქვეწყობილისაგან. დამოკიდებული წინადადებები ისევეა მთავრის ამხსნელი და ისევე მიემართება მთავარს, როგორც კავშირიანში:

ჩწ ხინ ი ხიად ხწც, ეჩქას ისგჟა ლწზგაისგა ლწლჭწლ-ლწკწლდწლუ ლი! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,28) „ყველას ღხინი და სიხარული აქვს, მაშინ შენს ოჯახში მოთქმა-კივილი იყოს!"

ანწედენიხი ლოქ ბაზი აგხო, ეჩქა ლოქ ჳეჩო თჟალისეირს (ლნტ. სვან. პროზ. ტექსტ., 175,38) „მოხვალო ამაღამ სახლში, მაშინ გიზამო თვალის სეირს"

ეკად აღლგნძლატნე, რიონ დემ ადრგჩხნი (ლშხ.) „ისე გაგლანძლავ, რიონი ვერ გაგრეცხავს („გაგავლებს“)"

ექად ნოსამშუ ეჯნრჩახ ი ეჯტრმახ, მი ეჯგრბიელა სგად (ჩოლ.) „მანამ არაფერი მოგენელებინოთ, მე არ გამოგიცხო თქვენ"

მთავარ წინადადებაში მისათითებელ ანუ საკორელაციო სიტყვებად გამოყენებულია ეჯი „ის", ეჩის „მას", ერშელდ „იმდენი", ეჯკალიბი|ეჯკა|ეჯკა|ეჯკალი|ეჯკა|ეჯკა „ისეთი", ამჟი|ამჟინ „ასე", ეჯგუნრდ|ეჯკად „ისე", ექად „მანამ", ექა|ექას „მაშინ", ჩიზგუ „ყველგან", ჩიხენ „ყველამხრიდან" ეჯუნენ|ეჩუნუ|ეჯჟი „ისე", ეჯლა „იმიტომ", ეჩეჩოლუ „იქ" ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

მსგავსად დამოკიდებული წინადადებებისა, სადაც არ იყო წარმოდგენილი მაქვემდებარებელი კავშირები, მთავარ წინადადებაშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს მისათითებელი სიტყვების გამოტოვება, რომლებიც კონტექსტის თანახმად ივარაუდება და თავისუფლად აღდგება:

ჯგერჯ მიჩა ცხტისუ ჯატყცი ჟიქნჩუნ, ერე ზისხ ეშ ჯიჩხრგნდეს! (ბზ., სვან. ქრესტ., 56,32) „წმინდა გიორგი თავის ისარს გესერის („გირტყამს") ზემოდან ჩისე), რომ სისხლი თქრიალით გიჩხრიალებდეს!"

ისგე ლშგდშუ პშტიჟ ე დემ ჯყყრიდ, ნომა ნანდროჟად მშლდშნუ! (ბქ., იქვე, 174,12) „თუ თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეციოთ („დაგმართოთ"), არ დაგვენდუროთ მადლიანებო!"

მეყრონტალ ლოქ ერ ჯედნის, ეჯდარს ეშხუ ლივედ მუსნ ლოქ ხაჯიმ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 30,12) „ჩიტები რომ მოდიან, იმათ ერთი მოსვლა თოვლიც მოსდევთო"

ნოსატუ ახინა თამფა ცაშ, დარსნ მიშგტი ნაწულაჟნლ ლოხჩხატტრენს (ჩოლ.) „არ მოსწრებოდეს აღდგომის ხუთშაბათი, ვისაც ჩემი ნაწვალები მიეთვისოს"

ზემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციებში აღსადგენია ეჯი „ის", ეჯჟი „ისე" და ექა „მაშინ" მისათითებელი სიტყვები.

იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ერთდროულად დამოკიდებულში ერ „რომ" მაქვემდებარებელი კავშირია გამოტოვებული და მთავარში ექა („მაშინ") კორელატი:

მინდჟერს ესღგრდედ, მეხი ბედიშუ ხი, თანაღს ესღგრდედ, ჟაჰი ბედიშუ ხი, ცხეკს ესღდედ, დშტრემ ი ნანდარემ ი წეტრარე ბედიშუ ხი, ლახჟარს ესღგრდედ, კოჯა ბედიშუ ხი, ლგცქესღგრდედ, ჰტევი ბედიშუ ხი... (ბზ., სვან. ქრესტ., 56,22) „მინდორში მიდიოდე, მეხის ბედი იყო, უღელტეხილზე გადადიოდე, ზგავის ბედი იყო,

ტყეში მიდიოდე, დევების, ნადირების და მწვევრების ბედი იყო, მთებზე გადადიოდე, კლდის ბედი იყო, წყალზე გადადიოდე, ძელის ბედი იყო..." და სხვ.

საკავშირებელი სიტყვისაგან განსხვავებით, სვანურში მაქვემდებარებელი კავშირის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაში უფრო თავისუფალია, იგი ან იწყებს წინადადებას ან დამოკიდებულის შიგნითაა მოქცეული; უფრო მეტიც, შეიძლება ზმნისწინსა და ზმნა-შემასმენელს შორის აღმოჩნდეს, ხოლო საკავშირებელი სიტყვა, ძირითადად, დამოკიდებულის თავშია მოქცეული და იშვიათად შეგვხვდება წინადადების შუაში:

ერ ახლელდე სედას, ერქნ ნოსანტ ჯალრისენა შომა! (ჩოლ.) „რომ ელოდებოდე გადარჩენას, მაშინ არ გღირსებოდეს დასვენება!"

ყულას აყუთილე ეჯი, **ერე** რიუენ დემ აჯშყოდნე (ჩოლ.) „ისე გაგლანძღავ, რომ რიონი ვერ გაგრეცხავს"

ეჯჷრჷ ოხკრდად ლამარიას, ეჯმარ **ერ** ენძვირბრლანხს! (ჩოლ.) „ისე ამოეწყვიტეთ წმინდა მარიამს, ისინი რომ ამოიძირკვნენ!"

ამაბასდ ქა **მან** აჯკლნენხ, ეჯი ეჯაბასდ ხოჩამშოლტ ლაძტეხახ (ბქ., სვან. ქრესტ., 174,12) „ამ ქვეყნად თუ რამე დაგაკლდათ („დაგაკლებოდეთ"), ის იმ ქვეყნად კარგით დაგბრუნებოდეთ"

ჟოდ ლოქ ამნემ ხოჩა დოს ხაყრის ამანლო, ერქად ისგუე ხოლა ნოსუ ლოქ ხასმა! (ლშხ., პროზ. ტექსტ., 9,14) „სანამ ეს აწი ვინმეს სიკეთეს გაუკეთებს, მანამდე თქვენი ცუდი არავის გაეგოს!"

დეციმ ი გიმი ნესკა **ოდლო** ანღრდეს ლიც, ერქადტუ მაყახი ხოჩამდ! (ჩოლ.) „ცისა და მიწის შუა სანამდეც წყალი მოდიოდეს, მანამ მყოლოდე კარგად!"

მთავარი წინადადების ძირითადი კომპონენტი საკორელაციო სიტყვა, უმეტესწილად, იწყებს წინადადებას, თუმცა შეიძლება შუაშიც შეგვხდეს და წინადადების ბოლოშიც:

ეჯი გეზალჷ აჯშვირენა წიწილშალ, ხედნ მანენე ჯალტგნდეს! (ჩოლ.) „ის შვილი მოგკვდომოდეს წიწილასავით, რომელიც მეტად გიყვარდეს!"

იმეჲ ქრისტე ტაბაგ ხამზგრა, ისგუე ლაქუნ **ერეჩჷ** ლი! (ჩოლ.) „სადაც ქრისტეს ტაბაგია დალოცილი, თქვენი განსასვენებელი იქ ყოფილიყოს!"

ჩის ერ ტაშ-ფანდურს ხანდეს, ისგუემოყ ჟაჲ-ჟაჲ ლი **ერქა!** (ლშხ.) „ყველას რომ ტაშ-ფანდური ჰქონდეს, შენთან მოთქმა ყოფილიყოს მაშინ!"

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებულის ადგილი მკაცრად არ არის განსაზღვრული. მთავარის მიმართ დამოკიდებული წინადადების პოზიცია

სამგვარი შეიძლება იყოს: დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას, ანდა მთავარ წინადადებაშია მოქცეული:

დამოკიდებული იწყებს ჰიპოტაქსურ წინადადებას:

ანკედენიხი ლოქ ბაზი აგხო, ეჩქა ლოქ ჯეჩო თუალისეირს! (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 175,38) „მოხვალო ამაღამ სახლში, მაშინ გიზამო თვალის სეირს!“

ეჩის დეცე ლავურა ლოქ ათკარენა, ეჩთან ბედენიერ მარე ლოქ ლი ი ეჩთან ხოჩა გტემ ლოქ ხაყრა (ლშხ., იქვე, 17,9) „მას ცის სარკმელი გაეხსნაო, იმისთანა ბედნიერი ადამიანი არისო და იმისთანა კარგი საქმე დაემართაო“

ჟოდ მი დოსა ჯამნა, ეჩქად ნოსმმჟ ლედამა! (ლშხ.) „სანამ მე არ გაჭამო, მანამ არაფერი გეჭამოს!“

დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას:

ეკაქაქკალი ლირდჟ ედჟდა, **ცხუადის'ერ მერხელს ხარ** (ლშხ.) „ისეთი ცხოვრება გაგეტარებინოს, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს“

ეჯრჟ ათღერა მიჩა დედეს, **იარსი ეჩა ხოლა ხეკუეს** (ჩოლ.) „ის მოჰკედომოდეს თავის დედას, ვისაც მისი ცუდი უნდოდეს“...

დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული:

ლამპრია ვტიდიშ განთხარს ი ასუბრსუ ჯიკუნკუე, **დემ ანლელდედ**, ეჩქას! (ბზ., სვან. ქრესტ., 55,18) „ხვიდის წმინდა მარიამი ფეხების უკანა მხარეს და სხეულის ნაწილებს გიკაკვავდეს, როცა არ ელოდებოდეთ, მაშინ!“

ჩიდჟ ლასენტყუნდჟ ამსედეხი, **ჰალ ჩუ მესდე ხი**, ამჟი! (იქვე, 57,2) „ყველას თავში ხელების წასაშენი დარჩენილიყავი, როგორც ხარ დარჩენილი, ასე!“

ბელად მგნალჟ ეჯველა, **იმჟადენ ათჯნ ამის**, ქტხგლლჟ ამრელტხი! (იქვე, 56,37) „ნაფლეთებად გაქციოს, რასაც მიადექი ამან და მუწუკებად ქცეულიყავი“

ჰიპოტაქსურ წინადადებაში ხშირად ერთ მთავართან ორი დამოკიდებული წინადადებაა შეწყობილი. ამ დამოკიდებულთაგან ან ორივე მთავარს მიემართება და გვაქვს თანადაქვემდებარება, ერთი მიემართება მთავარს, ხოლო მეორე დამოკიდებულის ამხსნელია და, შესაბამისად, ასეთ ურთიერთობას თანამიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება.

სვანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავჩენილია ერთგვარი თანადაქვემდებარების შემთხვევები, როცა დამოკიდებული წინადადებები მთავრის ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან (ხსნიან) და ყველა ერთი და იგივე სახისაა, მაგ.:

სოფლიშ მჯა ხოჩამდ ჯედენდედს, ეჯას გარ მრდ ხემდებხ, **მინე ხოჩამდ სოფლი ხოჩა მრდ ანცხენახ**, ჟიხი ი ჩუხი ჩუ ძარ ესყედანახ ი მუგუქა მრდ ესღერდედს, ნთი

ი მეჭერ მუგუდ მრდ ესყედანახ, აღ ხატ აშხუ ესერ ქაჲუ ხაბაჲუნ ი მერმაჲინ წინწილშალუ აშგრეს!" (ბზ., სვან. ქრესტ., 95,36) „სოფლისთვის რაც კარგი იყოს, მსოფლიოდ იმას რომ არ ცდილობდნენ, საკუთარს („მათ კარგად“) სოფლის სიკეთე არ ირჩიონ, ზევით ქვევით ვინმე დაიკავონ და სისწორეზე არ მიდიოდნენ, ნათესავი და არანათესავი ტოლად რომ არ დაიკავონ, ეს ხატი ერთხელ აცდეთ და მეორედ სული გააფრთხობინოს!"

ოშუჲდ ბაჩ ნაჲ უშხარჲინ ოთგედ, ოშუჲდ ნარმეცხ კირ, ოშუჲდ კუნკუილ ქუიშე ხავმარა აღ ქორს, ერშელდ ხოჩრობა ლახო, მწლდჲან სოლომნ, აღ ქორს! (ბზ., იქვე, 111,42) „რამდენი ქვაც ჩვენ ერთმანეთზე დავადეთ, რამდენი ნამცეცი კირი, რამდენი მარცვალი ქვიშაც ამ სახლს ახმარია, იმდენი კარგი მიეცი, მადლიანო სოლომონ, ამ ოჯახს!"

პირველ ილუსტრაციაში მოცემული დამოკიდებული წინადადებები ხსნიან მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის შინაარსს, მეორე ქვეწყობილში კი – განსაზღვრებას.

ზემოთ განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანური მდიდარია დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ქვემდებარულდამოკიდებულიანი, პირდაპირ დამატებითდამოკიდებულიანი, განსაზღვრებითდამოკიდებულიანი და გარემოებითდამოკიდებულიანი წინადადებებით, აქედან მეტი წილი დროის გარემოებითი წინადადებაა, ხოლო რაც შეეხება შემასმენლურ, ბრუნვაუცვლელ დამატებით და უბრალოდამატებით დამოკიდებულ წინადადებებს, ისინი არც ადრე გამოქვეყნებულ ტექსტებში და არც ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მასალაში არ დასტურდება.

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად გამოყენებულია: მაქვემდებარებელი კავშირები **ერე||ერ||ე** („რომ“), **აღჲე** „თუ“ **ესა** „თუ“ და საკავშირებელი სიტყვები – მიმართებითი ნაცვალსახელები **მჲ** „რაც“, **იმჲჲი||იმჲინნი** „როგორც“, **ხედნ** „რომელიც“, **მარსნ** „ვისაც“ და მიმართებითი ზმნიზედები **იმჲახო**, **იმჲჲა** „სადაც“, **იმჲჲე** „საითაც“, **ჲოდ||ოდ დო** „სანამდეც“. მთავარ წინადადებაში მისათითებელ ანუ საკორელაციო სიტყვებად გვხვდება **ეჯი** „ის“, **ერის** „მას“, **ერშელდ** „იმდენი“, **ეჯკალიბ||ეჯკამ||ეჯკალი||ეჯკალი** „ისეთი“, **ამჲი||ამჲინ** „ასე“, **ეჯჲჲარდ||ეჯკამდ** „ისე“, **ერქად** „მანამ“, **ერქა||ერქას** „მაშინ“, **ჩიჲგუ** „ყველგან“, **ჩინენ** „ყველამხრიდან“ **ეჯჲინენ||ერჲინუ||ეჯჲი** „ისე“, **ეჯდა** „იმიტომ“, **ერჲჲოლჲ** „იქ“ ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

ძირითადი დასკვნები

1. ამრიგად, როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, სვანურ სინტაქსში არაერთ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, ხშირად სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა განპირობებული.
2. კვლევა ჩატარდა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ასევე დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.
3. ირკვევა, რომ სვანურში ქვემდებარის გამოხატვის საშუალებები და მისი სინტაქსური ფუნქციები არსებითად არ განსხვავდება ქართულისაგან. სვანურში ქვემდებარე როცა უსულო საგნის სახელია, შემასმენელთან ურთიერთობა მრ. რიცხვში ხან შეთანხმებით აღინიშნება, ხან შეუთანხმებლობით. რა ჯგუფის სახელით გამოხატული სუბიექტს, მიუხედავად იმისა, სულიერ ჯგუფს განეკუთვნება თუ უსულოს ხშირ შემთხვევაში შესწევს უნარი ზმნა-შემასმენლის შეთანხმებისა, ორმხრივ მარკირებასთან ერთად დასტურდება ცალმხრივი მარკირების შემთხვევებიც. მიუხედავად იმისა უსულო საგანი არის თუ არა პერსონიფიცირებული, ანუ აქტიურად წარმოდგენილი სვანურში, ხშირ შემთხვევაში, შეთანხმება მაინც გვაქვს ორმხრივი მარკირებით (მწრმა-მწრმა აგის **ლგგ-ხ მწრყუმ-ალ** (ლშხ.) „სხვადასხვა ადგილას დგანან კოშკები“).
4. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების („სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს“) მიუხედავად, კვლევამ აჩვენა, რომ **ხედი||ხედა** „რომელ“ ნაცვალსახელს, როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება ექვსივე ბრუნვა როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში. სვანურის დიალექტები აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელის ნაწილაკიანი წარმოების თვალსაზრისით არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიჩვენენ, ბალსზემოურში, ჩოლურულსა და ლაშხურში მეტად საინტერესო და, ამავე დროს, ჭრელი სურათი გვაქვს: დასტურდება როგორც ნაწილაკშეზრდილი **ხედ-ჟჷა-დ**, ასევე ნაწილაკშეუზრდელი **ხედი-დ-ი** და ნარევი წარმოებაც **ხედ-ჟჷა-დ-ი** (ჩოლ.)||**ხედჟჷაჷრდ** (ბზ.). ბალსზემოურისა და ჩოლურულის მონაცემებისგან განსხვავებით, დანარჩენ დიალექტებში - **ჟჷა** ნაწილაკიანი მრ. რიცხვის ფორმები არ იწარმოება. როგორც ცნობი-

ლია, ლაშხური -ი ნაწილაკიან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბალსქვემოურსა და ლახამულურში ნაწილაკიანი წარმოება შედარებით იშვიათია. აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ყველაზე სრულ და მრავალფეროვან სურათს მაინც ჩოლურულში იძლევა, სადაც ერთადაა თავმოყრილი ბალსზემოურისა და ლაშხურის ფორმები და, ამასთანავე, გვხვდება თავისებური წარმოებაც. ლაშხურის მსგავსად ჩოლურულშიც გაცილებით დიდი უპირატესობა ენიჭება -ი ნაწილაკიან ფორმებს.

5. სხვა დიალექტებისგან განსხვავებით, ჩოლურულში გვხვდება ორმაგ ნაწილაკდართული ფორმები, როდესაც -**ჴწა** ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანს დაერთვის **ი** ნაწილაკი, თუმცა მისი ფუნქცია -**ჴწაი**-სთან შედარებით შესუსტებული ჩანს, რადგან პარალელურად -**ი**-ს გარეშეც დასტურდება და მიმართებითობას სწორედ -**ჴწაი** ნაწილაკი ანიჭებს საკავშირებელ სიტყვებს: **ხედჴწაი||ხედჴწაი-ი** ჩჴემკლნჴე, ეჯნემ ემლორჴე ჩჴი (ჩოლ.) „რომელმაც გამიღიმა, იმან მომატყუა კიდევ“. ორმაგნაწილაკიანი წარმოება გვაქვს მიმართებით ზმნიზედებთანაც, -**ი** ხმოვანი დაერთვის მიმართებით ზმნიზედებსაც თანდებულების შემდეგ: **იმჴწახენ||იმჴწახენ-ი** ჯეკჴეს, ეჩხენ ემიჯ (ჩოლ.) „საიდანაც გინდოდეს, იქიდან მომიტანე“, თუმცა ჩოლურულისათვის, ამ შემთხვევაშიც, უფრო ბუნებრივი და ინტენსიურია -**ი** ნაწილაკდართული თანდებულიანი მიმართებითი ზმნიზედები -**ჴწა** ნაწილაკის მონაწილეობის გარეშე. (მაგ.: **იმხენი** „საიდანაც...“). ჩოლურულს ქართულისაგან და სვანურის სხვა დიალექტთაგან განარჩევს წევრკავშირებში (მიმართებით ნაცვალსახელებთან და მიმართებით ზმნიზედებთან) – **ჴწაი||-ჴწაი, -ჴწაი, -ი** „ცა“ ნაწილაკთან წარმოდგენილი **მწა||მაგ** „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის გამოყენების შემთხვევებიც, რომელსაც სისტემატური ხასიათი აქვს და ხშირად დასტურდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმაზე ორმაგ ნაწილაკდართულ მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთადაც და მეტად დახუნძლულ ფორმებს ვღებულობთ, (მაგ.: **ხედ-ი-მაგ** „რომელიც“, **ხედ-ჴწაი-შდ-ი-მაგ** „რომლისთვისაც“, **იმხენ-ი-მაგ||იმჴწახენ-ი-მაგ** „საიდანაც“).

6. ნაშრომში წარმოდგენილია მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პარადიგმები სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით და

- შესაბამისად განხილულია მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხიც. ზმნა-შემასმენლისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური ურთიერთობაც, ქართულის მსგავსად, მართვით-შეთანხმებითია. მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში, ხოლო დამატება ობიექტის ფუნქციით გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი ხან ითანხმებს შემასმენელს, ხან – ვერა.
7. სვანურში III სერიაში ბრუნვაუცვლელი ობიექტი პირმიუმართავ დამატებად იქცევა და ნანათესაობითარ ვითარებითში დაისმის, ხოლო ლაშხურსა და ჩოლურულში პარალელურად, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ვითარებით ბრუნვაში გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითის სემანტიკით (მაგ.: **ღუაჟარს** ხამი ლაყუფა ნიცს **ხოფინე** (ღშხ.) „კაცებს ღორის დასაკლავ („გასაპუტ“) წყალს უღუღებს“; **ღუაჟარ-ემ-დ|ღუაჟარ-დ** ხამი ლაყუფა ნიც ოხფინა „კაცებისთვის ღორის დასაკლავი წყალი აუღუღებია“).
 8. სვანური მირთვა ქართულისაგან არსებით და პრინციპულ სხვაობას არ ავლენს, განსხვავება ძირითადად გამოხატვის საშუალებებსა და ფორმათა მრავალფეროვნებაში იგრძნობა. როგორც ცნობილია, მირთული სიტყვები ზმნისართებითა და თანდებულებით გადმოიცემა, სვანური კი მდიდარია, ზმნიხედებითა და თანდებულებით. სვანურში ბრუნვათაგან გამოყენებულია მიცემითი, მოქმედებითი და ვითარებითი; **ეჩქა-ს** მეთხუიარა ნებოზს ეხჭამხ სოფელს (ღშხ.) „მაშინ მონადირეები საღამოს გამოყენენ სოფელს“; **ღეთ-ჟუ** უკუწარიელად ჩუაშყედ ქორს (ჩოლ.) „დამით წანწალის გარემუ დაეგდე სახლში“; **ეჩქა-დ** ეჩის ლგმზუტებლის (ღნტ.) „მანამდე იმას ჭამდნენ“,
 9. რთულ თანდებულთა პარალელურად ლაშხურსა და ჩოლურულში ამ ტიპის თანდებულებში დასტურდება **-ხენ** თანდებულის გაორმაგებული წარმოება, მაგ; **ამ-ხენ-ხენ-ქა** „აქედან“, **ამ-ხენ-ხენ-ჟი** „იქიდან ზევით“, **ეჩ-ხენ-ხენ-ქა** „იქედან“, **ეჩ-ხენ-ხენ-ჟი** „იქიდან ზევით“, **ამ-ხენ-ხენ-ჩუ** „აქედან ქვემოთ“, **ეჩ-ხენ-ხენ-ჩუ** „იქედან ქვემოთ“, თუმცა ფუძის რედუბლიკაციას არავითარი სემანტიკური ნიუანსი არ შემოაქვს წინადადებაში.
 10. სვანურ დიალექტებში (ბზ., ღნტ., ღშხ., ჩოლ.) **-ჟი** და **-ჩუ** თანდებულთაგან ნაწარმოებ ადგილისა და ვითარების ზმნისართებს, ასევე დაერთვის სუფიქსი **-ნენ** (ჩოლ.) **-ნე||-ნან||-ნაი** (ღშხ.), **||-ნ** (ბზ., ღნტ.) და

მიიღება საკმაოდ გადატვირთული ფორმები, მით უფრო, რომ მათი დართვა-დაურთველობა სვანურში არანაირ სემანტიკურ სხვაობას არ იძლევა: **ამჟრ-ნენ||ამჟრ-ნან||ამჟრ-ნაჲ||ამჟი-ნ** „ასე“, **ეჯჟრ-ნენ||ეჯჟრ-ნან||ეჯჟრ-ნაჲ||ეჯჟი-ნ** „ისე“, **ამჩჟ-ნენ||ამჩჟ-ნან||ამჩჟ-ნაჲ||ამჩჟი-ნ** „აქ“.

11. განსახილველი **-ნენ||-ნე -ნან||-ნაჲ** სუფიქსი იშვიათად შეიძლება დაერთოს ზემოთ ნახსენებ გაორმაგებულ **-ხენ** თანდებულის ფორმებსაც, მაგ; **ამ-ხენ-ხენ-ჟრ-ნენ||ამ-ხენ-ხენ-ჟრ-ნან||ამ-ხენ-ხენ-ჟრ-ნაჲ** „აქედან ზევით“, **ეჩ-ხენ-ხენ-ჟრ-ნენ||ეჩ-ხენ-ხენ-ჟრ-ნან||ეჩ-ხენ-ხენ-ჟრ-ნაჲ** „იქედან ზევით“, **ამ-ხენ-ხენ-ჩჟ-ნენ||ამ-ხენ-ხენ-ჩჟ-ნან||ამ-ხენ-ხენ-ჩჟ-ნაჲ** „აქედან ქვევით“. სწორედ თანდებულთა ასეთი სიმრავლე განაპირობებს მირთულ ფორმათა სიუხვესაც სვანურში.
12. სვანურის ყველა დიალექტში ყველაზე პროდუქტიულად შეიძლება ჩაითვალოს **-ქა** „გა“ თანდებული, რომელიც მონაწილეობას იღებს რთულ თანდებულთა წარმოებაში და აღნიშნავს გავლით, მიახლოებით; ჩოლურულში სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ზმნისართებში განსახილველი თანდებულის სამმაგი წარმოებაც დასტურდება: **ჩჟ-ქან-ქა-თე-ქა...**
13. სვანურში საინტერესოა თანდებულის ბრუნვები – მიცემითი და ნათესაობითი. ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში ნათესაობითზე დართული **-შალ** თანდებული ხმარების სიხშირით გამოირჩევა და **-შალ** თანდებულის ადამიანთა ხმოვანფუძიანი სახელები მხოლოდ ნათესაობითში გვხვდება. **-შალ** თანდებულის ნათესაობითს ენიჭება უპირატესობა თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებთანაც, თუმცა იშვიათად წმინდა ფუძეზე დართულიც შეიძლება დადასტურდეს, მაგ: **ბეთქილ-იშ-შალ||ბეთქილ-შალ** „ბეთქილის მსგავსად“. სვანურში, განსაკუთრებით ჩოლურულში, ნაცვალსახელებთან **-შალ** უმეტესად ნათესაობით ბრუნვას ერთვის, თუმცა ნათესაობითის ნიშნის გარეშეც დასტურდება, სხვა დიალექტებში ნათესაობითზე დართული თანდებული ძირითადად ნაცვალსახელთა მესამე პირის ფორმებთან გვხვდება გაუფორმებელი ფუძის პარალელურად. ბალსქვემოურში ასევე საინტერესოა ზმნიზედების – **ჩიგარ** „ყოველთვის“, **მეჰად** „მუდამ“ და **შომა** „როდის“ **-ვით** თანდებულის ნათესაობითიც, რომლებიც სხვა დიალექტებში ამ სახით არ დასტურდება, მაგ.: ათხე ხოჩამდ არი ჩიგარი-შ-შალ „ახლა კარგადაა, როგორც ყოველთვის“.

14. ნათესაობითი ბრუნვა სუბსტანციური განსაზღვრების ბრუნვაა. სვანურში გაბატონებულია სუბსტანციური განსაზღვრების **პრეპოზიციური წყობა**, რომლის დროსაც მართული განსაზღვრება, ქართულისაგან განსხვავებით, ქვემოსვანურ დიალექტებსა და მათ შორის ჩოლურულში ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნის (-შ-ს) გარეშე დასტურდება (მაგ.: ამსტაღდ-ა შგტირ „ადამიანის სირცხვილი“, შდრ., ამსტაღდ-აშ „ადამიანის“), განსხვავებით ზემოსვანური დიალექტებისაგან, სადაც (ბალსხემოურში იშვიათად, ბალსქვემოურში ხშირად) მსაზღვრელს ნათესაობითის ნიშანი სრულად აქვს შენარჩუნებული.
15. სვანურში ადგილის გარემოებად მოქმედებითი თითქმის არ გამოიყენება. უპირატესობა აქვს თანდებულებს ენიჭება, ხოლო ძველ და ახალ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ადგილის გარემოების გადმოცემა წარმოადგენდა.
16. სვანურში, ქართულისაგან განსხვავებით, ვითარებითი ბრუნვით გადმოცემულ უბრალო დამატებას ზოგჯერ შეიძლება განკუთვნების მნიშვნელობა ჰქონდეს (კითხვაზე: იშაშდ? - ვისთვის?), რაც ქართულში **-თვის** თანდებულიანი ნათესაობითით ან ნანათესაობითარი ვითარებითით გადმოიცემა: **ზურაღდ** ნუმა ხაკტერ ოთყეტუნან (ლშხ.) „ქალისთვის არ უნდა გაეცნია“. საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა **-ემ-დ** „თვის“ თანდებულიანი სახელებია დანართის მიერ ასახსნელი. **-ემ-დ**, როგორც ცნობილია, ნანათესაობითარი ვითარებითია, რომელიც სემანტიკურად ქართულის „თვის“ თანდებულის ეკვივალენტია. ამ შემთხვევაში სვანურში არც დანართს და არც ასახსნელ სიტყვას თანდებულის ფორმა არა, მაგრამ სემანტიკა კი „თვის“ თანდებულისა აქვს. სვანურში „თვის“ თანდებულის მნიშვნელობის გამოსახატავად დასტურდება როგორც ნანათესაობითარი ვითარებითის, ისე ვითარებითის ფორმა. **ნიშგემდ, შტანრ-ემ-დ||შტანარ-დ**, ეჭლადედ ლიშდაბ დემეგ იმარგ (ბქ.) „ჩვენთვის, სვანებისთვის, იმ დღეს მუშაობა არ შეიძლება“.
17. ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ემოციებისა და გრძნობების აღმნიშვნელ ზმნა-შემასმენელთან. სვანური ამ მხრივაც ქართულისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, ვინაიდან ქართულ თარგმანში სვანურს, აღნიშნულ შემთხვევაში,

ნათესაობითი ბრუნვის ფორმები შეესაბამება: ცხეკისა **თხერგლდ** მაყლუნდა (ლშხ.) „ტყეში მგლების მეშინოდა („მგლებად“).

18. ადგილისა და დროის გარემოებები ქართულში ვითარებით ბრუნვაში გვევლინებიან ცალკეც და -მდე თანდებულის დართვითაც, მაგრამ სვანური აღნიშნული გარემოებების გადმოსაცემად უპირატესობას სხვადასხვა თანდებულებს (-**ნუნ**||-**ნუნ**, -**თე**, -**თეჟა**...) ანიჭებსა და მიცემითი ბრუნვაა წინ წამოწეული: **ძინარუნ** – „დილამდე“; **სოფელუნ** – „სოფლამდე“; **კიხთეჟა** – „კიბემდე (კიბისკენ (გარეთ))“; **ლაგავთეჟა** – „ზღურბლამდე (ზღურბლისკენ (გარეთ))“...
19. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის იქნა გაზიარებული მოსაზრება, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოხატავს და საამისოდ იყენებს საგანგებო თანდებულს – **-ცახან**||**-ცახან**||**-ცხან** (აბესაძე, კიზირია). კვლევამ აჩვენა, რომ სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის ჩოლურულში, აღნიშნულ შემთხვევაში ვითარებითში დასმულმა პირმიუმართავმა დამატებამ **-ცახან** თანდებულის დაურთველადაც შეიძლება გამოხატოს თანაობა **ლგ-** პრეფიქსის მეშვეობით. ქართულში, როგორც ცნობილია, **-იან** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, სვანურში კი **ლგ-** პრეფიქსიანი; მაგ.: **ლგრეჟუნდ** ადყუნე ბეფშუ (ბზ.) „ტანსაცმლიანად დააწვინა ბავშვი“. ქართულისაგან განსხვავებით ვითარებითში დასმულ თანაობის უბრალო დამატებას სვანურში მრავლობითის ფორმა არ გააჩნია, იგი არ დაირთავს მრავლობითის მაწარმოებლებს, თუმცა მრავლობითის სემანტიკა და გაგება ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს, მაგ.: „**ლგბოფუნდ** აჩად“ შეიძლება გამოხატავდეს, როგორ მსოფლობითს „**ბავშვიანად** წავიდა“, ისე მრავლობითს „**ბავშვებიანად** წავიდა“... ასეთი დამატების რიცხვი (მსოფლობითია, თუ მრავლობითი) წინადადების კონტექსტის მიხედვითაც ვერ დგინდება, თუ მოქმედმა თავად არ ნახა და არ განმარტა **ბავშვიანად** წავიდა თუ **ბავშვებიანად**.
20. სვანურში **მოშ** ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია მრავალფეროვანია. კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე მისი დართვით იწარმოება შეუძლებლობის გამომხატველი ნაწილაკები და მხოლოდ მისი მეშვეობით გამოიხატება ორმაგი უარყოფა. განსახილველ ნაწილაკს, ამავე დროს, აქვს მოქმედების შესრულების

შესაძლებლობის გამოხატვის ფუნქციაც და რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისი მონაწილეობა და კავშირებზე დართვა წინადადებას მეტექსპრესიულობას მატებს. **მოშ** ნაწილაკის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შეუძლებლობის სემანტიკის გამოხატვა, ხოლო ქვეწყობილ წინადადებებში მოქმედების შესრულების შესაძლებლობის ნიუანსის გამოხატვა მეორეულ მოვლენად მიგვაჩნია.

21. ვინაიდან სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის, მკვლევართა დაკვირვებით, სწორედ ამ მიზეზით სვანურში მეტად იშვიათია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები (ნ. აბესაძე) და, შესაბამისად, აღნიშნული შერწყმული წინადადებები კვლევის ობიექტი არ ყოფილა. საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ სვანურში არცთუ იშვიათია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები.
22. სვანურში, ქართულისაგან განსხვავებით, ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სრული სახით მხოლოდ პირველ სუბსტანტიურ განსაზღვრებებს ერთვის, უკანასკნელს კი ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს: **ღჷჷ Ⴛანგჷან ი ქანჷლ ჭყინტიშ ი მიჩა ლახჷბჷ ლაყჷრათე** (ბზ.) „ღვეი ადგა და წავიდა ბიჭის და მისი ძმების საწოლისაკენ“
23. პოსტპოზიციური წყობის ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებები სრულად დაირთავენ ნათესაობითის ბრუნვის ნიშანს: ეჩემდ საბუთ ლახჷმ **ლიმოლეშ** (**||მოლჷლე ლიკჷშეშეშ**) ი **ლიზგეშ** (ლნტ.) „მან საბუთი მისცა ყამირის გატეხვის (სმინდვრის დატეხვის“) და ცხოვრების“.
24. ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებებიდან სვანურში უფრო ხშირია ერთგვარი ადგილისა და ვითარებითის გარემოებიანი შერწყმული წინადადებები, ხოლო, დროის, მიზეზისა და მიზნის ერთგვარი გარემოებები შედარებით ნაკლებად გვხვდება.
25. სვანურში, ქართულისაგან განსხვავებით (სალიტერატურო ენა ერთგვარ წევრებთან თავს არიდებს ერთი და იგივე თანდებულთა გამოყენებას და „და“ კავშირის წინ ასეთი წევრი უთანდებულოდ, ბრუნვის ფორმით გამოიყენება.), თანდებულებით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს, თანდებულები, ძირითადად, ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, ი „და“ კავშირის წინ მდგომიც თანდებულთა გვევლინება: ალა მიჩა **ქორთე**

- ანკიდ, **ხეხუთე ი მუხუბათე** (ბზ.) „ეს თავისი სახლისკენ წამოიყვანა („მოიტანა“), ცოლისკენ და ძმისკენ“.
26. სვანური დიალექტები, მათ შორის ჩოლურულიც გამოირჩევა „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის სემანტიკით გამოყენებულ კავშირთა სიუხვით: **(ერ||ე, ლახ||ალახ, ჰე||ე, ემა, ესა, აღჷე||ეჷე||აჷე** (ლნტ.), **ალო||ელო||ოლო||აღჷე** (ჩოლ.)) და ჩამოთვლილთაგან მაჯგუფებელი და მაცალკეებელი კავშირის მნიშვნელობით მხოლოდ **ჰე||ჰა||ა** ვარიანტები გამოიყენება.
27. უნდა აღინიშნოს ისიც, რო ლენტესური და ჩოლურული პირობით დამოკიდებულ წინადადებაში „თუ“ კავშირის მნიშვნელობით **აღჷე||ელო** კავშირს ანიჭებენ უპირატესობას, უფრო მეტიც, ჩოლურულისგან განსხვავებით ლენტესურის პირობით დამოკიდებულ წინადადებას სხვა მაქვემდებარებელი კავშირი თითქმის არც გააჩნია.
28. სვანურში ცოტაა პარატაქსულ წინადადებაში მოვლენათა დაპირისპირებულობის გამოსახატავი კავშირები. „კი“ და „ხოლო“ კავშირები თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან **ი „და“** კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება. თავისებურებას ქმნის **ი „და“** კავშირის ადგილი, ის არ დაისმის თანწყობილის რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „კი“ კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა როგორც **ი „და“** კავშირი და მაერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება. პარატაქსულ წინადადებაში **კი** კავშირის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს **გინ-** ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს: ეჯიარ აჩადხ, ჯედ **გინ** აგის ასად (ჩოლ.) „ისინი წავიდნენ, თვითონ კი სახლში დარჩა“.
29. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება ქვემოსვანურ დიალექტებში შედარებით იშვიათად დასტურდება (რაც იმით აიხსნება, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ). უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვაგრძნობინებს კავშირის ან

- საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით. ინტონაცია აშკარად ექსპრესიულ ხასიათს ატარებს.
30. ქვემოსვანურ დიალექტებში კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი (დენტეხურში დასტურდება შემთხვევები, როდესაც **აღჷე** -ს ახლავს **ერე** „რომ“ კავშირი: **აღჷ'ერე** (**||ელჷ'ერე**) ზისხ გარ ლი, ეჩქა ჯიმს ხანწიღეს (ლნტ.) „თუ სისხლი მარტოა, მაშინ მარილს ურევენ“), ან წევრ-კავშირი და კავშირი. კავშირთა ასეთი თავმოყრა დასტურდება ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ქვემოსვანურში: **ხედჷწა ერე** „რომელიც რომ“...
31. სვანურის დიალექტებში უკორელაციო ჰიპოტაქსურ წინადადებებშიც არაერთგვაროვანი სურათია. ქვემოსვანურისთვის (განსაკუთრებით ჩოლურულისათვის, და, ასევე, ლაშხურისათვის) აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა საკორელაციო წევრთა გამოტოვება, და შეიძლება ითქვას, რომ უკავშირო წინადადებებს გაცილებით სჭარბობს უკორელაციო მთავარი; ერთსა და იმავე წინადადებაში საკავშირებელი წევრი ხან წარმოდგენილია და ხან არა. ხოლო ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, მთავარ წინადადებაში ეს დანაკლისი არ არის ხშირი, თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა საკორელაციო სიტყვა არ არის წარმოდგენილი.
32. ქვემოსვანურის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში თითქმის ისეთივე ვითარებაა, როგორც სხვა ქართველურ ენებში, რასაც ვერ ვიტყვი ზემოსვანურ დიალექტებზე, რომლებმაც, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, დამოკიდებულ წინადადებათა განვითარების უფრო ადრინდელი საფეხური შემოინახეს, ვინაიდან ცნობილია, რომ ასიდენტური შეერთება უფრო ადრინდელი საფეხურია და უსწრებს კავშირიანს.
33. სვანურში ჰიპოტაქსურ წინადადებათა საზღვარზე გამაძლიერებლის ფუნქციით წარმოდგენილია აქ დეიქტიკური ნაწილაკი, რომელიც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას ჰმატებს წინადადებას და მახვილიანია. აღნიშნული ნაწილაკები ყოველთვის მთავარი წინადადების საზღვრულზე მიუთითებს და საზღვრულს ყოველთვის თან ახლავს ესა თუ ის ჩვენებითი ნაცვალსახელი.

34. დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებებში უხვად გვხვდება წინადადების მთავარი წევრების მიხედვით შერწყმული წინადადებები, ხოლო არამთავარ წევრთაგან შედარებით იშვიათად ფიქსირდება დროის გარემოებიანი, ადგილის გარემოებიანი და ვითარების გარემოებიანი შერწყმული წინადადებები (მიზეზისა და მიზნისა არ დაფიქსირებულა). რაც შეეხება პირმიუმართავ დამატებიან შერწყმულ წინადადებებს, მთავარი წევრების მსგავსად, საკმაო რაოდენობით დასტურდება. დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებებში დომინანტია ი „და“ კავშირი, რომელიც ორზე მეტ ერთგვარ წევრთან, ძირითადად, ბოლო ორ წევრს დაერთვის.
35. მრავლად დასტურდება აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი ქვემდებარულდამოკიდებულიანი, პირდაპირ დამატებითდამოკიდებულიანი, განსაზღვრებითდამოკიდებულიანი და გარემოებითდამოკიდებულიანი წინადადებებით, აქედან მეტი წილი დროის გარემოებითი წინადადებაა, ხოლო რაც შეეხება შემასმენლურ, ბრუნვაუცვლელ დამატებით და უბრალოდამატებით დამოკიდებულ წინადადებებს, ისინი არც ადრე გამოქვეყნებულ ტექსტებში და არც ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მასალაში არ დასტურდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ. „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, თსუ შრომები, ტ-93, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960
2. აბესაძე ნ. „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“, თსუ შრომები 164, ენათმეცნიერება, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975
3. აბესაძე ნ. „შერწყმული წინადადებები სვანურში, თბ., შრომები, ენათმეცნიერება“, ტ-174, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976
4. აბესაძე ნ. „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“, თსუ შრომები, ტ-200, ენათმეცნიერება, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978
5. აბესაძე ნ. „დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი სვანურში“, თსუ შრომები, 133 (142)., თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972
6. ანტონ I, „ქართული ღრამატიკა“ შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფილისი, 1885
7. ახალაია ვ. „უკავშირო რთული, ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურული აგებულება და აზრობრივი მიმართება სვანურში“, პროფ. ვ. ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი., გამომც. „საარი“, 2012
8. ბასილაია ნ. „უკავშირო რთული წინადადება“, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974
9. გეგუჩაძე ლ. „ქართული ენა“, ნაწილი მეშვიდე, თბილისი., გამომც. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, 2009
10. დონდუა კ. „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის“, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი., სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1940

11. დონდუა კ. „დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძვ. ქართულში“ თსუ შრ. XXXVII, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949
12. ეზუგბაია ლ. „მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები“, თბილისი., გამომც. „მერიდიანი“, 2010
13. თოფურიცა ვ. შრომები, ტ II, თბილისი., გამომც. „ქართული ენა“, 2002
14. თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“, თბილისი., „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1961
15. კეკელია შ., დავითიანი აკ. ქათული ენა, თბილისი., გამომც. განათლება, 1981
16. კვანტალიანი ლ. „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალ-სახელის შეთანხმება ქართულში“, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1983
17. კვანტალიანი ლ. ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII – XX სს. 30 — 40-იანი წლები), იკე, XXXII, თბილისი., გამომც. „მეცნიერება“, 1993
18. კვარაცხელია გ. „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, თბილისი, თსუს-ს გამომც., 1990
19. კვაჭაძე ლ. „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბილისი., გამომც. განათლება, 1977
20. კიზირია ა. „შერწყმული წინადადება ქართულში“, იკე, ტ-IV, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1953
21. კიზირია ა. „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1969
22. კიზირია ა. „ქვემდებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში“, არნ, ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1979
23. კიზირია ა. „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1982
24. ლომია მ. „ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში“, თბილისი., გამომც. უნივერსალი, 2005
25. მარგიანი-სუბარი ქ. „მირთვა და თანდებულიანი ფორმები კოდორისა და ენგურის ხეობათა სვანურში“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბილისი., გამომც. უნივერსალი, 2009

26. მარტიროსოვი არ. „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1964
27. მიქიაშვილი ო. „ქართული ენა“, თბილისი, გამომც. ინტელექტი, 1998
28. ნაჭყებია მ. „მსაზღვრელ-საზღრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში“, თბილისი, 2005
29. ონიანი ა. „სვანური ენა“, თბილისი, „ს.ს. ორბელიანის სახელობის თბ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998
30. ჟღენტი ს. „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949
31. როგავა გ. „არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში“, იკე, ტ. XXVI, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1987
32. როზენი გ. „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung uber das Mingrelische, Suanische und Abchasische“, berlin, 1846
33. საღლიანი მ. „რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში“, იკე, XXXVI, თბილისი, გამომც. „შ.პ.ს. დარბეგი“, 2008
34. საღლიანი მ., შავრეშიანი ნ. „ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები“, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXII, თბილისი, გამომც. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, 2011
35. სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1939
36. სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქაღდანმა, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1957
37. სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქაღდანმა, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1967
38. სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქაღდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქაღდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1979
39. სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 1978

40. სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაძე, მ. გუჯუჯიანიძე, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1939
41. ქაღანიძე მ. „ელიზა სვანურ ენაში“, იკე, V, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1953
42. ქაღანიძე მ. „სვანური ენის ლაზამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი“, იკე, VIII, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1956
43. შანიძე ა. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, I, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973
44. შანიძე ა. „უმლაუტი სვანურში“, თხზულებანი, II, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981
45. შარაძენიძე თ. „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“, იკე I, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1946
46. შარაძენიძე თ. „-ვით თანდებული ქართულში“, თსუ შრომები, X, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1939
47. ჩანტლაძე ი. „ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში“, თსუ შრომები, 6-7, თბილისი., 1974
48. ჩანტლაძე ი. „ქართველოლოგიური ძიებანი“, თბილისი., გამომც. „ქართული ენა“, 1998
49. ჩიქობავა არნ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, თბილისი., სსრკ. მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1936
50. ჩიქობავა არნ. „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952
51. ჩიქობავა არნ. „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1941
52. ჩიქობავა არნ. „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მეორე გამოცემა, თბილისი., გამომც. მეცნიერება, 1968
53. ჩიქობავა არნ. „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, თბილისი., გამომც. „სკოლა“, 1998
54. ცოცანიძე გ. „ფრაზეოლოგია – მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ასპექტები“, ქართველური

მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, გამომც. ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, 1999

სარჩევი

შესავალი	2
სვანური სინტაქსის შესწავლის ისტორია	4
თავი I	15
სინტაქსური შეკავშირების სახეები	15
§ 1. შესიტყვება	15
§ 2. შეთანხმება	15
§ 3. მართვა	21
§ 4. მირთვა	24
§ 5. ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა ...	38
§ 6. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის მართვით- შეთანხმებითი ურთიერთობა	51
§ 7. ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში	70
§ 8. უბრალო დამატება სვანურში	90
II თავი	101
წინადადება	101
მარტივი წინადადების ტიპები მოდალობის (შინაარსის) მიხედვით	102
§ 9. თხრობითი წინადადება	102
§ 10. კითხვითი წინადადება	103
§ 11. ბრძანებითი წინადადება	106
§ 12. კითხვით-ძახილის წინადადება	108
§ 13. სრული და უსრული წინადადება	109
§ 14. წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით	112
III თავი	120
§ 15. შერწყმული წინადადება სვანურში	120
§ 16. შერეული (ნარევი) სახის შერწყმული წინადადება	141
§ 17. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი სვანურში	144
§ 18. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სვანურში	152
§ 19. მიმართვა	152

§ 20. ჩართული	156
§ 21. დანართი	160
IV თავი	163
რთული წინადადება სვანურში	163
§ 22. რთული თანწყობილი წინადადება	164
§ 23. განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსისათვის სვანურში ..	178
§ 24. ჰიპოტაქსის კავშირთათვის სვანურში	200
§ 25. უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებისათვის სვანურში	205
§ 26. ნაწილაკთა სინტაქსური დახასიათებისათვის ქვემოსვანურ დიალექტებში	217
V თავი	226
§ 27. ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური დახასიათებისათვის სვანურში	226
ძირითადი დასკვნები	241